114
1943 /9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

7

თბილისი
1943

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეოცე

3961
33
~~46572~~

Тбилисский филиал
Библиотека
имени ЦК ВКП (б)

7

19 ივლისი 43
სახელგამი

საქართველოს
პარლ. მეტ.
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
გამსახურდია კონსტანტინე
დონაძე სერგო
კალაძე კარლო
მაშაშვილი ალიო (პ/მ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
შენგელაია დემნა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII-43. შეკვ. № 2018. უე 7354. ტირაჟი 4.800.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ეორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ეორესის ქ. № 5. სახელგამი, ტელეფ. 3 — 04 — 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალაკტიონი

ლექსების რკალიდან — „ისტორიის ახალი გვერდი“

მხრები ყაზბეგის

როგორ არაა ჩემთვის ძვირფასი
ყაზბეგის ცამდე მსვლელი იერი,
რომ ვერას აკლებს ქარი პირბასრი
და ცისკრის ალი რთავს მშვენიერი.
მზის ამოსვლისას სავსეა თასი
ათასი ლალის და კელეპტარის...
როგორ არ არის ჩემთვის ძვირფასი,
და საყვარელი როგორ არ არის!
ო, მოზღვავებავ მღვრიე აზრისა
ყოველი გრძნობის წინააღმდეგის...
ვერა-რა ძალამ ვერ გადასრისა —
ეს მშვენიერი მხრები ყაზბეგის!

ღრუბლები ძაუგთან

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს
აგუგუნება კაიშაურის.

მე მშობლიური არაგვი მირჩევს
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს,
ომში — სიცოცხლე ჩასთვალოს არად.

იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო,
უნდა აღმართო წყებათა-წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იავნანა

შენ იძინე
პატარა ხანს,
მე არ მძინავს
ამ ქვეყანას;
მე გიმღერებ
იავნანას —
ნანა-ნანინა.

რომ დაიცვას
დანაშვენი
ჩვენი მიწა
და ნაშენი,
საზღვარზე დგას
მამაშენი —
ნანა-ნანინა.

რომ წავიდა,
დამიბარა:
გამიზარდე
ეს პატარა,
წამოვიდეს
ჩემთან ჩქარა.
ნანა-ნანინა.

მან იგრძნო რომ
ჩვილზე ჩვილი,
გმირი არის
მისი შვილი,
გმირი, ვით
ოძელაშვილი,
ნანა-ნანინა.

შენი თოფი,
შენი ხმალი —
სულ მზადაა,
გენაცვალე;
მამისაკენ
გასწი მალე,
იავ-ნანინა!

შეკაზმული
არის ცხენი,
გზას გილოცავს
დედაშენი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წა, საგმირო
საქმე ჰქენი,
ია3-ნანინა.

შენ ჩემი ხარ
ბიჭი შავი.
გადალახე
მტერთა ზვავი,
მამულისთვის
დასდე თავი,
ნანა-ნანინა!

ქართული ორნამენტი

მკვეთრი, ნათელი და შორი
გრძნობიერია ზმანება,
ეს მზე-ჩუქურთმა, ეს სწორი
ხაზების ახოვანება.

ღვრის იისფერი დღე ლბილი
ოცნებას ცისფერ რამეზე,
ნანგრევზე არის გაშლილი
დიდება და სილამაზე.

ველური, მოუნათვლელი
ქვის ცივი, რუხი გაგება.
ადვილად არის სათლელი
და თბილად — დაქანდაკება.

ქვა — განა ქვაა? ეს რთული
ნიშნები, ჩემთვის ნათელი —
გაცოცხლებული ქვის გული
ყელრს, როგორც კორიანტელი.

ქვა, მოწყვეტილი აქ კლდეებს —
ქვა კი არ არის, — სიმია.
გარდასულ საუკუნეებს
ეტყვი: ეს თქვენი ღიმია.

აქ ბევრი სისხლი დაღვარეს:
მებრძოლი, ბევრჯერ მინახავს,
ჩუქურთმის ნატეხს საყვარელს —
ომის დროს უბით ინახავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმართლისათვის

მიაგდებს მერანს მხედარი —
სცლის გამარჯვების ფიალებს,
მის ხმალთან შენამკედარი
სიმართლის დროშა ფრიალებს.

ჩვენი ქვეყანა ებრძვის შხამს,
კვალდაკვალ მისდევს ტიალებს,
ყოველ დარტყმაში, ყოველ წამს
გმირული დროშა ფრიალებს.

ჩვენი ჭუნირი, ფანდური,
სიცოცხლით გაიწკრიალებს,
მის ჰანგში ანდამატური
სამშობლოს დროშა ფრიალებს.

მტერი იხრწნება, ირღვევა
და სასიკვდილოდ ხრიალებს,
სიმართლის დროშა ირხევა,
სიმართლის დროშა ფრიალებს.

კიდევ ვაშა და დიდება —
გამარჯვებათა სიალეს,
ო, დიდ არს ჭეშმარიტება!
ეს მისი დროშა ფრიალებს.

ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები —
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.
იყოს ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან სრბოლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი.
ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი,
ის არი სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლეც ის არი.
შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიამა ნატროშვილი

პიამა, სადაც ფოთლები
გაშალა ნაზმა ტვიამა —
ბრძოლამ მიიღოს ბრძოლისა,
ტყვიის მიიღოს ტყვიამა.

ის რკინისგზები დაჰფარა
დაფნამ, ვარდმა და იამა.
ის შლაგბაუმი, სადგური,
სადაც შენ იდექ, პიამა.

მივარდნილ სკოლის აივნის
კიბეს ჩასცილდნენ ვაჟები:
დასთმეს მერხები, დაფები,
გრიფელი, ყარანდაშები.

— ძვირფასო მასწავლებელო —
გითხრეს — გულგანაკაჟები
დაგიცავთ ყველას! მივდივართ,
გვიცდიან ცეცხლის რაშები.

ქმარი. შვილები. მებრძოლნი.
შენც მათთან წახველ, პიამა,
ვერ შეგაშინონ დედები
ტანკების გრიალ-გრიალმა.

რამდენ დას, დედას, ქალიშვილს
შენი იქ ნახვა იამა —
ითვალოს იმ გმირ ქალების
ალმზრდელმა კავკასიამა!

*
* *

საარაკო ბრძოლის ჟამმა,
დიდმა კავკასიის მთებმა,
ამ ჯაგებმა, ამ კლდეებმა,
ამ ჭალარა ნისლის ფრთებმა,

ჩვენმა დებმა და დედებმა,
ჩვენმა მამებმა და ძმებმა —
მე მიამბეს, რაც ამ მწვერვალს
განუცდია მტერთან შებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს მტერი დეზს სცემდა რაშს,
მაგრამ რაშმა ვერ ირაშა;
მოშყეთ! — დაიძახა გმირმა
და გრიალი გახდა: ვ ა შ ა!

ის, ტყვიებით დაცხრილული,
იბრძვის, ცეცხლმა გააკაჟა.
გადავიდნენ იერიშზე
და მთებშიაც ირაჟრაჟა!

ვინც ქვეყნისთვის მზად არის, რომ
გადავარდეს ცეცხლში, წყალში,
ვინაც სიკვდილს სახელოვანს
გაბედულად უცქერს თვალში,

არ გაჰქრება ხალხის გულში,
არ მოჰკვდება ბრძოლის ალში,
უკვდავია მისი ხსოვნა
აწმყოში და მომავალში!

თასი

თასს სადღეგრძელოს ხელში ვიღებ
ასსა და ათასს,
დაე, ესმოდეთ: ერთმანეთის
გატანა ვიცით,
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო,
შეხედეთ ამ თასს:
იგი სავსეა არა ღვინით,
არამედ ფიცით.

ქართველის ფიცით, ვისიც ეხლა
ისმენთ გულისთქმას,
მარად ერთგულის გრდემლის, კალმის,
ხმლისა და გუთნის,
მებრძოლის ფიცით, რომ არასდროს
არ ჩავაგებთ ხმალს —
მის დასაცავად, ვის სიცოცხლე
ჩვენი ეკუთვნის!

უსამშობლოოდ დე, ის ღვინო
გადმექცეს შხამად,
და სასიკვდილო გაზმორებად
ზოედოს ძარღვებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ეკუთვნის, როგორც უნდა
განსაცდელ ჟამად,
ვინაც ფიცსა სტეხს, ვინაც ძმობის
სიმტკიცეს არღვევს!

სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი
გადუტანია,
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა
ცხოვრება ქართლის,
ის თავდადების და გმირობის
მატიანეა —
ეხმაურება იმ ხმალს ჩვენი
ხმალი სიმართლის!

თასს უკანასკნელს ვცლი. დავცალე,
გადავდივარ მას.
დაე, დაიმსხვრეს მტერი ჩვენის
ძლავრი სიმტკიცით!
ახსოვდეს ყველას, ვინც აიღებს
ამ მშობლიურ თასს,
რომ ის საკვსეა არა ღვინით —
ბრამედ ფიცით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

სიმღერა სტალინზე

სტალინი ხალხთა ბელადი,
სტალინი მხედართმთავარი,
სამშობლო ქვეყნის დიდების
უბრწყინვალესი ჯავარი.

სითბო და სხივი მზიური,
ზეციდან გადმონაშალი.
სტალინი ჩვენი სიმაგრე,
სამშობლოს დიდი მარშალი.

გმირი გვყოლია წინათაც,
მაგრამ სტალინი სხვა არი.
იგი სიბრძნის და სინათლის
დაუშრეტელი ზღვა არი.

ის ჩასწვდა ქვეყნის მომავალს
მზესავით ნათელ გონებით,
დაამხო ყველა ბატონი,
ათავისუფლა მონები,

ხალხი ხალხს დაუმეგობრა,
თაიგულივით შეჰკონა.
აჰყვავდა ძმური კავშირი,
მტერს რომ დაშლილი ეგონა.

X გმირი გვყოლია წინათაც,
მაგრამ სტალინი სხვა არი.
იგი სიბრძნის და სინათლის
დაუშრეტელი ზღვა არი.

მტერს თავხედობა ანანა,
მუხანათურად შემოსვლა,
მხედრობის დიდი სახელი
შარავანდედით შეჰმოსა.

დაზარდა ბევრი ვაჟკაცი,
კვლავ ახალ რაზმებს ამწკრივებს,
ამზადებს წამოსაფრენად
ფრთამომაგრებულ არწივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი გვყოლია წინათაც,
მაგრამ სტალინი სხვა არი.
იგი სიბრძნის და სინათლის
დაუშრეტელი ზღვა არი.

ხალხთა ერთობის სიმტკიცე
თავისი ხელით გასჭედა,
წინ გააქანა ქვეყანა,
თითქო ზედ შესვა რაშზედა.

✗ სამშობლოს თავისუფლება
განსაცდელს გადაარჩინა,
მშრომელი ხალხის სიმძლავრე
საქვეყნოდ გამოაჩინა.

გმირი გვყოლია წინათაც,
მაგრამ სტალინი სხვა არი.
იგი სიბრძნის და სინათლის
დაუშრეტელი ზღვა არი.

ვეფხები

ეფარებიან აფთრები
რკინის „ვეფხებს“ და „ავაზებს“.
ჩვენ ამ მხეცების ნაფლეთით
ჩვენი ტყე-ველი ავავსეთ.

ნამდვილ ვეფხს მათთან რა უნდა? —
მან იცის ბინის არჩევა:
ვეფხს თუ ბუნაგის თხრა უნდა —
აფთრის სოროში არ შევა.

ან განა ყველა ნადირი
ლომის და ვეფხის ტოლია?
ფუჭია იმის ქადილი,
რაც ჯიშად არ დაგყოლია.

და გველიც ამის გამოა
შხამის მნთხეველი ბოროტად.
ნეტა რა ვეფხი გამოვა
ცოფიან აფთრის სოროდან?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართლა ვეფხური ვეფხობა
ჩვენს მიწაზეა ნაქები,
სადაც გმირს გმირი ემხრობა,
ამხანაგს — ამხანაგები.

მართლა ვეფხური ვაჟკაცი
ჩვენს მიწაზეა მავალი,
შემკული ტაშით, ვაშათი
დევ-გმირთა შთამომავალი.

ჩვენა გვყავს მართლა გმირები,
ვაჟები სახელოვანნი,
უშიშრად მონადირენი
«ლომნი და ვეფხნი ფრთოვანნი».

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია

ავადმყოფი

დიდი ხანია ქალიშვილი ლოგინად არის,
თუმცა სოფელში დღემ იმატა, გამოიდარა;
უკვე ალარ თოვს, ალარ ესმის ზუზუნი ქარის,
მაგრამ ის მაინც ლოგინიდან ალარ ამდგარა.

შუალამემდე მის ოთახში ცეცხლს არ აქრობენ,
მის გასართობად ბევრი მოჰყვეს, ბევრი რამ თქმულა,
რადგან ის, ვინაც მას ეტრფოდა, მიაჩნდათ საქმროდ,
თურმე სამშობლოს მტრებს ებრძოდა და დაღუპულა.

ზოგჯერ მას ფრთხილად ოხუნჯობას გაუბედავენ,
მაგრამ ის მაინც მოწყენილი უსმენს მნახველებს.
სტუმრად მოსულნი ნაღვლიანად გადახედავენ,
როს ავადმყოფი საუბრის დროს ჩუმად ახველებს.

ყურს უგდებს ამბებს: „მტერი გარბის, ჩვენებს დიდება!“
„თურმე საბჭოთა ერთ ტანკს ათი ვერ მორევია“.
მაგრამ მის წამწამს ცრემლი ხშირად დაეკიდება,
რადგან ის ერთი მებრძოლებში არ ურევია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ნოდეშვილი

„ვეფხი“

გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ
ახალი ტიპის ტანკ „ვეფხზე“.
გ ა ზ ე თ ებ ი დ ა ნ.

იცნო მებრძოლმა მტრის ტანკი „ვეფხი“,
გველებრ დახლართულ შავი სვასტიკით.
გზას მოიკვლევდა საშინელ ცეცხლში
ცირდორბლიანი მხეცი სასტიკი.

მაგრამ არ იგრძნო შიში და ძრწოლა,
შემოუკურთხა შხამიან ფრიცებს,
და ჯავშანმმტვრევი გრანატთა კონა
ხარუჯულ ხელში ჩაბღუჯა მტკიცედ.

შემდეგ რა მოხდა, ალარც კი ახსოვს,
რიასხვით აფრინდა ვაჟკაცის მკლავი
და ბრძოლის ველზე მის სანგრის ახლოს
ნამსხვრევად იქცა ურჩხული შავი.

როცა იფეთქა დამწვარმა ტანკმა
და ნამსხვრევებით ველი მოჰფინა,
ვაჟკაცს ულვაშზე ღიმილმა გაჰკრა,—
ვეფხი კი არა, კატა ყოფილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიორგი ნატროშვილი

ფურცლები საფრონტო დღიურიდან

ჩვენი დოგილი

საველე ჰოსპიტალი, რომელიც სმოლენსკის ოლქში, სოფელ სერგეევკაში იყო, მტრის ალყაში მოექცა. ეს იყო ორმოცდაორი წლის მაისში. ლამაზი რუსული ქოხები, რომელნიც ჩამწკრივებულნი იყვნენ ერთ რიგზე — პალატებად იყო ქცეული, ცალკე ქოხში საოპერაციო იყო; ეზოში ეთერის და იოდის მძაფრი სუნი იგრძნობოდა. ირგვლივ ტყვიამფრქვევები იდგნენ შენიღბულნი.

იმ დროს მეც იქ ვიწექი, მაგრამ ჰოსპიტალში როგორ მიმიყვანეს, — არ მახსოვს. ეს მოგონებანი ჩემთვის აქამდე ბუნდოვანი და ნისლით მოცულია. მაგონდება, სოფელში ბრძოლით შევდიოდით, პირველი სახლები უკვე ჩვენი იყო. სახლების მახლობლად, ბოსელში, გერმანელებს ტყვიამფრქვევი დაედგათ. იქიდან მესროლეს... წავიქეცი. არ ვიცი რამდენი ხანი ვეგდე ქუჩაზე, გამოფხიზლების წუთებში ყიჟინა და სროლა მესმოდა, მერე ძლიერად დაიჭექა, იმ მზიან დღეს ყველაფერი წყვდიადში ჩაინგრა, თვალთ დამიბნელდა...

ცნობაზე რომ მოვედი, უკვე პალატაში ვიწექი. მზის სხივები ეთამაშებოდნენ ფანჯარას, ირგვლივ სრული სიჩუმე იყო, მეზობლად დაჭრილები იწვნენ; სკამზე ახალგაზრდა ქალი იჯდა, რაღაცას უცქეროდა ეზოში, ფანჯრის მხარეს, მძიმედ ჩაფიქრებული თვალებით. ასეთ თვალებს უცებ გამოიცნობს ადამიანი — მათ ეტყობოდათ ბევრი სიკვდილი უნახავთ... სიყრმის ასაკში იყო და მაინც მის ხშირ თმებში აქა-იქ თეთრი ძაფები ჩახვეულიყვნენ.

ეს ჩვენი მედიცინის და იყო, ახალგაზრდა სმოლენსკელი ქალიშვილი — ნინა კლევცოვა. როცა წყნარი საღამო ჩამოდგა, მან ისევ მოგვინახულა. კვლავ ფანჯარასთან დაჯდა. ჯერ სდუმდნენ ბიჭები, თითქო გაზაფხულის ღამეს და საკუთარ ფიქრებს უსმენდნენო.

მერე იმაზე ჩამოვარდა სიტყვა, თუ ვინ საიდან იყო, რომელ მხრიდან. ვკითხე ნინას როგორ მოჰხვდა აქ, ალყაში, და იმანაც თავისი თავგადასავალი გვიამბო.

*
* *

— ქალაქს გერმანელები უახლოვდებოდნენ, — დაიწყო მან რაღაც ყრუ ხმით.—სულგანაბული ვისხედით ოთახში... თითონაც არ ვიცოდით, რას ვე-

ლოდით... მერე ამ დაძაბულ ლოდინში რაღაც შფოთიანი შეიჭრა, ფანჯრის შუშები ზრიალით ჩამოილეწნენ, კედლებმა ზანზარი დაიწყეს... [illegible] ახლოს, ბომბა დაეცა. ოთახიდან გამოვცვივდით. ნანგრევებს [illegible] აღარ მოვყვებოდით...

მარტო როდი ვიყავ. უფროსი და მახლდა თავისი ბავშვით. ოთხი წლის ბიჭი ჰყავდა... ქუჩაზე გამოვედით ყველანი. ქვაფენილი სავსე იყო ხალხით. ჩვენდა უნებურად წაგვიღო ხალხის ტალღამ, სადგურის მხარეზე წავედით... ჩვენც გადავწყვიტეთ ქალაქიდან წავსულიყავით. ქუჩაზე საშინელი ალიაქოთი იყო: ბავშვები, რომლებიც დედებს დაეძებდნენ, დედები, რომელთაც ბავშვები დაჰკარგოდათ, ვიღაცას სულ უპატრონოდ მიეტოვებინა შებმული ცხენები, რომელნიც აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ყველა ჩქარობდა... მარტო ცხედრები-ღა ეყარნენ მშვიდად...

თითქოს ნაცნობი იყო ეს ქუჩები და იმავე დროს, რატომღაც, უცნობი, უჩვეულო...

სადგურს ძლივძლივობით მივაღწიეთ... ამ დროს გერმანელების თვითმფრინავები საიდანღაც დაბრუნდნენ, ისევ დაიწყეს ბომბებისა და ტყვიამფრქვევების სროლა... აირია ხალხი, მოგვაწყდნენ... ბავშვი თვალიდან დავკარგე, ველარც ჩემი და დავინახე... ვეძებდი ამ ზღვა ხალხში. განსაცდელში ადამიანი საშინლად ეჭვიანი ხდება. მეც ასე დამემართა. მეგონა უკვე დაიღუპნენ მეთქი... რაღაც სიზმარივით მახსოვს ის დღე: რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად დარჩნენ მეხსიერებაში საშინელი სურათები. სიკვდილის, ტანჯვის სურათები...

მთხრობელი ერთი წუთით შეჩერდა. მერე განაგრძო:

— ისევ ვაწყდებოდი აქეთ-იქით... ვეძებდი... არ ვიცი რამდენმა ხანმა გაიარა. თვითმფრინავები დიდი ხანია გაფრინდნენ. სადგურზე გერმანელი მეავტომატენი გამოჩნდნენ. დაიწყეს ხალხის გარეკვა. რაღაცას ჰყეფდნენ, თუმცა გერმანული ენა ვიცი, მაგრამ მაინც არ მესმოდა, რას ამბობდნენ. რაღაც ბრძანებას ჰკითხულობდნენ, რაღაც ჯგუფებს ადგენდნენ. მეც რომელიღაც ჯგუფში მომაქციეს და ისევ ქალაქში წამომიყვანეს...

სადგურის ეზოდან რომ გამოვდიოდით, ვეება ღარტაფი დავინახე... საავიაციო ბომბას ამოეთხარა... იქვე ახლოს დახოცილები ეყარნენ. წამსვე თვალი მოვარიდე. არ მინდოდა დამენახა, თანაც მეშინოდა — ვაი თუ ჩვენებიც დაიხოცნენ-მეთქი. და უცებ, უნებურად, პაწაწინა ხელი მეცა თვალში, რომელიც სახრელში მოგლეჯილი ცალკე ეგდო და გასისხლიანებულ თითებში პურის ნაჭერი შერჩენოდა...

მოვდიოდი. სულ ეს ხელი მელანდებოდა... აზრის მოკრეფას ვცდილობდი. ისევ მიწყდებოდა ფიქრი და რაღაც გაურკვევლობაში ვვარდებოდი. ვუცდიდი რით და როგორ გათავდებოდა ეს ყველაფერი. ამასობაში სახელდახელოდ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკში მიგვიყვანეს და დაგვამწყვდიეს. ის ღამე იქ გავათენეთ... დრო და დრო ხალხი მიჰყავდათ, არც ერთი მათგანი უკან აღარ დაბრუნებულა.

მეორე დღეს გერმანელი ოფიცერი მოვიდა ბანაკში. წინ წადგომა მიბრძანა. ოფიცერს ერთი კაცი მოჰყვა. ის ჩვენი ქალაქიდან იყო. შორიდან ვიცნობდი კიდეც. ეტყობოდა ის კაცი ეხლა გერმანელების მოხელე გამხდარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო. რომ დამინახა — გაშტერებით დამიწყო ცქერა. თითქო რაღაცას მანიშნებდა, მაგრამ მე თვალი ავარიდე და თავი ჩავღუნე.

— ბატონო კაპიტანო! — უთხრა იმ კაცმა ოფიცერს, — აქ ბატონო გუგებრობა მომხდარა, ეს ქალი — და თითი ჩემსკენ მოიშვირა — ჩემი ცოლი გახლავთ, შემთხვევით მოხვედრილა აქ...

და ოფიცრის პასუხს აღარ დაუცადა, ისე წამოვიდა ჩემსკენ, ხელში ხელი დამტაცა და ჩუმად მითხრა:

— გადარჩი, ჩემო მეგობარო, წავიდეთ...

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, რაღაც ინსტინქტით, ხელი წავგლიჯე და გერმანელს მივუბრუნდი:

— ბატონო ოფიცერო! ეს კაცი სტყუის. მე მას პირველად ვხედავ...

ის გაფითრდა, ოფიცერმაც დაცინვით გადაჰხედა მას. მე ვიგრძენი, რომ ჩემი მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

ოფიცერმა კიდევ აარჩია ხალხი, წაგვიყვანა. მესამე სართულზე, ფართო დარბაზში, ჩაგვკეტეს და ორი სალდათი მოგვიყენეს.

ერთი ფიქრი-ღა მქონდა... უნდა გავქცეულიყავი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა. უნდა წავსულიყავი, თუნდაც ცდაში სიცოცხლეც წამეგო. ვხვდებოდი, რისთვის გვარჩევდნენ ასე გერმანელები და უმალ სიკვდილი მერჩივნა, ვიდრე ისინი ხელს მახლებდნენ.

მარტო მარჯვე შემთხვევას-ღა ვუცდიდი.

თვალი სალდათებისაკენ მეჭირა. ისინი რაღაცას თათბირობდნენ. მერე ერთი წამოდგა, გარეთ გავიდა. როცა გადიოდა, შევამჩნიე, რომ კარი მარტო ინგლისური კლიტით იყო დაკეტილი...

მაშასადამე გაქცევა შეიძლება...

მაგრამ ეს სალდათი?! განა კარებამდე მისვლას დამანებებდა?!

ერთობ ფლეგმატიური კაცი სჩანდა, რაღაც ხეპრე და უხეში. ეტყობოდა ძალზე დაღლილი იყო, წუთით ჩასთვლემდა ხოლმე და ისევ ჩქარა აიღებდა თავს. მერე ავტომატი მოიხსნა, ერთი ხელი კასეტზე დააბჯინა, მეორე თავზე შემოიდო, თვალები კვლავ ჩვენსკენ ჰქონდა. დიდხანს ებრძოდა დაქანცულობას. ისევ ჩასთვლიმა. მეორე სალდათი ისევ არა სჩანდა... ნელ-ნელა წავედი კარებისაკენ, ფრთხილად გავაღე, დერეფანში გამოვედი... საკუთარი გულისცემა მესმოდა, ისე ვდელავდი. თითქოს უკვე სამშვიდობოს ვარ... ამ დროს გავიგონე, როგორ გაიღო სადღაც, დაბლა, შემოსასვლელი კარი და ვიღაც კიბისკენ წამოვიდა. ფრთხილად გადავიხედე. ვიცანი, ის, წეღან წასული სალდათი ბრუნდებოდა, რაღაც მოჰქონდა, ორივე ხელი სავსე ჰქონდა. მივიხედ-მოვიხედე. გზას ვერსაით ავუქცევდი...

ეს უკვე დაღუპვა იყო...

რაღაც იყო საჭირო, რაღაც უნდა მომეფიქრებინა... დროც აღარ იყო. დალურსმული ჩექმების ბრახუნი უკვე ახლოს ისმოდა...

რა ვქნა, რა ვიფიქრო, რა ვუთხრა?!

უცებ თვალი მოვკარ ვეება ფიცრის ყუთს. ქვიშით იყო სავსე... დერეფანში, კედელზე დაფა იყო, რომელზედაც სახანძრო წერაქვი და ნიჩაბი ეკიდა. ნიჩაბი სასწრაფოდ ჩამოვიღე, და მეც არ ვიცოდი რისთვის, ქვიშაში ჩავაგდე...

3961

ადამიანი დიდ რისკზე ანგარიშ-მიუცემლად, დაუფიქრებლად შიდის. თორემ ფიქრსა და გონებას რომ ასეთ შემთხვევებში ყური მიუგდო — აღარც დრო გეყოფა და აღარც გამბედაობა. მაშინაც ასე სწრაფად მოხდა ყველაფერი. ამოსცილდა კიბეს. ნიჩაბს ხელი ვტაცე, მთელი ძალით სახეში ჩავარტყი, მუზარადი არ ეხურა... მაშინვე დაეცა კიბის თავზე, გონი დაკარგა, ავუქციე გზა და კიბეზე ჩავირბინე...

თითქო გამომცვალესო, ჩემი ფიქრი ვეღარ გამომეცნო. ნუ თუ ეს ყველაფერი ნამდვილია, ნუ თუ ეს მე ვარ-მეთქი, — მიკვირდა. რატომღაც აღარ მეშინოდა სიკვდილისაც... რა ვიცი რატომ? ალბათ იმიტომ, რომ სიკვდილიც სულ პატარა, უმნიშვნელო სჩანს იმასთან შედარებით, რაც იმ დღეს ქალაქში ხდებოდა. ოღონდ ამ ჯოჯოხეთიდან გასვლის გზა იპოვო, ოღონდ ხსნის ბილიკს წააწყდე და ადამიანი მაინც გაჰბედავს, მაინც წავა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად უჯდებოდეს. მეც ამ ინსტინქტმა, ამ გრძნობამ გამომაქცია.

უკვე ქუჩაზე ვიყავი, როცა ზემოთ ჩოჩქოლი დაიწყეს. ისმოდა ღრიალი და გინება. მერე სულ აშკარად გავიგონე: ვიღაცამ მთელი ხმით დაიყვირა ფანჯარაში:

— ტყვე გაიქცა, ტყვე....

თითქოს სული მეხუთებოდა... აქ, ჩემს ქალაქში, ყოველ ქუჩას, ყოველ შესახვევს ვიცნობდი... აქ გავიზარდე... მაინც არ მახსოვს — რომელი ქუჩით გავიქეცი, საიდან მოვუარე, სად შევაფარე თავი... მაშინ-ღა მოვედი აზრზე, როცა ბიცოლას სახლის კარის წინ ვიდექი და ზარის ღილს ვაწვებოდი... ზარი არა რეკავდა. მერე კარის მქრქალ მინას მაგრად დავარტყი ხელი. არ მიღებდნენ, ხმაზედაც-კი ვეღარ მიცნეს... მერე, როგორც იყო, შემიშვეს. თვალს არ ვუჯერებდი — ჩემი დაც იქ იყო, ბავშვი თანა ჰყავდა; ბიჭს საშინელი სიცხე ჰქონდა... მაინც გამეხარდა, ცოცხალი იყვნენ ყველანი... ეს იყო მთავარი...

მე ყველაფერი ვუამბე ჩვენებს. ვუთხარი იმ ნაცნობი კაცის შეხვედრაზეც. ამან დაარწმუნა ისინი, რომ ჩემი პოვნა გერმანელებს არ გაუჭირდებოდათ. გაქცევა მქონდა გადაწყვეტილი და ჩვენებმაც ეს მირჩიეს.

ღამით გამოვედი. ქალაქში არ იყო არცერთი განათებული ფანჯარა, ხალხიც არ იყო ქუჩაზე. მარტო დახოცილებს თუ წააწყდებოდი. სადღაც, წინ, პატრულები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, რომელნიც წამდაუწუმ ანათებდნენ ჯიბის ფანრებს. ისევ იმან გადამარჩინა, რომ ყოველი კუნჭული ქალაქისა ვიცოდი... გამოვწიე... ჩქარა წითელი არმიის ნაწილებს დავეწიე... მედიცინის დად მიმიღეს, და აი, მას შემდეგ აქა ვარ...

*

* *

გერმანელებმა ალყაში მოგვაქციეს, მაგრამ ვერ მოგვტეხეს. მთელი ვსხოდის რაიონი ჩვენს ხელში იყო. გული არც მოსახლეობამ გაიტეხა. პირველ მაისს ალყა-შემორტყმულმა, ქვეყანას მოწყვეტილმა ხალხმა საჩუქრებიც კი დაამზადეს, როგორც დაჭრილი, ისე თოფ-ქვეშ მყოფი მებრძოლებისათვის. ჩვენ ისევ ვცოცხლობდით, ისევ ვიბრძოდით, მტერს წარბს არ ვუხრიდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ყოფაში ვიყავით, როცა ერთ დღეს, დილით, ნინა შემოვიდა პალატაში და გვითხრა:

— ბრძანება მოვიდა მოსკოვიდან... ყველა დაჭრილი მოსკოვში მიჰყავთ თვითმფრინავებით... ჰოსპიტალის ევაკუაცია იწყება...

აი, მომზადებაც დავიწყეთ... სახელდახელოდ აეროდრომიც მოაწყვეს, საღამოთი პირველი წყება უნდა წაეყვანათ; აეროდრომი შორს იყო. ასე ოცდახუთი კილომეტრის მანძილზე, ერთ პატარა სოფელთან, რომლის სახელი არ მახსოვს, არ ჩამიწერია, მედიცინის დამ წაგვიყვანა.

ქოხებში მოვთავსდით... ჩვენი თვითმფრინავები ჯერ არა სჩანდნენ. სოფელში სიწყნარე იყო. ფანჯრები ფართოდ გამოვაღეთ, ლურჯი, უძირო ცა მოსჩანდა. ქოხის ახლოს ვეება ფიჭვის ხე აწვდილიყო. უეცრად, ჰაერში, შორიდან თვითმფრინავების მოტორების გუგუნი მოისმა. ჩვენ უკვე მიჩვეულნი ვიყავით ხმის მიხედვით გამოგვეცნო ვინ მოფრინავდა — მტერი თუ მოყვარე. ახლაც ადვილად აღწევდა ყრუ, რაღაც ჩახშული ღრენის, ღმუილის მსგავსი ბგერები. ეს არ ჰგავდა ჩვენი თვითმფრინავების ხმას, რომელნიც უფრო მეტალურ ბგერას გამოსცემენ. ცხადი იყო, გერმანული თვითმფრინავები ახლოვდებოდნენ. ხმა სულ ახლოს და ახლოს ისმოდა. მალე გამოჩნდნენ კიდევაც. ტყვიამფრქვევის სროლა დაიწყეს და რამდენიმე ბომბიც ჩამოაგდეს. მერე ისე დაბლა დაიწყეს ფრენა, რომ მანქანის ბორბლები, ასე გგონია, საცაა ხის კენწეროებს წამოედებიანო. ფანჯარას რომ მიუახლოვდებოდა — ჩააქრობდა ხოლმე მოტორს და ჩუმად, უხმოდ თავზე გადაგვიქროლებდა. მაშინ სულ ახლოს გამოჩნდებოდა საშინელი შავი ჯვრები მანქანის ფრთებზე... ყოველ გადაფრენისას ტყვიამფრქვევის თითო გრძელ ჯერს ესროდა სახლებს.

ნაშუადღევი იქნებოდა, როცა გერმანულმა მანქანებმა თავი დაგვანებეს და თავიანთ ბაზებზე დაბრუნდნენ.

საღამო მოახლოვებული იყო, როცა ჩვენი სატრანსპორტო თვითმფრინავები მოფრინდნენ. გამანადგურებლებიც მოჰყვნენ. მძიმე მანქანები დაეშვნენ მიწაზე, გამანადგურებლები კვლავ ჰაერში ტრიალებდნენ და აეროდრომს სდარაჯობდნენ, ვიდრე დაჭრილების თვითმფრინავში გადაყვანა დამთავრდებოდა. ევაკუაციას გენერალ-მაიორი ხელმძღვანელობდა. ნინა კლევცოვას ხელში ბავშვივით აყვანილი გადაჰყავდა დაჭრილები თითო-თითოდ ქოხებიდან აეროდრომამდე.

ქარიანი დღე იყო.

ჯერ ყველა დაჭრილი არ გადმოეყვანათ, როცა უეცრად ისევ „მესერშმიტები“ გამოჩნდნენ. გამანადგურებლები სასწრაფოდ მათკენ გაეშურნენ. საჰაერო ბრძოლა დაიწყო. ერთი „მესერშმიტი“ კვამლში გაეხვია და ჩვენს ახლოს მიწას დაენარცხა. გერმანელები ჩქარა უკუიქცნენ. მეორე „მესერშმიტს“ უკვე კვამლი ასდიოდა და მაინც მიფრინავდა. მერე ის, როგორც ვეება მუგუზალი, მიწისკენ დაეშვა, თანაც ოქროსფერ, მწვანე და ყვითელ ნაპერწკლებს აფრქვევდა. იმავე წუთს მფრინავიც გადმოხტა პარაშუტით. სადღაც შორს ეშვებოდა, ქარს კი ჩვენსკენ მოჰქონდა... ახლოს დაეცა. წყნარ ამინდში პარაშუტი, ჩვეულებისამებრ, კაცის დაშვების შემდეგ, ნელი რხევით დაიკეცება ხოლმე მიწაზე. ეხლა კი ეს არ მოხდა. პარაშუტი დარჩა ჰაერში და ქარმა დაჭრილი გერმანელი მფრინავი ჩვენსკენ წამოათრია. ამაოდ

ეჭიდებოდა დაჭრილი ბუჩქების ტოტებს, ბალახებს, მიწის ბელტებს — [illegible] მაინც მოათრევდა მას! სულ ახლოს მოიტანა. დაჭრილი მფრინავი ეგდო [illegible] წაზე და ტკივილებით იკრუნჩხებოდა, კვნესოდა, სწყევლიდა თავის ბედსა და გაჩენას.

ნინა მიუახლოვდა, ინსტინქტიურად დაიხარა, რათა ეშველა, დახმარებოდა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, მყისვე შეჩერდა, მოაგონდა, რომ ეს კაცი, რომელიც მის ფეხებთან გდია მიწაზე და კვდება, მოფრინდა იმისათვის, რომ დაჭრილები ხელმეორედ დაეჭრა, დაეხოცა, ის დაჭრილები, რომელნიც მას ალერსით უძახოდნენ თავის დაიას, რომელნიც მან თავის ხელით გადმოიყვანა აქ, რომელთაც სამშვიდობოს აცილებდა და გერმანელები — აი, ეს კაციც მათ შორის — ამას არ ანებებდნენ... ქალმა ზიზღით მოარიდა გერმანელს სახე, ცივად გამობრუნდა და ისევ ჩვენთან თვითმფრინავში ამოვიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მძიმე მანქანა ნელნელა მოსწყდა მიწას. წამოვედით, მარტო მძლავრი გუგუნი და ჰაერის შხუილი-ღა ისმოდა. ფრონტის ხაზი გადავჭერით და იმავე ღამეს მოსკოვში ვიყავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

კავკასიონის კარებთან

რომანი

გალვიძება

I

ეთერმა ძილში რამდენჯერმე ამოიკვნესა. საშინელ სურათს ხედავდა. უნდოდა მიშველებოდა განსაცდელში მყოფ სამსონს, მაგრამ ძალა არ შესწევდა შიშისაგან ზარდაცემულს. მთელი სხეული უთრთოდა, გაფითრებულ ტუჩებს უმწეოდ არხევდა. მის თვალწინ სიცოცხლეზე უსაყვარლესი ადამიანი იღუპებოდა, მას კი არ შეეძლო ხელი გაეწვდინა, სამშვიდობოზე გამოეყვანა.

რამ შეჯაჭვა ასე ეთერი? აკი თავი მოსწონდა, ცურვაში არავის ჩამოვრჩებიო!

ახლა კი...

აგერ სამსონს დარღვეული კასრი ხელიდან გაუსხლტა და აბობოქრებული მდინარის ტალღა თავზე გადაევლო. აღარა სჩანს. უთუოდ დაიღუპება. ნაპირამდის რომ გამოსცუროს, მაინც ვერ გამოვა: მტრის თვითმფრინავები ყუმბარებს ჰყრიან და ქვების ნამსხვრევები ტყვიასავით შხუიან. ჯოჯოხეთური ცეცხლია ირგვლივ. აქა-იქ გამოჩნდება ანაზდად ადამიანის თავი ან ხელი აზვირთებულ მდინარეში და მყისვე ჰქრება, უმწეოდ იძირება.

სუდარებივით ფარფაშობენ მდინარის ტალღები, სიცოცხლეს ბეწვის ხიდიც არ შერჩენია. აქ მხოლოდ სიკვდილი მეფობს, ულმობელი სიკვდილი.

ბარემ ეთერიც ჩაითრიოს ამ შავმა მორევმა! რაღად უნდა უძლური არსებობა, თუ სამსონი არ ეყოლება, თუ მის ხმას ვერასოდეს ვერ გაიგონებს?

ნუთუ ასე უნდა დამიწდეს მათი ფრთაშესხმული სიყვარული? მაშ ეთერს რად მოუვლინა ბედმა სამსონი სწორედ იმ დროს, როდესაც ყოველგვარ სიკვდილზე უფრო შემზარავი სიკვდილის წინაშე იდგა და ხსნას არ ელოდა? მაშინ თითქო ახლად დაიბადა ეთერი, სამსონიც ახალი იერით შეიმოსა და მაისის ღილასავით გაბრწყინდა მათი სულის თანამზეობა...

ვერა, ვერ ჩანთქავს ეს მორევი სამსონს, ვერც ეს ყუმბარები შეუკრავენ გზას. საცაა გაარღვევს ტალღას, კვლავ დასძლევს სიკვდილს... აჰა, ის არის, მისი თვალებია, დიდრონი, მუდამ ანთებული თვალები. მძლავრი მკლავებით ჰკვეთს სამსონი ტალღებს და ეთერისკენ მოსცურავს. რა მძიმე წამება გამოიარა, ახლაც უსაშველო საფრთხეშია, მაგრამ თვალები მაინც უღიმის. კუპრისფერი კვამლივით ეხვევა სამსონს წყვდიადად ქცეული ცა, წყალი და მიწა, მისი თვალები კი ვარსკვლავებივით ბრწყინავენ და ეთერს ნუგეშის სხივსა ჰფენენ.

— მოდი, შემოგევლე, ჩემო უშიშარო ვაჟკაცო!—ამბობს გუნებაში ეთერი და სახე უნათდება მძინარეს. მერე ოდნავ შეარხევს თავის ფოთოლივით ნაზ წამწამებს, თითქო თვალის გახელა ენანებაო შინაგანი ხილვით გახარებულს.

და ახლა ეს უკვე სიზმარი აღარაა, ის საღამო წარმოესახა, როდესაც სასტიკი ბრძოლის შემდეგ განმარტოვდნენ რკინიგზის პირად. მეტად მძაფრი წუთები განიცადეს იმ დღეს და ახლა სიტყვა ვერ ეპოვნათ თავიანთი ბედნიერების გამოსახატავად. ასე ეგონათ, მთელმა ქვეყნიერებამ იცოდა მათი გულისთქმა; ყველაფერი, ირგვლივ აღმართული მაღალი ხეები, ტყის მიღმა ჩამავალი მზე და კრიალა ლაჟვარდი, მათი სიყვარულით იყო გამსჭვალული.

მახლობლად ბრძოლაში მოკლული მტრების გვამები ეყარა, ხოლო ვაგონში დაჭრილებთან ერთად იყვნენ სამსონისა და ეთერის თანამებრძოლნი — ტატიანა პავლოვნა და მარიკა, სენკო, მამედი და შალვა ყიფშიძე. მაგრამ ამ წამს სამსონი და ეთერი მარტოოდენ ურთიერთს ხედავდნენ, ურთიერთის ხილვით სტკბებოდნენ.

სამსონისათვის მტრის ტყვიას სახელო დაეწვა. ეთერმა მხოლოდ ახლა შეამჩნია ეს და შეკრთა.

— ხედავ, სამსონ, რა ბედზე გადარჩენილხარ დღეს?

სამსონმა სახელოზე დაიხედა, მაგრამ მღიმარე თვალებში ემჩნეოდა, რომ სულ სხვაზე ფიქრობდა:

— გახსოვს, ეთერ, ტროლეიბუსზე რომ შეხტი და სიტყვის თქმა აღარ დამაცალე?

ეთერს თავისდაუნებლიედ წინანდელი ცელქობა მოესურვა; ახლაც უნდოდა სიტყვა სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ ვერ შესძლო, თავი დამნაშავესავით დაჰხარა და წყნარად სთქვა:

— რა საჭირო იყო, მე ხომ ისედაც ვიცოდი, რაც უნდა გეთქვა.

— შენ კი იცოდი, მაგრამ მე შენი გულის პასუხი მინდოდა გამეგო.

— გულის პასუხი განა სიტყვაში მოთავსდება?

— მაშ როგორ გამეგო, მე ხომ შენს გულში არ ვიხედებოდი?

— თუ არ იხედებოდი, თვალის ახელა გაკლდა. იცი, რომელი თვალისა? აი, იმ თვალის, რომელიც შორს, ძალიან შორს ხედავს, მისი შუქი ყველაფერს არღვევს.

სამსონმა ეთერის თვალებს თვალი გაუსწორა. მოეჩვენა, თითქო ამ საყვარელი თვალების სხივად იქცა თვითონ. თავიდან ფეხებამდის ჟრუანტელმა დაუარა და ეთერს ხელი მოხვია. თან ნაბიჯი გადადგა უნებლიედ, ეგონა, სამშობლოში ვბრუნდებიო გამარჯვებული და ბედნიერი...

— სამსონ, რა ძნელი გზა უნდა გავიაროთ, სანამ...

სამსონი შეკრთა, გამოერკვა, სახე მოეღრუბლა.

— დღეიდან უფრო გამიჭირდება განშორება, — განაგრძო ეთერმა, — დღეს შენ სიცოცხლე შემინარჩუნე. ნურავინ იტყვის, ბედი არ არისო. მწამს, რომ ეს ბედი გაგვიყვანს სამშვიდობოზე. მაგრამ ახლა... ჰო, იმ წამის შემდეგ, რაც შენ იმ მხეცისაგან მიხსენი, ასე მგონია, ერთ არსებად ვიქეცით და როგორ უნდა ავიტანო ცალკე ყოფნა?

სამსონმა ეთერის ხმაში შეჭრილი სევდა იგრძნო, გული ეტკინა. სხვა რომ ვერაფერი მოისაზრა, ეთერის გასართობად ჰოსპიტალში ყოფნა მოიგონა.

— ეთერ, შენ არც კი გაგიგია და მე ნამეტარს გემდუროდი.

— როდის? რატომ?

— როდის და დაჭრილი ვიყავი, თავი მიბრუოდა. ჰოსპიტალში მომიყვანეს. ღამე თავზე რომ მედიცინის დაი დამადგა, შენ მეგონე. ... ხარულისაგან თვალის გახელა ვერ გავბედე, შენი ხმის გაგონება მწყუროდა. შენ კი არაფერი არ მითხარი, ისე მიმატოვე.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ნეტავი მაშინ შენთან ვყოფილიყავი! — ჩაილაპარაკა ეთერმა და სამსონს მხარი მჭიდროდ მიაყრდნო, მერე თავი ასწია, სახეზე შეაცქერდა.

მზე ტყეს მიეფარა. მაღალი ხეების კენწეროებს შერჩენოდათ მხოლოდ აქა-იქ ოქროსფერი შარავანდედი.

ის ჟამი იყო, როდესაც მწუხრის ჩრდილი სევდიანი ელფერით ჰმოსავს დედამიწას.

სამსონისა და ეთერის არსებაშიაც შეიჭრა თითქო ეს ნაღვლიანი ბურუსი, როდესაც ურთიერთს მზერა მოსწყვიტეს. ნანატრ სიახლოვესთან ერთად იდუმლად გრძნობდნენ, თუ რა შორი მანძილი უნდა გაევლოთ კიდევ, რომ სამუდამოდ ერთად დარჩენილიყვნენ.

ეთერმა გონებაგაფანტულად მიმოიხედა; ახლა შეამჩნია, წინადღით ამოთხრილ საფლავს რომ მიახლოვებოდნენ. ბედშავი შოთა მოაგონდა და პირადი ნაღველი გაუქარწყლდა.

— სამსონ, გუშინ ეს სამარე ტატიანა პავლოვნამ, მარიკამ და მე ამოვთხარეთ. აქ საწყალი შოთაა დამარხული. რა მშვენიერი ყმაწვილი იყო! ვერ წარმოიდგენ, როგორ დამწყვიტა გული მისმა სიკვდილმა.

კარგა ხანს დაჰყურებდნენ საფლავს მდუმარედ. ეთერს ისეთი გრძნობა დაებადა, თითქო შორს ობლად დამარხულ მებრძოლისათვის ჭირისუფალი მიეყვანოს.

სამსონმა მოუფიქრებლად აიღო მცირეოდენი მიწა, შუბლი შეიკრა, თვალები მრისხანედ ბენთო და მღელვარედ სთქვა:

— მრავალი სამარე გავთხარეთ. ყველა ჩვენ შემოგვყურებს. შურისძიებას მოითხოვს...

შემდეგ...

ეთერმა თვალი გაახილა, ოთახში მიმოიხედა, ყველაფერი ეუცხოვა.

სად იმყოფება? როდის მოვიდა აქ? სად არის ახლა სამსონი?

კედელზე ჩამოკიდებულ მშობლების სურათს მიაპყრო თვალი. ეს ახალგაზრდა ცოლქმარნიც ამ წამს თითქო უცხონი იყვნენ მისთვის.

დაკვირვებით შესცქეროდა პორტრეტს, ხოლო გონების თვალით თავის მიერ გამოვლილ გზას გაჰყურებდა.

მეოთხე თვეა, სამსონს რომ განშორდა. ორი თვის წინათ მტრის თვითმფრინავებმა საველე ჰოსპიტალს ყუმბარები დააყარეს. მაშინ დაიჭრა ეთერი. ჭრილობა მძიმე არ იყო, მაგრამ დღემდის სავსებით მაინც ვერ განიკურნა. მარცხენა ხელს თავისუფლად ახლაც ვერ ამოძრავებს. ჰოსპიტალში მიაკითხა მამამ და შინ წაიყვანა. იქ დარჩნენ ტატიანა პავლოვნა და მარიკა... ვინ იცის, ახლა სად არიან... იქნება... აჰ, არა! — წამოიძახა გუნებაში და თვალისჩინი დაუბრუნდა. ახლა გარკვევით გაარჩია დედამის სახეები.

„ნეტავი თქვენ, ბედნიერი იყავით!“ — უნებლიედ გაუელვა თავში და ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა.

ეზოში ნაძვის ხე ახალი თოვლით შეფიფქილიყო. ჰაერში მეჩხერი ფანტელები ფარფატებდნენ.

სხვა დროს ეს სურათი ეთერს გულს სიხარულით აუვსებდა, ფრთაშესხმულივით გახტებოდა გარედ და ამხანაგებს მიაშურებდა, ცელქობდა, ეფერ-ისვენებდა აღტაცებული. ამ წამს კი შორეული ჩრდილოეთის მკაცრი ზამთარი ედგა თვალწინ. თავგანწირული, გოლიათური ბრძოლა მოსკოვის მახლობლად უკუქცეულ მტრის ურდოებთან. იქ, სასტიკ ყინვასა და ქარბუქში, მუსრს ავლებენ ახლა ჩვენი მებრძოლები მტრის ჯავშნიან რაზმებს... სამსონიც იქ იქნება. ბედი ისე არ გასწირავს ეთერს, რომ კვლავ ვერ მოესწროს მის ნახვას. მაგრამ ვაი თუ დაიჭრა, დროზე ვერ მიეშველნენ და გაცივდა...

წამსვე განუახლდა ეთერს ომის დაწყებიდანვე აკვიატებული ოცნება. აი დაჭრილი მეომრები გამოჰყავს ბრძოლის ველიდან, ბოლოს ერთს მიეახლა. თვალები გაუფართოვდა. ის არის, სამსონია. მიაშურა, მოეხვია.

— როგორა ხარ, შემოგევლე, სამსონ? აბა ვნახოთ შენი ჭრილობა. ახლავე შეგიხვევ...

გვერდით კარი გაიღო და ოთახში ეთერის მამა — ეგნატე შევიდა. ფეხაკრეფით მიეახლა ეთერს, დაიხარა, სახეზე დაჰხედა.

— შენი ხმა მომესმა, ეთერ. ძილში თუ აბოდებს-მეთქი, ვიფიქრე. ვის ელაპარაკებოდი, შვილო?

— არავის... ისე. — უპასუხა ეთერმა.

თვითონაც გაუკვირდა, მამას რომ თვალი ვერ გაუსწორა. მოეჩვენა, თითქო ორი ქვეყანა შეეხეჩა პირისპირ ურთიერთს. ეგნატე შორიდან, ძალიან შორიდან მოდის, თან მოაქვს მღელვარე წარსულით დატვირთული წლები, ეთერი კი მიმდინარე დღეების დუღილში იწვის, ყოველი წამი მის მომავალს ემუქრება.

მამამ იგრძნო შვილის წუხილი; მიხვდა, რომ ამ წამს ეთერი მეტად ვიწრო პიროვნული ფიქრებით იყო შემოზღუდული. ეწყინა, თავისი ასულის ფიქრებში რომ არავითარი წილი არ ედო. მაგრამ ეს არრად მიიჩნია. ასეთი რამ ბევრჯერ განუცდია და უკვე შეჩვეული იყო.

ეგნატე ძველი პედაგოგი იყო, რამდენიმე თაობის აღმზრდელი, ხოლო შინ სრულიად არა ჰგავდა იმ მამებს, რომლებიც მკაცრი ნებისყოფით იმორჩილებენ შვილებს. მისი ღია, მოსიყვარულე გული დათმობას უფრო ურიგდებოდა, ვიდრე შერისხვას.

— როგორ გეძინა, ჩემო კარგო? ხელი როგორა გაქვს? ტკივილი ხომ არ გაწუხებდა? — კვლავ დაუყვავა ეგნატემ, ლოგინზე ჩამოჯდა, აშლილ, ოდნავ მოწაბლისფერო თმაზე ხელი გადაუსვა ეთერს.

მამის ხმის სილბომ სიამე მოჰგვარა ეთერს, ღიმილი მოერია, თვალები გაუბრწყინდა.

— აგრე, ჩემო კარგო, აგრე! უნდა მომჯობინდე. ჩვენში იციან — მტრის ჯინაზე არ უნდა წახდეო. მტერი კი ბევრი გვყავს. მართალია, დიდი წამება გამოიარე, სიკვდილს თვალში შესცქეროდი, მაგრამ ამან უფრო უნდა გაგაკაჟოს...

ეთერი მამის სიტყვას როდი აქცევდა ყურადღებას, მთელი მისი გამომეტყველება, მისი სულიერი სითბო იზიდავდა.

„ისევ ის არის, არ მოტეხილა, — ჰფიქრობდა ეთერი, — მუდამ რითიმე გატაცებული, დაუცხრომელი, ლამაზი ოცნების მოყვარული. ყოველი ნაკლი, ყოველი სიმახინჯე, სადაც არ უნდა გადაეყაროს, გულთან ახლოს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს, ღელავს, დაობს, პიროვნება უპირველესად ხალხისათვის უნდა იყოს და არა პირიქით. ესაა მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი“.

გარეგნობაც მეტად მიმზიდველი ჰქონდა ეგნატეს. ტანმაგარი, მომაღლო, მხრებგაშლილი. ბადრი სახე, ოდნავ ფერმკრთალი; ჭაღარა ულვაშები და უკან გადავარცხნილი, სულ მცირედ შემეჩხრებული თმა, სქელი, შავი წარბები და დიდრონი, თაფლისფერი თვალები; მაღალი, ნაოჭიანი შუბლი და ცოტათი სქელი ცხვირი. წინა კბილები სავსებით დაუზიანებლად შერჩენოდა ამ ორმოცდაჩვიდმეტი წლის კაცს და ამიტომ მის ღიმილს ჭაბუკური გულის სხივი ამკობდა.

— შენ ისევ ისა ხარ, მამილო, სრულიად არ შეცვლილხარ, — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ეთერმა.—მე კი მთელი ქვეყნიერება სულ სხვანაირად მეჩვენება.

— რატომ, შვილო?

— რატომ და...

სიტყვა არ დაამთავრა ეთერმა, ცრემლჩამდგარი თვალები გაუშტერდა.

„საოცარია, — გაიფიქრა ეგნატემ, — ჯოჯოხეთს თავი დააღწია, შინ იმყოფება, გახარებული უნდა იყოს, ეს კი“...

— რადა ხარ, ჩემო კარგო, ასე გულმოკლული? მითხარი, ნუ დამიმალავ. — მუდარით მიმართა ეგნატემ.

— თქმა რომ მწუხარებას შემიმსუბუქებდეს...

— უთუოდ შეგიმსუბუქებს, შვილო, უთუოდ! გულში ჩამარხული ბოღმა სასოწარკვეთილებას იწვევს. ესეც რომ არ იყოს, განა შენ ჩემთან რაიმე დამალული უნდა გქონდეს?

მამის უკანასკნელი სიტყვა გულში ჩასწვდა ეთერს. მწარედ გაეღიმა. უნდოდა მიალერსებოდა, მაგრამ ძალა არ ეყო. თვალთაგან უნებლიედ ცრემლები გადმოსცვივდა.

— კარგი, შვილო, კარგი, დამშვიდდი, შემდეგ იყოს, — მწუხარე ხმით უთხრა ეგნატემ და ადგომა დააპირა.

ეთერმა ხელი მოხვია, ცრემლით გაბრწყინვებული თვალით ანიშნა, იჯექიო, მერე წამოღვივებული ტუჩები ისე შეერხა, თითქო სიტყვას ეძებს და ვერ უპოვნიაო.

— იცი, მამილო, აქედან რომ წავედი... ჰო, ომი რომ დაიწყო, მე თურმე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ცხოვრება თამაში მეგონა. შენ ხომ არაფერს არ მაკლებდი. სკოლა, ვარჯიშობა, ამხანაგები, ლამაზი ტანისამოსი — ყველაფერი სამხიარულო გართობა იყო. წარმოიდგინე, იმასაც კი, ვინც ჩემი სიცოცხლის მომავალზე ჩამაფიქრებდა ხოლმე, იმასაც შორიდან ვეთამაშებოდი. რამდენჯერ უნდოდა გაეზიარებინა თავისი გულის ნადები, მაგრამ მე ყოველთვის სიტყვას ბანზე ავუგდებდი, სახტად რომ დარჩებოდა, მე გულში ვიცინოდი, მახარებდა მისი დაღონება. იცი, რატომ? გული მეუბნებოდა, რომ იმ დაღონებაში დიდი სიყვარული იზრდებოდა... მხოლოდ ფრონტისაკენ რომ დავიძარით და მე სხვა მიმართულებით მომიხდა წასვლა, მაშინ დამწყდა გული. თუმცა მაინც ვიცინოდით, ვმღეროდით. შორიდან მაყურებელს ეგონებოდა, საზეიმოდ მიდიანო. მერე კი... იმდენი საშინელება ვნახეთ, იმდენ ქარცეცხლში გამოვიარეთ. შენ არ იცი, მამა, რა არის საველე ჰოსპიტალი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცების წუხილი, სიკვდილთან ბრძოლა... ადამიანი თურმე ყველაფერს აიტანს. ჩვენც შევეჩვიეთ. გავკაჟდით... ჰო, ეს არ

არის მთავარი, მე სხვა მინდა გითხრა. ბრძოლის ველზე ადამიანს ძალიან ხშირად სრულიად მოულოდნელი შემთხვევა იხსნის ან დაღუპავს. ეს — ეს ეს იქნება ეს ბედი იყოს... ერთხელ სიკვდილზე უარესი სიკვდილი მელოდა. ხსნას არ ველოდი. ამ დროს გადამარჩინა სამსონმა... გახსოვს, მამა? იცნობ მას, რამდენჯერმე მომყვა აქ. მე კიდევაც გაგაცანი.

— ვიცი, ვიცი, კაი ყმაწვილია, მშვენიერი შესახედავი. მერე, შვილო, მერე?

— ოჰ, ეს თვეა, მისი ამბავი არ ვიცი, იქნება...

კვლავ შეუთრთოლდა ეთერს ტუჩები, მაგრამ წამსვე წარბები შეიჭმუხნა, თვალებში მკაცრი სხივი აუკიაფდა.

— არა, მამა, არა, მე აქ ვერ გავჩერდები! — მტკიცედ ჩაილაპარაკა და წამოიმართა. — უნდა წავიდე. ხელი უკვე მომირჩა. როგორმე გავიგებ, სად არის მისი ნაწილი, ვითხოვ, რომ იმ ნაწილის საველე ჰოსპიტალში გამგზავნონ.

— მოითმინე, ჩემო კარგო, სული მოითქვი. ყველაფერს მოესწრები, — დაუყვავა გულაჩუყებულმა ეგნატემ, თან თავისი გაუტეხელი ოპტიმიზმი მოიშველია. — აი, ნახავ, თუ მალე მისი ამბავი არ მოგივა. მაგარი ვაჟკაცია სამსონი. სხივოსანი თვალები აქვს. იგი გზას არ დაკარგავს. ჩვენს ქვეყანას სჩვევია ასეთი ბიჭების გამოჭედვა. ცხრა მთას გადაივლიან, ცხრა ზღვას გასცურავენ და ბოლოს გამარჯვებულნი დაბრუნდებიან. ამისთანებს, ჩემო კარგო, შორეულ წარსულში აქვთ ფესვები გადგმული. რამდენი მტერი მოიგერია ჩვენმა ქვეყანამ, რა არ განიცადა, მაგრამ, ხომ ხედავ, რა რიგად ბრწყინავენ მისი მწვერვალები...

ეთერმა თვალი მოიწმინდა, მამას შეაცქერდა. „დაიწყო თავისებურად“ — სთქვა გუნებაში და ღიმილი მოერია. ამ ღიმილში ღრმა სიყვარულთან ერთად მცირეოდენი ირონიაც იყო.

ეგნატე კი გატაცებით განაგრძობდა:

— ხედავ, ჩემო კარგო, რა დრო დაგვიდგა? აღსდგნენ, რაც ქვეყნიერებაზე ბოროტი ძალები იყვნენ. ჩვენმა გმირებმა უნდა შემუსრონ ისინი, ჩვენმა გმირებმა, დიაღ! ადამიანის გაჩენის დღიდან მოდის ეს ჭიდილი. ახლა დადგა ბოროტი ძალების აღსასრულის ჟამი. არ შეიძლება, ადამიანის ნათელმა გონებამ არ გაიმარჯვოს.

ეთერი კვლავ მწვავე სევდამ შეიპყრო. მამის სიტყვების ედა-აზრი აღარ ესმოდა. სულ არ უფიქრია, ისე, თავისთავად დაუბრუნდა მცირე ხნის წინათ გამოვლილ სინამდვილეს:

ბავშვებიანი ქალი საბარგულს მიჰყვებოდა. ერთი ბავშვი, უმცროსი, საბარგულზე იჯდა, მეორე, ექვსი წლის გოგონა, დედის გვერდით მიაბიჯებდა. უცებ გაჰკვეთა ჰაერი შორსმსროლელი ქვემეხის ყუმბარამ, საბარგულთან გასკდა, ბავშვები ნაფლეთებად იქცნენ, დედა სასიკვდილოდ დაიჭრა. იმ ჰოსპიტალში მიიყვანეს, სადაც ეთერი იწვა. საშინლად იტანჯებოდა მომაკვდავი. სიცოცხლეს მაინც ებღაუჭებოდა, უცნაურად ანთებული თვალებით ემუდარებოდა ყველას — მიშველეთო. ქალი თითქმის მკვდარი იყო, თვალებში კი უზარმაზარი სიცოცხლის ცეცხლი ენთო. საოცარია, რა დიდი მანძილია სიკვდილ-სიცოცხლეს შორის და მაინც რა მალე ილევა ეს მანძილი...

შორს, ძალიან შორს გაიხედა ეთერმა თავის გუნებაში, თითქო იმ უსაზღვრობას უნდა მიაწვდინოსო თვალი. მერე უცებ ომის ორომტრიალში ამოჰყო თავი. აგერ სამსონი. იერიშზე მიდიან. და ეთერს ჰგონია, კი ბატონიჩვენა, თითქო ნათლად დაინახა: მოარღვევს სივრცეს ვეება ყუმბარა, მოშხუის. სამსონს არ ასცდება. შიშმა აიტანა ეთერი, ხელი გაასავსავა, დახშული ხმით ამოიგმინა.

ლამაზი ოცნებით გატაცებული ეგნატე სახტად დარჩა, მაღალფარდოვანი ფრაზა შუაზე გაუწყდა.

— რა მოგივიდა, შვილო? დამშვიდდი, ჩემო კარგო!

— არაფერია, მამა. როგორც ეტყობა, ჯერ მთლად მორჩენილი არა ვარ. წადი ახლა, სკოლაში არ დაგაგვიანდეს.

*

* *

მამა რომ წავიდა, ეთერმა ლოგინში ვერ მოისვენა. ადგა, ხალათი გადაიცვა. ეგნატეს მიერ დამზადებული საუზმე უგუნებოდ სჭამა. მერე წიგნებით სავსე მაგიდას მიუჯდა.

ეთერს უნდოდა წიგნის კითხვა დაეწყო, მაგრამ გული ვერ დაუდვა. „მოდი, ქალაქში გავივლი, იქნებ გავერთოო“, გადასწყვიტა ბოლოს.

კარადა გააღო, შინ დატოვებული ტანისამოსი შეათვალიერა. ლამაზფოთლებიანი კრეპ-დეშენის კაბა ჩამოიღო. ეამა, ნიავივით მსუბუქ აბრეშუმს რომ ხელი შეავლო. თან ნელსაცხებლის სუნი მოხვდა, ხარბად იყნოსა, ისე ხარბად, თითქო ჟამთა სვლაში დამზრალი სიყრმის ყვავილი ისევ გაფურჩქვნილიყოს.

სულ შვიდი თვე გავიდა, რაც ეს კაბა ეცვა უკანასკნელად. ეს იყო 1941 წლის 25 ივნისს, როდესაც სამსონთან ერთად სტადიონზე იყვნენ და ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებას გატაცებით უცქეროდნენ.

ეთერს კი ჰგონია, თითქო მას შემდეგ მეტად დიდი დრო გავიდა, შორს დარჩა უდარდელი და ბედნიერი ახალგაზრდობა, ყოველდღიური სიხარული და უფრო სანატრელი მერმისის მოლოდინი.

კარადის სარკიანი კარი მიხურა, შიგ ჩაიხედა. თავისი სახე ეუცხოვა. მოეჩვენა, თითქო სულ სხვა ქალს ეჭირა ხელში ეთერის კაბა. ეს ქალი ფერმკრთალია, თვალები ჩაღრმავებია, აშვილდული წარბების ბოლოებში ოდნავ შესამჩნევი ნაოჭები გასჩენია, ტუჩები გაფითრებია. ეთერი კი, როცა ეს კაბა ეცვა, მაისის ვარდივით ბრწყინავდა, ღიმილის სხივი შვენოდა.

თვალები გაუშტერდა ეთერს. ერთ წამს იდგა ასე ჩაფიქრებული. თავისდაუნებლიედ გაჰყურებდა ამ რამდენიმე თვეში გამოვლილი გზას, სიკვდილ-სიცოცხლის ულმობელ ბრძოლას. ანაზდად სამსონის ხმა მოესმა თითქო, ქვეყნის დასალიერიდან დაძრული ხმა. შეკრთა. კაბას განცვიფრებით დახედა.

„ნეტავი თუ ოდესმე დამშვენდება ამისი ჩაცმა“, — გაივლო გუნებაში.

მხედრულად გამოეწყო, თავზე ვარსკვლავიანი ბერეტი დაიხურა, ზტკივან ხელზე თბილი თათმანი ჩაიცვა და მაზარის უბეში ჩაიდო.

დალმართში ჩამავალ ვიწრო ქუჩას რომ გასცილდა, მთაწმინდას აჰხედა. უმალვე შესდგა აღტაცებული.

მოქათქათე, გამსჭვირვალე ნისლი ებურა ღორღიანი კლდის უბეში გარიდულ მთაწმინდის მიდამოს. სიყრმიდანვე ნაცნობი ხეები ახალი, უფვლელი იყვნენ შეფიფქილი. ისეთი უდრტვინველი სიმშვიდე სუფევდა, თითქო ეთერის მიერ გამოვლილი მქუხარე დღეები მარტოოდენ ზმანება ყოფილიყოს.

ანაზდად, თითქო გაზაფხულის სიომ დაჰბერა, გარემო მაისის ბრწყინვალებამ შეამკო. ცხრა თვის წინათ იყო ეს.

მაშინ რამდენიმე ამხანაგი ახლდა ეთერს მთაწმინდაზე. სამსონიც იქ იყო. მხოლოდ ერთხელ განმარტოვდნენ. მაშინ პირველად სცადა სამსონმა ეთერისათვის სიყვარული გაემხილა. მაგრამ ფრთაშესხმულ ეთერს სიცილი წასკდა, თავი ისე მოაჩვენა სამსონს, თითქო რაღაც მეტად სასაცილო შემთხვევა მოაგონდა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

სამსონი სახტად დარჩა. სახე მოეღრუბლა, მოიწყინა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ეთერი მოსწრებულად ოხუნჯობდა, ქალიშვილებს ეხვეოდა და ხმამაღლა იცინოდა. ფარულად გადაჰკრავდა თვალს იქვე ახლო მომავალ სამსონს, შუბლშეჭმუხვნილს, დაღონებულს, და კვლავ გულიანად იცინოდა. იცოდა: სამსონი მისდამი სიყვარულის გამო იყო მოწყენილი და ეს ახარებდა გულუმანკო ეთერს. რაღაც იდუმალი ძალა უკარნახებდა: „დაე, მოიწყინოს, იფიქროს, ბევრი იფიქროს, სულ ჩემზე იფიქროს. მით უფრო გაიზრდება, წარმავალი სევდის ცეცხლში გაიწრთობა ჭეშმარიტი სიყვარული“.

მხოლოდ ის კი ზედმეტი მოუვიდა ეთერს, სამსონის გასაგონად რომ უთხრა ამხანაგებს:

„ხედავთ, მწუხარე სახის რაინდი რა დაღონებული მოდის“.

სთქვა ეს და შეკრთა, აღარ გაუცინია. იმდენი ძალა კი ვერ მოიკრიბა, რომ სამსონს მიახლოვებოდა, ალერსიანი სიტყვით დანაშაული მოენანიებინა.

ძლივს მოსწყვიტა თვალი მთაწმინდას გაოგნებულმა ეთერმა. სწრაფი ნაბიჯით დაეშვა დაღმართში, რუსთაველის პროსპექტისაკენ. თვითონაც არ იცოდა, სად მიეჩქარებოდა. მთელი თავისი არსებით კვლავ ფრონტზე იმყოფებოდა. ფიქრი ფიქრსა სცვლიდა, სახე სახეს. აი ტყეში შეფარული კარვები. მახლობლად მკაცრი ბრძოლაა. ზედიზედ მოჰყავთ დაჭრილები. ეთერი მიმღებ კარავში მუშაობს. ღამეა. ბოლოს ერთი მძიმედ დაჭრილი ჭაბუკი მოიყვანეს. მარცხენა ხელი თითქმის სავსებით მოწყვეტილი ჰქონდა ნაღმისაგან, მთავარ ძარღვზე ეკიდა მხოლოდ. ხელი რუმბივით გასივებული და გალურჯებული ჰქონდა.

უბე გაუხსნა ეთერმა, ფული და საბუთები ამოუღო. ქართველი ყოფილა. დაკვირვებით დააცქერდა.

— ნუ გეშინიან, დაო, კარგად ვარ, — უთხრა დაჭრილმა.

ეთერი დაიბნა. თვითონ უნდა ენუგეშებინა, ეს კი...

სწრაფად წააყვანინა საოპერაციო კარავში. მერე გულმა არ მოუთმინა და მიაკითხა.

დაჭრილი უკვე საოპერაციო მაგიდაზე იწვა. ერთ თეთრხალათიან და სახეზე ლოლბანდაფარებულ ქალიშვილს ლამპა ეჭირა, მეორეს — დაჭრილის ვენება მცლავი. ქირურგი ჭრილობის ირგვლივ ნემსით ტკივილების გამაყუჩებელ წამალს უშხაპუნებდა. მერე ნესტარი აიღო და აუჩქარებლად შეუდგა ჭრას.

ეთერმა დაჭრილის სახეზე გადაფარებული ზეწარი ასწია, ღრმა თანაგრძნობით დაჰხედა. ჭაბუკი ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა ჯიღის ტოლა თვალებს, თანაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქო მთელი ქვეყნის ალერსი ამ-ძიმე რომ დააწვეს, არად მიიჩნევსო.

საუბედუროდ, ამ ჭაბუკს მეორე, უფრო საშიში ჭრილობა აღმოაჩნდა. მესამე დღეს გაგზავნეს ჰოსპიტალში. ნეტავი თუ გადარჩა? იქნება ახლა შინ არის. ეთერს კარგად ახსოვს მისი მისამართი, აქედან სულ ახლოსაა.

რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩავიდა, თოვა დაიწყო. ფუტკრებივით ფარფატებდნენ ჰაერში ფაფუკი ფანტელები. ეთერს მოეჩვენა, თითქო ამ ფანტელებივით ირეოდა ქუჩაში ხალხი. ზოგი მიიჩქაროდა, ზოგი ნება-ნება მისეირნობდა.

ოპერის თეატრის წინ მიმომავალ მგზავრებს შორის სამი ქალიშვილი მისაუბრობდა. კეკლუცად იცინოდნენ. ეთერმა იცნო ისინი — მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ. გვერდით რომ ჩაუარეს, ეთერს მწარედ გაეღიმა: „ხედავ, როგორ გამოვცვლილვარ, ვერ მიცნეს!“ — გაიფიქრა და გზა განაგრძო.

მესამე სართულზე ავიდა. ზარი დარეკა. მოხუცი ქალი გამოვიდა. ბადრი

„ეს ნამდვილად ლევანის დედაა“, გადასწყვიტა ეთერმა.

„ეს ნამდვილად ლევანის დედაა“, მყისვე გადასწყვიტა ეთერმა.

მოხუცი ქალი გაკვირვებით შეაცქერდა ეთერს. ალბათ, იფიქრა, სხვისი სტუმარიაო და ამიტომ ჰკითხა:

— თქვენ ვისთან მიბრძანდებით, ბატონო?

— მე... თქვენ ლევანის დედა ხართ, ხომ?

— დედა-შვილო! — წამოიძახა ქალმა და ეთერს მკლავზე ხელი მოხვია.— მობრძანდით, შენი ჭირიმე, შინ შემობრძანდით.

ეთერმა სუფთად მილაგებულ ოთახს თვალი მოავლო. შინ დედის მეტი არავინ იყო.

„ვაი თუ ლევანი ჰოსპიტალში მოკვდა, ამათ კი არაფერი იციან,—გაიფიქრა და მეტისმეტი უხერხულობა იგრძნო. — რა მინდოდა, რისთვის მოვედი, რა უნდა ვუთხრა?“ — ეკითხებოდა თავის თავს და ამაოდ ცდილობდა თავისი უხერხულობა როგორმე დაეფარა.

დედას არ გამოეპარა უცხო ქალის უხერხულობა, გულმა რაღაც ცუდი უაზრა, სახე გაუფითრდა, ქვედა ტუჩი შეუთრთოლდა. მაინც ვერ გაბედა მყისვე გამოეკითხა ლევანის ამბავი.

— დაბრძანდით, აი აქ დაბრძანდით, გენაცვალე. თქვენ უთუოდ...

უნდოდა ეთქვა „ლევანის ამბავი გეცოდინებათო“, მაგრამ ენა წაუბორძიკდა.

—თქვენ უთუოდ აქაური ბრძანდებით? — შეეკითხა და შიშჩამდგარი თვალები მიანათა ეთერს.

გული ატკინა ეთერს დედის სახეზე აღბეჭდილმა უძირო სევდამ, მაგრამ თავი მოიმხიარულა, გაიღიმა, შინაურულად ჩამოჯდა სკამზე.

— დიაღ, აქაური გახლავართ, მხოლოდ აგერ ახლა ჩამოვედი ფრონტიდან.

— ღმერთო! — აღმოხდა დედას და ეთერს ვედრებით შეაცქერდა: — თქვენ, ალბათ, ლევანის ამბავი იცით რაიმე. მითხარით, ნუ დამიმალავთ! ცოცხალია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინიანთ, დედა, ცოცხალია... ძალიან კარგად არის.— დასძინა დედის სანუგეშებლად.

— შენი ჭირიმე, შვილო, შენი! — წამოიძახა დედამ და სიხარულის ცრემლები წამოსცვივდა. ჩაიჩოქა, ეთერს მუხლებზე მოეხვია,— რა მახარობელი მოხველი დღეს შენ ჩემთან, რა მახარობელი! დავილიე, დედა, ჯავრით დავილიე, ექვსი თვეა, მისგან წერილი არ მიმიღია. ჩემს გოგოებს არ ვამჩნევინებდი, თორემ ჩუმ-ჩუმად სულ ვტიროდი. სად ნახე, შვილო? დიდი ხანია მას შემდეგ?

— არა... ჰო, კარგა ხანია. საველე ჰოსპიტალში მოიყვანეს დაჭრილი.

— დაჭრილი?!

— დიაღ... ნუ გეშინიან, დედი! ნაღმის ნამსხვრევი ჰქონდა მკლავში მოხვედრილი. ჭრილობა მძიმე არ იყო. ახლა მორჩენილი იქნება.

— თქვენ თვითონ ნახეთ, რომ ჭრილობა მსუბუქი იყო?

— როგორ არა, ჭრილობა მე თვითონ შევუხვიე.

— ღმერთო! შენი ხელების ჭირიმე, ჩემო ძვირფასო, შენი ხელების ჭირიმე! — იმეორებდა დედა და ეთერს ხელზე ჰკოცნიდა.

ეთერმაც დაჰკარგა წონასწორობა, ცრემლი მოერია, დაიხარა, დედას შუბლზე აკოცა, მერე ხელი გაინთავისუფლა და მხურვალე ალერსით გადაუსვა თავზე.

არ უფიქრია, ისე, თავისთავად, გულის სიღრმიდან დაიძრნენ ეს სიტყვები:

— რა ვქნათ, დედი! ახლა ყველანი ერთ ბედში ვართ. ველური მტერი შემოესია ჩვენს ქვეყანას. ან ჩვენ, ან ისინი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რაც მე ჩემი თვალით ვნახე. რამდენი ადამიანის სიცოცხლე იღუპება, რამდენი ნაწვავ-ნადაგი ნადგურდება. მტრის სიძულვილმა და მასზე გამარჯვების იმედმა ყველაფერი უნდა შეგვაძლებინოს.

— ვიცი, დედა, ვიცი. მე არც ისე უვიცი ქალი ვარ, რამდენჯერ წამიკითხავს აკაკის „ქართველი დედა“, წამიკითხავს და ცრემლი მიღვრია. დედამ შვილი მამულისათვის უნდა გაზარდოს, მაგრამ...

სიტყვა აღარ დაამთავრა, კედლიდან ლამაზ ჩარჩოში ჩასმული ლევანის სურათი ჩამოიღო, ეთერს მიუტანა.

— აი ნახე, შვილო, რა ბიჭია ჩემი ლევანი. ეს თავს არ შეირცხვენს, ოღონდ ცოცხალი დამიბრუნდეს, ერთი მაინც შევავლო თვალი სიკვდილამდის...

ეთერმა მთელი ტანით გადაღებულ სურათს დაჰხედა. თვალი სწორედ იმ ხელმა მოსტაცა, რომლის მოჭრას თვითონ დაესწრო. უმალვე განზე მიიხედა: შეეშინდა, დედამ არ იაზროსო. მერე ისევ მიაპყრო თვალი სიცოცხლით სავსე ვაჟკაცის სახეს, ღიმილის სხივით გაბრწყინვებულ დიდრონ თვალებს. ისეთი გრძნობა დაებადა, რომელიც ერთ წამში აერთებს ცასა და დედამიწას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს. „არა, ეს იცოცხლებს, ამას რა მოჰკლავს“, — გაივლო გუნებაში. დედას სურათი გაუწოდა და იმედიანი ხმით უთხრა იმ ჟამს სავსებით დაჯერებულმა:

— გული არ გაიტეხოთ, ლევანი აუცილებლად გაიმარჯვებს.

— შენც გაგიმარჯოს, შვილო, ბუნების ძალამ, ისე გაგაბედნიეროს, როგორც შენს მშობლებს სურდეთ...

ეთერი წასასვლელად წამოიმართა, მაგრამ დედამ ხელი მოხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთ წამს მომითმინე, შენი ჭირიმე, ასე უპატივცემლოდ როგორ გაგიშვა. ჩემი ქალიშვილები ახლა სამსახურში არიან, თორემ...

სწრაფად შეტრიალდა, ეთერს წინ მრგვალი მაგიდა დაუდგა. მერე ტაბლილი სასმელი და ხილი მიუტანა. მიბრუნდა, ყუთი გამოაღო, გულდაგულ შეხვეული ჩურჩხელები ამოიღო.

— ეს ლევანისათვის მქონდა შენახული, ვინ იცის, იქნება ბედმა არ გამწიროს და გამოჩნდეს-მეთქი. დღეს შენ გამახარე...

ახლა კვლავ სევდა ეწვია ეთერს, ენით გამოუთქმელი სევდა. აჩქარდა, საქმე მოიმიზეზა.

დედამ რამდენიმე ჩურჩხელა ძალით ჩაუდო მაზარის ჯიბეში. კიბეზე ჩამოჰყვა, უზომო სიყვარულითა და მრავალგზის განმეორებული მადლობით გაისტუმრა.

II

მოლოდინი

მეორე დღე კვირა იყო. ეგნატეს სკოლაში არ მიეჩქარებოდა, მაგრამ ლოგინში ვერ მოისვენა. წამოხტა, ტანთ ჩაიცვა. ეთერის პატარა ოთახში შეიჭვრიტა. „სძინავსო“, გაივლო გულში და ფეხაკრეფით გაბრუნდა. ღუმელში ცეცხლი დაანთო. ხელპირი დაიბანა. მერე პურის მოსატანად წავიდა.

ქუჩაში მეზობელი შეხვდა.

— გაიგე უკანასკნელი ცნობები?

— არა, რა ამბავია?

— ჩვენი ჯარების უდიდესი გამარჯვება...

— დიდებულია, დიდებული! ხომ ვამბობდი! ნახავ, რა დღე დაადგებათ ჩვენს მტრებს.

— შენ დიდი ოპტიმისტი ხარ, ჩემო ეგნატე!

— ოპტიმისტი კი არა, როგორც შენ გხედავ ახლა, ისე ვხედავ მაგ ავიზაკების შემუსვრას.

ნაბიჯს აუჩქარა ეგნატემ, გამხნევდა, წელში გაიმართა. კვლავ შეისხა ფრთები მისმა ოცნებამ, ნათლად წარმოესახა გამარჯვებული ადამიანი, მისი ძლევამოსილი გონება.

ეთერი ამდგარი დახვდა. საუზმე გაემზადებია. მკვირცხლად გამოიყურებოდა.

— დიდი გამარჯვება უნდა გახარო, ჩემო კარგო, დიდი გამარჯვება!

ეთერს ატკბობდა მამის იმედიანი ხმა, მისი მგზნებარე გამომეტყველება. ეს უფრო მეტ ძალას აძლევდა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ამ დილით მიიღო.

— მამა, მე ამხანაგის სანახავად მივდივარ, მალე მოვალ, — უთხრა საუზმის შემდეგ ეგნატეს.

— წადი, შვილო, თბილად ჩაიცვი, არ გაცივდე.

სუსხიანი ამინდი იყო. ქალაქს სქელი ღრუბელი დასწოლოდა. თოვას აპირებდა. მთაწმინდისაკენ ამავალ ქუჩაზე ბავშვები ციგებით დასრიალობდნენ. ერთმა ცელქმა ბიჭუნამ ეთერს თოვლის გუნდა ესროლა.

ეთერს არ მოუხედნია. კვლავ სევდიანმა ფიქრმა შეიპყრო. ვაი, თუ წასვლის ნება არ მისცენ! უთუოდ ეტყვიან — როცა საჭირო იქნება, ჩვენ თითონ დაგიძახებთო. რა გააძლებინებს მანამდის? აქ სამსონის ამბავს ორაულ აცხობებს. იქნება დედამ იცის რამე სოფელში...

რუსთაველის პროსპექტზე სიმღერა მოესმა, ქალების ხმა იყო. შესდგა, დაუცადა, სანამ გაივლიდნენ.

მწყობრად, მსუბუქად მოაბიჯებდნენ მხედრულად გამოწყობილი ქალიშვილები. მომღერლებს სახე უბრწყინავდათ, ტუჩებს ღიმილის სხივი უმშვენებდათ.

ეთერმა დიდი მხნეობის მომგვრელი სიამაყე იგრძნო. ქალიშვილების რაზმის გასწვრივ გაჰყვა ქვაფენილს. მხედრულად ააწყო ნაბიჯი. ზარივით მოწკრიალე სიმღერას შეუერთა თავისი სულის ღელვა.

არ ფიქრობდა, არც რაიმეს ამბობდა ეთერი, ისე თავის-თავად მეტყველებდა მთელი მისი არსება:

„გასწი, გაფრინდი, სიმღერავ, გაშალე მძლავრი ფრთები, გადაუქროლე კავკასიონს, გარს შემოევლე თოვლიან სივრცეებს. დაიგუგუნე იქ, სადაც ჩვენი ვაჟკაცები იბრძვიან, სადაც ჩემი სამსონი უტევს მტერს. გააგონე მას შენი წკრიალა ჰანგი; გადაეცი, რომ მეც მის გვერდით ვარ, მისით ვსულდგმულობ. შემატე მას ძალა, მიუალერსე თუ დაიღალა, მალამოდ ექმენ თუ დაჭრილია. უთხარი, რომ ჩვენ მრავალნი ვართ. ჩვენთანაა მზე, სიცოცხლე, სიყვარული. სასიკვდილო მახვილით იმუქრება სიკვდილივით ულმობელი მტერი, მაგრამ იგივე სიკვდილი შემუსრავს მას. ერთი თუ დაეცემა, ასი აღსდგება, ერთს თუ აწამებენ, ათასი ამხედრდება! ასე მოვდივართ ჩვენ ყველანი, ვაჟები და ქალიშვილები, გამარჯვების სიმღერით მოვდივართ!“

რუსთაველის ძეგლამდის მიჰყვა ეთერი ქალიშვილების რაზმს, მერე ზევით აუხვია. გული კვლავ სავსე ჰქონდა იმ საამო ჰანგით, რომელსაც ადამიანი სადღაც მიჰყავს და ეძახის, ბედნიერებას ჰპირდება. დაე, მძიმე იყოს ეს გზა, შორს იყოს ნანატრი ნაპირი, არაფერია, გაუძლებს, ყველაფერს აიტანს; თვით სიმწარეც კი, ამ საამაყო გზაზე განცდილი სიმწარეც, ტკბილია.

აუჩქარებლად ადიოდა აღმართს ეთერი, თავისდაუნებლიედ უგდებდა ყურს იდუმალ ძახილს.

გორაკზე შესდგა, თოვლით გადათეთრებულ დედა-ქალაქს გადახედა, მოვერცხლილ გუმბათებივით ღრუბლებში თავშედგმულ მთებს გააყოლა თვალი.

და ეს ის წამი იყო, როდესაც ადამიანი ხორცშესხმულად ხედავს ყოველივე იმას, რასაც სამშობლო ეწოდება.

თვალმიუწვდომელი სიღრმიდან დაიძრნენ წინაპართა სახეები, მშობლიური სახეები, თავიანთ ნაკვალევს აჰყვნენ...

ეთერს ერუანტელმა დაუარა. მოეჩვენა, თითქო მათი თვალებით, უამრავი თაობის თვალებით უცქერის ამ ლამაზ მიდამოს, მტკვარს, მეტეხს, ნარიყალას, ამაყი მთების კალთებს.

ფრონტიდან შინ დაბრუნების შემდეგ ეს იყო ყველაზე ღრმა სიხარული, ვინაიდან ახლა მარტოოდენ თავისთავს კი არ ხედავდა ეთერი, მარტოოდენ თვითონ კი არ იყო სამშვიდობოზე გამოსული, არა, მასთან ერთად იყო მთელი ეს უკვდავი ქვეყანა.

ამხანაგი შინ დახვდა. აღტაცებით მიეგება.

— როგორ მომანატრე, გოგო, შენი თავი, სად დამეკარგე? — იმეორებდა ტანმორჩილი, მკვირცხლი, მუდამ მხიარული ქეთო. — შეხედე, რაგვარ დაკარ-ლებულა! ეს ფარაჯა კი... არა, ეს არ გიხდება. იცი, ვის მაგონებს ახლა შენი სახე? მოიცა... ჰო, ჩვენს ექიმს. შემოვა ჰოსპიტალში და ასე, შემომხედე, ასე დაგვიწყებს ცქერას.

ეთერმა ცერებზე შემდგარ, წელში გამართულ, წარბ-შეჭმუხნულ და თვალებ-მოჭუტულ ქეთოს რომ შეხედა, სიცილი წასკდა.

— ისევ ისა ხარ, სულ არ დაჭკვიანებულხარ, — უთხრა ეთერმა და სიყვარულით მოეხვია.

— ვითომ რატომ? შენსავით ფრონტზე რომ არ ვყოფილვარ, იმიტომ თუ? იცი, რამდენს ვმუშაობთ? დღე და ღამე გასწორებული გვაქვს. ახლა შემთხვევით დაგხვდი შინ, ერთი წუთით მოვირბინე... იცი, რა ძნელია, გოგო, ამდენი დაჭრილების მოვლა, მათი წუხილი...

ქეთო უცებ დადინჯდა, ეთერი გვერდით მოისვა, სახე მოეღრუბლა. წამსვე თხრობა შესწყვიტა, ეთერს დამნაშავესავით შეჰხედა:

— ღმერთო მომკალი! შენ ფრონტზე იყავი, იმდენი რამე ნახე და მე რას გელაპარაკები! ნეტავი მეც შენთან ვყოფილიყავი. მომიყევი, დაიკო, სად, როგორ...

კარგა ხანს ისაუბრეს. ომამდელი დრო, სკოლა, ვარჯიშობა და გართობა ისე მოიგონეს, თითქო მას შემდეგ მრავალი წელი გასულიყოს.

— მე ამ დღეებში ისევ ფრონტზე მივდივარ, — უთხრა ბოლოს ეთერმა.

ქეთომ ეთერს ახედ-დახედა. ჩაფიქრდა.

— რა გაჩქარებს? ჯერ კარგად მორჩენილი არა ხარ.

ეს რომ უთხრა, რაღაც მოაგონდა, გამოცოცხლდა, ეთერს ხელი მოხვია.

— იცი, გოგო, რას გეტყვი? მოდი მედიკურ-სანიტარულ კურსებზე შევიდეთ. შენ ახლა დიდი გამოცდილება გაქვს, ყველაფერს მალე აითვისებ. დავამთავროთ და მერე ერთად წავიდეთ, უფრო მეტ სარგებლობას მოვიტანთ.

— კურსები... ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ...

ეთერს სამსონზე არაფერი უთქვამს ქეთოსათვის. უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. აი ახლაც სამსონის საყვედურით სავსე თვალები მოეჩვენა.

— არა, კურსებისათვის არა მცალიან, — ჩაილაპარაკა ეთერმა და წამოდგა. — წასვლამდის კიდევ გნახავ.

— ასეთი იყავი შენ მუდამ. ამოიჩემებ რამეს და მერე მორჩა. ამხანაგის ჯავრი არა გაქვს!

ქუჩაში ჩასასვლელამდის გაბუტულივით გააცილა ეთერი, იქ კი თვალები სიყვარულით აენთო, მხურვალედ მოეხვია.

— არ დამივიწყო, გოგო. იქნება მეც მოვახერხო წამოსვლა, ხომ გესმის?

ჩაფიქრებული მიდიოდა შინისაკენ ეთერი. ირგვლივ რომ მიმოიხედავდა, მაშინაც თითქო ვერარას ამჩნევდა, ყველაფერი ქალაქის გაბმულ ხმაურში ინთქებოდა.

ანაზდად შეჩერდა, მტკვარს გაღმა ეკლესიის გუმბათს დააცქერდა. იქ ახლოს არის ის სახლი, სადაც სამსონი ცხოვრობდა. იქნება მისმა დიასახლისმა იცის რაიმე. სამსონი უთუოდ წერილს მოსწერდა.

გაეხარდა, საქმე რომ გაიჩინა. ჩქარი ნაბიჯით გასწია გაღმა უბნისაკენ.

ეთერი მამასავით მეოცნებე არ იყო, მასზე ბევრად მეტი ჰქონდა რეალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სინამდვილის შეგრძნობის უნარი, მაგრამ ხანდახან მასაც ეწვევოდა აუხდენელი ოცნება.

რა იქნება, ახლა რომ სამსონი შინ დახვდეს... შეიძლება დაჭრილი ყოფილიყო მორჩა და შვებულება მისცეს. დღეს დილიდანვე თითქო გულმა უაზრა, რომ სამსონი სადღაც ახლოს არის, ან გზაშია და მოდის...

გამალებით უცემდა გული, კარს რომ დააკაკუნა.

ხანდაზმულმა ქალმა გამოჰხედა.

ეთერი შეკრთა, თითქო ამ ქალის გაცრეცილ სახეზე ამოიკითხაო თავისი ოცნების უსაფუძვლობა. დაიბნა, ძლივს მოახერხა ეკითხა — სამსონისაგან წერილი ხომ არ მიგიღიათო.

— ერთი თვის წინათ მივიღე, ჰოსპიტლიდან იწერებოდა...

ეთერს დანარჩენი სიტყვის აზრი აღარ გაუგია. ბრძოლის ველზე შეძენილი მხნეობა მოიკრიბა, — ეგონა, დაჭრილი მოიყვანესო, ახლა წუხილის დროაო არის, სასწრაფო დახმარება ესაჭიროებაო.

— მიჩვენეთ, დედი, ის წერილი.

— ეხლავე... შინ შემობრძანდით, შვილო.

სწრაფად წაიკითხა ეთერმა სამსონის მოკლე ბარათი, მეორეჯერ ჩაათვალიერა. გული მოეცა. სამოქმედო ასპარეზი გადაეშალა. ახლა იცის, სად იმყოფება სამსონი. მძიმედ დაჭრილი არ ყოფილა...

კედელზე სამსონის სურათი დაინახა. თვალი გაუფართოვდა. მიუახლოვდა.

— ორი ვაჟი მყავს, ჩემო კეთილო, ფრონტზე, — ეუბნებოდა დიასახლისი. — სამსონი მათში არ გამომერჩევა. ერთისაგან მომდის ხანდახან წერილი, უმცროსისაგან კი... მოუკვდეს დედა, აგერ მესამე თვეა, არაფერი ვიცი. ყველაზე მეტად ის მეცოდება, მგონია, ისევ პატარაა...

ეთერს დიასახლისის ლაპარაკი ბუნდოვანად ესმოდა, სამსონის სურათს შესცქეროდა. კარგად იცნობს მისი ოდნავ მოგრძო სახის ყოველ ნაკვთს, იცნობს მის ვაჟკაცურ გამომეტყველებას, მაგრამ ახლა მისი სახიდან თითქო ისეთი შუქი გამოსჭვივის, რომელიც მზის ღიმილივით გარს ევლება ეთერს.

— როგორც მახსოვს, თქვენ ერთხელ გნახეთ სამსონთან, — მოესმა ეთერს დიასახლისის ხმა.

— დიახ... გმადლობთ... თუ არ გეწყინებათ, ეს წერილი უნდა წავიღო, მისამართია შიგ.

— ინებეთ, ჩემო კეთილო.

*
* *

ეგნატე კარგა ხანს მიმოდიოდა ოთახში, ეთერზე ფიქრობდა. უთუოდ წავა, არ დაიცდის. როგორ დაუშალოს? რა უფლება აქვს? ფრონტი... დაჭრილების მოვლა. ამაზე კეთილშობილი საქმე რა იქნება. მერე კიდევ ეს წმინდა სიყვარული. რა ცეცხლშია ჩემი საწყალი გოგონა. როგორ გაუძლებს ამდენ წამებას! მე რა ვქნა, ვინა მყავს მის მეტი? წავა და ჩემი სული მას გაჰყვება... გაჰყვეს, იბრძოლოს, იმოქმედოს, მაშ როგორ გინდა!

მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს დაჰხედა. არც ერთმა არ მიიზიდა. კარადა გამოაღო. ხელში ჰერბერტ უელსის წიგნი მოხვდა — „მისტერ ბედსუორტი რემპოლის კუნძულზე“.

ხუთი წლის წინათ წაიკითხა ეს წიგნი, ახლა ბევრი რამ არ ახსოვდა. გადაფურცლა, ფანქრით აღნიშნულ ადგილებს დააკვირდა. პირველად ეს აზრი მოხვდა თვალში:

„მარტოობისა და ტანჯვის ამ ხანგრძლივ საათებში გონება უჩვეულო სიმსუბუქით მოგზაურობს მსოფლიოში, მაგრამ ბოლოს შინ ხელცარიელი ბრუნდება და ჯდება დასასვენებლად, თითქო თავისი ამოცანა შეესრულებინოს. მიგვიყვანს თუ არა ოდესმე ეს ძიება სხვა დასასრულამდის?“

იქვე ფანქრით წაეწერა ეგნატეს:

„პესიმიზმი შემოგპარვია, ძვირფასო ჰერბერტ. უთუოდ მოინახება, უთუოდ აღმოჩნდება სხვა დასასრული. ადამიანის გონებას ეს შეუძლიან“.

ეამა ეგნატეს, თავის მიერ წარწერილი რომ წაიკითხა. მერე თანდათან აღადგინა მეხსიერებაში წიგნის შინაარსი.

ერთი განათლებული ჯენტლმენი კაციჭამიებში მოხვდა, იქ ნახა ვეება უქნარა ცხოველები — მეგატერიები, რომლებიც ირგვლივ ყველაფერს ნთქავენ... მერე, ველურებს რომ თავი დააღწია, იმპერიალისტურ ომში ამოჰყო თავი...

„სავსებით მართალია უელსი, როდესაც დიდ განსხვავებას ვერა ხედავს ბურჟუაზიული საზოგადოებისა და ველურების მორალს შორის, — ფიქრობდა ეგნატე. — მხოლოდ გამოსავალი კი... გამოსავალი ჩვენ ნაპოვნი გვაქვს. განა შეიძლება ვინმემ შეაჩეროს მზის ამოსვლა? ასე მოდის ის — უდიდეს ქარცეცხლში განწმენდილი ადამიანი, მოდის, ჩემო კარგო ჰერბერტ... შენ კი... რაო, რას ამბობს?

„ჩვენი გონება არჩევს შთაბეჭდილებებს და გვერდს უვლის მათ შორის იმათ, რომელნიც შეიძლება დამამცირებელნი და არასასიამოვნონი აღმოჩნდნენ. მაშინაც კი, როდესაც მოვლენა უკვე აღქმულია, ჩვენ განვაგრძობთ მათ რედაქტირებასა და შეცვლას!“

არაფერსაც არა ვცვლით ჩვენ, არაფერს, ყველაფერს ნათლად ვხედავთ, ვხედავთ ამ სასტიკ ომს, ვხედავთ გაუმაძღარ კაციჭამიებს, გაპარტახებულ მიდამოებს, ყუმბარებისაგან დაფლეთილ დედებსა და ბავშვებს, მაგრამ ეს უფრო აკაქებს ჩვენს რწმენას, აორკეცებს ჩვენს ძალას...

ეგნატე კვლავ უელსთან დავას განაგრძობდა, როდესაც ეთერი შინ დაბრუნდა. ისეთი ფიქრი შემოსწოლოდა ეგნატეს, თითქო მის მსოფლმხედველობაში რაღაც ჩრდილი შეიპარაო.

ეთერმა გაუფანტა ეს ჩრდილი.

აღტაცებით მიეგება თავის ასულს, მაზარა გაახდევინა.

— აგერ ჩამოჯექი, ჩემო კარგო, აქ თბილა... წიგნმა გამიტაცა და სულ დამავიწყდა რაიმე მომემზადებია სადილისათვის. მაგრამ არა უშავს-რა, მოესწრება, ახლავე დავტრიალდები.

ირგვლივ მიმოიხედა, თითქო ეძებსო — პირველად რას მიჰყოს ხელი. თვალში კვლავ წიგნი მოხვდა. ეთერს გვერდით მიუჯდა, მხარზე ხელი დაადო.

— არა, მითხარი, ჩემო კარგო, განა მე მართალი არა ვარ?

— რაში, მამა?

— რაში და... განა შეიძლება ეს ხოცვა-ჟლეტა ისე დამთავრდეს, რომ ადამიანის გონებამ არ გაიმარჯვოს?

ეთერმა ღიმილით შეავლო თვალი მამას.

— სულ ფიქრობ, მამა, სულ ფიქრობ და ოცნებობ. მაგრამ ახლა ფიქრისა და ოცნების დრო არ არის. ახლა მოქმედებაა მთავარი. ბრძოლაა ახლა. ყველამ უნდა გავაკეთოთ რამე, არცერთი წუთი არ უნდა დავკარგოთ.

— ეგ მართალია, ჩემო კარგო... მიკვირს, ველარა გცნობ. სად შეიძინე ჩემმა პატარა გოგონამ ამდენი გამოცდილება?

— მე პატარა აღარა ვარ ახლა, მამილო.

— ვიცი... არც მე ვარ მთლად მოხუცებული, მეც ვიწვი... მინდა შორს გავიხედო, დავინახო ამდენი მსხვერპლის შედეგი... და იცი, რას ვხედავ? მოდის ის, მოდის ძლიერი და გამარჯვებული ადამიანი, მოდის და თან მოაქვს ნანატრი ბედნიერება...

ამ დროს ვიღაცამ კარი დააკაკუნა. ეთერი შეკრთა, გაირინდა; ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქო შორიდან, ძალიან შორიდან გადმოიღვა აჟღერებულმა სიმმა და ეთერის გულს მოხვდა მრავალმეტყველი...

კარი ეგნატემ გააღო. გაშეშდა. უმალვე იფეთქა უზომო სიხარულის ნაკადმა და თავიდან ფეხებამდის დაუარა. ენა ვერ დასძრა. ეთერს მიჰხედა.

— მამა, ვინ არის?

მოსული გაღიმებული იდგა კარებთან. ეთერის ხმა რომ გაიგონა, სახე გაუფითრდა, შუბლზე ხელი მოისვა, უმალვე მოსწყდა ადგილს, ოთახში შეიმართა.

— სამსონ!..

კარგა ხანს იყვნენ ჩაკონებულნი.

ასეა, მთელ სიცოცხლეს იწონის ხოლმე დიდი სიხარულის წამი და კაცს უჭირს მისი სიტყვით გამოთქმა.

მხოლოდ თვალები...

თვალების სხივი აღწევს ფრთაგაშლილი სულის სიღრმეში.

უსიტყვოდ მიაცქერდნენ ურთიერთს. სახე დაუმშვენდათ. ღიმილს ღიმილი გაეამბორა.

ეგნატემ ცრემლი მოიწმინდა, სამსონს ხელი გაუწოდა:

— მომილოცავს, შვილო, მშვიდობით დაბრუნება!

მოეხვია, მხურვალედ აკოცა.

*
* *

მთელ თავის სიცოცხლეში არ მოუსმენია ეგნატეს იმდენი საოცარი რამ, რაც ეთერმა და სამსონმა ურთიერთს უამბეს. სად არ ყოფილან, რა არ განუცდიათ, რამდენ ცეცხლში არ გამოუვლიათ! აი რა ყოფილა ომი! მერე როგორ ადვილად ლაპარაკობენ სიკვდილზე, გადარჩენაზე. გეგონება ყველაფერს შერიგებიანო. იქნებ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. იქნებ ეს სიკვდილისაგან მონუსხული ადამიანების გრძნობების გარინდებაა? არა, აქ რაღაც სხვაა, უფრო ღრმა, უფრო საკვირველი...

სამსონი თითქმის სრულიად არ შეცვლილიყო, კვლავ ფოლადიანი ვაჟკაცის იერი და სხივოსანი თვალების ელვარება შვენოდა. მაგრამ ეთერმა მაინც აღმოაჩინა მის გამომეტყველებაში ჩაქსოვილი ახალი იერი. შუბლზე, წარბებს შორის, ოდნავ შესამჩნევი ღარი ჩაღრმავებია, ახალ გაპარსულ, ქარდაკრულ ღაწვებზე, ტუჩებსა და ნიკაპზე რაღაც სიმკაცრის ჩრდილი გადა-

ჰფენია. ღიმილშიაც თითქო... თუმცა არა, ისევ ისე გამოკრთის მისი მოსიყვარულე გულის ნათელი...

— მე მაინც ერთი რამ მაინტერესებს, — ჰკითხა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ეგნატემ სამსონს: — რას განიცდის მებრძოლი იმ წამს, როდესაც შეტევაზე მიდის, როცა ირგვლივ ცეცხლია და ტყვიების ზუზუნი?

სამსონი ჩაფიქრდა, მწარედ გაიღიმა.

— ძნელია მაგაზე პასუხის გაცემა... იმ დროს კაცის მთელი არსება შეკუმშულია, ქვეყნიერებაც თითქო დაპატარავებულია. ასე გგონია, ბეწვის ხიდზე გადიხარ და... ამ დროს თუ კაცი შეკრთა, მორჩა მისი საქმე...

— ახსოვს თუ არა იმ წამს თავისი კუთხე, მშობლები, საყვარელი ადამიანები?

— არა მგონია. სიკვდილი და სიცოცხლე რომ ერთმანეთს დაუპირისპირდება, იქ სხვაზე ფიქრის დრო აღარ არის... მხოლოდ მე ერთ შემთხვევას გიამბობთ. ძალზე ღრმად ჩამრჩა გულში, არასოდეს არ დამავიწყდება... უკანასკნელად რომ დავიჭერი, ეს მაშინ მოხდა... ეთერ, შენ ხომ გახსოვს ჩვენი პოლიტხელი შალვა ყიფშიძე? ცეცხლივით ვაუკაცია. ამხანაგის გულისათვის წყალში გადავარდება. ჰო-და, ის დაიჭრა... მაშინ უკან ვიხევდით, მე შორს ვარ, ბექობს ვეფარები. მარჯვნიდან და მარცხნიდან ცეცხლს გვიშენენ. პირქვე ჩამხობილ შალვას ირგვლივ ტყვიები გამხმარ ბალახს სცელავენ. არავინ არა სჩანს შალვას გამომყვანი. რა მექნა, ამხანაგს ხომ არ დავტოვებდი. ავხოხდი. ისე მოდის ტყვია, თითქო სეტყვააო. საზიზღრად წივიან. მაგრამ ეს არაფერია. მივიწევ წინ. ოფლში გავიწურე. შალვა ახლოსაა. ამ დროს მომხვდა ტყვია მკლავში. აი აქ, სირბილეში. პირველად არ მიგრძვნია. მერე, მკლავი რომ მომიდუნდა, უნებლიედ შევისვენე, ლოყა მიწაზე დავაყრდნე. ტყვიები უარესად აზუზუნდნენ. მეც დავმძიმდი. ისე მიჭირს თავის აწევა, თითქო მთელი ქვეყანა მე მაწევსო. მაშინ, — საოცარია, — ძახილი მომესმა. სადღაც ახლოს, სულ ახლოს იმყოფები ვითომ შენ, ეთერ, და მეძახი. აღარც ტყვიები ზუზუნებენ, არც შალვა მახსოვს, მხოლოდ შენი ხმა მესმის. მინდა გავარკვიო, — რას მეძახი, რას მოითხოვ ჩემგან, მაგრამ თავი ვერ ამიწევია. მინდა შევისვენო, გავერკვე, მივყვე შენს ხმას... დიდხანს არ გაგრძელებულა ეს. მერე გული მომივიდა. რა დროს ძახილია-მეთქი. მაშინვე შალვა მომაგონდა. თავი ავწიე. ცეცხლი შენელებულიყო. ვინ იცის, იქნება მაშინ შენმა ძახილმა გადამარჩინა...

დუმილი ჩამოვარდა. სამსონმა ეთერის ანთებული მზერა დაიჭირა და ის მძაფრი სიყვარული, რომელიც ენით არ გამოითქმის. ტუჩები შეუთრთოლდა, ეგნატეს მიჰხედა, თვალები დაჰხარა.

— მერე, სამსონ, მერე? — დაარღვია სიჩუმე ეგნატემ. — ამხანაგს რა მოუვიდა?

— შალვას? გამოვიყვანე. მარჯვენა მკლავით მოვხოხავდი, მარცხენასაც ვახმარდი. ცოტათი კი მიჭირდა, მაგრამ მაშინ ტკივილისათვის ვის ეცალა... ისევ დაგვაყარეს იმ წყეულებმა ტყვია. მთავარი გასაჭირი ახლა დაიწყო. გრძნობა-დაკარგული შალვა ქამარზე მყავდა მიბმული. ტყვიასავით დამძიმებული იყო. ერთი მტკაველი მანძილის გავლა ერთი წლის სიცოცხლედ ღირდა... ბექობს მივუახლოვდი. შემოსავლელი არ იყო. აქ თუ გადავხოხდი, მერე არაფერი გვიჭირს. სწორედ აქ მოგვისწრო ნაღმმა, ჩვენს გვერდით აფეთ-

ქდა, ტანზე მიწა გადაგვაყარა. მგონია, მორჩა, სულ დაცხრილული ვარ! მაგრამ რა არ შეუძლიან თურმე კაცს. კიდევ მოვიკრიბე უკანასკნელი ძალა და ბექობიდან თავქვე დავეშვი. აქ კი... აღარ გამეგება, სად ვარ. ... კი ვგრძნობ, რომ შალვა ჩემს გვერდით წევს... მახსოვს, როგორღაც მოვახერხე მძიმედ დაჭრილმა და შალვას ხელი მოვხვიე, თავი მივაყრდნე. მერე კი... მერე ვითომ ცამ და დედამიწამ თვალი დახუჭა, სიბნელე გადამეფარა... აქ იწყება ის, რაც არასოდეს არ დამავიწყდება. ვითომ სადღაც წყაროს სიახლოვეს ვარ. მესმის წყლის ჩქრიალი. საშინლად მწყურიან. ერთი პირის ვასველება სულს ჩამიდგამს. როგორც იყო თვალი გავახილე. აგერ ჩამოდის ანკარა მდინარე. ეს ხომ ჩემი სოფლის ღელეა. აქ ყოველ ქვას ვიცნობ. ბავშვობას სულ აქ ვთამაშობდი. გავაყოლე თვალი და აგერ, გაღმა, ლოდზე ზის ეთერი. მეტისმეტად მოწყენილია, ჩაფიქრებული. ახლა ვითომ მე ვეძახი, მიშველე, წყალი მომაწოდე-მეთქი, მაგრამ ისიც გამეგება, რომ ამ სიტყვებს მხოლოდ გულში ვამბობ, ხმის დაძვრა არ შემიძლიან... ეჰ, მეც ერთი! რა არ მოელანდება გონება-დაკარგულ კაცს!

— არ შერჩება მტერს ჩვენი შვილების ამდენი სისხლი და წამება! — წამოიძახა ეგნატემ. — მერე, შვილო, დიდხანს დარჩით იქ?

— ამხანაგები მოგვეშველნენ, სამშვიდობოზე გაგვიყვანეს.

— შალვას რა მოუვიდა? — იკითხა ეთერმა.

— შალვა... არ ვიცი, ის სხვა ჰოსპიტალში წაიყვანეს. ვფიქრობ, რომ მორჩებოდა, მხოლოდ წყობიდან კი სამუდამოდ გამოყვანილი იქნება.

— საწყალი! შალვა და ინვალიდი! წარმოუდგენელია! — ჩაილაპარაკა ეთერმა.

სამსონს სახეზე სევდა აღებეჭდა. თამბაქო გაახვია.

ეთერი სამსონის თითებს მიაცქერდა, თამბაქოს ბოლით გაყვითლებულ თითებს. პირველად შეამჩნია ეს და ნათლად წარმოუდგა სამსონის მიერ განცდილი სულიერი მღელვარება. იდუმალი შუქივით აენთნენ ბაიასავით გაყვითლებული თითები და ეთერის გონება შორს გაიტაცეს. აგერ წევს სამსონი. მარტოა. თამბაქოს აბოლებს. გვერდით არავინა ჰყავს, რომ ფიქრი გაუზიაროს. ეთერი კი შორსაა, არ ძალუძს ხმა მიაწვდინოს...

ისე მძაფრად წარმოესახა ეს, რომ სამსონი ახლა მოჩვენება ეგონა, ხელი შეახო.

— როგორ გაგყვითლებია, სამსონ, თითები!

— ეს... ჰო, მე ახლა შალვაზე ვფიქრობდი... დიდი რამ არის ბრძოლაში დაძმობილება. ამიტომ არ დაიშურებ მეგობრისათვის სიცოცხლეს. შალვა კი... მას რომ შევხედავდი, მაშინვე საქართველო მომაგონდებოდა. ბევრი რამ არის მასში წმინდა მშობლიური. არ ვიცი, იქნება ბავშვობიდანვე შევითვისე ასეთი სახე, ან ჩვენს წიგნებში ამოვიკითხე. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მის გვერდით სიკვდილი თითქო ძალას ჰკარგავდა. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერად ჩავთვლი თავს, მას რომ მორჩენილს ვნახავდე.

— უთუოდ ნახავ, ჩემო კარგო, უთუოდ! — წამოიძახა ეგნატემ. მერე ეთერს მიეხედა: — ხომ გეუბნებოდი, შვილო, რომ ჩვენი ვაჟკაცები გზას არ დაკარგავენ-მეთქი. ასეა. ღრმადაა გადგმული მათი ფესვები ჩვენს მიწაში. ჩვენი სამშობლო კი, იცით, საიდან მოდის? ვინ დაუდგება მას წინ?..

ეგნატემ საბაბი იშოვნა და კარგა ხანს მჭევრმეტყველებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

შუალამეს გადასცილდა. ეთერს არ დაეძინა.

იქვე, მეორე ოთახში, მამის მახლობლად წევს სამსონი. ნამგზავრია, სძინავს. ეთერს არ ესმის, მაგრამ გრძნობს მის სუნთქვას. თან თითქო გაოცებულია: არასოდეს ასე ნათლად არ დაუნახავს თავისი წილი ქვეყნიერება. აქ მარტოოდენ ეთერი და სამსონია. სხვა ყველაფერი ომის ჭექა-ქუხილმა დაჰფარა. მერე თვით ომიც აფარფაშდა თავისი შავი ფრთებით და მწვერვალებს გადაღმა, თვალუწვდენელ უფსკრულში ჩაეშვა.

მაინც საოცრად დიდია ეს ქვეყანა. მას სამსონისა და ეთერის სიყვარული აშუქებს. აქ სიცოცხლეა და ნეტარება. აქ მზეა და ვარსკვლავები. ლამაზი ყვავილები ამკობენ მშობლიურ მიდამოს...

არა, მარტონი არ არიან სამსონი და ეთერი ამ მზიურ ქვეყანაში: გულმა უხმო სიცოცხლეზე უტკბეს უჩინარ არსებებს და იდუმლად მოდიან ისინი, მოდიან და თან მოაქვთ მარადი სიცოცხლე...

გზას რად უღობავენ? რა უნდათ? ისინი არავის არ ეცილებიან, მათ აქვთ თავიანთი წილი...

„ოჰ, რა ბედნიერება იქნებოდა, ეს ომი რომ არ იყოს!“ უხმოდ ჩაილაპარაკა თვალგაშტერებულმა ეთერმა.

დღემდის, ვიდრე სამსონი მოვიდოდა, ფრონტზე მიეჩქარებოდა, ახლა კი თავისდაუნებლიედ მშვიდობიანი ცხოვრების ნატვრამ შეიპყრო.

საკვირველია, ასე ახლოსაა ბედნიერება და მაინც...

აგერ დაიძრა იგი, მძვინვარე და ულმობელი. ცას სისხლისფერი ღრუბლები გადაეფარა... სამსონი ბრძოლის ველზეა. ირგვლივ გრიგალისებური ცეცხლია...

— ოჰ, დედიკო! რა მეშველება, სამსონს რომ რაიმე მოუვიდეს! — ამოიგმინა საშინელი ხილვით შეშფოთებულმა ეთერმა.

ისე მძაფრად მოუნდა სამსონისათვის ერთხელ მაინც შეევლო თვალი, რომ თავი ველარ შეიკავა, ადგა, ხალათი ჩაიცვა.

კარი ფრთხილად გააღო. ჯერ მამასთან მივიდა ფეხაკრეფით, მერე მძინარე სამსონს მიეახლა. ოდნავი შეხებით გაუსწორა საბანი. ისეთი სიხარული იგრძნო, თითქო პირველად დაინახაო ახალგაზრდა დედამ თავისი პირმშოს ღიმილი.

III

დედის სიხარული

მგზავრებით დატვირთული საბარგო მანქანა გადასახვევთან გააჩერებინა სამსონმა. გზაში გაცნობილთ გამოემშვიდობა. სწრაფი ნაბიჯით ჩაჰყვა დაღმართს.

გაივაკა გორაკზე და ერთის წამით შესდგა ნაცრისფერი ქვებით ნაშენ ეკლესიის გვერდით. ხევს გაჰხედა.

მთელი მიდამო თოვლით იყო დაფარული, ხეებიც თოვლს დაებურა, მაგრამ გორაკებსა და ფერდოებს თავ-თავიანთი ელფერი მაინც შერჩენოდათ.

სამსონს თავისი ყრმობა აქ ჰქონდა გატარებული, ამიტომ ძველი ნაცნობივით, თივთიკის ყაბალახითა და თეთრი ნაბდით მორთულ ნაცნობივით შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყურებდა ახლა ამ შემოგარენის თითოეული ნაკვეთი. ყოველ ბორცვს, სერსა და კბოდეს თავისი სახე ჰქონდა, ბავშვობისას აღქმული სახელებიც.

აგერ ხის ფართო შენობა. ეს სკოლაა. აქ სწავლობდა სამსონი — ნაძვნარ უთამაშნია იმ ტოტებგაშლილი ცაცხვისა და მაღალი ნაძვის ქვეშ...

სერს გააყოლა თვალი. ღრუბლებში გახვეულ მთის კალთაზე ნალია დაინახა. რამდენჯერ დაცურებულა იქიდან ასეთ თოვლში. გრძელ სუფრას აათრევდა, დაჯდებოდა ზედ და ჰაიდა, ქარივით მიჰქროდა თავის ეზომდის. ამ დროს იქ ხურმები ჯერ კიდევ მოლეული არ არიან. ალბათ, ახლაც ესევიან ბოლოშავები და ჩიჩხინაკები. ბიძას სთხოვდა სამსონი ძველის-ძველ თოფს და გულისფანცქალით ეპარებოდა ჩიტებს. ერთხელ თოფი გაუსკდა, თვალი კინაღამ დასთხარა. მაინც არ შესძულდა ნადირობა. დედა უშლიდა... ჰო, სამზარეულოში ზის ახლა ცეცხლის პირას და სულ არ მოელის სამსონს.

ბავშვივით გახარებულმა სამსონმა სიმღერით ჩაირბინა ღელემდის, მერე ჩქარი ნაბიჯით აჰყვა აღმართს.

სკოლის მახლობლად, მოედანზე არავინ შეხვდა, დუქნების წინაც არავინ იდგა. ერთ წუთს ჩაფიქრდა, შემდეგ ყველაფერი უცბად წარმოიდგინა. ამ მშვიდსა და მშობლიურად მოალერსე არემარეშიაც შემოიჭრა ბრძოლის შორეული გუგუნი. მალე სამსონიც იქ იქნება. ვინ იცის, ეგებ'ს...

ფიქრი შუაზე შესწყვიტა. „არასოდეს არ უნდა აჰყვეს კაცი ისეთ ფიქრს, რომელიც გუნებას გაუფუჭებს“, ეტყოდა ხოლმე სამსონი თავის თავს. ახლაც ეს გაივლო გუნებაში და შინისაკენ გასწია.

ორლობეში ქალის ტირილი მოესმა. უნებლიედ შესდგა. ეზოში შეიხედა. ოდის წინ სამგლოვიარო ძაძა იყო გამოფენილი, კედელზე შავ ჩარჩოში ჩასმული სურათი ეკიდა. დააკვირდა. მიხაა. ალბათ, ცნობა მიიღეს, ბრძოლაში დაიღუპაო.

სამსონის ტოლი იყო მიხა. სკოლა ერთად დაამთავრეს. „რა ბიჭი იყო, ცოდვა არ არის მისი სიკვდილი!“

ამ ფიქრს დედის მოთქმა დაერთო. უნაპირო სევდით სავსე სიტყვებში დნებოდა დედის დამწვარი გული.

სამსონს მწვავე ჟრუანტელმა დაუარა, მოეჩვენა, თითქო მარტოოდენ მიხას დედა როდი სტიროდა, მრავალმა საუკუნეებმა გაახილეს თვალი, ბრძოლის ათასმა გრიგალმა გადაიარა. კერა-ჩაუქრობელი სახლების წინ გამოჩნდნენ მგლოვიარე დედები და კაეშნიან ნანასავით გაისმა მათი მდუღარებით სავსე ხმა:

— დედა-შვილო...

სამსონმა გაიფიქრა, შევიკლი, ვანუგეშებო, მაგრამ ვერ შესძლო. დამძიმებული ნაბიჯით აჰყვა აღმართს.

მალე ისევ გაერთო. ყოველ მოსახვევში ურთიერთს სცვლიდნენ სიყრმის მოგონებები. შიგადაშიგ თავის მომავალზედაც ფიქრობდა. კარგი ჰქნა, ეთერს რომ კურსებზე შესვლა მოუწონა. თითონაც ისე მოიქცევა, როგორც ამხანაგმა ურჩია. სამი თვის შვებულებას უქმად არ გაატარებს: მეთაურთა კურსებზე მოეწყობა, მერე კი...

რუს მახლობლად, ლილოდან შაშვი ჭახჭახით აფრინდა, მაღალ ბალზე შეჯდა. გზის პირად იდგა ეს ბებერი ხე.

სამსონს მოგონებამ ღიმილი მოჰგვარა. ეს იყო ბავშვობისას, სამსონი სკოლიდან მოდიოდა. მწიფე ბალმა თვალი მოსტაცა. შინ რამდენიმე ძირი ბალი

ედგათ, ასეთივე მსხვილკაკლა, ალისფრად მოკაშკაშე და თაფლივით ტკბილი. მაგრამ ახლა მოუთმენელმა სურვილმა აიტანა. სწრაფად აცოცდა ხეზე, ყველაზე მეტად დახუნძულ ტოტთან ჩამოჯდა და ჭამას შეუდგა. ახლოდან შეკრთა, ძირს ჩაიხედა. ასე უცებ საიდან გაჩნდა ახლა აქ ყარამანი!

— ბიჭო, შე ოჯახდაქცეულო, რამ აგიყვანა მაქ? — შესძახა ყარამანმა.

— ბიძია, გზაზე მოვდიოდი და ბალმა შემიტყუილა, ნამეტარი მწიფეა.

— უყურე ახლა ამ ყურუმსაღს! რავა, შენი ეზო გადაიწვა, თუ რა მოუვიდა, შენი და სხვისი ვერ უნდა გაარჩიო ამხელა კაცმა?

— კაი, ნუ გაჯავრდები, ბიძია! ავალ შინ, ერთ კალათს მოვკრეფ და ჩამოგიტან.

— მოდი ახლა და ნუ გასკდები გულზე! რად მინდა, ბიჭო, მე შენი ჩამოტანილი ბალი? ჩამოდი მალე! მე შენ გასწავლი, როგორ უნდა სხვის ბალზე ასვლა!

ბიჭოს, მგონი ყარამანი არა ხუმრობს. ძალიან კეთილი კაცია, მაგრამ ახლა... აგერ გრძელი წკნელი მოსტეხა.

სამსონმა ჩანთა გაისწორა, ქვედა ტოტამდის დაეშვა.

წკნელით შეიარაღებული ყარამანი ბლის ძირას დგას. სამსონმა ხის ტანისაკენ გაიშვირა ფეხები. ყარამანის აზრით, სხვა ჩასასვლელი არც იყო. მაგრამ უცებ ასწია ტანი სამსონმა, ციყვივით გაჰყვა ტოტს და გადახტა. დათვის ბელივით გაგორდა მინდორზე, უმალვე წამოხტა და მოკურცხლა. გზის პირად შესდგა. ყარამანს გაჰხედა. გაეცინა.

სახტად დარჩენილ ყარამანსაც ღიმილი მოერია, უბორტოტო ხმით გასძახა:

— მოიცადე, მე შენ გიჩვენებ სეირს!

წყაროსთან შესდგა სამსონი ერთის წამით. აქაც არავინ იყო. ჩაფიქრებულ გოლიათებივით განთვისებულად იდგნენ კაკლის ხეები. სიჩუმეს მხოლოდ ხრამში დაშვებული ნაკადის ჩხრიალი არღვევდა. ძველი წისქვილიც დადუმებულიყო. ღარს ხავსი მოჰკიდებოდა. ხის ტოტებზე დადებულ თოვლსაც არა ცვივოდა მცირეოდენი ფიფქი. მხოლოდ მაღალი ხურმების შტოები გაეშიშვლებინათ ბოლოშავებს. ერთი ახლაც იჯდა და იკენკებოდა.

სრულიად არ უგრძვნია სამსონს ამ დუმილის სიმძიმე. უფრო გარკვევით ესმოდა თავისი სიყრმის ნაირნაირი დღეების იდუმალი მეტყველება, თითქო ვიღაც უხილავი არსება ჩასჩურჩულებდა ყურში — არასოდეს არ შესწყდებაო ამ საყვარელ მიდამოში დარხეულ ხმათა ღაღადი.

ეზოს რომ მიუახლოვდა, ბავშვების სიცილი მოესმა. გული აუჩქროლდა. ბეს მიეფარა.

ესენი სამსონის დისწულები იყვნენ — ნაზიკო და გივი. გრძელი სუფრა გაეოეტანათ და თოვლზე სრიალებდნენ. სუფრას გივი მართავს. მოწყვეტით ეშვებიან თავქვე. ღობის მახლობლად გივი სუფრას უცებ შეატრიალებს, ნაზიკო გადაკოტრიალდება. მერე წამოხტება და ხმამაღლა იცინის. გივისაც უცინის წამოწითლებული სახე, მაგრამ მაინც ისე გამოიყურება, როგორც შამაკაცს შეჰფერის.

აგერ სუფრა კვლავ ზევით აიტანეს.

— მოდი, 'გო, დაჯექი მალე!—ბრძანების კილოთი ეუბნება გივი ნაზიკოს.

— არ მინდა, არა, შენ ისევ გადამაგდებ, — იძახის ნაზიკო, მაგრამ გივი რომ მარტოდ გასრიალებას დააპირებს, უმალვე შემოუჯდება უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სამზარეულოში, კერასა და ჯირკვს შუა, თხმელას შეშა ჩამწვარიყო, ნაკვერცხლებს ფერფლი მოსდებოდათ. ცალ მხარეს სალომე იჯდა ჯორკოზე, მატყლს ართავდა. თავსაფარზე მეორე თავსაფარი ჰქონდა შუბლიდან კეფაზე გადაკრული. ფერმკრთალ სახეზე ნაღველი აღბეჭდოდა. ოდნავ ჩაღრმავებული თვალები დაუსრულებელ ფიქრს ისე დაენისლა, გეგონებოდათ, რაც ამ თვალებში სხივს უელვარნია, სულ ყველა სამსონის მზერაში გამოსჭვივისო. სწრაფად ამოძრავებდა მუდმივი ჯაფით დაკოჟრილ თითებს, ძაფს თვალს აყოლებდა, მაგრამ ნათლად ემჩნეოდა, რომ მისი საგონებელი ძალიან შორს იყო, საქმეს ავტომატურად აკეთებდა.

სალომეს გასწვრივ ნინა იჯდა. წიგნები გვერდით მიდგმულ სკამზე დაეწყო, სახვალიოდ გადასაცემ გაკვეთილებს ამზადებდა. ნინა ერთი წლით უფროსი იყო სამსონზე. პედაგოგიური ინსტიტუტი გასულ წელს დაამთავრა, ახლა თავის თემში მასწავლებლად მუშაობდა. ვარდისფერი ფანელის კაბა ეცვა ნინას; მხრებზე შინნაქსოვი შალი ეხურა. გულმოდგინედ მეცადინეობდა, მაგრამ ბადრი სახე მაინც მოწყენილი ჰქონდა.

მათ ირგვლივაც რაღაც უტყვი სევდა სუფევდა. ქათმებიც დაღვრემილივით დაბაჯბაჯებდნენ, უხალისოდ იკენკებოდნენ სიმინდით სავსე ტომარის გვერდით. მხოლოდ ზღურბლზე შემომდგარი მამალი აციმციმებდა ნაპერწკალივით ანთებულ თვალებს, თითქო სურს გაიგოს — ეს კაეშნიანი დუმილი რაიმე საფრთხეს ხომ არ გვიქადისო.

სალომემ ამოიოხრა, ჩვეულებისამებრ ჩაილაპარაკა:

— ვაი შენს დედას, შვილო, ვაი შენს დედას!

ნინამ თავი ასწია, დედას მიაცქერდა. გული აუკვნესდა ძმის მონატრულს. წიგნი დახურა, მუხლზე დაიდო. სანუგეშებლად ჰკითხა სალომეს:

— რა გითხრა, დედა, მარჩიელმა?

სალომეს ძაფი გაუწყდა, ისევ შეაგრიხა მატყლი, რთვა განაგრძო, მერე უპასუხა:

— ღმერთმა დასწყევლოს მისი თავი! რას მეტყოდა?

— არა, მაინც.

— დიდ გაჭირვებაშიაო. ნამეტარი შორს არისო. მისგან წერილი ვერ მოაღწევსო. ისე ნუ გეშინია, ცოცხალიაო.

— მაგას მეც გეტყოდი.

— კაი, გო, არ გაგიგონია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო?..

ჭიშკრის ჭრიალი მოესმა. მიაყურა.

— გაიხედე, გო! მგონია ვიღაცამ ჭიშკარი გააღო.

— ბავშვები იქნებიან.

— ნახე მაინც. ეს სამიწე გული არ ისვენებს, სულ ელის რაღაცას. ეგება წერილია.

ნინა ნახევრად ღია კარს მიადგა. ფერმა გადაჰკრა. ეს ვინ არის?! დახრილა, ნაზიკოსა და გივისათვის ხელები მოუხვევია. აგერ თავი ასწია. სამსონის თვალებმა შემოანათა.

— დედა-ა, შენი ჭირიმე, დედა! სამსონი მოვიდა! — წამოიძახა ნინამ და გიჟივით გარეთ გაიჭრა.

სალომე გაშეშდა. ხელშეშვებული ჩერია ნაცარში დაგორდა. რამ გადარია ეს გოგო? გაგონილა ასეთი ხუმრობა! სამსონი ახლა საიდან ... იქნება ნინას შეეშალა, უნდოდა ეთქვა — სამსონის წერილი მოვიდაო. ესეც დიდი ბედნიერებაა. ღმერთო!..

მაგრამ ეს ხმა, ეს ნაბიჯი!

გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა. წამოიმართა.

ასე რამ დაამძიმა! ჩიტივით უნდა გაფრინდეს, შვილს მოეხვიოს. ნუთუ ასე მოხუცდა? არა, ახლა თავიდან იწყებს სალომე სიცოცხლეს. მაისის დილასავით მოდიან სიყრმის დღეები, თან მოაქვთ დედის ნაამაგარი, ზღვასავით მოღელავენ უსაზღვრო სიყვარულით აზვირთებულნი.

მაინც სწრაფად მიიჭრა კართან. აქ კი, თითქო ზაფხულის მზემ მოსჭრაო თვალი, ღონე არ ეყო, ცრემლები გადმოსცვივდა.

— შვილო, სამსონ! — აკანკალებული ხმით სთქვა და ხელები გაიშვირა.

სამსონმა დედა მკერდზე მიიხუტა, თავზე ხელი დაუსვა, მხურვალედ აკოცა.

დედამ სული მოითქვა, თავი გადასწია, შვილს შეაცქერდა.

— შენ ხარ ეს, შვილო? ცოცხალი ხარ, ბიჭო! მოდი, შენი სულის ჭირიმე, ჩემო ბიჭიკონა! ეს რა ბედნიერი დღე გამითენე, დედა შემოგევლოს! აწი თუ მოვკვდები, არ ვჩივი, შენდა სანაცვლოდ წავსულიყო, შვილო!..

მთრთოლვარე ხმით ბუტბუტებდა დედა, სამსონს სახეზე ალერსით ხელს უსვამდა, იღიმებოდა, სიხარულის შუქით განათებულ თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

ნინაც მათ გვერდით იდგა, ძმას შეჰყურებდა; ვარდივით წამოღვივებულ ღაწვებზე კურცხალი აკინძვოდა.

გივი და ნაზიკო კართან ატუზულიყვნენ, თავს უხერხულად გრძნობდნენ. მოუთმენლად მოელოდნენ — ბიძია სამსონი ჩვენთვის როდის მოიცლისო.

გულაჩუყებულმა სამსონმა ძალა მოიკრიბა, ნერწყვი გადაყლაპა. მაინც გაუძნელდა მოზღვავებულ გრძნობათა დაოკება. მხოლოდ ბავშვობისას განუცდია ასეთი უშუალო სიხარული, დედის ალერსით დამტკბარი. თავს კალთაში ჩაუდებდა ხოლმე დედას და აღარაფერი აღარ რჩებოდა ამ ქვეყანაზე შეუცნობელი, განმარტოებისას რომ აკრთობდა ბავშვის გონებას. ყველაფერს სძლევდა და ნათელს ჰფენდა დედის თვალებსა და ხმაში გამომკრთალი სიყვარული.

ბოლოს ნაომარი ვაჟკაცის ძალა მოიშველია სამსონმა, უკან დაიხია, დედას ახედ-დახედა, მერე ხელები დასტაცა და ბუმბულივით ზევით ასწია.

— რატომ მეჩვენები, დედა, ასე დაპატარავებული?

— არაფერია, შვილო, შენი ჯავრით დავილიე... ახლა ისევ გავიზრდები.

შემდეგ სამსონმა ნინას მიჰხედა, მხარზე ხელი დაჰკრა.

— რა გატირებს, გო? ჰატ, შე ქაღალდით ნაშენო!

ნინას წამწამებზე დაკიდებული ცრემლები მოსწყდა, ტუჩები აუთრთოლდა, მკერდზე მიაყრდნო ძმას თავი.

— არ ვტირი... თავი სიზმარში მგონია.

— კარგი ახლა, გვეყოფა! — სთქვა სამსონმა და თავი გაინთავისუფლა. მაზარა გაიხადა, წელზე ქამარი გაისწორა.

სალომემ კართან ატუზული ბავშვები დაინახა.

— დედა-შვილო! შემოდით, ბებიკო, შინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონმა ბავშვებს ხელები მოხვია.

— ხედავ, რამხელა გაზრდილან ეს ცუგრუმელები!

სალომე უკვე ჭადს ზელდა. მალე ნაღვერდალი გაჩხრიკა და კვერი ჩააგდო, შამფურზე შაშხი ააგო. ხელმარჯვედ საქმიანობდა, ჯარასავით ტრიალებდა. ასეთი იყო ის მუდამ — დაუცხრომელი, ხელხვავრიელი.

— ნაზიკო, წადი, ბებიკო, ახლა შენ შინ. დედაშენს და მამაშენს სამსონის ჩამოსვლა ახარე. შენ, გივი, მათესთან ჩაირბინე. ყველას გააგებინეთ, ყველას, ჩვენი ბედნიერება... ნინა, გო, ბუხარში ცეცხლი დაანთე, ოდა მიალაგე, სტუმრები გვეყოლება.

რა გემრიელია დედის გამომცხვარი კვერი! როგორ დნება პირში დედის ნახელავი შაშხი! ალივით კაშკაშებს ჩაის ჭიქაში ადესის ღვინო.

დიდი ხანია არ უგრძვნია სამსონს საჭმელის ასეთი სიტკბო.

ოდიდან ნინამ ჩამოირბინა, ძმას ხელი გამოსდო.

ფართო დარბაზი სუფთად იყო მილაგებული; ბუხარში ანთებული ცეცხლი ირგვლივ საამო შუქსა ჰფენდა. გრძელ მაგიდაზე არყით სავსე სურა იდგა; იქვე დიდ ლანგარზე — ახალ მოკრეფილივით ცოცხლად შენახული ჩხავრის ყურძენი, ჩურჩხელები, მსხალი.

სამსონი მეტისმეტად დატვირთული იყო ტკბილი განცდებით, მაგრამ აქ მაინც აღმოჩნდა მის გულში ერთი კუნჭული ახალი სიამის მისაღებად.

მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს, ქათქათა ფარდებს, თოვლივით თეთრი საბნის ქვეშ ჩაგებულ ქვეშაგებს, უნაოჭოდ აბურთულ ბალიშებს, მოკრიალებულ იატაკს, ყველაფერს ნინას მზრუნველი ხელი ემჩნეოდა.

სამსონმა კედელზე ჩამოკიდებული სურათები შეათვალიერა; გულის ჯიბეზე ხელი მოისვა, ეთერი მოაგონდა.

— მართლა, ნინიკო, როგორაა, გო, შენი საქმე? არავინ აღმოჩნდა შეი შესაფერი?

ნინამ თვალები დაჰხარა.

უმალვე იგრძნო სამსონმა, რომ შეცდომა დაუშვა. დის გულის მოსაგებად ჯიბიდან ეთერის სურათი ამოიღო, ქურდულად დახედა, მერე ნინას გაუწოდა.

— რას იტყვი, ნინა, დაშვენდება თუ არა, ეს რომ სხვა სურათებთან დავკიდოთ?

ნინა წამსვე გამოცოცხლდა, სამსონს სურათი გამოართვა, ხანგრძლივად დააცქერდა მხედრულად გამოწყობილ ახალგაზრდა ქალს.

პირველად არ მოეწონა, მხედრული სამოსი ჩრდილავდა ეთერის კეთილმოსილებას, ხოლო შემდეგ ეთერის თვალებმა მიიზიდეს, მოხდენილმა ტუჩებმა თითქო სიყვარულით გაუღიმეს.

— ვინ არის, სამსონ, ეს ქალი?

— ერთი ჩემი ნაცნობია.

ნინამ სამსონს ახედა. ხმაშიაც და სახის გამომეტყველებაშიაც შეამჩნია, რომ სამსონის სიტყვების უკან რაღაც დიდი ამბავი იმალებოდა.

— არა, დედას გაფიცებ, მართალი მითხარი!

— კარგი, მერე გიამბობ.

— ახლა, ახლა, შემოგევლე, ძმიკო! — წამოიძახა ნინამ და სამსონს მოეხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტისმეტად გაუძნელდა სამსონს ეამბნა თავისი სიყვარულის ისტორია, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით ანიშნა.

ნინასათვის ესეც საკმაო იყო. ერთხანს თითქო შურით უცქერდა ერთმანეთს, მერე უცებ სურათი მკერდზე მიიხუტა, შეფართქალდა.

— შენი ჭირიმე, ძამიკო, შენი ჭირიმე! რა გაეხარდება დედას,—წამოიძახა ეს და ადგილიდან მოსწყდა, კარი ღია დასტოვა, სამზარეულოში ჩაირბინა.

— რა გახარო, დედა, რა გახარო!

სალომე დაკლულ ინდაურს ასუფთავებდა, თავი არ აუწევია, ისე იკითხა:

— რა იყო, გო? სიხარული მაკლია მე დღეს?

— არა, ერთი ამას შეხედე! აბა, თუ მიხვდები, ვინ არის?

სალომემ ცალყბად აჰხედა სურათს, მხედრულად გამოწყობილი ეთერი ვაჟი ეგონა.

— სამსონის ამხანაგი იქნება.

— მეტი არაფერი? არა, აგერ მოდი სინათლეში, კარგად დააკვირდი.

— რა მოუვიდა ამ გადარეულს! მაცალე, გო, ვახშამი დამიგვიანდება.

— მოდი-მეთქი, დედიკო! არ გესმის?

სალომემ ინდაური გრძელ სუფრაზე დასდო. კართან მივიდა, სურათს დაჰხედა.

— ვერ მიხვდი?

სალომემ თავი გაიქნია.

— ვინ არის?

— სამსონის დანიშნულია.

— აჰ?!

ჯერ ნინას შეავლო თვალი, ხომ არ მატყუებსო, მერე სურათი გამოართვა და სინათლეზე დახედა.

ჰო, ეს არის! რამდენი ხანია მოელის, მისთვის შეალია სიცოცხლე ამ კარმიდამოს. ახლა მოვა ის, დაამშვენებს აქაურობას, როგორც გახარებული ნერგების ყვავილი. რა კეთილი თვალები აქვს!

— მოდი, შვილო, მოდი, ჩემო სანატრელო! — ჩაილაპარაკა ხორცშესხმული ოცნებით გულდამტკბარმა დედამ, მერე მავედრებელი ხმით დასძინა:

— ღმერთო, ბედნიერი ჰქენი! მომასწარი ამათი შვილები!

ჭიშკარი გაჭრიალდა. ნინამ დედას სურათი გამოართვა და ბიძასა და ბიცოლას გაეგება, ოდაში შეუძღვა.

— ისე შენ გაიხარე, რავაც ჩვენ გაგვახარე! — იმეორებდნენ ალათი და მათე, სამსონს სიყვარულით ეხვევოდნენ.

ბუხართან რომ დასხდნენ, სამსონმა მათე და ალათი ერთხელ კიდევ შეათვალიერა, გულისტკივილით გაიფიქრა: „ძალიან მოტეხილან. მათეს არც თმაში და არც მეჩხერ წვერულვაშში ჭალარა თითქმის არ ურევია, მაგრამ მეტის-მეტად გამხდარა. დიდრონ, თაფლისფერ თვალებს კი ძალა და ბრწყინვალება არ მოჰკლებია. ალათის სახეზე სიგამხდრე არ ეტყობა, მაგრამ ძალზე დალეულა, მხრებში მოხრილა. არ გაემტყუნებათ, სამი შვილი ჰყავთ ფრონტზე“.

— ნამეტანი გამხდარი მეჩვენები, ბიძია!

— ჰო, ბიძია. ჭალაში ციება შემეყარა, იმან მომსპო, მარა, ეს არაფერია. ყველა ჩემსავით დალეული არ გეგონოს. ქე ვართ ჩვენ აქანე მარჯვედ,

ვშრომობთ, ვიბრძვით, რაც გაგვივა. შენ ის მითხარი, რავაა, ბიძია, ახლა ჩვენი საქმე, თუ ატყობ?

— ძალიან კარგად. ხომ გაიგეთ, რა დღე დააყენეს ჩვენებმა ფაშისტებს?

— კი, რავა არა... ჩემი ბიჭების ამბავი ხომ არაფერი გაგიგია?

— არა, მე სხვა მხარეს ვიყავი. ისე ნუ გეშინია, კარგად იქნებიან.

— კაი დაგემართოს... ჰეი, ბიძია, რა ბედნიერი დღე იქნება, ჩემი სიმწ-რით ნაზარდი ბიჭებიც რომ შენსავით მშვიდობით დამიბრუნდებიან!

— ნეტავი მაგას მოვესწრებოდე!

— კაი, ქალო, კაცი იმედით ცოცხლობს! — მტკიცე ხმით სთქვა მათემ, ადგა, ღვინის ჭიქა არყით გაავსო, ისე წარბშეუხრელად შესვა ცეცხლივით მაგარი არაყი, თითქო ტკბილი სასმელიაო. მერე სამსონს გვერდით მიუჯდა.

— ჰო, ბიძია, გახსოვს, ჭალაში სანადიროდ რომ წაგიყვანე? ის იყო, ცი-სიერი გამოჩნდა და კიდევაც მოფრინავს თვალუწვდენელ სიმაღლეზე ერთი იხვი. დავუმიზნე ჩემი ცალპირა თოფი. ვინ იფიქრებდა იმ სიმაღლიდან იხვის ჩამოგდებას, მარა გახსოვს, რავა მოწყდა და წამოვიდა ძირს? ასეა ჩვენი მტრების საქმე. ძაან შორს დაფრინავენ, მარა არაფერია, სადაც იქნება მო-იტეხენ კისერს...

მალე სამსონის სიძე და დაი — კონსტანტინე და ლენაც გაჩნდნენ. მათ ნა-ზიკო მოუძღვებოდა.

დედმამას მიასწრო გათამამებულმა გოგონამ და სამსონს ყელზე მოჰხვია ხელები.

ოდის ფართო დარბაზი დილის შუქივით მოზღვავებულ სიხარულს ვეღარ იტევდა. აღათი ფარულად იწმენდდა ცრემლებს. სახეგაბრწყინებულ ლენას აღტაცებისაგან რა ექნა არ იცოდა; ათას კითხვას აძლევდა ძმას, პასუხს აღარ უცდიდა, სიყვარულით უსვამდა თავზე ხელს, თითქო სამსონი ისევ პატ-რაააო, დედა შინ არ არის და დედის მაგიერობას ლენა უწევსო. ბოლოს ოდა-ში ვეღარ მოისვენა, სალომესთან ჩაირბინა, ვახშმის სამზადისში შეეშველა.

ნინაც იქვე იყო, ხაჭაპურებისათვის ცომს ზელდა.

— არიქა, გო, ღამდება! ღვინო ამოუღებელი არ დამრჩეს! — წამოიძახა სალომემ, ჩაფს ხელი დაავლო, მარანს მიაშურა, გადათოვლა, სავსე ჭური მოხადა.

სამსონის მოსვლა მთელი უბანს მოედო. მოდიოდნენ ნათესავები, მეზობ-ლები, უმთავრესად მოქმედ არმიაში მყოფ მებრძოლთა დედები.

რამდენჯერმე მოინდომა სამსონმა, ეამბნა მათთვის, თუ რა ხდება ფრონტ-ზე, მაგრამ დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. სად იპოვნოს ისეთი სიტყვები, ამათთვის გასაგები, რომ თანამედროვე ომის გრანდიოზული სურათი დახა-ტოს? ამიტომ ისევ კითხვებზე უპასუხებდა მოკლედ, ცდილობდა საუბარი აქაურ ამბებზე გადაეტანა. ამ დროს მათე მიეშველებოდა თავისი დამტკბა-რი ხმით:

— ჰო, ბიძია... ჩვენ რა გვიშავს, აგენს რას უყურებ, ქალისათვის ცრემლი მალამოა. ესენი სულ ასე დამწუხარებული არ გეგონოს. კაი ვაჟკაცივით მუ-შაობენ. მოსავალი ისე ავიღეთ, ვითომ სოფელს ერთი კაციც არ მოკლებო-დეს. წელს არც ერთი ნაჭერი მიწა არ დაგვრჩება დაუთესავი. აგერ სერზე ჩქოლნარე რომაა, მამაშენი იქინე მიმინოს იჭერდა, იმასაც გავკაფავთ, კარ-თოფილს და სიმინდს მოვიყვანთ... ჰო, ბიძია, ჰო, პატარე ჩვენც ქე გვესმის,

ჩვენს ჯარს ზურგი უნდა გავუმაგროთ. ახლა ყველა სადარაჯოზე ვართ, გოგოები გინდა, სამოცდაათი წლის მოხუცი გინდა, სუყველამ ხელი [illegible].

ამასობაში ვახშმობამ მოაწია. გრძელ სუფრაზე ჩამოარიგეს [illegible] ლის ღომი, საცივი, შაშხი, ნიგვზის ზეთში ჩაწყობილი შემწვარი ქათამი, ხაჭაპურები.

თამადობა კონსტანტინემ იკისრა. სიდარბაისლე შვენოდა კონსტანტინეს. მისგან საწყენს ვერავინ გაიგონებდა. ღვინო უყვარდა, მაგრამ სმის დროს უფრო დატკბებოდა, ვიწრო ნიკაპზე მუდამ ღიმილის შუქი უქროდა.

დედა არ დამჯდარა, სტუმრებს ემსახურებოდა. მკვირცხლად მიმოდიოდა სახეგაბრწყინვებული. რომელიმე მეზობლის გვერდით შესდგებოდა, შვილზე ორიოდე სიტყვას ეტყოდა, თავის ბედნიერებას უზიარებდა. უფრო ხშირად კი სამსონის მახლობლად გაჩნდებოდა, თან იმასაც ცდილობდა, რომ შვილი ზედმეტი მზრუნველობით არ შეეწუხებინა, მხოლოდ ხანდახან შეახებდა მხარზე ოდნავ ხელს, მღიმარე თვალებით მიუალერსებდა.

თამადას სადღეგრძელოები გაუმრავლდა. თვითონაც ხარბად სვამდა და სხვებსაც ისეთი გულითადი სიყვარულით შესთავაზებდა, რომ უთუოდ დაალევინებდა.

სამსონი შეზარხოშდა. ღვინომ კი არ აიტაცა, ისეთი შუქი დაეუფლა, რომელიც მამა-პაპური ოჯახის სიღრმიდან ამოდის, დედის, დების, ნათესავებისა და მეზობლების თვალთაგან გამოკრთის. მხოლოდ ერთი ხინჯი ჩარჩენოდა გულში, ეს იყო ომში წასულ ვაჟკაცთა დედების სევდიანი გამომეტყველება. ვინ იცის, რომელი მათგანი დაიწყებს მოთქმას ისე, როგორც დღეს მოესმა ორღობეში.

აეგზნო, ჭიქა ასწია, წამოიმართა. თვალთაგან მრისხანების ცეცხლი გადმოაფრქვია. არა, ეს მრისხანებაზე მეტი იყო, ეს იყო ის ძალა, რომელიც ყოველგვარ გაჭირვებას არარად მიიჩნევს, რომელიც სიკვდილისადმი შიშსაც სძლევს, ეს იყო მტრის სიძულვილი.

ყველა სულგანაბული უსმენდა. სამსონი მაინც უკმაყოფილო იყო, გრძნობდა, რომ მეტისმეტად უჭირდა თავისი გულის ნადების გამოთქმა. ერთ წამს შეჩერდა, თვალი ირგვლივ მიმოატარა.

— ჰო, ბიძია, ჰო! — ჩაურთო სიტყვა მათემ. — ჩვენ ხომ არ შევსევივართ. ისინი მოიწევენ ცოფიანი მგლებივით. ვიცით ჩვენ ცოფიანების წამალი. ტყვია უნდა არტყა გულში და მერე ღრმად უნდა ჩააგდო მიწაში, რომ ცოფი სხვებსაც არ გადაედოს.

— თქვენ კიდევ არ იცით, ვინ არიან ჩვენი მტრები. — განაგრძო სამსონმა. — მე ვნახე ისინი, ვნახე მათი ნამოქმედარი: გადამწვარი სოფლები, ნამუსახდილი ქალები, დახოცილი ბავშვები, სახრჩობელები... ეჰ, რა ენა გამოთქვამს! მე ძვალრბილში გამიჯდა მათი სიძულვილი... ვიცი, ბევრი ჩვენგანი დაეცემა ბრძოლის ველზე, რა გაეწყობა. მაგრამ სიკვდილის იმას ეშინოდეს, ვისაც მომავალი არა აქვს. ჩვენ კი... აი, მე დღეს შინ რომ მოვდიოდი, ჩაუქრობელი თვალებით შემომეგება მთელი ეს მიდამო... არ ვიცი, როგორ ვთქვა... ჰო, მაშინ უფრო ღრმად ვიგრძენი: თუნდაც რომ არ დავბრუნებულიყავი, ჩემი წილი შუქი აქ მაინც დარჩებოდა... ჰო-და, ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ გვიყვარს სამშობლო, კაცობრიობა, გვიყვარს ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი, გესმით, ადამიანი! რა ძალა დაუდგება წინ ამ სიყვარულს? ამიტომ ვართ ჩვენ უძლეველი...

დედა თვალმოუწყვეტლივ შესცქეროდა სამსონს. გული სიამე ვერ იტევდა. თან მეტად ამაღელვებელ სიამაყეს გრძნობდა: სოფლის უბრალო მშრომელმა ქალმა აღზარდა ეს სიტყვამზიანი ვაჟკაცი. მას მარტოოდენ თავისი კარმიდამო როდი შეჰხარის, იგი მთელ სამშობლოს ამშვენებს.

გაზაფხულის შუქივით იღვრებოდა დედის არსებაში ეს ცხოველი გრძნობა, უღრმესი სიხარულის გრძნობა.

*
* *

დილით სამსონს გვიან გამოეღვიძა. აივანზე გავიდა.

თოვდა. სივრცე ხშირ ფანტელებს დაებურა. თეთრად შესუდრულ, ტოტებდახრილ ხეებს იქით ქედი აღარ მოსჩანდა.

ისეთი დუმილი სუფევდა, გეგონებოდათ, სწრაფად მოძრავი ფანტელი რომ ფანტელს მოხვდეს, მის ხმასაც გაიგონებდით.

ჯერ ეამა სამსონს ეს უდრტვინველი სიმშვიდე, ეს განმარტოება, მერე თითქო ეთერის თვალთა სხივს გააყოლა მზერა და უმალვე ფრონტელი აშხანაგები მოაგონდა. ერუანტელმა დაუარა. თოვლის ფანტელებით დაბურულ სივრცის მიღმა გადაიხედა, ბრძოლის შორეული გუგუნი მოესმა, იერიშზე მიმავალი რაზმები დაინახა.

და გულში აღძრული მღელვარება იმით დაიყუჩა, რომ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გასწით, ბიჭებო, გასწით! მალე მეც თქვენთან ვიქნები...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკ. გელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა[1]

უკვე ბნელოდა და ლაშქარი დიღმის მინდვრებზე მიდიოდა, როდესაც ჩამორჩენილი ბესიკი ბოლოში მოქცეულ ყარაჩოხელთა ასეულებს წამოეწია.

ცა საოცრად მჭიდროდ იყო მოჭედილი ვარსკვლავებით. მთელი გარემო უზარმაზარი, ნაპირებ-მომტვრეული ქაშანურივით იყო ჩაღრმავებული და ისე ბნელოდა, არაფერი არა სჩანდა. მოლაშქრეებს სადავეები მიშვებული ჰქონდათ. ცხენები ჭკვიანად მისდევდნენ ერთმანეთს. ხანდახან ისმოდა ჯარჩების ძახილი:

— შესდექით!

ეს იმის ნიშანი იყო, რომ ან ხიდზე გადიოდა ლაშქარი, ან ფონი იყო მოსაძებნი. საჭირო იყო შეჩერება, რომ წესიერება არ დარღვეულიყო და წინა ასეულებისათვის მომდევნოებს ხელი არ შეეშალათ. ბოლოში მოქცეულ ამქართა ათასეულს ყველაზე დიდხანს უხდებოდა გულის გამაწყალებელი ლოდინი, თუმცა ყარაჩოხელებს ეს სრულიად არ აწუხებდათ. ზოგი მღეროდა, ზოგი შაირობდა, ისმოდა სიცილ-ხარხარი, თითქო ომში კი არა, ქორწილში მიდიოდნენ ყველანი.

ყარაჩოხელები ქალაქის ხელოსნები იყვნენ და რადგან ჯერ კიდევ თეიმურაზის დროს მათ სხვა ჯარისაგან განსასხვავებლად ლაშქრობის დროს შავი ჩოხის ტარება დაუწესეს, ამისათვის ყარაჩოხელები უწოდეს. ხუთიათასი ხელოსნისაგან, რომელიც იმ დროს თბილისში ირიცხებოდა, მხოლოდ ათასი კაცი ვარგოდა მოლაშქრედ. დანარჩენები სულ კუზიანები, ბრუტიანები და კოჭლები იყვნენ, რადგან იშვიათად თუ გაიმეტებდა იმ დროს მებატონე საღ-სალამათი ყმა შეგირდად მიებარებინა. ამიტომ საღი და ჯანმრთელი ხელოსნები სულ ამ კუზიან-ბრუტიან მოქალაქეთა შთამამავალნი იყვნენ.

ყარაჩოხელები ხშირად ახლდნენ ბატონს ლაშქრობაში, რის გამოც თავიანთ ამქრისაგან ყველაფრით ერჩოდნენ: რაინდული ზნეობით, გამტანობით, საამოდ მომლხენნი, კარგის სიტყვისა და პასუხის მქონენი, კარგის ჩაცმისა და დახურვის მოყვარულნი იყვნენ.

ბატონის სუფრაზე ნადიმობის დროს მოქალაქეთაგან მხოლოდ სოვდაგრებსა და ყარაჩოხელებს იწვევდნენ. ჰამქრის უსტაბაში თუ ყარაჩოხელი არ იყო, სასახლეში არც შეუშვებდნენ.

შუადღეზე, როდესაც თათრის მოედანზე დატუსაღებული თახსიმ ბეგ და ფეხტი ბეგ ჩაატარეს, ქალაქში ხმა გავარდა, ბატონი სალაშქროდ მიბრძანდებაო. მაშინვე ჰამქრის უსტაბაშებმა მოურავისა და მელიქ-მამასახლისის პირით ერეკლეს შეუთვალეს, ათასი კაცი გვიახლებიაო.

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი", №№ 4 — 5, 6.

ერეკლე ძალზე გაახარა ამ ამბავმა. ყორჩიბაშს უბრძანა, თოფხანიდან მათ-თვის იარაღი დაერიგებინა.

ნადიმზე ბატონს მეორე სასიხარულო ამბავი მოახსენეს. თელავიდან გიორგი უფლისწულის მალიადმსრბოლი მოვიდა და ამბავი მოიტანა, ბატონიშვილს ათასი კაცი სიღნაღს გაეგზავნა, თითონ ორი ათას ხუთასი ცხენოსანი თბილისს მოდიოდა და უკვე უჯარმას გამოსცილებოდა.

ერეკლემ შიკრიკს ხალათი უბოძა. ჯერ, ამ ამბით გახარებულს, უნდოდა სურამს გამგზავრება ერთი დღით გადაედო, მაგრამ რადგან საქმის გადადება ცუდად ჰქონდა დაცდილი, ლეონს უბრძანა ლაშქარს გაძღოლოდა. თითონ დავითის თანხლებით გიორგის შესაგებებლად გაემგზავრა, რათა კახეთის ჯარი მოკლე გზებით პირდაპირ წაეყვანა სურამისაკენ.

ერეკლე ფიქრობდა, რომ ლეონს ქსანთან დაეწეოდა, რადგან დილას ლაშქარს ორი საათით დასჭირდებოდა შეჩერება. იქ კარგი საბალახო იყო და სანამ მხედრები ცხენებს მოაძოვებდნენ, ერეკლე მათ კახთა ლაშქრით დაეწეოდა.

საღამოს ლეონი თავისი ამალით საბურთალოსკენ გაემართა, სადაც ჯარმა მთელი ლაშქარი ასეულებად დააწყო და გრძლად დაწერილი ლექსივით უზარმაზარ მინდორზე სტრიქონებივით ჩაამწკრივა.

ლეონმა სარდლების თანხლებით მოლაშქრეებს ჩაუარა, განსაკუთრებით ახლად მოსულ ყარაჩოხელთა ასეულებს დააკვირდა და ბევრი მათგანია იარაღ-საჭურველი შეამოწმა. ოცდაათი კაცი ლაშქრიდან დაითხოვა: ზოგს ცხენი არ უვარგოდა, ზოგს იარაღი, ზოგი თითონ არ ვარგოდა. შემდეგ სარდლებთან ერთად ლაშქარს სათავეში ჩაუდგა, მესაკრავეებმა ნაღარას დასცხეს და ტაეპებად ჩარაზმული ლაშქარი ნელა დაიძრა.

ბესიკი ამ დროს გიორგი უფლისწულის წალკოტში დარბოდა და ანას დაეძებდა. მთელი დღის განმავლობაში სალაშქრო სამზადისით იყო გართული და საღამოზე არც კი ფიქრობდა პაემანზე წასვლას, მაგრამ სწორეთ ცხენზე მეჯდომის წინ გულმა ისე მძლავრად დაზიდა უკან, ისე შეიპყრო ანასთან შეხვედრის სურვილმა, რომ მაშინვე ისარგებლა საერთო ორომტრიალით და შეუმჩნევლად გიორგის ბაღისაკენ გაემართა.

ჭიშკარი რომ შეაღო, გული მძლავრად უცემდა. მაშინვე მიმოიხედა იმ იმედით, რომ თვალს მოჰკრავდა გრძელნაწნავებიან ანას. ათასნაირად ხატავდა მასთან შეხვედრას და გული ტკბილად სტკიოდა. ახალგაზრდული გატაცება უფრო მეტს აფიქრებინებდა, ვიდრე ეს დასაშვები იყო.

სწრაფად დაიარა ხეივნები, ვაზებით დახლართული ტალავერები, ჩარდახები, მაგრამ მთელ წალკოტში ადამიანის ნასახიც კი ვერ აღმოაჩინა.

გული დასწყდა.

კიდევ მიმოიხედა, გულმოსულმა ხელი ჩაიქნია და უკან გაბრუნდა. ათასნაირად სწყევლიდა თავის თავს, რომ გზაზე დამდგარმა მხარი იქცია.

ჭიშკართან რომ მივიდა, ატმებში თითქო რაღაცამ გაიელვა. ბესიკმა სწრაფად გადაუხვია ატმებისკენ და გული ისე აუჩქროლდა, რომ სული ძლივს მოითქვა.

ატმებში გრძელ თავშალში გახვეული ქალი იდგა და, როგორც ეტყობოდა, მას ელოდებოდა.

— ბესიკი ხარ? როგორ შემაშინე. აქ ვის დაეძებ? — სიცილით მიმართა ქალმა და ბესიკმა მაშინვე იცნო მაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არავის, მებაღე უნდა მენახა... — დაბნეულად უპასუხა ბესიკმა და მაიას ნელა მიუახლოვდა.

— მებაღე? ვარდების თაიგული ხომ არ გინდოდა?

— არა... ისე...

— განა სალაშქროდ არ მიდიხარ?

— როგორ არა.

— მერე და ლეონი წაბრძანდა უკვე.

— არა უშავს-რა. ისეთი ცხენი მყავს, დილასაც რომ დავედევნო, მაინც დავეწევი. ერთი ეს მითხარ, მაია, შენ რისთვისღა მოსულხარ აქ?

— მეე? — გაიცინა მაიამ და თვალებში შეხედა...—განა ყველაფერი უნდა იცოდე? ადრე დაბერდები.

— არა მართლა? თუმცა... — შედგა ბესიკი და გაბრუნება დააპირა: — მე რა მესაქმება, იქნება, იდუმალად ელოდები ვისმე.

— შენი ნახვა მინდოდა.

— ჩემი? მერე რა იცოდი, რომ მოვიდოდი?

— ვიცოდი, — მაიამ ხმას დაუწია და მიმოიხედა: — წამოდი, ჩარდახში ჩავიდეთ, არავინ დაგვინახოს.

ჩარდახში ბნელოდა. მერხზე ჩამოსხდნენ. მაიამ თავშალი მოიხსნა, კაბის გულისპირში ხელი ჩაიყო, პატარა, ოთხად მოკეცილი ბარათი ამოიღო და ბესიკს გაუწოდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ბესიკმა და ბარათს დახედა, თითქო ეშინოდა გამოერთმია.

— მიიღე, ესე უსტარი არს ჩემგან მონაწერია, — სიცილით უთხრა მაიამ და ბარათი ხელში ჩაუდო: — შენი ასმათობა მარგუნა ბედმა. ვინ იცის, იქნება ქვაბში ერთად მოგვიხდეს ცხოვრება... თუ ტარიელივით ველად გაჭრა დაგჭირდეს. ეგ არის, რომ ნესტანის მაგივრად დავარია შენი მიჯნური...

— რას ამბობ, მე შენი არა გამეგება რა?

ბესიკს არ მოეწონა მაიას დამცინავი კილო და ამიტომ თავი მოიკატუნა, თითქო ვერ მიხვდა, ბარათი ვისგან იყო გამოგზავნილი. არც ის მოეწონა, რომ ანას თავის გულის მესაიდუმლედ მაია გაეხადნა. ანა-ხანუმისაგან იცოდა, რომ მაია დარეჯან დედოფლის მსტოვარი იყო და მის ხელში ჩავარდნა დალუპვას ნიშნავდა. ამიტომ ახლა საგონებელში ჩავარდა. არ მიეღო ბარათი და უკანვე დაებრუნებინა, სისულელე იქნებოდა, სულ ერთია მაია არ დაუჯერებდა, რადგან ბაღში პაემანზე მოსული ნახა. მიეღო ბარათი და ეს მაიას კლანჭებში ჩავარდნას უქადოდა, რაც ბესიკისათვის არ იყო სასურველი.

მაია თითქო მიუხვდა გულის ნადებს:

— ნუ გეშინიან, ბესიკ, ჩემი. ღვთისმშობლის ხატთან დამაფიცა, თუ ეს საიდუმლო გაგემხილოს, ჩემმა ცოდომ საიქიოს ადუღებულ კუპრში გამყოფოსო. ეგეც რომ არ იყოს, ასეთ ცოდოს როგორ ჩავიდენ. რაც მამაშენსა და შენს ოჯახს უბედურება გადახდა, განა ის არა კმარა თქვენთვინა...

— ქალო, გამაგებინე მაინც, ვისგან არის ეს ბარათი?

— ბატონის დის ანასაგან, — ჩურჩულით უთხრა მაიამ და ისე ახლო ჩაჰხედა სახეში, თითქო უნდოდა ამ ბინდ-ბუნდში მისი გამომეტყველება ამოეკითხა. — განა არ იცი, ვისგან უნდა ყოფილიყო?

ახლა კი საჭირო იყო სწრაფი მოქმედება: ან უნდა გაეხადა ბესიკს თავის

გულის მესაიდუმლედ ეს ცბიერებით აღსავსე კეკლუცი ქალი და სამუდამოდ მის კლანჭებში ყოფილიყო, ან არა და თითონ უნდა დაემორჩილებინა, ან სწრაფად თავის გავლენის ქვეშ მოექცია. ამისათვის ერთადერთი საშუალება არსებობდა: ახლავე, ლაშქრობაში წასვლამდე, მაია თავის სატრფოდ უნდა გაეხადნა. მაგრამ განა აგრე ადვილი იყო სასახლის კარზე გაზრდილი და გამოქნილი ქალის ერთის ხელისდაკვრით დამორჩილება?

— ბატონის დისაგან? — გაიკვირვა ბესიკმა: — ხუმრობ, მაიავ? მე მართლა სამიჯნურო ბარათი მეგონა მომიტანე...

— იიჰ! — ისეთი კილოთი წამოიძახა მაიამ, რომ ბესიკს აგრძნობინა, თავს ნუ იკატუნებო.

— ალბათ, საქმეს მავალებს და შენ კი...

— წაიკითხე, გენაცვალე, და...

— არა ხუმრობ?

— არა, იმისმა მზემა, — მაია ფიცში ანას გულისხმობდა. — ყმაწვილი ხომ არა ვარ.

— ეგ როგორ იქნება, — გაიოცა ბესიკმა: — სამი ჩემოდენა ხნის ქალია. ალბათ, გაგიჟებულა, დედად შემეფერება...

— უი გენაცვალეთ! — იტაცა ეშმაკურად მაიამ: — ახლა ამბობ მაგასა, ქალი გაგიჟებულია, დღე და ღამე სულ შენზედ ფიქრობს... შენზე უფროსი თუა, ბა რომელი ცამეტის წლის გასათხოვარი შეეცილება სილამაზეში ან კიდევ მეფის გვარის ხალხის წლოვანების ხსენება ვის გაუბედნია, შენ რომ მაგეებსა ბრძანებ?

— შენც გამწირე, მაიავ? — ბესიკმა გადასწყვიტა, რომ ამ ქალთან ლაპარაკით ვერას გახდებოდა და სწრაფად უნდა გადასულიყო შეტევაზე.

— როგორ? რისთვის გამიწირიხარ? ბედს გაწიე და გამიწირიხარო... მეგონა, სამახარობლოდ ერთ კარგ რამეს მაჩუქებს მეთქი... დაიცა, ეგ რას სჩადიხარ... ვინმე დაგვინახავს... თავი მომეჭრება...

მაია თითქო ებრძოდა ბესიკს, გულზე ხელებს აბჯენდა, საკოცნელად არ იკარებდა, თავს მალავდა. ერთხანს გაქცევაც დააპირა. მაგრამ ბესიკმა იგრძნო, რომ ბრძოლა მოგებული ჰქონდა და როდესაც ნაწნავებში ხელი სტაცა და თავისკენ მიახედა, მაიამ თვალები მილულა და მოსხლტა. მთელი ტანი უთრთოდა. ალბათ, წაიქცეოდა, რომ ბესიკს ხელი არ მიეშველებინა.

— ჩემო მზეო, — წასჩურჩულა ბესიკმა და მაია გულზე მიიკრა: — განა შენს მეტი შეიძლება ჰყავდეს სატრფო კაცსა?

— დაიკარგე! — უთხრა ოდნავ დამშვიდებული ხმით მაიამ, გულზე ხელები მთელი ძალლონით მიაბჯინა და თავი გაინთავისუფლა. — შენ ყველას ეუბნები, ჩემო მზეო, ჩემო მთვარეო, ჩემო... ჩემისთანა ქვრივ-ოხრებთან შენ რა გესაქმება!

— არავისაც არ ვეუბნები. გინდა დავიფიცო.

— არ მინდა შენი ფიცი.

— მაშ რით დაგიმტკიცო?

— ვერაფრითაც ვერ დამიმტკიცებ. ალბათ, ხვალვე წახვალ და შენს დედობილს ანა-ხანუმს უამბობ, მაია ჩემი საყვარელიაო.

— ეგ რაღა მოიგონე! სად გაგონილა, რომ ვაჟკაცი ქალებში ჭორიკანაობდეს?

— მაშ რა უსტარებს უკითხავ ანა-ხანუმს? ის ვისი სიყვარულის ბარათი იყო, ამასწინად რომ წაუკითხე?

— ერთი შენცა, მე რაღაც მეგონა! მამი-ჩემის ბარათი იყო, ბატონიშვილის წერილი.

— გუშინწინ რომ გკითხე, მამისგან ბარათი მიგიღია-მეთქი, რისთვის იუარე? ტყუილების გუდა ხარ.

— ჩემმა მზემ, მამი-ჩემის ბარათი იყო-მეთქი.

— აბა მაჩვენე, ახლა გავიგებ, თუ არა ცრუობ.

ბესიკს ცინალამ წამოსცდა, ბარათი სოლომონ ლეონიძის ხელით ბატონს მივართვიო, მაგრამ უცბად ტუჩზე იკბინა და თავი შეიკავა. მიხვდა, რომ ამ ბარათს უმიზეზოდ არ დაეძებდნენ და ისევ ეშმაკობა არჩია.

— აბა, როგორ გიჩვენო: სალაშქროდ მივდივარ და ბარათებს ჯიბით ხომ არ ვატარებ.

— განა არა, ვთქვი, ტყუილების გუდა ხარ-მეთქი.

კილოზე ეტყობოდა მაიას, რომ დაიჯერა ბესიკის სიტყვა, ამიტომ ბესიკმა თამამად მოხვია წელზე ხელი და თავისკენ მიიზიდა. მაია არ გაუძალიანდა.

— ანას რა მოვახსენო? — ჰკითხა მაიამ.

ბესიკს გაეცინა.

— ვითომ მე რომ არ გასწავლო, შენ კი ვერ მოახერხებ სიტყვის თქმასა? უთხარი, შენი უსტარის ყოველ სიტყვას ეამბორა თქო. ახლა დროა წავიდე, თორემ მთლად დაბნელდა... დამლოცე, მაიავ, ომში მივდივარ.

მაიამ უცბად მოხვია ცისერზე ხელები ბესიკს, ათრთოლებული ტუჩებით შუბლზე აკოცა და ჩურჩულით უთხრა:

— ღვთიშობელი მარიამ იყოს შენი მფარველი!

მერე უცბად მოიხსნა ალმასის თვლიანი პატარა ჯვარი და გულზე შეაბა. ჯვარი ახალუხის საყელოში ჩაუცურა და ხელით მოსინჯა.

— ეს ჯვარი იყოს შენი მცველი.

როდესაც ბესიკი ცხენზე შეჯდა და ლაშქარს დაედევნა, მწარე ფიქრებმა გაიტაცა.

მას ხანგადასული ქალი უგზავნიდა სატრფიალო ბარათს და ომში მიმავალს გზას ულოცავდა მსუბუქი ყოფაქცევის სეფექალი.

არ იყო კმაყოფილი თავისი ბედისა.

ცხენს მათრახი გადაჰკრა და ცას ახედა. ვარსკვლავებით მოჭედილი იყო ცა. ავთანდილიც მიაჭენებდა თავის რაშს და უმღერდა ვარსკვლავებს:

„აჰა მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტორიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან.
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან,
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან“.

ვის გააგონონ ვარსკვლავებმა ბესიკის გულისთქმა?

მაიას?

თუ გულნარას?

. . . . . .

ანას!

. . . . . .

ისევ გაუტკაცუნა ცხენს მათრახი ბესიკმა და ასეთი მოპყრობისგან ბრაზული აფხაზურა გაფრინდა საბურთალოს შარაზე. ქარი ყურებში ეცემოდა ბესიკს, სახეში სცემდა და ცხენის ფაფარს აფრიალებდა. ბნელოდა, მაგრამ გამოცდილი ბედაური თამამად მიჰქროდა შარაზე, თითქო მასაც სურდა გაეფანტა თავისი კაეშანი. მიჰქროდა და მიაპობდა ჰაერს. ახლად დაჭედილი ნალები ჰკვესავდნენ ქვებზე და უხვად აბნევდნენ ნაპერწკალთა ვარსკვლავებს.

როდესაც ბესიკი ყარაჩოხელთა ასეულებს წამოეწია, ვიღაცამ სიბნელიდან დაიძახა:

— ვა, ეს რომელია, ცხენს რომ ნალებს ახლად აჭედინებს? იქნებ ბესიკია? ჰეი... ვინა ბრძანდებით?

— ბესიკი ვარ! — უპასუხა ფიქრებიდან გამოსულმა მგოსანმა და სადავე მოზიდა. — რაო, რა მოხდა?

— რაო და სარქარდარი ქუდმოგლეჯილი გეძებს, ლეონი იხმობსო, — უპასუხა სიბნელიდან იმავე ხმამ.

— რა მინდაო?

— აბა, რა ვიცი...

— როგორ არა, თქო! — გაისმა მეორე მხრიდან ხმა: — მოურავოვთან ერთად რუს იარანალს უნდა ეახლოსო... ლეონს ებრძანებინა სარქარისათვინა, თუ ახლავე ბესიკი არ მოგიყვანია, ეზიარეო...

ბესიკი მაშინვე გაეშურა ლეონთან. ცხენი გზიდან მინდორზე გადაიყვანა, რომ უფრო ჩქარა ეტარებინა. მდორედ მიმავალ ასეულებს მალე გაუსწრო და ლეონის ამალას წამოეწია.

ლეონი ისე იყო გაბრაზებული ბესიკზე, რომ კინაღამ მათრახით სცემა, როდესაც ბესიკმა ცხენი მასთან მიაგდო და მოახსენა, გეახელიო.

— სად ეგდე აქამდე? — დაიჭექა ლეონმა: — ლაშქრობა ქელეხი ხომ არა გგონია! მთელი ქალაქი გადმოვაბრუნეთ და ვერსად გიპოვნეთ. სანდუხტს ეთხოვებოდი? გასწი, ახლავე მოურავოვს დაეწიე. ალბათ, მცხეთას იქნებიან უკვე.

ლეონმა გადუკრა მათრახი ბესიკის აფხაზურას. დამფრთხალი ცხენი ისე სწრაფად მოსწყდა ადგილს, რომ ბესიკი ძლივს შერჩა უნაგირს, კინაღამ გადმოვარდა.

ლეონმა გადიხარხარა. ბესიკი უცბად კარგ გუნებაზე დადგა, რადგან ასე იოლად გადაურჩა ლეონის რისხვას. უნაგირზე შესწორდა და თავისი აფხაზურა გააფრინა მცხეთისაკენ, რომ მოურავოვს დასწეოდა.

*
* *

ლიახვი ადიდებულიყო და ტოტლებენს მთელი დღე მოუხდა ცხინვალთან შეჩერება. აქაფებულ მდინარეს ხიდები სულ მოეხვეტა და არც ფონის მოძებნა მოხერხდა. ეტიკები ურჩევდნენ გენერალს, რომ კეხვში ასულიყვნენ, რადგან იქ ლიახვი ვიწრო ხეობაში იყო ჩაჭედილი და ცლდეებზე ადვილი იყო სახიდე ისრების გადება. ტოტლებენმა იუარა და ლიახვზე ნავტიკებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასვლა არჩია. დიდის გაჭირვებით გააბეს მდინარეზე მაჯის სიმსხო ბაგირი და ნავტიკებზე გამართული ბორანით შეუდგნენ ჯარის გადაყვანას. ბოთო ჯერზე ოცი ცაცი გადაჰყავდათ.

დონის კაზაკებმა და ყალმუხელებმა ბორანზე გასვლას არ დაუცადეს და პირდაპირ გადაუშვეს ცხენები მდინარეში. ყალმუხელები უფრო გამოცდილები აღმოჩნდნენ და ყველანი უვნებლად გავიდნენ მეორე ნაპირას. მდორე მდინარეზე ნაცადი კაზაკები კი გაჭირვებაში ჩავარდნენ და ბევრი მათგანი ლიახვმა გაიტაცა. ასტყდა ერთი ყიჟინა და აურზაური. ცხინვალელები ნაპირ-ნაპირ დაედევნენ წყალწაღებულ კაზაკებს და ყვირილით ამხნევებდნენ. ზოგი თოკს მიარბენინებდა მისაშველებლად, ზოგი გრძელ ჭიგოს. ათიოდე კაზაკი კარგა მანძილზე გაიტაცა მდინარემ და მოსახვევში ყველანი თვალთაგან მიეფარნენ. ისინი დალუპულები ეგონათ, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ყველანი გადარჩენილები აღმოჩნდნენ. სიცივისაგან აძაგძაგებულნი და დაწუწულნი მაშინვე მისცვივდნენ კოცონებს, რომელნიც მდინარის ნაპირას დაენთოთ აღრე გამოსულ კაზაკებს და ყალმუხელებს.

ცხინვალის მოურავს რუმბებით ღვინო გამოეგზავნა. ფარეშები ხელადებით აწვდიდნენ კაზაკებს კუპრივით შავ ღვინოს. ყველანი სულმოუთქმელად სცლიდნენ სავსე ხელადას და მაშინვე შორდებოდნენ გიზგიზა კოცონებს. იმოდენა ხელადის დაცლის შემდეგ, მგონი, ისევ ცივ მდინარეში ჩაწოლა სჭირდებოდათ გასაგრილებლად, არა თუ ცეცხლზე მიფიცხება.

ტოტლებენი თავისი შტაბის ოფიცრებთან ერთად გორაკიდან თვალყურს ადევნებდა ჯარის გადაყვანას. ამ გორაკზე, საიდანაც მთელი ცხინვალი ხელის გულივით მოჩანდა, საკმაოდ მაღალი ჯიხური იდგა, რომელსაც ერთადერთი მოხუცი მეციხოვნე ბერუჩა დარაჯობდა. როდესაც ტოტლებენი გორაკზე ავიდა და ჯიხურს დაუახლოვდა, ბერუჩა გამოვიდა ჯიხურიდან და უცხო გენერალს მუხლმოდრეკილი შეეგება.

— ვინ არის ეს? — იკითხა ტოტლებენმა.

— ციხის დარაჯი გახლავთ, — მოახსენა თარჯიმანმა.

— ოო, ამ აუღებელი ციხის გარნიზონია? — გაიცინა ტოტლებენმა, ბერუჩას ზურგი შეაქცია და ცხინვალს გადახედა.

ბერუჩამ ვერ გაიგო, რა სთქვა ტოტლებენმა და ასეთი შეხვედრით გულნატკენი ფეხზე წამოდგა. არ ელოდა ამგვარ მოპყრობას, რადგან ძველად თეიმურაზ მეფე და შემდეგ ერეკლე ბატონიც დიდის პატივისცემით ექცეოდნენ ბერუჩას. დაჩოქილს თავის ხელით ფეხზე წამოაყენებდნენ და მის ჯიხურში აუცილებლად შევიდოდნენ, მოიკითხავდნენ, ერთ ორ კარგ სიტყვას ეტყოდნენ, დაასაჩუქრებდნენ.

ახლა ასეთი შეხვედრით გაგულისებული მოხუცი ჯიხურში შებრუნდა, კარი მიიხურა და ნაჭდევი კიბით ბანზე ავიდა. იქიდან გორიჯვარამდე მთელი მიდამო მოჩანდა. ბერუჩას მოვალეობას შეადგენდა, რომ ამ ჯიხურიდან ეთვალთვალა და თუ სადმე მტერი გამოჩნდებოდა ან რომელიმე ციხიდან ნიშანს მისცემდნენ, თითონაც სათანადო წესის მიხედვით ენიშნებინა: ან სველი ბზე აებოლებინა, ან წალამი. სველი ბზე თეთრად ბოლავდა და შინაურის მოსვლას ნიშნავდა, წალამი-კი ყომრალ ბოლს უშვებდა და მტრების შემოსევას ამცნევდა დანარჩენ მოთვალთვალე ციხეებსა და ჯიხურებს.

ბერუჩამ ახლა არ იცოდა, წალამი აენთო თუ ბზე. გაგონილი კი ჰქონდა, რუს ხელმწიფემ ბატონს ჯარი გამოუგზავნა ხონთქართან საომრად, მაგრამ ასეთი შემთხვევა მისთვის პირველი იყო და არ იცოდა, როგორ ემოქმედნა. ამიტომ იესევ დაცდა არჩია. ერდოზე ჩამოჯდა, ჯაზაირი გვერდით დაიდო და ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალთვალი ჯარის გადაყვანას მდინარეზე.

ჯერ კიდევ ნახევარი ჯარი არ იყო გადაყვანილი და მზე სამხრეთისაკენ იხრებოდა, რომ მოურავოვი მთელი თავისი რუსი მოხელეებით და ბესიკის თანხლებით დაეწია ტოტლებენს. ყველანი ჩამოხტნენ ცხენებიდან და გორაკზე ავიდნენ. ტოტლებენს ჯარის გადასვლის თვალიერება მობეზრდა და ახლა გართული იყო თავის ოფიცრებთან ქაღალდის თამაშით. როდესაც მოახსენეს, მოურავოვი გეახლაო, ერთი მიიხედა, ახალმოსულებს თავის დაქნევით მიესალმა და ისევ განაგრძო თამაში. ტოტლებენს არ უყვარდა, როდესაც ქაღალდის თამაშის დროს ხელს უშლიდნენ, მით უმეტეს მაშინ, როცა აგებდა. აუცილებლად წაგებას ხელის შემშლელს დააბრალებდა. ახლაც სწორედ მოურავოვის მოსვლის დროს ცხრიანზე ყვავის კიკო დაეცა და სამასი მანეთი წააგო. გულმოსულმა ქაღალდი განზე ისროლა და მოურავოვს მიუბრუნდა:

— რა არის, როდესაც თქვენ მოდიხართ, ყოველთვის ვაგებ!

— საქმე ისაა, თქვენო ბრწყინვალებავ, ომი მოვიგოთ, თორემ ქაღალდს დღეს წავაგებთ, ხვალ მოვიგებთ. ეგ არაფერია, — ღიმილით უპასუხა მოურავოვმა.

— თუ ასეთი ფეხისა ხართ, ვერც ომს მოვიგებთ, — უპასუხა წარბებშეკრულმა ტოტლებენმა, ზეზე წამოდგა და მოსულები შეათვალიერა.

მოურავოვმა სათითაოდ გააცნო თავისი მოხელენი გენერალს. ტოტლებენმა ზოგიერთი მათგანი ჩინების მიხედვით ღირსად სცნო, რომ ოდნავი თავის დაკვრით სალამი მიეცა. რეინეგსს ხელიც კი ჩამოართვა. დანარჩენებს სხვათა შორის გადახედა და მხოლოდ ბესიკმა მიიპყრო მისი ყურადღება. რაღაც უცნაური ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ეს ახოვანი ჭაბუკი გენერალმა, რადგან თავისი გარეგნობით ის ყველასგან ერჩეოდა, განსაკუთრებით ქერათმიან რუსებისაგან, რომელთაც არც წარბები აჩნდათ, არც წამწამები, ამას კი თითქო კალმით ჰქონდა გადახაზული შავი წარბები. გრძელი წამწამები ხომ სახეს უჩრდილავდნენ. თანაც ამ სახეს ახლად აყრილი, აბრეშუმივით ნაზი ულვაშების წვრილი ზოლი უმშვენებდა.

— ეს ვინაა? — იკითხა ტოტლებენმა.

— სასახლის მგოსანი გახლავთ, თავადი გაბაშვილი, — მოახსენა მოურავოვმა.

— ოჰო, მე უფლისწული მეგონა. მგოსანი! არ მომწონს. ასეთი ვაჟკაცი ჯერ კავალერგარდი უნდა იყოს და შემდეგ მგოსანი. ვხედავ, რომ თუ აქაური მგოსნები ასეთები არიან, მაშინ მეომრები, ალბათ, ციკლოპები უნდა იყვნენ.

— ციკლოპების რა მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ქართველები სახელოვანი მეომრები არიან, — უპასუხა მოურავოვმა.

— თქვენც, მგონი, წარმოშობით ქართველი უნდა იყოთ.

— დიაღ.

— უღალატეთ თქვენს ქვეყანას და ახლა მათი ქებით გინდათ გამოისყიდოთ დანაშაული? — ვითომ გაეხუმრა ტოტლებენი მოურავოვს.

— თქვენ ყოველ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად შეგიძლიათ მისაყვედუროთ საკუთარი ქვეყნის ღალატი, თქვენო ბრწყინვალებავ, — თავშეკავებული ღიმილით უპასუხა მოურავოვმა, თუმცა გენერლის შენიშვნამ ძალზე გააბრაზა და ძლივს შეიკავა თავი, რომ ტოტლებენისათვის უფრო უკმეხი პასუხი არ გაეცა.

ტოტლებენიც მიხვდა, რომ წინდაუხედავი ხუმრობა გამოუვიდა და სცადა გამოესწორებინა შეცდომა:

— არ გეწყინოთ, ბანქოს ბრალია ყველაფერი. როდესაც წაგებასა ვარ, მე თითონაც არ ვიცი, რას წამოვროშავ ხოლმე. ერთი ეს მითხარით, ერეკლეს მოჰყავს თუ არა შეპირებული ორმოცდაათიათასიანი ლაშქარი.

— თქვენ, ალბათ, ხუმრობთ, თქვენო ბრწყინვალებავ. ერეკლეს რომ მაგოდენა ჯარი ჰყოლოდა, მაშინ სულაც აღარ იქნებოდა საჭირო თქვენი ამ ქვეყანაში გამოსეირნება. დიდი-დიდი ხუთიათასი კაცი თუ მოაგროვა და შგონია, ვერც შეაგროვოს.

— როგორ, განა ეგ ჯარიც არა ჰყავს შეგროვილი? — გაოცებით და უცნაური ღიმილით წამოიძახა ტოტლებენმა, თითქო გაეხარდა, რომ ერეკლეს ასე მცირე ჯარი ჰყავდა. — იქნებ მისი ლაშქარი მარტო აი ეს ბებერი მეციხოვნეა და ეს ლამაზი მგოსანი? — მერე წარბები ისევ შეიკრა და გულმოსულად განაგრძო: — მე შგონია, რომ ეს აღმოსავლეთელი მეფე რაღაცას ეშმაკობს. ხომ არა სურს, რომ რაიმე მახეში გამაბას. ზოგი რამ გავიგე ისეთი, რომ...

— განა რა გაიგეთ, თქვენო ბრწყინვალებავ?

— ამის შესახებ მოგახსენებთ, — ტოტლებენმა ეჭვის თვალით გადახედა ბესიკს, რომელიც არხეინად დასცქეროდა ბორანზე მოფუსფუსე ჯარისკაცებს. — მაგან რუსული იცის? — ჰკითხა ტოტლებენმა მოურავოვს და ბესიკზე ანიშნა.

— არა შგონია, თქვენო ბრწყინვალებავ. თუ იცის, ძალიან ცუდად.

— გერმანული?

— აბა საიდან: მე ორი მასწავლებელი თავზე მედგა და ძლივს ორიოდე სიტყვას ვაბამ ერთმანეთზე, ნახევარი თქვენი ლაპარაკისა არც კი გამეგება და აბა მაგან რა უნდა გაიგოს. შეგიძლიანთ დამშვიდებით ბრძანდებოდეთ.

— აღმოსავლეთში არავინ არ არის სანდო, — ჩაილაპარაკა ტოტლებენმა და ისევ ახედ-დახედა ბესიკს. — არა შგონია, უვიცი ვინმე გამოეგზავნოთ მეთვალყურეთ.

— როგორ თუ მეთვალყურეთ? — გაიკვირვა მოურავოვმა და მანაც მიიხედა ბესიკისაკენ.

— რა გულუბრყვილო რამა ხართ, — გაიცინა ტოტლებენმა: — მაშ რისთვის გამოგატანეს ეს ახალგაზრდა მგოსანი, იმისათვის რომ მე თავის ენაზე ლექსები მიკითხოს?

მოურავოვმა იცოდა, რომ ერეკლეს კარზე დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული. მან მრავალი თავისი მოქმედებით დაამტკიცა საქართველოსადმი ერთგულება და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნდა, რომ ბესიკი განგებ გამოეგზავნოთ მასთან ერთად ტოტლებენის ბანაკში. ერეკლესთან დასაფარავი მას არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჰქონდა-რა და თუ რამ მოხდებოდა ასეთი, თითონვე მოახსენებდა მეფეს. ლეონმა სთხოვა, ბესიკი თან წაიყვანე, მინდა ელჩად გავწაფო [illegible] ასწავლეო.

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ,—მიუბრუნდა ტოტლებენს მოურავოვი,— აქ ასე იციან, ახალგაზრდებს პრაქტიკულად აჩვევენ სახელმწიფო მოღვაწეობას, უცხო მეფის კარზე გზავნიან აღსაზრდელად, საელჩო მისიებს თან ადევნებენ. ესეც, როგორც სამეფო კარზე აღზრდილი, თან გამომაყოლეს, ისწავლოს რამეო.

— კარგი, თუ თქვენ მაგაში დარწმუნებული ხართ, რა გაეწყობა, უნდა დავიჯეროთ.

ტოტლებენს სურდა გაეგო, იცნობდა თუ არა მოურავოვი პანინის გეგმებს. კაიშაურში შეხვედრის დროს რამდენჯერმე სცადა სხვადასხვა ხრიკებით გაეგო მოურავოვისაგან, იცოდა თუ არა მან პანინის განზრახვა. მაგრამ მოურავოვს თავი ან მიამიტად ეჭირა ან მართლა არ იცნობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის მთელ რიგ საიდუმლო საქმეებს. ეჭვი არ იყო, რომ მოურავოვი მხოლოდ ერეკლეს თვალის ასახვევად იყო გამოგზავნილი, როგორც ქართულის მცოდნე და წარმოშობითაც ქართველი. ინსტრუქციებიც, ალბათ, ასეთივე ჰქონდა მიცემული, თვალის ასახვევად, ესე იგი მას მხოლოდ რუსეთის დედოფლის მოსაზრებები და სურვილები გააცნეს. საგარეო საქმეთა კოლეგია კი არასოდეს არ მოქმედებდა დედოფლის სურვილების მიხედვით. საჯაილოც იქნებოდა, რომ იმპერიის ბედი დედაკაცის გულჩვილობაზე დაეშყარებინათ.

მოურავოვის ცნობა, რომ ერეკლეს ხუთიათასზე მეტი კაცი არა ჰყავსო, ტოტლებენს ძალზე ესიამოვნა. ის სულ შიშობდა, ერეკლეს მართლა ბევრი ჯარი არ აღმოაჩნდეს და ამ ომში მეცამეტე გოჭის ბედი არ მერგოსო. პანინის დავალების შესრულება მაშინ ხომ სულ შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მის საქმეებს კარგი დარი უდგებოდა. ერეკლეს თუ მცირე ჯარი ჰყავდა, უმჯობესი იყო ტოტლებენს ბრძოლისთვის როგორმე თავი აერიდებინა და მაშინ საქართველოს სამეფოს ბედი ისე გადასწყდებოდა, როგორც განზრახული იყო. ახალციხის ფაშა ერეკლეს ბოლოს მოუღებდა, ხოლო ტოტლებენი ისე შევიდოდა თბილისში, რომ ერთი ჯარისკაციც კი არ მოუკვდებოდა. ბრალს ვერავინ დასდებდა, რადგან ამ ბრძოლას ერეკლე წაგებდა, თავისი თავის დალუპვის მიზეზი თვითონვე იქნებოდა, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას გენერალი ჰოტლიბ-კურტ-ჰენრიხ გრაფ ფონ ტოტლებენი გადააფარებდა თავის კალთას.

— ხა-ხა-ხა! — უცბად გადიხარხარა მხიარულ გუნებაზე დამდგარმა ტოტლებენმა.

აღტაცებაში მოვიდა თავისი გეგმით, მაგრამ ამ სიცილმა უცბად გამოარკვია და ილბლად მაშინვე მონახა თავის სიცილის მიზეზი. ვიღაცამ ბორნიდან მდინარეში ტყაპანი მოადინა, იგი ერთის ალიაქოთითა და დგაფუნით მოცურავდა ნაპირისკენ.

მოურავოვი ამ დროს ოფიცრებთან საუბრობდა. ტოტლებენის სიცილზე მიიხედა და უნებურად დააკვირდა თითქოს ამ სასაცილო სანახაობით გამხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არულებულ გენერალს. მაშინვე მიხვდა, რომ გენერლის სიცილის მიზეზი სულ სხვა იყო.

არის რაღაც განსხვავება საკუთარი ფიქრებით გამოწვეულ სიცილსა და გარეშე მოვლენებით გამოწვეულ სიცილს შორის. სწორედ ეს არ გამოეპარა არც მოურავოვს და არც ბესიკს, რომელიც შორიახლო იდგა და გენერალს თვალს არ აშორებდა. ორივენი კარგად მიხვდნენ, რომ სულ სხვა რამის გამო ხარხარებდა ტოტლებენი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ოდნავადაც ვერა გრძნობდა ნამდვილ მიზეზს.

— შეხედეთ, რასა ჰგავს, — გაიშვირა ხელი ტოტლებენმა ამოწუწულ ჯარისკაცისაკენ და კიდევ გადიხარხარა, მაგრამ ახლა სხვაგვარი, რაღაც ნაძალადევი სიცილით: — რა სასაცილოდ ცურავს.

— დიაღ, მართალსა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — თავაზიანი ღიმილით უპასუხა მოურავოვმა.

— ქათამივით ფართხალებდა.

— დიაღ, სწორედ დაკლული ქათამივით ფართხალებდა.

შტაბის ოფიცერმა ზუბოვმა მორიდებულად ჰკითხა ტოტლებენს, ქაღალდის თამაშს განაგრძობთ თუ არაო, მაგრამ გენერალმა უარი განაცხადა. მას სურდა კარგად მოეფიქრებინა შემდგომი მოქმედების გეგმა. ამიტომ ოფიცერს უბრძანა, სტუმრები მიეწვია ქაღალდის სათამაშოდ. თითონ კი ადიუტანტის თანხლებით ჯიხურში შევიდა და მიმოიხედა

— რა იქნა ის ბებერი მეციხოვნე, — იკითხა ტოტლებენმა.

— კოშკის თავზე ასულა, თქვენო ბრწყინვალებავ, სადარაჯოდ, — უპასუხა ადიუტანტმა.

— აა, ძალიან კარგი. მომიტანეთ რუკები. — უბრძანა მან ადიუტანტს. ფიცრის გრძელ ტახტზე რუკები გაამლევინა და ვითომდა ტაქტიკური ამოცანის გადაწყვეტას შეუდგა. ნამდვილად კი იმაზე ფიქრობდა, როგორ გაენაღდებინა ის ხელსაყრელი მდგომარეობა, რომელიც მისი სურვილისამებრ თავის-თავად იქმნებოდა.

ბევრი რამ უშლიდა ხელს ტოტლებენს. ჯერ ერთი ის, რომ არც ერთი ოფიცერი არა ჰყავდა მთელ ჯარში ისეთი, რომელსაც შეიძლებოდა ნდობოდა და რაიმე საიდუმლო დავალება მიეცა. ყველანი რუსები იყვნენ და როგორც რუსებს სჩვევიათ, აღსავსენი იყვნენ გულუბრყვილო პატიოსნებით. მათ მხოლოდ თავდადებული ბრძოლა შეეძლოთ და ყოველ წუთში მზად იყვნენ დუელში გაეწვიათ ყველა, ვინც კი მათ თავმოყვარეობას ან პატიოსნებას შელახავდა. დონკიხოტივით ყოველ ჩაგრულს მფარველობას უწევდნენ და მათი მოსყიდვა შეუძლებელი იყო.

საჭირო კაცი მას მხოლოდ სამოქალაქო სამსახურის მოხელეებში უნდა ეძია.

მოურავოვი არ გამოდგებოდა.

დანარჩენ მოხელეებს ის არ იცნობდა. ყველაზე უფრო ამ საქმეში მას რეინეგსი გამოადგებოდა, რომელმაც, დედა-ენის გარდა, რუსულიც იცოდა, ქართულიც და თათრულიც. დედოფლის მდივანმა ახალგაზრდა საშა ბეზბოროდკომ საიდუმლოდ აცნობა ტოტლებენს, რომ ერეკლესთან ჯაშუშად ეკატერინემ რეინეგსი გაგზავნაო. ბეზბოროდკომ ისიც უთხრა, რომ რეინეგსი ფულის გულისთვის შვილს გაჰყიდისო.

მაგრამ რეინეგსს ტოტლებენი ახალციხეში ვერ გაგზავნიდა. მას კი სურდა

ახლავე გაება კავშირი ახალციხის ფაშასთან. თუ კი ტოტლებენი შეჰპირდებოდა საფარ-ფაშას, ერეკლეს ხელში ჩაგიგდებო, ამ საქმიდან, სულ ცალკე, ასი ათასი მანეთი ნაღდი ფული, შეიძლება მეტიც, ტოტლებენს ერგებოდა. დედოფალს კი იმით მოიმადლიერებდა, რომ საქართველოს სამეფოს ჩააბარებდა. ეკატერინე, ალბათ, ბრწყინვალე თავადის წოდებასაც უბოძებდა და ახლად დაარსებულ გოტის ალმანახში ჩასწერდნენ: ბრწყინვალე თავადი ტოტლებენ-გრუზინსკიო.

გენერალი ისე ააღელვა ამ მიმზიდველმა და ადვილად შესასრულებელმა ოცნებამ, რომ სული კინაღამ შეეხუთა. მუნდირის საყელო გაიხსნა და ღრმად ამოისუნთქა.

ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ვინ გააგზავნოს ახალციხეში საფარ-ფაშასთან? სად ნახოს ისეთი სანდო კაცი? რეინეგსი, მართალია, გამოცდილია, მაგრამ ერეკლეს ვერ მოაშორებს. ეჭვს აიღებენ. მას მხოლოდ შეიძლება წერილი დააწერინოს თათრულად და თარჯიმანად გამოიყენოს. მეტი არაფერი.

უცბად მოაგონდა.

ტყვე.

ბაზალეთის ტბასთან რომ თურქი დაატყვევეს და გამოსტეხეს. ის ხომ სხვა ტუსაღებთან ერთად მოჰყავდა ბადრაგით. იმას გააგზავნის და პასუხსაც მისი ხელით მიიღებს.

ტოტლებენი გიჟივით წამოიჭრა ზეზე და ადიუტანტს უბრძანა:

— ეხლავე რეინეგსი აქ მომგვარე... დაიცა, სად მირბიხარ, კოშკის გარშემო გუშაგები დააყენე, არავინ გაბედოს ახლოს მოკარება. ეგზეკუტორს უბრძანე, დუშეთში დატყვევებული თურქი მომგვაროს. ბორკილები აჰყაროს, კარკად აჭამოს და შემდეგ მოიყვანოს. კარებთან შენ თითონ დადექი. გუშაგები კოშკის გარშემო ოცი ნაბიჯის მოშორებით დააყენე.

ადიუტანტი გაიქცა ბრძანების შესასრულებლად. ტოტლებენმა კმაყოფილებით ხელის გულები მოიფშვნიტა, შემდეგ საბურნუთე ამოიღო, მაგრა მოსწია ბურნუთი და ხუთჯერ ისე ძლიერად დააცემინა, რომ ჯიხურის ბანზე წამოწოლილმა ბერუჩამ მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ჯიხურში ვიღაც შესულიყო.

— ვინ არი ე! რა ვქნა?! — წაიბურტყუნა ბერუჩამ, კოშკის სართულები ფრთხილად ჩაიარა, დაბლა სართულში ჩაიხედა და გაჯგიმული ტოტლებენი რომ დაინახა, ადგილზე გაშეშდა. ველარც ქვევით ჩასვლა გაბედა, შეშინდა, ამოდენა კაცს რომ თავზე გადავაბიჯო, ვაი თუ ეწყინოსო და ველარც ზევით აბრუნდა. იატაკზე გაწვა და ჭუჭრუტანიდან თვალთვალი დაუწყო.

ტოტლებენმა კიდევ მოსწია ბურნუთი და სწორედ იმ დროს, როდესაც რეინეგსი შევიდა, შიგ სახეში მიაცხიკვა.

— მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, — მოიბოდიშა სახეწამოწითლებულმა გენერალმა. — დაბრძანდით აი აგერ ტახტზე. ბურნუთს ხომ არ ინებებთ?

— ბურნუთი ძალიან მიყვარს, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ რადგან მედიცინა სულ საწინააღმდეგოს გვიკარნახებს, ამის გამო ვერიდები და არ ვეწევი.

ტოტლებენმა რუკები განზე მიკეცა და ორივენი ტახტზე ჩამოსხდნენ.

— ძალიან გამეხარდა, როდესაც გავიგე, რომ ჩემი თანამემამულე თბილისში ყოფილა. თუმცა მიკვირს, ამ უდაბურ და ველურ ქვეყანაში როგორა ხძლებთ, — უთხრა ღიმილით ტოტლებენმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენ იმისთვის მოვდივართ აქ სამსახურში, რომ ცოტა რამ შევიძინოთ, თორემ მე რომ აქ სამუდამოდ ცხოვრობ, ... ნოს ბედმა, იმ წუთში თავს მოვიკლავდი.

— ხა-ხა-ხა! — გულიანად გადიხარხარა ტოტლებენმა. — სწორი ხარ, ჩემო კარგო, სწორი. რუსეთში ჩვენი ქვეყნიდან კაცი მხოლოდ ამ მიზნით თუ წამოვა. ამ ველურებს კი ჰგონიათ, რომ გერმანელები ჩვენი სიყვარულით რუსდებიანო, თუმცა მე არა დამეტყო-რა გარუსებისა; ამდენი ხანია რუსეთში ვცხოვრობ და ერთი სიტყვაც ვერ ვისწავლე რუსულად, გარდა...

აქ ტოტლებენმა ჩამოთვალა ყველა რუსული სიტყვა და ორივემ გულიანად გადიხარხარა.

ტოტლებენი უფრო იმან გაამხიარულა, რომ რეინეგსმა პირველი სიტყვებისთანავე დაუმტკიცა გენერალს, როგორი სასურველი კაცი იყო ის მისთვის.

— სწორი ხარ, ჩემო კარგო, სწორი, — განაგრძო ტოტლებენმა და მხარზე ხელი მოუთათუნა. — მაგრამ ერთი მითხარი, გაქვს რამე სარგებლობა ამ ღარიბი მეფის კარზე?

— ბევრი არაფერი, თქვენო ბრწყინვალებავ. მეგონა, რომ ერთ-ორ წელიწადში ათი ათასამდე მოვაგროვებდი, მაგრამ აგერ შვიდი წელია, რაც აქა ვარ და ორი ათასიც ვერ დავაგროვე. ფული მარტო ვაჭრებსა აქვთ. თავადები კი ქირად ხან ხორბალს მაძლევენ, ხან ღვინოს. მეფის ჯამაგირი ნახევარ ხარჯებსაც ვერა სწვდება.

— მაშ ელოდი იმ ბედნიერ შემთხვევას, რომ გენერალი ტოტლებენი ჩამოსულიყო და უცბათ მოეცა სამუალება ათი ათასი აგელო?

— როგორ, თქვენო ბრწყინვალებავ, არაფერი არ მესმის.

— აა, ეს დიდი საიდუმლოებაა, — სიცილით და თითის ქნევით უთხრა ტოტლებენმა რეინეგსს. შემდეგ უცბად წამოდგა და გარეთ გაიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო.

ადიუტანტს გუშაგები უკვე დაეყენებინა, თითონაც მოშორებით იდგა. ამიტომ გენერალი დამშვიდებული მიბრუნდა უკან.

— გამაგებინეთ, თქვენო ბრწყინვალებავ: ვგრძნობ, თქვენ რაღაც სასიამოვნო უნდა მითხრათ.

— იცი რა, ჩემო კარგო, — დაჯდა ისევ ტოტლებენი და რეინეგსს ხელი ხელზე დაადო: — ეს ისეთი საქმეა, რომ მარტო ჩვენ ორმა უნდა ვიცოდეთ. არ გეგონოთ, რომ მე ისეთი რამ ჩაგადენინოთ, რაც ან თქვენ ან რუსეთის იმპერიას ვნებას მოუტანს. პირიქით, ჩემთვისაც, თქვენთვისაც და რუსეთის დედოფლისათვისაც ყველაზე დიდი და სასარგებლო საქმე გაკეთდება. არც ის დაივიწყოთ, რომ ჩვენ გერმანელები ვართ და წყალსაც წაუღია მთელი რუსეთი, თუ ჩვენც ვერ ვისარგებლებთ.

— მაინც, ამიხსენით საქმის ვითარება.

— წარმოიდგინეთ ერთ წუთს, რომ მთელი ეს ჩვენი კავკასიის კამპანია შემდეგნაირად განვითარდა: გენერალმა ტოტლებენმა, თქვენმა მორჩილმა მონამ, საქართველოში ჩამოიყვანა სამი ათას შვიდასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, რათა დახმარებოდა ერეკლე მეფეს თურქების წინააღმდეგ.

— მაგას წარმოდგენა არა სჭირდება, სწორეთ მაგრეა, — შენიშნა მოუთმენლად რეინეგსმა.

— დამაცათ, წინ ნუ მისწრებთ. ტოტლებენი მოელოდა, რომ მას საქართველოში სულ მცირე ორმოცდაათიათასიანი ლაშქარი დახვდებოდა ერეკლეს

მეთაურობით. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბრძოლის ველზე ერეკლემ მოიყვანა სულ ხუთიათასი კაცი და მოსთხოვა ტოტლებენს, ამ მცირე ძალებით შეებმოდა ასიათასიან, თუნდაც ოციათასიან თურქთა ლაშქარს. ტოტლებენმა უარი ჩია, თავი აერიდებინა ბრძოლისათვის. ერეკლემ, თავისი ურჩი ხასიათის გამო და პატივმოყვარეობით გატაცებულმა, გადასწყვიტა, შებმოდა თურქებს და თუმცა გმირულად იბრძოდა, მაგრამ მაინც დაიღუპა თავის ჯართან ერთად. გენერალი ტოტლებენი იძულებული გახდა საქართველოს ციხეებში თავისი გარნიზონები ჩაეყენებინა და ეს ქვეყანა რუსეთისათვის შეეერთებინა. რას იტყვით ამაზე, პატივცემულო დოსტაქარო?

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — შეაჩერა შეფიქრიანებულმა რეინეგსმა. — ერთი ეს მითხარით, თქვენო ბრწყინვალებავ, ვთქვათ თქვენ აარიდეთ თავი ბრძოლას, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ერეკლემაც უარი სთქვას ბრძოლაზე და ახალციხის ფაშასთან მორიგდეს. მაშინ ხომ ყველაფერი ჩაიფუშა.

— აი, აქ არის საჭირო შენი დახმარება, რომ ახალციხის ფაშასთან ჩვენ მოვრიგდეთ წინასწარ და ის ჯილდო მივიღოთ, რაც, აღმოსავლურად რომ ვსთქვათ, მწიფე ვაშლივით ბედის ხეზე ჰკიდია და გვეპატიჟება, მოდით, მხოლოდ ხელი გამოიშვირეთ და თქვენი ვარო. ჩვენ თუ ახალციხის ფაშას ვაცნობებთ, რომ მას ერეკლეს ხელში ჩავაგდებინებთ, საქმე გაჩარხული იქნება. ხოლო რაც შეხება თავის არიდებას, მე მხოლოდ მაშინ გავეცლები ერეკლეს, როდესაც ის სავსებით იქნება მომწყვდეული ხაფანგში. ყველაფერი ეს ხომ ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

— თქვენ ხომ არაფერი საფრთხე მოგელით, თქვენო ბრწყინვალებავ?

— რა საფრთხე?

— აი, მაგალითად, შესაძლებელია თუ არა სამხედრო თვალსაზრისით ამ თქვენი განზრახვის შესრულება? — აკანკალებული ხმით შეეკითხა დამფრთხალი რეინეგსი. იგრძნო, რომ მეტად სახიფათო საქმეში გაება.

— თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ, — დაამშვიდა გენერალმა შეშინებული რეინეგსი: — გენერალმა ტოტლებენმა იცის, როგორ იმოქმედოს. მერე რატომ გავიწყდებათ, რომ მე გერმანელი ვარ და ყველაფერი ზუსტად მაქვს გამოთვლილი.

— ეგ მართალია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— მე ვფიქრობდი, რომ გენერლები მარტო ომობენ-მეთქი. მათ თუ ასეთი ხლართების გაბმა შეეძლოთ, არ ვიცოდი.

— მერე, განა ეს ომი არ არის? ან იქნებ ფიქრობთ, რომ ბრძოლა მარტო თოფზარბაზნებით სწარმოებს?

— მართალი მოგახსენოთ, მე დღემდე ამ თვალსაზრისისა ვიყავი.

ტოტლებენმა გაიცინა.

— იქნებ იმასაც ფიქრობდით, რომ ჩვენი ვალდებულებაა სხვისთვის ტყუილ-უბრალოდ თავის განწირვა. თუ თქვენ საქართველოში იმისთვის ჩამოხვედით, რომ აქ სამსახურით ქონება შეგეძინათ, განა გენერალი ტოტლებენი მხოლოდ იმისთვის უნდა მოდიოდეს, რომ ჯილდოდ შუბლში თათრის ტყვია მიიღოს? როდესაც სხვის საქმეს აკეთებ, ჩემო კარგო, პირველ რიგში ეცადე, ეს საქმე შენს სასარგებლოდ გადასწყვიტო და ამასთანავე თუ ამით შენს პატრონსაც სარგებლობას მოუტან, კიდევ უკეთესი.

— თქვენ ერთხელ, მგონი, სწორედ ასეთივე განზრახვისათვის კიხალამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად დაიღუპეთ თავი, — სცადა რეინეგსმა ერთხელ კიდევ შეერყია ტოტლებენის მოსაზრებანი.

ტოტლებენი აიმრიზა. არ მოეწონა რეინეგსის ეს ხეპრული შენიშვნა და მისი ასეთი სიმხდალე. ერთ წუთს ჩუმად იყო, აგვიანებდა პასუხის გაცემას, თითქო არც სურდა ამაზე ლაპარაკი.

— ეგ, ჩემო კარგო, უბრალო შეცდომის გამო მომივიდა, — უთხრა მან ბოლოს რეინეგსს. — მე ყველაფერი გათვალისწინებული მქონდა და მაშინდელი ჩემი განზრახვა დაახლოვებით ასეთივე იყო, როგორც ახლა. მხოლოდ მაშინ ისე კარგად არ ვიცნობდი რუსებს, ისინი მე საკმაოდ პატიოსნები მეგონენ. ერთ-ერთ ჩემთან დაახლოვებულ ოფიცერს გავანდე საიდუმლოება — მისი დახმარება ჩემთვის აუცილებელი იყო. იმან კი გამცა. მთვრალი მაინც ყოფილიყო. სრულიად ფხიზელმა. ახლა კი მე სრულიად მშვიდად შემიძლიან ვიმოქმედო, რადგან თუ აქ, ამ გადაკარგულ ქვეყანაში, გერმანელი გერმანელმა არ დამინდო, მაშინ...

— ოო, მაგის დარდი ნუ გექნებათ, თქვენო ბრწყინვალებავ, — ცხარედ უპასუხა რეინეგსმა და ზეზე წამოიჭრა: — თქვენ მხოლოდ მითხარით, რით შემიძლიან გემსახუროთ.

— თქვენ თურქული იცით.

— დიაღ.

— ბარათი უნდა დამიწეროთ ახალციხის ფაშასთან. აიღეთ კალამი, აი ქაღალდი. აგერ პატარა სკამზე დაჯექით. ტახტი მაგიდის მაგივრობას გაგიწევთ. მე გიკარნახებთ, თქვენ თურქულად დასწერეთ.

რეინეგსმა ჯიბის პენალი გახსნა, სადაც პატარა სამელნე და კალმები ეწყო. ტოტლებენის მიერ მიწოდებული ქაღალდი წინ დაიდო და წერას შეუდგა. ტოტლებენი ჯიბურში ბოლთისცემით უკარნახებდა.

„თქვენო ბრწყინვალებავ, სარდალო საფარ-ფაშავ. ბედმა წილად მარგუნა, რათა სათავეში ჩავდგომოდი რუსთა ძლევამოსილ ლაშქარს და აღმემართა მახვილი იმ ქვეყნის დასაპყრობათ, რომელსაც დიდის სულთნის ფრთების ქვეშ თქვენ მართავთ. მგონია, ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ იმაში, რომ საქმეს, რაიცა დავალებული მაქვს ჩემის ხელმწიფის მიერ, შევასრულებ პირნათლად და ქვეყანა თქვენი დაპყრობილი იქნება სრულიად.

მართალია მე, როგორც ჯარისკაცი, ვალდებული ვარ სიტყვის შეუბრუნებლად შევასრულო ბრძანება ჩემის უკეთესი დედოფლისა, მაგრამ, ვინაიდან ეს ომი მე მსურს სამართლიანის გზით წარიმართოს, ხოლო სამართლიანობა კი მოითხოვს, რათა ბოლო მოეღოს ამ ომს და თქვენ მოგეცეთ საშუალება უშფოთველად მართოთ თქვენი ქვეყანა, წინადადებას გაძლევთ შევთანხმდეთ შემდეგი პირობით:

1. თუ თქვენ გადაიხდით რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ ორასიათას მანეთს, მაშინ მე - ლაშქრობას ჩავთვლი დამთავრებულად და ჩემი ჯარით გავბრუნდები უკან.

2. გარდა ამისა, მე მოგცემთ საშუალებას, რათა თქვენ სამუდამოდ ბოლო მოუღოთ თქვენს დაუძინებელ მტერს ერეკლე მეფეს. მისი ლაშქარი არ აღემატება ხუთიათას კაცს. მთელს გეგმებს და ქართველთა ჯარების მდგომარეობას გაცნობებთ იმ წამშივე, როგორც კი თქვენგან მიღებული იქნება ზემოაღნიშნული თანხა. პირობას გაძლევთ აგრეთვე, ქართველთა ჯარი მოვაქციოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ თქვენ სრულიად მცირე ძალებით მოს-

ბოთ მთელი ლაშქარი.

იმედი მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ, სათანადოდ შეაფასებთ ამ ხელსაყრელ მდგომარეობას, რომელიც თქვენთვის იქმნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი უმორჩილესი მონა გენერალ-მაიორი ჰოტლიბ-კურტ-ჰენრიხ გრაფი ფონ ტოტლებენი.

8 აპრილი. 1770 წელი".

როდესაც რეინეგსმა წერა დაამთავრა, ხელები ისე აუთახთახდა, რომ კალამი ხელიდან გაუვარდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, ეს საბუთი რომ საფარ-ფაშის მაგივრად ხელში ჩაუვარდეს ვინმეს.... ალბათ, ბორბლით დაგლეჯა არ აგვცდება ორივეს...

— როგორ?

— აქ აღმოსავლეთია, თქვენო ბრწყინვალებავ. საფარ-ფაშამაც შეიძლება სხვა რამე მოიფიქროს შურისძიების მიზნით: ეს ბარათი ან დედოფალს გაუგზავნოს, ან კიდევ თითონ ერეკლეს. მაშინ...

— ჰა-ჰა-ჰა! — გულიანად გადიხარხარა ტოტლებენმა: — თქვენ ისე შეგეშინდათ, რომ ფერიც კი დაჰკარგეთ. დამშვიდდი, ჩემო კარგო. შვიდი-რვა დღის შემდეგ საფარ-ფაშა, ბევრსაც რომ ეცადოს, ამ საბუთში ხელახლა ერთ ასოსაც ვეღარ ამოიკითხავს, რადგან ხელში მხოლოდ თეთრი ქაღალდი შერჩება.

— როგორ?

— ეს ნაწერი გაჰქრება, როგორც შარშანდელი თოვლი. არ იცოდით ასეთი ქაღალდის არსებობის შესახებ? შტუტჰარტში ერთი ქიმიკოსია, რომელიც სიმპატიურ მელანს და ასეთ ქაღალდს ამზადებს.

— ჰოო, ეგ შესანიშნავად მოგიფიქრებიათ, გენერალო. მაგრამ...

— კიდევ მაგრამ! რა მოგვიდათ, ნუ თუ კიდევ გაეჭვებთ რამე? მერე და ამ ბარათში ხომ ვწერთ, ფული რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ გადაიხადეთქო. განა აქ რა არის ცუდი, კიდევაც რომ ნახონ ეს ბარათი?

— არა, მე ის მინდოდა მომეხსენებინა თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ ეს ბარათი თუ სანდო კაცის ხელით არ გაგზავნეთ...

— ეგაც მოვიფიქრე, ჩემო კარგო. მე ხელთა მყავს საფარ-ფაშას მიერ მოგზავნილი ჯაშუში. აბა, იმაზე სანდო ვინ იქნება? ახლავე აქ მოიყვანენ და თქვენ თითონ აუხსენით ყველაფერი.

რეინეგსმა შვებით ამოისუნთქა.

*

* *

ოფიცრებმა სცადეს მოურავოვთან და მის მოხელეებთან ქაღალდის თამაში გაეჩაღებინათ. თამაშობდნენ ფარაონს. მაგრამ ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილ მოხელეებს თამაშის თავი არა ჰქონდათ. ხის ძირას საწვიმრები გაშალეს და წასაძინებლად მიგორდნენ. ჯარის გადაყვანას და ზარბაზნების გადაზიდვას ჯერ კიდევ რამდენიმე საათი დასჭირდებოდა და მანამდე თვალს მაინც მოატყუებდნენ. მოურავოვმა ძილი არ ისურვა. იგი ბესიკთან ერთად მხიარულად მოსაუბრე ოფიცრებში ჩაერია. ისინი ერეკლე მეფეზე მსჯელობდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ, რაც კი რამ ჰქონდათ გაგონილი ამ შესანიშნავ სარდალზე.

— თქვენო აღმატებულებავ, ნუ თუ მართალია, რომ ერეკლე მეფემ არ იცის, რა არის დამარცხება? — მიმართა მოურავოვს ბიბიკოვმა, — ბევრნი პლატოვზ მიმტკიცებს, რომ ერეკლეს ჯერ არც ერთი ბრძოლა არ წაუგიაო.

— თითქმის მართალი უთქვამს, — ღიმილით უპასუხა მოურავოვმა.

— ისიც მართალია, რომ ყოველ ბრძოლაში როგორც უბრალო მეომარი, ისე იბრძვისო? რამდენადაც ვიცი, მეფეები ომს მხოლოდ შორიდან ხელმძღვანელობენ.

— ეგ სწორეა, მაგრამ ერეკლე ამ შემთხვევაში ყველასაგან განსხვავდება. ის ყოველთვის პირადი მაგალითია თავისი მებრძოლებისათვის. მრავალჯერ მას ერთი მუჭა ჯარით დაუმარცხებია ათჯერ უფრო მეტი მტერი. ჩვენი ჯარისა და ქართველთა ლაშქრის საბრძოლო თვისებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვენი ჯარი საბრძოლო წრთვნასა და დისციპლინას ემყარება. ბრძოლის დროს იერიშზე ჩვენი ჯარის მწყობრი კოლონები უმცროს ოფიცრებს მიჰყავთ. ამიტომ სარდლები, როგორც ხელმძღვანელები, შეიძლება მხოლოდ ბრძოლის დაწყების წინ გამოჩნდნენ წინა რიგში, შემდეგ ისინი უკან უნდა დადგნენ, სადმე მაღლობზე, რომ ბრძოლის მიდამოსა და ჯარის განლაგებას უთვალთვალონ. ქართველი ლაშქარი უწრთვნელია და ჩვენი ჯარივით არ არის გავარჯიშებული. ამიტომ ბრძოლის ბედს ყოველთვის სარდლის პირადი მამაცობა სწყვეტს. ყოველი მეომარი თავისი სარდლის პირადი მაგალითის მიხედვით იბრძვის. მიდის იერიშზე, იცვლის ფრონტს ან უკან იხევს, ისევე, როგორც ამას სარდალი სჩადის. ეს, რასაკვირველია, ძალზე საშიშია ბრძოლის დროს, რადგან საკმარისია სარდლის უცაბედი დაღუპვა, რომ თუნდაც გამარჯვებული ჯარი უკან გამოიქცეს. ცხადია, ყოველთვის ასე კი არა ხდება და ხშირია, როდესაც ჯარი მაინც განაგრძობს ბრძოლას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ომის ბედი დამოკიდებულია სარდლის სიცოცხლეზე.

— მაშასადამე, გამოდის რომ ერეკლეს მუდამ ბედი სწყალობს, — შენიშნა ბიბიკოვმა.

— არც არის გასაკვირველი, — ცხარედ დასძინა პლატოვმა: — გმირს ბედი ყოველთვის მფარველობს.

— არა, შეიძლება ბედს ან უბედობას ჰქონდეს მნიშვნელობა, — განაგრძო მოურავოვმა, — მაგრამ სარდლის გამჭრიახობაზედაც ბევრია დამოკიდებული. ერეკლემ რამდენადმე ცვლილება შეიტანა ბრძოლის წარმოების წესებში და თითო სარდალს რჩეული ოცეული დაუნიშნა მცველად. ასეთი ოცეულის ვალდებულებაა, სასტიკად დაიცვას სარდლის სიცოცხლე და თუ სარდალი დაიღუპება, ვერც ერთი მათგანი ვერ გაბედავს ბრძოლიდან ცოცხალი დაბრუნდეს. თითონ ერეკლეს ათიოდე კაცი მუდამ თან ახლავს. მგონი შვიდი მათ შორის ხევსურია.

— ჰოო, მაშინ ადვილი გასაგებია, როგორ გადაურჩა ამდენ ბრძოლებს და აქამდე ცოცხალია ეს თქვენი საქები გმირი, — სიცილით წამოიძახა ბიბიკოვმა.

პლატოვს ეწყინა თავისი გულითადი მეგობრის ეს თითქო დამცინავი შენიშვნა. გულმოსულმა შეუბღვირა და ერთი მაგრადაც შეუკურთხა ბიბიკოვს, რომელსაც სულაც არ უფიქრია ვინმესთვის დაეცინა. მას მხოლოდ თვისება ჰქონდა, ყველაფერში გამოდავებოდა მოსაუბრეს და დაეჭვებულიყო თუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც უდაო ჭეშმარიტებაში. ერეკლეს შესახებ ის სავსებით იზიარებდა თავისი მეგობრების შეხედულებებს, რომელნიც აღტაცებული იყვნენ საქართველოს ამ გმირი მეფით.

— თქვენთვის არ უამბნიათ, როგორ დაამარცხა ერეკლემ აზატ-ხანი? — შეეკითხა მოურავოვი ოფიცრებს.

— არა. გვიამბეთ, თავადო, გვიამბეთ, — მიაძახეს ოფიცრებმა აქეთ-იქიდან და უფრო ახლო მოქუჩდნენ მოურავოვის გარშემო.

— მე მგონია, ესაა ყველაზე უფრო ბრწყინვალე ეპიზოდი მაგის ცხოვრებიდან, — დაიწყო მოურავოვმა. — აი ამ მგოსნის შამამ მიამბო მოსკოვში შარშან ეს ისტორია. ის ახლდა თურმე ლაშქრობაში ერეკლეს. ამ ოციოდე წლის წინად სპარსეთში დაწინაურდა ადერბაიჯანის მმართველი აზატ-ხანი. ამ აზატ-ხანმა გამოგზავნა მუსა-ხანი ერევნის ასაღებად. მუსა-ხანმა შემოარტყა ალყა ერევნის ციხეს და ლამობდა მის აღებას. ერევნელებმა დახმარება სთხოვეს ერეკლეს, რომელიც მაშინვე დაიძრა თავისი ლაშქრით მათ მისაშველებლად. მუსა-ხანმა გაიგო თუ არა ქართველების მოახლოება, ქალაქს ალყა მოხსნა და გაიქცა. ერეკლე კი შევიდა ერევანში. მეცხოვნე ჯარი და მცხოვრებლები შიმშილისაგან სიკვდილის პირას იყვნენ მიმდგარნი. ერეკლემ მოამარაგა სურსათით ქალაქი, თითონ კი თავისი ჯარით ყარაბულახში დაბანაკდა, ერევნის მახლობლად.

მუსა-ხანმა მაშინვე აცნობა თავრიზში აზატ-ხანს ერეკლეს გალაშქრება. აზატ-ხანმა სასწრაფოდ შეკრიბა ორმოცდაათიათასიანი ლაშქარი. მათ შორის თორმეტი ათასი შუბოსანი, თორმეტი ზარბაზნით და ორასი ზამბურაკით, და დაიძრა ერეკლეს წინააღმდეგ. ღარნი-ჩაისთან აზატ-ხანი ცოტა ხნით შეჩერდა.

ერეკლემ შეკრიბა დიდებულები სათათბიროდ. თითქმის ყველანი ურჩევდნენ ერეკლეს, ჯარის სიმცირის გამო, თავი აერიდებინა ბრძოლისათვის და ყველანი დაბრუნებულიყვნენ საქართველოში. იქ შეეკრიბათ დიდი ჯარი და ისე შებმოდნენ მტერს.

გულადი მეფე არ დაეთანხმა სარდლებსა და დიდებულებს.

„ახლა გვიანლაა გაქცევა, — უთხრა მეფემ მათ: — მტერი ამას სიმხდალედ ჩაგვითვლის, დაგვედევნება და უცილობლად წაგვახდენს. ასეც რომ არ მოხდეს, მე აზატ-ხანთან შეუბმელად აქედან ვერ წავალ. ეს სიტყვა თქვენთვის გვიბრძანებია. ვეცადნეთ ან აღვამაღლოთ სახელი ჩვენი, ჩვენთა წინაპართა შსგავსად, ან ყველანი დავილუპნეთ ბრძოლის ველზე. ორიოდე დღის სიცოცხლისათვის თავს ნუ შევირცხვენთ“.

მეორე დღეს ჯარი გადათვალეს და აღმოჩნდა, რომ სამიათასი კაცი ჰყავდათ. იმათგან ხუთასი კაცი მუცლის სახადით იყო დაავადებული. ერეკლემ ისინი ციხეში დასტოვა, ხოლო დანარჩენი ორი ათასი ხუთასი კაცით დაიძრა აზატ-ხანის წინააღმდეგ. ამანაც თავის მხრით დასძრა თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი, რომელიც ლამაზად და მწყობრ რაზმებად მოიწევდა წინ.

ერეკლე ჩამოხტა ცხენიდან, დაეცა მუხლებზე და გულმხურვალედ შეევედრა ღმერთს, რათა მისთვის გამარჯვება მიენიჭებინა. შემდეგ მიუბრუნდა ჯარს და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„ჩემო შვილებო და ძმებო! არ შეგაშინოთ მტრის სიმრავლემ. არა ჩემი განდიდებისათვის მინდა დავღვარო თქვენი სისხლი და არცა სიმდიდრის მოპოებისათვის. მხოლოდ ჩემის ქვეყნისა და ხალხის დასაცავად მიმყევხართ

თქვენ ამ ბრძოლაში. გაიხსენეთ ჩვენთა დიდებულ წინაპართა სახელოვანი საქმენი, გაიხსენეთ მეფის გიორგის ბრწყინვალე გამარჯვება ... ოდეს მან ერთი მუჭა ჯარით დაამარცხა მტრის ურიცხვი ლაშქარი. ყიზილ-ბაშებმა იციან ჩვენი მამა-პაპის სახელოვანი საქმენი. იმათ იციან, რომ თქვენ ამ მამა-პაპათა მემკვიდრენი ხართ. შვილებო, ყური მიგდეთ და ისმინეთ რჩევა ჩემი! სანამ მე არ გავისვრი დამბაჩას, არც ერთმა არ გაბედოს თოფის სროლა, თუნდაც მტერმა შუბი გულზე მოგაბჯინოთ. როდესაც ჩემი დამბაჩა დაიქუხებს, მხოლოდ მაშინ ჰკიდეთ ხელი იარაღს. მაღალი ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!“

მეფის სიტყვებით აღფრთოვანებულმა ჯარმა ფიცი დასდო, რომ უყოყმანოდ შეასრულებდა ერეკლეს ყოველ ბრძანებას. მაშინ ერეკლე შეჯდა ცხენზე და წაუძღვა ჯარს. მხოლოდ თათრების რაზმი არ მიჰყვა მეფეს და განზე გადგა. თათრები სულ ხუთასამდე თუ იქნებოდნენ. მათ სურდათ ბრძოლისათვის თავი აერიდებინათ და შემდეგ გამარჯვებულის მხარე დაეჭირათ. ერთადერთი ერევნელი თათარი — აირუმელი სულთან ალავერდი არ მოსცილდა მეფეს. ერეკლემ როგორც-კი დაინახა თათრების ღალატი, ჩამოხტა ცხენიდან და დაემხო მაცხოვრის ჯვარცმის წინ. სულთან ალავერდი მიუახლოვდა ჯვარს და წამოიძახა: „ჯვარო, თუ შენში არს ძალა—მაშინ დღეს ვიხილავ სასწაულს“. და იქვე ჯვართან დადგა. ერეკლე ცხენზე აღარ შეჯდა. ჯარსაც უბრძანა ჩამოქვეითებულიყო და ნელის ნაბიჯით, თითქო მისეირნობენო, ისე წავიდნენ ყველანი მტრისაკენ.

აზატ-ხანი და მისი ლაშქარი გააოცა ქართველთა მოქმედებამ. მათ ვერ გაიგეს, რას აპირებდნენ ქართველები. უმეტესობა ფიქრობდა, რომ ეს მცირერიცხოვანი ჯარი, ალბათ, გვნებდებაო. აზატ-ხანმა განკარგულება გასცა, რომ ქართველებისთვის ალყა შემოერტყათ. ჯარიც სწრაფად გაიშალა და დაიწყო ქართველთა შემორკალვა. ამ დროს აზატ-ხანს ეახლა ერთი წარჩინებული ხანი და სთხოვა, ნება დაერთო, რათა მარტო მიახლოვებოდა ქართველებს, პირადად დაეტყვევებინა ერეკლე და მიერთმია საჩუქრად ბრწყინვალე აზატ-ხანისთვის. ბრწყინვალე აზატ-ხანმა მიიღო მოწყალება და ნება დართო წარჩინებულ ხანს, შეესრულებინა ეს ადვილი და თვალის სასეირო საქმე. აღტაცებულმა ხანმა მაშინვე გააჭენა ცხენი ქართველებისაკენ და მჭექარე ხმით შესძახა: „სად არის მეფე ერეკლე“. ერეკლე წინ წამოდგა და სპარსულად უპასუხა: „აი შენს წინაშე სდგას ერეკლე მეფე!“ გათავხედებულმა ხანმა სცადა ხელით მისწვდომოდა მეფეს დასატყვევებლად, მაგრამ დაიქუხა მეფის დამბაჩამ და ხანი უსულოდ დაეცა ძირს. იმ წამსვე დაიქუხა ქართველთა ორი ათასმა თოფმა და სანამ ოც ნაბიჯზე მოახლოებული აზატ-ხანის ჯარი გონს მოვიდოდა, ხელახლა დაიქუხეს ქართველთა თოფ-დამბაჩებმა. ოთხიათასი კაცი თვალის დახამხამებაზე წააქცივეს ქართველებმა. მერე უცბად ამხედრდნენ მეფესთან ერთად, იშიშვლეს ხმლები და ისეთი სისწრაფით ეკვეთნენ მტერს, რომ ყიზილბაშებმა გაქცევაც კი ვერ მოახერხეს. თითქმის მთლიანად გასწყვიტეს მტრის ჯარი ქართველებმა და აზატ-ხანმა მხოლოდ თხუთმეტი კაცის თანხლებით მოასწრო გაქცევა. ქართველებმა ხელთ იგდეს დავლად: 12 ზარბაზანი, 200 ზამბურაკი, ყველა დროშა, 1000 აქლემი, 2500 კარავი, უამრავი ცხენი და ჯორი და მრავალი ტყვე.

ალავერდ-სულთანი განუყრელად ახლდა თურმე ერეკლეს, თავდადებით იბრძოდა მასთან ერთად და ბრძოლის დამთავრების შემდეგ ჯვარს შეჰფიცა—

შენთვის თავი შემიწირავსო. მერე თურმე სულ გაიძახოდა, ქართველებს ამ ჯვრის ძალამ გაგამარჯვებინათო. მართლაც, შეუძლებელი იყო ემბის წარმოდგენა, რომ ეს ერთი მუჭა ჯარი შესძლებდა ასეთი ურიცხვი ლეშიოს დამარცხებას.

— ასეთია მოკლედ ამ შესანიშნავი ბრძოლის ისტორია, — დაამთავრა თავისი ამბავი მოურავოვმა.—თქვენ როგორც ხედავთ, ამგვარად, ომი სარდალს მხოლოდ მაშინ შეუძლიან მოიგოს, თუ თითონვე იბრძვის თავის ჯართან ერთად. თორემ აბა წარმოიდგინეთ, რომ ერეკლე სადმე მოშორებით მაღლობზე მდგარიყო და ეს ერთი მუჭა ჯარი გაეგზავნა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, გაიმარჯვებდა? ცხადია, ვერა. განა შესძლებდა ეს მცირე ჯარი წარბშეურხევლად მიახლოვებოდა მტერს ოცი ნაბიჯის მანძილზე, რომ მას წინ არ წასძღოლოდა ასეთი უშიშარი ლომგული სარდალი?

ოფიცრებზე გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა. პლატოვი გაღიმებული სახით იცქირებოდა სივრცეში. რამდენჯერმე წამოიძახა: „ჩორტ! ვოტ ჩორტ, ა!“ მერე ზეზე წამოიჭრა და მეგობრებს უთხრა:

— ასეთ სარდალთან სიკვდილიც კი სასიამოვნოა. რას იტყვით, მართალს ვამბობ თუ არა?

— მდაა! — წაიდუდუნა ორლოვმა: — მე არ შემრცხვება, რომ ერეკლე ჩვენს პეტრე დიდს შევადარო. მხოლოდ ესაა, რომ ძალზე პატარა ქვეყანასა ფლობს.

— ეჰ, ახლაა ეს ქვეყანა მცირე და ნაკუწებად ქცეული, — წამოიძახა მოურავოვმა: — თორემ ოდესღაც, ამ შვიდასიოდე წლის წინად, შავიზღვიდან კასპიის ზღვამდე ერთ სამეფოს წარმოადგენდა. შეხედეთ, ყმაწვილებო, ამ მთებს. ყოველი გორაკი, ყოველი ხეობა ქართველთა სისხლითაა მორწყული. ეს ციხეები, დაქცეული საყდრები, მხოლოდ ესენი არიან ქართველთა გმირული წარსულის მდუმარე მოწმენი.

— საოცარი ქვეყანაა ეს საქართველო, — სთქვა პლატოვმა: — საკვირველია, მართლა, როგორ გასძლო ამ მუსლიმანურ გარემოცვაში ამ პატარა ქრისტიანულმა მხარემ!

— რამდენი ხანია, რაც ქართველები ქრისტიანები არიან? — ჰკითხა ბიბიკოვმა მოურავოვს.

— თითხმეტი საუკუნე, — უპასუხა მოურავოვმა.

— ნუ თუ? — გაოცებით წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ეგ შეუძლებელია! — დაეჭვდა ზუბოვი. — გამოდის რომ ქართველებს ჩვენზე ადრე მიუღიათ ქრისტიანობა, ჩვენზე და ევროპიელებზედაც ადრე გაქრისტიანებულან. თქვენ ხუმრობთ, თავადო, ან გსურთ განსაკუთრებით გააზვიადოთ ქართველების წარსული.

— სრულიადაც არა, ჩემო კარგო. ისტორიული საბუთები უტყუარად მოწმობენ, რომ ქართველებს მეოთხე საუკუნეში მიუღიათ ქრისტიანობა.

ზუბოვმა კიერი მოიძრო, შუბლზე ხელი გადაისვა და მეგობრებს გადახედა, რა ზღაპრებს გვიამბობს ჩვენი ელჩი ქართველების შესახებო.

— მინდა დაგიჯეროთ, მაგრამ ძალა არა მყოფნის, — უთხრა მან მოურავოვს: — აი თქვენ რომ რაიმე უტყუარ საბუთზე მიმითითებდეთ, მაშინ შეიძლება დაგიჯეროთ, მაგრამ ლიტონი სიტყვით, მაპატიეთ, ვერ ვერწმუნები თქვენს ნათქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა ამდენი ტაძრები ძველნი და ახალნი, რაც თქვენის თვალითა ნახეთ, ჩემი ნათქვამის დამადასტურებელი არ არის?

— ეჰ, თქვე დალოცვილო, რომელ ტაძარზე და ციხეზედაც არ ვიკითხე რამე, ყველაზე ერთსა და იგივე პასუხს ვღებულობდი, თამარ მეფის აშენებულიაო. თამარ მეფე-კი, მგონი, მეთორმეტე თუ მეცამეტე საუკუნეში სცხოვრობდა.

— ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები უფრო ადრე არ იყვნენ ქრისტიანები, — დაასწრო მოურავოვს პლატოვმა და ცხარედ შეედავა ზუბოვს:— შენ რა, გული ხომ არა გწყდება, რომ ქართველებს ჩვენზე ადრე მიუღიათ ქრისტიანობა?

— რაღაც არა მჯერა.

— კარგი ერთი. აქ არაფერია საკვირველი. სხვა რომ არა ვთქვათ რა, ქართველები სამი ათასი ვერსით უფრო ახლო არიან ქრისტიანობის კერაზე, ვიდრე ჩვენ. განა ამას მნიშვნელობა არა აქვს? მერე და მაგათ რომ მართლა მეოთხე საუკუნეში არ მიეღოთ ქრისტიანობა, აქამდე ხომ მუსულმანები იქნებოდნენ. რომელ საუკუნეში წარმოიშვა მაჰმადიანობა? — მიუბრუნდა პლატოვი ბიბიკოვს.

— დალახვროს ეშმაკებმა, არ ვიცი, — სიცილით უპასუხა ბიბიკოვმა. — რომელი თეოლოგი მე ვარ, რომ მეკითხები?

— მეშვიდე საუკუნეში, ყმაწვილებო, — მიეშველა მოურავოვი, მერე ბესიკს მოუბრუნდა და ქართულად ჰკითხა: — შენ გეცოდინება მაჰმადმა როდის დაიწყო თავის ქადაგება?

— მაჰმადიანნი თავიანთ წელთაღრიცხვას 622 წელს იწყებენ ჩვენის წელთაღრიცხვიდან. — უპასუხა ღიმილით ბესიკმა და შემდეგ თითონ ჰკითხა — რამ გააცხარა ეს რუსები, რა აქვთ სადაო?

— არაფერი. არა სჯერათ, რომ ქართველებს ასე ადრე მიეღოთ ქრისტეს რჯული, — ჩაულაპარაკა სიცილით მოურავოვმა ბესიკს და შემდეგ ისევ ოფიცრებს მიუბრუნდა: — აი, ხომ ხედავთ, 622 წელს იწყება მაჰმადიანთა ერა.

— მაშასადამე, თეორემა დამტკიცებულია, — გამარჯვებული სახით წამოიძახა პლატოვმა: — ქართველებს ქრისტიანობა მიუღიათ მეშვიდე საუკუნეზე ადრე. ახლა რაღას იტყვი, ზუბოვ?

— გნებდები, — ღიმილით უპასუხა ზუბოვმა: — მხოლოდ ხომ შეიძლება რომ ქართველებს მეოთხეში არა, მაგრამ მეექვსე საუკუნეში მიეღოთ ქრისტიანობა.

— ჰა-ჰა-ჰა! — გულიანად გადიხარხარა პლატოვმა და მასთან ერთად ყველამ: — კარგი, ორ საუკუნეზე აღარ გაწყენინებთ. შენთვის გვიჩუქებია.

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. მდინარიდან ისმოდა ბორანთან მისეული ჯარისკაცების ყაყანი. ქვემოთ, ცოტა მოშორებით, რამდენიმე ჯარისკაცი ერთის ყიჟინით და ალიაქოთით ერეკებოდა მდინარეში ფორანებიდან გამოხსნილ ცხენებს. ცხენებს ცივ წყალში შეცურება არ ესიამოვნებოდათ და უკან გამორბოდნენ.

გვერდშეწითლებული ღრუბლები ნელა მიცურავდნენ ცაზე.

— ლამაზი ქვეყანაა, — მშვიდად ჩაილაპარაკა ორლოვმა.

— ხალხიც ლამაზია, — დასძინა ბიბიკოვმა: — ასეთი მოხდენილი მამაკაცები მე ჯერ არ მინახავს. ქალები ხომ მართლა საოცრები არიან. ვასია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვს ანანურში თავადის ერისთავის ქალი. რამ სიგრძე ნაწნავები ჰქონდა. იმის გულისათვის მართლა ღირს ბრძოლაში თავი დასდოს კაცმა.

— ეჰ, ერთი შენცა, გოგოების მეტი არა გახსოვს რა, — გულმოსულად შეუტია პლატოვმა. — გოგოებზე მაშინ იფიქრე, როდესაც გამარჯვებული დაბრუნდები უკან. ჯერ კი ვალის მოხდაა საჭირო.

— არა უშავს-რა, ვასია, ვიომებთ. შენ რას იტყვი, ზუბოვ? — მიუბრუნდა თავის გვერდით მდგომ ზუბოვს ბიბიკოვი.

— ცხადია. მე მხოლოდ მოთმინება არა მყოფნის და მინდა, რომ ჩქარა შევხვდეთ ერეკლეს. მას ჯერ არ უნახავს, მგონი, რუსული იარაღის დიდება. წარმოგიდგენიათ, ბიჭებო, ერეკლეს გაოცება და აღტაცება, როდესაც რუსი ჯარისკაცის გმირობას იხილავს?

— მართლა პატარაა ერეკლე? — ჰკითხა პლატოვმა მოურავოვს. — ამბობენ, ქონდრის კაცის ოდენაოო...

— აბა რასა ბრძანებთ, — წყენით უპასუხა მოურავოვმა: — მართალია, ტანმორჩილია, მაგრამ რკინასავით მაგარია და თოფის ლულა რომ მუხლზე დაიკრას, შუაზე გადასტეხავს.

— მაშინ ბიბიკოვსა ჰგვანებია, — სიცილით ჩაილაპარაკა პლატოვმა: — ეგეც იმტვრევს მუხლზე... წკეპლებს.

— მე მუხლზე ვიმტვრევ, მაგრამ ზოგს რომ ზურგზე ამტვრევენ, შენ ისა სთქვა.

— თორემ ჯერ არ გიგემია შენს ზურგზე.

— ეგ არაფერია, ყმაწვილებო, — შეაწყვეტინა მათ მოურავოვმა: — საქმე ისაა, რისთვის გადაგამტვრევენ ზურგზე წყალში დამბალ წკეპლებს.

— მართლა, საქართველოში გაწკეპლვა არ იციან? — შეეკითხა მოურავოვს ზუბოვი. — აი ჩვენში გლეხებს რომ წკეპლავენ, ისე? მე მითხრეს, აქ მამაკაცი გაწკეპლვას სიკვდილს არჩევსო.

— არა, არ იციან.

საუბარი ამგვარი ხვეულებით მიმდინარეობდა, როგორც ეს საერთოდ ხდება დროს მოსაკლავად თავშეყრილ მოსაუბრეთა შორის. გაწკეპლვაზე საუბრიდან საერთოდ სასჯელის მოხდასა და წამებაზე გადავიდნენ (რაც აღმოსავლეთში უდიდესი ხელოვნებით სრულდება). აქედან რატომღაც ქალებზე გააბეს საუბარი და დიდხანს კამათობდნენ სიყვარულსა და ქალის ერთგულებაზე.

ბესიკი მსჯელობაში მონაწილეობას არ იღებდა, რადგან რუსულს გაჭირვებით ამტვრევდა. ბევრი რამ არ ესმოდა, რადგან ჩქარი ლაპარაკის დროს ვერ ასწრებდა მრავალ სიტყვის შინაარსის გაგებას, მაგრამ საერთოდ ხვდებოდა, რაზე მიდიოდა საუბარი. ხანდახან მოურავოვი უხსნიდა ხოლმე ქართულად ზოგიერთ გამოთქმულ მოსაზრებას, თან დასძენდა, არ მოგეწყინოს ამ რუსებთანო.

— რას იტყვი, გეთაყვა, — ჰკითხა ბოლოს მოურავოვმა: — კარგნი არიან რუსები?

— განა აქამდე არ მენახა! კარგნი არიან. ესენიც კარგნი ყოფილან. ლაშქარიც კარგი გაწყობილი ჰყოლიათ. დავით ყაფლანიშვილი მიამბობდა, არა მჯეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საუბარში დრომ შეუმჩნევლად გაიარა. ჯარი თითქმის მთლიანად გადაიყვანეს მეორე ნაპირზე და ზარბაზნებიც გადაზიდეს.

ტოტლებენი გამოვიდა ჯიხურიდან და ბრძანა, რომ შტაბიც გადასულიყო გალმა.

ოფიცრები აიშალნენ. მოურავოვმა თავისი მოხელეები დააღვიძა და ყველანი ბორანისაკენ გაემართნენ.

ბესიკიც მათთან ერთად მივიდა მდინარის ნაპირას. რადგან პირველ ჯერზე მხოლოდ ტოტლებენი, მისი უფროსი ოფიცრები და მოურავოვი მოთავსდნენ ბორანზე, ბესიკს დანარჩენებთან მოუხდა მოცდა, რომ მეორე ჯერზე გადასულიყო გალმა. განზე გადადგა და ცქერა დაუწყო ზანტად აცურებულ ბორანს, რომელზედაც უძრავად იდგნენ სამკუთხა ქუდიანი ოფიცრები. შუაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტოტლებენის ახოვანი ტანი და ჯიღიანი სამკუთხა ქუდი.

ბორანი მალე გავიდა გალმა. ზედ მყოფნი სათითაოდ გადახტნენ ნაპირზე. მებორნე ჯარისკაცმა ორთაყვირი მოზიდა და ბორანი უკან გამოაბრუნა. ბესიკი მოემზადა წასასვლელად, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ მკლავზე ფრთხილად ხელი შეახო და თავისაკენ მიახედა.

მის წინ მოხუცი მეჯიხურე ბერუჩა იდგა.

— გატყობ ბატონის კაცი უნდა იყო, შვილო, — ჰკითხა ბერუჩამ.

— აგრეა, შენ ვინა ხარ?

— მეციხოვნე ვარ. აი ამ ჯიხურში ვდგევარ, ბერუჩა მქვიან. შენ რომლისა ხარ, რა ქენა?

— აბა როგორ გითხრა, ზაქარია მოძღვრის შვილი ვარ, გაბაშვილისა.

— იჰ! — წამოიძახა ბერუჩამ და სახე გაუნათდა: — მართალს ამბობ?

— როგორ, განა იცნობ მამა-ჩემს?

— იჰ! ზაქარია მოძღვარსა? აქ არ იყო ცხინვალში. ზაქარიას ძლიერ კარგად ვიცნობ და მის შვილებსაც, იოანეს, ოსეს, ბესიკი გამიგონია, მაგრამ არ მინახავს. მითხრეს, დედოფალმა იშვილაო, შენ რომელი ხარ?

— ბესიკი ვარ სწორედ.

— იჰ, შენ კი გენაცვალე, შვილო! რა კარგი თვალადი ჰყოფილხარ. მამაშენსა...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა ბერუჩას, მაგრამ ბორანი ნაპირს მოადგა და ბესიკს დაუძახეს, ბორანზე ასულიყო.

— მაპატიე, ჩემო ბერუჩა, უნდა წავიდე. ბორანზე მელოდებიან.

— არ წახვიდე, შვილო, სიტყვა უნდა გითხრა რამე. სულ გული მისკდებოდა, ვაი თუ ბატონის კაცი ვერა ვნახო მეთქი. აქეთ მოდექ.

ბერუჩამ დაბეჯითებით მოჰკიდა ხელი ბესიკს და განზე გაიყვანა.

ბესიკმა მხოლოდ ბორანზე ასულ ტოლმაჩს გასძახა:

— თქვენ წადით, მე მერე გადმოვალ.

ორივემ გაიარეს ათიოდე ნაბიჯი, შემდეგ ბერუჩა შედგა და გულიანად წამოიძახა:

— ჰაი, ტა, ტა! ზაქარია, ამოდენა კაცი, ბატონის თეიმურაზის მოძღვარი და ერეკლე ბატონის გამზრდელი, რა დღეში ჩააგდეს მტრებმა... ერთი ეს მიბრძანე, შენ დარჩენას, ე რუსები მართლა ბატონის საშველად მოსულან?

— მაშა, თათრებთან ომი გვექნება. შენ რა გინდოდა გეთქვა, რისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძახოდი? — მოუთმენლად ჰკითხა ბესიკმა და თითქო გულდაწყვეტილმა ძიიხედა ბორნისაკენ, რომელიც უკვე მოშორდა ნაპირს და მეორე მხრისაკენ გაემართა.

— მაშ ბატონს უნდა მიეშველონ? — გაიმეორა ბერუჩამ.

— აკი გითხარი.

— ჩვენ ბატონს?

— ჰო, მეთქი.

ბერუჩა ჩაფიქრდა. დაკორძილი ცერითა და სალოკი თითით გული მოიქექა.

მერე ისევ ჰკითხა ბესიკს:

— ეგ ვინღაა, ბატონიშვილია?

— ვინა?

— აი რუსების სარდალი.

— ბატონიშვილი კი არა, ღრაფია.

— ღრაფი?! დიდიკაცი ყოფილა, — სთქვა ბერუჩამ, თუმცა ვერ გაიგო, ღრაფი რას ნიშნავდა. — მეფის ტოლი იქნება?

— არა, თავადის ტოლიც არ არი.

— ეჰ!

— რა გაგიკვირდა?

— ისა, რო მაგან მაშინ სულ ჩვენი ბატონის ნებაზე უნდა იაროს.

— აგრეა, ბატონის უკითხავად ნაბიჯსაც ვერ გადადგამს.

ბესიკს მოუთმენლობა დაეტყო, ვერ მიხვდა ან რისთვის უძახოდა ეს მოხუცი, ან რას აჭიანურებდა ამდენს და არ ამბობდა, რისი თქმაც სურდა.

ბერუჩა ისევ ჩაფიქრდა.

— თუ აგრეა, — სთქვა ბოლოს ბერუჩამ: — მაშინ ალარა გამეგება-რა.

— არც მე გამეგება-რა შენი, ჩემო ბერუჩავ.

— არა გამეგება-რა იმითვინ, რო მაგან აი ახლა ახალციხის ფაშასთან კაცი გაგზავნა და უსტარი გაატანა. განა ბატონის უკითხავად ბარათის გაგზავნა შეიძლება? იმასთან ბატონი საომრად მიბრძანდება და ეგ კიდევ უსტარს უგზავნის.

— როგორ ახალციხის ფაშასთან? მე შენი მართლა არა გამეგება-რა.

— როგორა და კოშკში რომ ვიყავი, შემთხვევით ყური დავუგდე, რუსმა იარანალმა ჯერ თავის კაცთან რაღაც ილაპარაკა, მე რუსულის არა გამეგება-რა. მაგრამ თათრული ვიცი. იმ იარანლის კაცმა ერთი თათარი მოაყვანინა, უსტარი მისცა და თათრულად უთხრა, ეს ქაღალდი საფარ-ფაშას მიართვიო. ერთი ქისა ოქროც უსაჩუქრა. თუ შენ საფარ-ფაშის პასუხს მოგვიტან, ერთ ამდენს კიდევ გაჩუქებთო.

— ნეტავ უსტარში რა ეწერა, ვერ შეიტყე?

— აბა რა ვიცი.

— არა უთქვამთ-რა?

— აკი გითხარი, რაც რუსულად თქვეს, ის ვერა გავიგე-რა, თათარს კი უთხრეს, ეცადე ხელში არავის ჩაუვარდე და ეს ბარათიც არავინ გინახოსო. თათარმა უთხრა, მაგის ნუ გეშინიანთ, ჯავახეთზე გადავალ, იქ ნაცნობები ბევრი მყავს და გზაში არაფრის შიში არ მექნებაო.

ამ ამბავმა ბესიკი საგონებელში ჩააგდო. ჯერ გაიფიქრა, იქნებ ტოტლებენი ახალციხის ფაშას უთვლის, უომრად დაგვმორჩილდიო, მაგრამ მაშინ

რად აფრთხილებდნენ შიკრიკს, ხელში არავის ჩაუვარდეო. ან მთელი ქისა ოქრო რისთვის უნდა მიეცათ მისთვის? ასეთი სამსახური ერთი ქისა ფაფაც კი არა ღირდა, მაგრამ ამავე დროს სხვა რა უნდა მიეწერა ტოტლებენს საფარ-ფაშისათვის?

ჰკითხოს რეინეგსს? ბესიკს არ გამოპარვია, როდესაც ტოტლებენმა რეინეგსი იხმო და ჯიხურში მასთან ერთად ჩაიკეტა. მაგრამ რეინეგსი მართალს ხომ არ ეტყვის.

დაედევნოს შიკრიკს? საიდან გაიგოს, რომელი გზით წავიდა. თუმცა, კიდევაც რომ გაიგოს, დაეწევა? იქნებ მართლა იმას უთვლის საფარ-ფაშას ტოტლებენი, რომ იარაღი დაჰყარეო. მაშინ ხომ გასცა თავისი თავი ტოტლებენის თვალში. შიკრიკი დაიჭიროს და ბარათი ჩამოართვას, ვაი თუ ამით საქმე უფრო გააფუჭოს. ეს ამბავი ლეონს მაინც ხომ უნდა შეატყობინოს.

მერე და ვთქვათ ამ ბარათის გამო ისეთი საქმეები დატრიალდეს, რომ ბესიკი, პირიქით, სასტიკად დასაჯონ, რატომ თავი არ მოიკალი და შიკრიკი ხელში არ ჩაიგდეო.

ამ თავცემაში იყო ბესიკი, როდესაც ბორანი ისევ მოადგა ნაპირს და იქიდან გამოსძახეს, ნუღარ აყოვნებდა.

— გმადლობთ, ჩემო ბერუჩავ, ერთგულებისათვის, — უთხრა ბესიკმა მოხუცს, გამოეთხოვა და ბორნისაკენ წავიდა იმ მიზნით, რომ გაღმა გასვლისთანავე მაშინვე შეხვედროდა რეინეგსს. უნდოდა პირდაპირ ეკითხა, რა მისწერეთ ახალციხის ფაშასო.

გადავიდა თუ არა მეორე მხარეზე, მაშინვე რეინეგსის მოსაძებნად გაემართა, მაგრამ გზაში უკვე შეიტყო ამ უსტარის ამბავი. ოფიცრები ერთმანეთს უამბობდნენ, რომ ტოტლებენს ახალციხის ფაშისთვის ბარათი გაუგზავნია და შეუთვლია, მორჩილებით ჩემთან გამოცხადდიო.

ბესიკი უცბად დამშვიდდა. ტყუილად ფიქრობდა თურმე ამ ბარათის შინაარსი სხვაგვარად აეხსნა.

მერე როდესაც რეინეგსს შეხვდა, არაფერი აღარ ჰკითხა, მხოლოდ თითონ რეინეგსმა სხვათა შორის საუბარში ჩაურთო:

— როგორ ჰფიქრობ, ბესიკ, ახალციხის ფაშა დასთანხმდება უომრად დაგვმორჩილდეს? ტოტლებენმა შეუთვალა, ყელზე საბელი შეიბი და ისე მოდი ჩემთანო.

— არა მგონია, — უპასუხა ბესიკმა, საბოლოოდ დარწმუნებულმა იმაში, რომ ტოტლებენმა მართლა ასეთი ბარათი მისწერა ახალციხის ფაშას. არც ის შეეძლო, ცხადია, ეგრძნო ბესიკს, თუ რა სანეტარო სიამოვნებას განიცდიდა რეინეგსი იმის გამო, რომ წინასწარ ყველაფერი კარგად გაითვალისწინა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლრის ჩხეიძე

ღიახვის პირას

I [1])

კარგა ხანი გავიდა, რაც ერასტი დვალი გლაზგოში იყო და გულმოდგინედ სწავლობდა ხელობას — ავტომანქანის რემონტსა და მექანიკას. თავიც კი გამოიჩინა. ქარხანამ სასინჯი გადარბენა მოაწყო. გადარბენაში ერასტი დვალიც მიიწვიეს. იმედიანად, ხერხიანად და დაუზიანებლად მიიყვანა ფინიშამდე მანქანა. ერასტი პირველ ადგილს მოელოდა. თუ პირველს არა, მეორეზე მაინც არ ეჭვობდა. მაგრამ იგი ჯერ არ იცნობდა ინგლისს. მას გამოუცხადეს, რომ გადარბენის გმირთა შორის მეოთხე ადგილი ერგო. ამ უსამართლო განაჩენმა ერასტის გული დაუწვა და დაუთუთქა.

ამ უსამართლობის შეგნებით იყო თუ როგორღაც, პირველად მოაგონდა მას სამშობლო. მოაგონდა და გულმა მძლავრად გასწია იქითკენ. შინ დაბრუნდა თუ არა, იმ საღამოსვე მოკურცხლა ნავსადგურისაკენ. იქ დიდხანს იბორიალა. გამოიკითხა გზის ფასები ფოთამდის და ბათუმამდის. გამოიკითხა და მდუღარე გადასხმული გაბრუნდა შინისაკენ. ბევრი იანგარიშა, ბევრი თვალა თავისი შემოსავალ-გასავალი. ვერა, ვერ გამონახა იმდენი თანხა, რაც გზის ხარჯად ეყოფოდა. უკეთეს შემთხვევაში ერთ წელიწადს უნდა ემუშავნა ქარხანაში ნახევრად მშიერს, რომ სამგზავრო შეეგროვებინა. თან მეორე რამეც აწუხებდა ხელზე ნამოსამსახურევს: ცარიელ-ტარიელად დაბრუნება სამშობლოში ერცხვინებოდა, ხოლო კვლავ ჩარექაშვილის კარზე მიდგომას აღარ აპირებდა.

ამ დარდებით გულგახეთქილმა ერთ ინგლისელ მუშას მიმართა რჩევისათვის. აუწერა თავისი არასახარბიელო მდგომარეობა.

— აქ ხომ კარგად სცხოვრობთ, მაშასადამე, დარჩით, იბედნიერეთ. რა ჰყრია იქ, იმ თქვენს ქვეყანაში, შიმშილისა და სიღარიბის გარდა?—გაიკვირვა მეგობარმა.

— ჰყრია თუ არ ჰყრია, მე გადაწყვეტილი მაქვს გავემგზავრო, თქვენგან კი რჩევა მჭირდება, როგორ მოვიქცე, როგორ დავსძლიო უფულობას,—მიუგო ნაწყენმა ერასტიმ.

— უფულობა არც ისე დიდი უბედურებაა. მაგას შემოევლება. შენ ისა სთქვი, ხომ ყველაფერს იკისრებ, თუ კი კარგი ხელფასი გექნება?

— თუნდაც ფეხებით ჩამოვეკიდები.

— მაგალითად, ქვანახშირის ტვირთვას, ქვანახშირის ქურაში ჩაყრას და ბევრი ორთქლის შექმნას გემის ძრავების ქვაბში. ამას არ დაიზარებ?

— რაღა თქმა უნდა, არ დავიზარებ, — ღიმილით მიუგო ერასტიმ.

---

[1]) იხ. „მნათობი", № 4—5 და 6.

— მაღარიჩად მოვა თუ არა ერთი ბოთლი ვისკი ჩვენებურს პუდინგზე? პრემიერმა ეს მესამე დღეა გასჭრა იგი, მე კი ჯერ გემოთიც არ მიგრძნია.

— თუნდაც ახლავე, — დაეთანხმა გახარებული ერასტი, მერე კი გულაჩუყებით დაუმატა: — რადა ერთი ბოთლი, ორი იყოს. ერთი რჯულზე დავლიოთ. ოღონდ ჩქარა მომიწყე ეგ საქმე. აქ გაჩერების გული აღარა მაქვს.

— თუნდაც ხვალვე, — დაჰპირდა მეგობარი ერასტის.

გასწიეს დასალევად.

არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა მეგობრის დანაპირების შესრულება. ერთ კვირას ყოველ საღამოს დარბოდნენ ნავსადგურებში. ხმელთაშუა ზღვის, ბალტიისა და ჩრდილოეთ ოკეანეს გზებზე ვერაფერი სამუშაო ვერ უშოვნა მეგობარმა ერასტის. ის იყო დაანება კიდევაც თავი ერასტიმ ამ საშუალებით სამშობლოში დაბრუნებას, რომ მეგობარი მივიდა იმასთან და აცნობა, სამუშაო გიშოვნე დაირენში მიმავალ გემზედო. ერასტის ეს ცნობა ისე გაეხარდა, რომ აღარც კი იკითხა, ქვეყნის რომელ მხარეზე მდებარეობდა ეს ზღვისპირა ქალაქი. ერთი კი გაიფიქრა, ტრაპიზონზე შორს ხომ არ იქნება ბათუმიდანაო და ბარგშეკრული პირველ სიტყვისთანავე გაჰყვა ამხანაგს მის ნაცნობ გემის კაპიტანთან შესახვედრად და სამუშაოს საშოვნელად გემბანზე.

რაღაც საქონლით დატვირთული საბარგო გემი გლაზგოდან მიემგზავრებოდა რუსეთის პორტ დაირენში. ერასტის და მისი მეგობრის მისვლისას გემის კაპიტანი უკანასკნელ სამზადისს ათავებდა. აკლდა მხოლოდ რამდენიმე ცეცხლფარეში და გემიც მოიხსნებოდა ღუზიდან. კაპიტანმა ერასტი სიხარულით მიიღო და აგებულებაც მოუწონა. მერე ბოცმანს ჩააბარა იგი, რომელმაც ერასტი გემის სარდაფის საქვაბე განყოფილებაში ჩაიყვანა მექანიკოსთან და სამუშაო უჩვენა. ერასტის მიჩნეული სამუშაო მძიმედ და პატივისაყრად მოეჩვენა. ავტოს მექანიკოსს აღარ მოსწონდა ნიჩბით ხელში ქვაბსა და ბუნკერს შორის ტრიალი. მაგრამ უმალვე შეურიგდა ბედს, რადგან ამ საშუალებით იგი სამშობლოში ბრუნდებოდა და თანაც საკმაო ხელფასიც ექნებოდა. ამიტომ, მონახა რა დასაძინებელი ადგილი, ნახშირზე სამუშაო ტანსაცმელი გადაიცვა და საქმეს ხელმარჯვედ ეკვეთა.

ამრიგად გაეცნო ერასტი საოკეანო გემის იმ მძლავრ ძრავებს, რასაც ვეებერთელა გემი და ტვირთი მიჰქონდა. საქვაბეში დამაყრუებელი შიშინი, გრუხუნი და წივილი ისმოდა. ტრიალებდა სულის შემხუთველი გოგირდის სუნი. თეთრად ვარვარებდა თორმეტი ღუმელი, რომელთა შუქზედაც მტვრისაგან ზანგებივით გაშავებული ფარეშები იქნევდნენ მკლავებს და იწმენდნენ შუბლზე ოფლს.

— აი, თქვენი ადგილი, აქედან ნიჩბით აიღებთ ქვანახშირს და შეჰყრით ღუმელში, — უთხრა სამუშაოზე დადგომის წინ ბოცმანმა ერასტის და განაგრძო: — დაუნანებლად ჰყარეთ მადანი ღუმელში. რამდენად მეტს შეჰყრით ღუმელში ნახშირს, იმდენად მეტი ორთქლი გაჩნდება ქვაბში. ორთქლი კი ჩვენ მიგვიყვანს დაირენში და კვლავ სამშობლოში დაგვაბრუნებს.

საბოლოოდ ბოცმანმა ხელფასის რაოდენობაც გამოუცხადა. ეს კი აღარ მოეწონა ერასტის. მოლოდინზე ნაკლები აღმოჩნდა ხელფასი. სიტყვა არ შეუბრუნა ბოცმანს. სჩანდა ეს იმისი ბედი იყო და ყველაზე უარეს მდგომარეობაშიც კი გაძლება არჩია, ვიდრე უკმაყოფილების გამოხატვა. ხელი მოავლო ნიჩაბს, ნახშირი ღუმელში შეჰყარა.

ერასტის ქვანახშირთან ძველი ნაცნობობა ჰქონდა. ოკრიბიდან შორს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ტყიბული. სანამ ჯარში წაიყვანდნენ, მანამდე ამან და მამა მისმა თვალ წელიწადს იმუშავეს ნახშირის მაღაროში. მოაგონდა ის დღეები, ოა ნახშირ-ზე მუშაობა ახალისებდა კიდევაც.

ცეცხლფარეშების სამუშაო დღე ათსაათიანი იყო. ერასტიც ათ საათს მუშაობდა დღე-ღამეში. დანარჩენი თოთხმეტი საათი მის სრულ განკარგულებაში რჩებოდა. ეს საათები თითქმის დღეზე მოდიოდნენ. პირველ დღესვე ერასტი ღამის ცვლაში მოხვდა. თავისუფალი საათები ორად გაჰყო. შვიდ საათს კმარულობდა ძილისთვის. მეორე შვიდ საათს კი ფრთხილად დაიარებოდა გემბანსა თუ ტრიუმებში მანქანებს შორის. ძალიან აინტერესებდა ერასტის მანქანები. ნამეტნავად ის ნაწილი მანქანებისა, საიდანაც მოძრაობაში მოდიოდა გემის უზარმაზარი ხრახნი. ამიტომაც გადასწყვიტა, ამ გრძელ მოგზაურობის დროს თავის ხელობისათვის ცოტა რამ აქაც მიემატებინა. გაფაციცებით ეძებდა შემთხვევას, როგორმე ცეცხლფარეშობისათვის თავი დაეღწია და კვლავ მანქანებთან მოხვედრილიყო სამუშაოდ, თუნდაც დამგვალად, თუნდაც მზეთავად. რომ იტყვიან, ქრთამი ჯოჯოხეთსო, ერასტიმ ირწმუნა ეს გემზე.

ერთხელ დასაძინებელი ადგილის მახლობლად გემის მთავარი მემანქანე დაინახა. ერასტი იმ დროს თავის სამგზავრო ყუთსა და ჩანთას ალაგებდა. ყოველ შემთხვევისათვის საგზლად წამოღებული ოთხიოდე ბოთლი შესანიშნავი ბერძნული კონიაკით სავსე ბოთლები იქვე ეწყვნენ ყუთში ჩასადებად. ამ საქმეში გართულს მემანქანემ სალამი მისცა, გაუღიმა და გვერდით ჩაუარა. ერასტი მკვირცხლად გამოიჭიმა, მადლობა გადაუხადა სალამზე და დარდიმანდულად მიმართა:

— თუ ბატონი მემანქანე ინებებს, ერასტს შეუძლიან გაუმასპინძლდეს.

მემანქანე ადგილზე შეჩერდა და კმაყოფილი თვალების ფახულით შეაჩერდა. ერასტიც მკვირცხლად დაიხარა, ერთ ბოთლს ხელი წაავლო და ჯამბაზურის სისწრაფით საცობი ამოუძრო. ამას საკმაო რაოდენობის ტკბილეულიც მოაყოლა, დაალაგა ყუთის სახურავზე.

— მობრძანდით! — შეეპატიჟა ერასტი. მემანქანემ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეძებდა, ხომ არავინ გვიცქერისო და ფეხი გადმოსდგა მასპინძლის საწოლისაკენ.

ამ შემთხვევამ გადასწყვიტა მისი ბედი. გემი ესპანეთის წყალს არ გასცილებოდა, ერასტი სამანქანოში აღმოჩნდა მზეთავის თანამდებობაზე. მოათავებდა რა იქ არც თუ იმდენად რთულ სამუშაოს, გვერდიდან არა სცილდებოდა თავის შეფ მემანქანეს. ფინიასავით დასდევდა უკან, ეხმარებოდა. სამაგიეროდ შეფიც არ იშურებდა ესწავლებინა მისთვის ყველაფერი, რაც თვითონ გაეგებოდა მანქანის საქმეში.

სხვადასხვა ნავსადგურებში შესვლა-გაჩერებით გემი მეექვსე თვის თავზე მივიდა დაირენს. მგზავრობაში, ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულის გარშემოვლის შემდეგ, მიხვდა მხოლოდ ერასტი, რამდენად დაშორებოდა სამშობლოს. ახლა მხოლოდ ის-ღა ჰქონდა საფიქრებლად, როგორმე ისევ უკან გამოჰყოლოდა გემს, დარჩენილიყო სადმე შუა გზაზე და წამოსულიყო სამშობლოში.

რუსეთის ნავსადგურ დაირენში გემი ერთ კვირაზე მეტს გაჩერდა. მიტანილი ტვირთი გადატვირთა, ახალი მიიღო. ბუნკერებიც გაივსო ნახშირით. ერასტი გულმოდგინედ ეხმარებოდა ყველას და განსაკუთრებით თავის შეფს. აი დადგა გემის ღუზიდან მოხსნის დღეც. ახლა კი ნამდვილად მიაღწევს

ერასტი სამშობლოს. ექვსი თვის განმავლობაში რუკის საიდუმლოებასაც მისწვდა და სამუშაოს შოვნის გზებიც ისწავლა. მაგრამ ზედ გამოგზავნის წინ, რამდენიმე საათით ადრე, ერთი ისეთი რამ მოხდა, რასაც ძნელად მიხვდებოდა ან მოიფიქრებდა ერასტი: კაპიტანმა გამოუცხადა ერასტისა და კიდევ ორ ლატიშს, რომლებიც ერასტივით შემთხვევით დაქირავებულნი იყვნენ, გემი დაეტოვებინათ. მათ მაგიერ კაპიტანს აჰყავდა სამი ინგლისელი შავი მუშა, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. მეტი რა გზა ჰქონდა ერასტის, კაპიტნის ვერაგობით გამწარებულმა ბოცმანთან ანგარიში გაასწორა და სამუდამოდ ჩამოჰყვა ძირს ტრაპს. მკვდარ-ცოცხალი გაუყვა დაირენის ჰუჰყიან ქუჩებს. იმედგადაწყვეტილი: მორჩა, სამშობლოს ნახვა მე აღარ მეღირსებაო, უმეგობროდ, უნაცნობოდ, მარტოდ-მარტო დაეხეტებოდა ერთადერთი ქართველი შორეული დაირენის ქუჩებში.

ამ სრულებით უცხო ქვეყანაში რუსეთის პასპორტმაც ვერა უშველა-რა. შემონახული ფული თანდათან ელეოდა. მტვირთავთა არტელში მოწყობის დღეს, თვის ბოლოს, რაც იგი ქუჩებში დაეხეტებოდა, ჯიბეში რამდენიმე ინგლისური გროში ღა ეგდო. მტვირთავთა არტელში-კი ხელფასი თაგვის საგზლისოდენა იყო. თავისი ბედით მწარედ დაფიქრებული, იგი აქეთ-იქით ეწყდებოდა გალიაში გამომწყვდეულ ფრინველივით. მიმართავდა ყოველ საშუალებას, რომ ფეხზე დამდგარიყო, რიგიანი სამუშაო ეშოვა. ამაოდ. დაირენი ერასტისათვის გაკრიჟანგებული ნათესავივით არაფერს იმეტებდა.

მაძღარი მაინც მოვკვდეო, გადასწყვიტა ერთხელ მან. როგორც მის მდგომარეობაში მყოფ კაცს შეეძლო, ტანსაცმელი გაისწორა, გაიწმინდა, პირი გაიპარსა და გასწია ქალაქის იმ უბანში, სადაც საუკეთესო რესტორანები და საცხოვრებელი ბინები იყო. პირველად შეხვედრილი რესტორანი ამოირჩია, თავი ჩაღუნა, კარს ხელი ჰკრა და მოჩქარებით დაიკავა კუთხეში ერთი წყნარი ცარიელი მაგიდა. მენიუს სწვდა, დაუდო თითი ფრაკში გამოწყობილ ოფიციანტს მენიუს პირველ ჩანაწერზე და თავჩაღუნულმა დარბაზს გახედა. მგლების ყმუილივით ესმოდა მოსადილეთა უცხო ენაზე საუბარი. ფრაკიანი ოფიციანტი კი შიშის ზარსა სცემდა. ეგონა ერასტის: აცა, აგერ გული მოუვა, საკინძეში ხელს დამატანს, გარედ გამისვრისო. ჰირის პურივით უმადურად შესჭამა პირველი და მეორე კერძი. მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო, მოაგროვა შიგ შერჩენილი გროშები და დაუყარა ანგარიშის გასასწორებლად მოსულ ოფიციანტს. საჩუქრად კი რაღაცა ორი კაპიკი გადაუგდო ოფიციანტს, რომელმაც გაოცებით შეხედა ამ მათხოვრისათვისაც-კი დასაწუნ საჩუქარს და შეუბღვირა ერასტის. ფული ჯიბეში ჩაიდო, ხოლო მეორე ოფიციანტს უთხრა:

— სხვა დროს მე ასეთ სტუმარს კინწიკვრით გავაგდებდი. რა ეშმაკად შემოვიდა აქ. ნუთუ შვეიცარი თავის ადგილას არა დგას კარზედ!

ერასტის ამ სიტყვების გაგონებაზე თვალთ დაუბნელდა, მუხლები წაერთო, ყურებმა შხუილი დაუწყეს და სკამიდან გარედ გასასვლელად წამომდგარი წაბარბაცდა, მაგიდას გამოედო: თეფშები ხრიალით მოიპნა იატაკზე. დარბაზში სიცილ-ხარხარი ასტყდა. ერასტიმ კი გაიგონა: მთვრალი ყოფილა ეს ოჯახჭორიო. ამას ამბობდა იგივე ოფიციანტი ქართულად. ისეთი ქართულით, როგორიც მას, ერასტის, ესმოდა გორში, ტყიბულში, ოკრიბაში და ყველგან საქართველოში. ახლა კი ველარ მოითმინა ერასტიმ. როგორც იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწორდა, კედელს მიეყრდნო, თავი შეიმაგრა და შეშლილის სახით შეჰყვირა:

— მთვრალი კი არა... ქართველები ხართ, ბიჭებო!

ოფიციანტებიც შეჩერდნენ, როგორც სჩანდა, თვითონაც ძალზე გაკვირვებულნი: ჩვენი არ იყოს, დაირენში რა ეშმაკმა მოახვედრა ეს ოჯახქორიო. მივარდნენ, სკამი გაუსწორეს, დასვეს ერასტი. გამოელაპარაკნენ, რამდენადაც შეეძლოთ საქმისა და შემთხვევის შორის. ნასადილევს კი, როცა რესტორანში ხალხი შეთხელდა, მიჰგვარეს ერასტი დვალი თავიანთ პატრონს — ახალსენაკელ, ჩასუქებულ, მეტად საამური შესახედაობის წვერიან კაცს ჯვებე რეკვავას. ოფიციანტები კი აღმოჩნდნენ: პირველი — ფარცხანაყანელი ადეიშვილი ანდრია, ხოლო მეორე — ზესტაფონის მახლობელ სოფელ დილიკაურელი ჭიჭიკო პირონიძე.

მამა როგორ მიიღებს ისე შვილს, როგორც ერასტი დვალი მიიღო ჯვებე რეკვავამ. თავისი სავარძელი მიუდგა, დასვა. რაღაც ჩასწერა დავთრებში, რაღაც უთხრა ადეიშვილსა და პირონიძეს. ერასტის მკლავში ხელი გამოსდო, ქუჩაში გაიყვანა. ორი რიკშა დაიქირავა, შინისაკენ გააქანა ციდან მოვლენილივით დაირენში გაჩენილი ქართველი.

1886 წლის გაზაფხულზე სენაკის მახლობელ სოფელში მივიდა მცველების მრავალრიცხოვანი ამალით ბოქაული. დიდი ყრილობა იყო. ბოქაულმა ძველი მამასახლისი გადააყენა და ახალი ამოარჩევინა ყრილობას. ჯერი დადგა მამასახლისის თანაშემწეების ანუ, როგორც ჩვენში ეძახდნენ, ნაცვლების არჩევნებზე. ყრილობამ ამ არასასურველ თანამდებობაზე ჯვებე რეკვავა დაასახელა. ბოქაულსაც მეტი არა უნდოდა-რა. თავმომწონე ჯვებეს თითქმის ძალით დაჰკიდეს გულზე თითბრის ძეწკვებზე მიბმული ნაცვლის მედალი. გაცეცხლდა ჯვებე. ჩაიდო ფული და გასწია ამორდიასთან. რამდენიმე დღის შემდეგ ჯვებემ ნაცვლობისაგან თავი გაინთავისუფლა. ძველებურად შეუდგა თავის გემოზე ცხოვრებას. ნაცვლად კი აირჩიეს სხვა. გამოდგა: ახალ ნაცვალს ჯვებეზე ნაკლებ როდი მოსწონდა თავი. იძია, იძია, სანამ არ გაიგო ყველაფერი, როგორ გაინთავისუფლა თავი ჯვებემ. მერე ერთი დიდი არზა დასწერა, მიართვა ბოქაულს. დაბეზღა ჯვებე. საქმე საიდუმლოდ იქნა გამოძიებული.

ერთ მშვენიერ დღეს ჯვებეს ხელი სტაცეს, ჩაამწყვდიეს ციხეში. მეფის სამსახურის თავის ამრიდებელი ჯვებე დაჰკარგეს ციმბირში. ციხეში არ იჯდა მუდმივად, მაგრამ ნება არა ჰქონდა ეცხოვრნა ევროპის რუსეთში, კავკასიასა, შუა ციმბირსა და შუა აზიაში. რა კი ჯვებე ასე უღვთოდ დასაჯა ბედმა, გადასწყვიტა, იქაც აღარ გაჩერებულიყო, სადაც უფლება ჰქონდა. განაგრძო გზა აღმოსავლეთისკენ. გაიარა მთელი მანჯურია. მიაღწია ქვეყნის უკანასკნელ კიდეს — პორტ დაირენს. იქ იგი აღმოჩნდა სრულიად მარტოდ, უპატრონოდ, მაგრამ არაფერს ნაღვლობდა. ისე, როგორც ერასტი დვალი, ჯვებე რეკვავაც დაეხეტებოდა დაირენის ქუჩებში უპატრონოდ, უსახლკაროდ, უმუშევრად. ბარე ორი თვე გაატარა ძაღლის ცხოვრებით აზიის დასავლეთის ყველაზე უკიდურეს დაბაში დაბადებულმა ჯვებემ აზიის ყველაზე აღმოსავლეთის ნავსადგურის ჩინურ ჭუჭყსა და დილეგებში. ისე, როგორც ერასტი დვალს, ჯვებესაც შემთხვევამ წამოჰკრა ხელი. ამოტივტივდა ცხოვრების ზედაპირზე, ამოტივტივდა და აღარც ჩაძირულა.

შემოდგომის ერთ მოწმენდილ, მზიან დღეს ჯვებე რეკვავამ შენიშნა რუსული კოლონიური არმიის ერთი კარგად ეკიპირებული ნაწილი. ჯარი ... ხედრო მუსიკის გრიალით გაიარა ქალაქის მთავარი ქუჩები, გასწია ... ფორტებისაკენ. თვალის დაუფახულებლად მისჩერებოდა მათ ჯვებე. შეჰნატროდა ჯარისკაცის ბედს, რომელსაც ამ უცხო ქვეყანაში ბინა, პატრონი და უზრუნველი სასმელ-საჭმელი მოეპოებოდა. ოფიცრები კი ანგელოზებზე ნაკლებ ბედნიერად არ მიაჩნდა. ჯარის ქალაქზე გავლა სადემონსტრაციო იყო. ჯვებემ არ იცოდა, რომ მეფის მთავრობა ადგილობრივ მკვიდრებს აჩვენებდა თავის სამხედრო ძლიერებას. ხოლო ყველაფერი ეს განზრახული იყო იაპონელების დასაშინებლად. ამიტომაც რამდენიმე დივიზიის სვლა დაირენის ქუჩებში მთელ დღეს გაგრძელდა და ბოლო მაინც არ უჩანდა.

საღამო ხანს ჯვებეს ყურადღება მიიპყრო ერთი პოლკის სათავეში მიმავალმა პოლკოვნიკმა. შავ ყაბარდოულ იაბოზე იჯდა, ხელში შვინდის წითელ ჯოხზე დამაგრებული ტყავის ზუგდიდური მათრახი ეჭირა, სწორედ ისეთი, როგორიც მას არა ერთხელ სჭერია ხელში სენაკში და ბევრიც უნახავს. „ღმერთმა გადმომხედა მგონია“, ჩაესახა გულს იმედი ჯვებეს. გაიქცა, დაეწია პოლკს, ფეხი აუწყო პოლკოვნიკის ცხენს, გაჰყვა გვერდით. მერე ოდნავ დაწინაურდა, ცხენს ნესტოებთან მოექცა, პოლკოვნიკს ქვემოდან შეხედა. სიხარულმა ტანში ჩხვლეტა დაუწყო. მხედრის სახე ნაცნობიც კი ეჩვენა.

— ჩქიმი დიდი პატონი, ჩვენებური ხომ არა ხარ? — დაუძახა ჯვებემ, თან ყურადღებად გადაიქცა.

მხედარი ცხენზე შეირხა, ბეჭები შეისწორა, თვალები დაძაბულად გაახილა და დააჩერდა ყაბარდოულის ნესტოებთან შემოჩერებულ კაცს.

— ჰა, ჩქიმი დიდი პატონი, ჩვენებური ხომ არა ხარ?—გაუმეორა ჯვებემ.

— ჰო, ჰო, შენ ვინღა ხარ? — მოესმა ნანასავით ტკბილად უცნობის სიტყვები ჯვებეს.

— მეგრელი, ჩქიმი დიდი პატონი, მეგრელი!

— მერე აქ რა გინდა?

— ჩქიმი დიდი პატონი, მე თითონ მიკვირს, აქ რა მინდა, ღობალმა გადმომაგდო. ახლოს სალაპარაკოდ რომ მანახა თქვენი თავი, გეტყოდი ჩემს გაჭირვებას. ახლა კი რა ვქნა! — ჩაიზმუილა გულამომჯდარმა ჯვებემ. ფეხი შეეშალა. ცხენმა ფლოქვი გაჰკრა კოჭში. ჯვებეს ფეხი საშინლად ეტკინა, მაგრამ ახლა კანჭილით გაჰყვა. თან მრავალჯერ იმეორებდა: — ჩემი მხსნელი დიდი პატონი, შენ როგორ მოგცილდები, აქავე მოვიკლავ თავს!

— ახლა მომცილდი, — ბრძანების კილოთი ჩასძახა მხედარმა: — ორი საათის შემდეგ მელოდე ამ სახლის ყურეში! — უჩვენა ჯვებეს ერთს სახლზე მათრახის ტარით.

— ჩქიმი დიდი პატონი, ჩქიმი დიდი პატონი! — იმეორებდა დიდხანს ჯვებე ნაჩვენებ სახლის ყურეში და მოთმინებით უცდიდა უცხო მხედრის გამოჩენას. თან ფიქრობდა: „თუ ღმერთს განწირული არა ვყევარ ჩემი ავი ბედივით, უთუოდ შველა გამიჩნდა“.

ორი საათი ორ კვირად გადაიქცა. ჯვებეს ძალზე შიოდა. ერთი კვირაც იყო, მხოლოდ დილითა და საღამოთი სჭამდა რამდენიმე მისხალ პურს, ატანდა ზედ საზამთროს მოხალულ მარცვალს, რასაც იქ ჩინელები ჰყიდდნენ, როგორც კვახის შემწვარ მარცვალს ქუთაისში ხმელი ხილეულით მოვაჭრე თათრები. მხოლოდ მზის ჩასვლისას გამოჩნდა უცნობი. იმავ ცხენზე იჯდა, უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მოსდევდა მსახური ჯარისკაცი. ფიქრებით გაოგნებულ ჯვებეს სწორედ იმისი ცხენის ფეხის ხმა გამოეპარა. უეცრად მოესმა:

— აქა ხარ? გამომყე, ბიჭო!

— კი, ჩქიმი პატონი! — გამოეხმაურა ჯვება რეკვავა.

ფეხაჩქარებით გამოედევნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი გაჩერდნენ ერთ ორსართულიანი სასტუმროსა და რესტორანის მახლობლად. მხედარმა ჩამოიქვეითა. ცხენი მსახურს გადასცა, ხოლო ჯვებეს მკლავში ხელი მოავლო და რესტორანის კიბისაკენ გასწია.

— არა, ჩქიმი დიდი პატონი, ასე (ჯვებემ თავის ტანსაცმელს მიაქცია მხედრის ყურადღება) მანდ ვერ შემოგყვებით, ვერ გკადრებთ ამას.

მხედარმაც უკან დაიხია. მართლაც, საკმაოდ ცუდად და ჭუჭყიანად ეცვა ჯვებეს. სასტუმროში შევიდა, ათიოდე წუთს დაიგვიანა და გამოვიდა მეორე მხრით. უკანა კარით შეიყვანა ჯვებე სასტუმროში.

— სადაური ხარ? — ჰკითხა მან ჯვებეს, რომელსაც ვერ მოეხერხებინა თეთრად გაკრიალებულ ოთახში დასაჯდომის არჩევა და ფეხზე უხერხულად ტრიალებდა.

— სენაკელი, კოტიანეთელი, ჩქიმი დიდი პატონი.

უცნობი შეცბა, სახეზე ეჭვისა და სიხარულის სიწითლემ გადაჭკრა. ჩაფიქრდა, ხელები გაასავსავა, თითქოს უნდოდა ეთქვა: საიდან სადაო, წმინდაო საბაო.

— სენაკიდან, კოტიანეთელი, — ჩაილაპარაკა თავისთვის. — აქ როგორ მოხვდი, რამ გადმოგაგდო?

— ციმბირში დამკარგეს, პატონი. თუ დაკარგვაა, აბა მე დავიკარგები-თქო და ციმბირიდან აქ გეახელით.

— მერე რისი და ვისი იმედით?

— ეჰ, პატონი, როცა კაცს ღმერთი გაურისხდება, ადამიანებიც ზურგს უჩვენებენ. მერე ვინ იცის, რისი იმედით რას არ ჩაიდენს.

— მიცნობ? — ჰკითხა მხედარმა.

— არა, პატონი, დაახლოებით არა, ისე კი ჩვენებურ კაცს როგორ ვერ ეცნობ, თუნდაც მიწისაგან ოცი წლის გახრული ძვალი იყოს. მით უმეტეს თქვენა, ზედ გეტყობათ თქვენი კეთილშობილება, მირონი და ნათელი.

— რაზე დაგკარგეს ასე შორს, ალბათ, ძალიან ცუდი რამე ჩაგიდენია.

— არა, პატონი, ჩემის აზრით, სრულიად უსამართლოდ ვარ დასჯილი. ღმერთმანი ასეა! — უთხრა დაეჭვებულ მხედარს ჯვებემ. უბე გაიხსნა, იღლიის ჯიბიდან გაცვეთილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა, მიაწოდა.

მხედარმა ჩამოართვა სასამართლოს განაჩენის პირი. ჩაიკითხა ბოლომდე. ერთი შეხედა გაბრწყინვებული თვალით, მხარზე ხელი დაჭკრა ნიშნად კმაყოფილებისა და ქაღალდი უკანვე დაუბრუნა. მერე სუფთა, ნაფერავები ვაჟკაცური ხელი გაუწოდა ჯვებეს. მანაც ხელს ხელი წაუვლო, უეცრად დაიხარა და ემთხვია ზედ, როგორც მღვდელმთავრის ხელს. მხედარი შეცბუნებული დარჩა.

— მაშ, რაკი ბედმა აქ შეგვახვედრა ერთმანეთს, ჩემს თავსაც გაგაცნობ. ბარდღა დადიანი ვარ, შენსავებ სენაკელი, თითქმის მეზობელი. ეგ არის, იქ ხშირად არ მიცხოვრია. მამა ჩემი და მამა შენი კი უთუოდ ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ეს ორი წელიწადია ვმსახურობ აქ ჯარის აქაურ ნაწილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. რახან ასე შევხვდით, ნუ გეშინიან, მოგეხმარები, რაც ჩემს ღონეს შეუძლიან. ოღონდაც ივარგე, უნარი გამოიჩინე, არ შემარცხვინო.

— ჩვენებური კაცი, ჩქიმი დიდი პატონი, და ისიც მე? რასა ბრძანებთ! ერთი ფეხი მომაკიდებინე რამე საქმეში, მერე მე ვიცოდე, პატონი, ქვიდან სულგულს მოვზელ.

— ახლა ხომ არ გშიან?

— მთელი წელიწადიც რომ არაფერი მეჭამოს, ამ სიხარულის საათს მაინც ვერაფერს შევჭამ. იცოცხლე, ჩქიმი დიდი პატონი!

— მაშ ახლა უკან გამომყე, — უთხრა დადიანმა ჯვებეს.

გავიდნენ რესტორანის იმ განყოფილებაში, სადაც ოფიციანტები ირეოდნენ ბუზებივით. ბარდღა დადიანმა ვიღაც უცხოს რამდენიმე თუმანი და ჯვებე გადასცა. უცნობმა რეკვავა წაიყვანა ქალაქის ყველაზე საუკეთესო მაღაზიაში, იქიდან აბანოში და კარგა მოგვიანებით დაბრუნდნენ. ბარდღა დადიანს გამოძინება მოესწრო. ჯვებე ევროპულად გამოწყობილი შევიდა. ჰალსტუხს ვერ ეგუებოდა მხოლოდ, დანარჩენი თანდაყოლილივით ადგა ტანს. ჯვებე და ბარდღა სასადილო დარბაზში გავიდნენ, გემრიელ ვახშამს მოუსხდნენ.

პირველად, რამდენიმე თვის ხეტიალისა და ბედისაგან სასტიკად დევნის შემდგომ, ჯვებემ იმ ღამით დაიძინა მოსვენებით სასტუმროს სუფთა ოთახსა და ქვეშაგებში.

მეორე დღეს ჯვებე რეკვავა წარუდგა ბარდღა დადიანს გარნიზონის ოფიცერთა საკრებულოში. ბარდღამ იგი ოფიცერთა საკრებულოს სასადილოში ოფიციანტად მოაწყო. ჯვებესთვის ეს დახმარება სრულიად საკმაო აღმოჩნდა. მოიკიდა ფეხი საქმეზე და ქონიც გაიჩინა. თვის თავზე ჯვებემ პირველი შესანახი თანხა გამოჰყო ნაშოვრიდან შავი დღისათვის. რამდენიმე თვის შემდეგ კი თავს დამოუკიდებლად გრძნობდა. ნაცნობი და მეგობრები გაიჩინა. ერთ დღეს მან სპილოს ძვლის სათუთუნე იყიდა, ოქროთი მოაჭედინა, ოფიცრებს, დადიანის პატივსაცემად, შესანიშნავი სადილი გაუმართა საკრებულოში და ეს საჩუქარი — სპილოს ძვლის ოქროთი მოჭედილი სათუთუნე მიართვა.

წლის დამლევს ბარდღა დადიანს უკვე საგრძნობი თანხა ემართა ჯვებესი. მაგრამ ჯვებეს თავისი კეთილისმყოფელისათვის ფული კი არა, სიცოცხლეც არ ენანებოდა.

საკმაოდ ხელწამოწყობილმა ჯვებე რეკვავამ ვეებერთელა დეპეშა შეადგინა ბარდღა დადიანს. გაჰგზავნა შინ, კოტიანეთში. იქ ცოლშვილი ჰყავდა დატოვებული, რომლის კვლავ ნახვის იმედიც დაკარგული ჰქონდა. დეპეშას სამოციოდე თუმანიც მიაყოლა უკან. ცოლი გაიწვია დაირენს. „ჩემო ძვირფასო იადო (ცოლის სახელია), მოუთმენლად გელი, რა დაგკარგვია კოტიანეთში, ჩამოდი ჩემთან, სამოთხე აქა ყოფილა“.

მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ დაირენში ჩავიდა თითქმის რუსული ენის სრულიად უცოდინარი ჯვებეს მეუღლე იადო ორი ბავშვით. მიიყვანა ისინი საგანგებო გამცილებელმა. ასე დაიწყო შორეულ აღმოსავლეთის ქალაქში საქმე და ცხოვრება ჯვებე რეკვავამ. ბედს მაინც და მაინც ძალიან აღარ ემდუროდა. მისი მეგობარი ბარდღა დადიანიც განაგრძობდა სამსახურს დაირენის გარნიზონში. შვილები გიმნაზიაში დაიარებოდნენ, სწავლაში მარჯვობდნენ. ერთადერთი საზრუნავი იყო ჯვებესი, ისინი დაევაქცეინა,

ნასწავლი ხალხი გამოეყვანა და დაბრუნებულიყო სამშობლოში. ოდესმე ხუთი წლის შემდეგ ჯვებემ ქალაქის შუაგულში საკუთარი სასტუმრო-რესტორანი ქვედა სართულში სარდაფით და რესტორანითურთ. ამის გამო დაირენს ქართველები მიემატა: ჯვებემ ისინი სამშობლოდან საგანგებოდ მიიწვია. ესენი იყვნენ ჩვენთვის უკვე ნაცნობნი ანდრო ადეიშვილი და ჭიჭიკო პირონიძე. ერასტის დაირენში გამოჩენისას ქართველების ამ ჯგუფთან იყო კიდევ ერთი მოხუცი. მისი სახელი და გვარი იყო ეფრემა ნოზაძე. იგი შორეულ აღმოსავლეთში ჩამოეგდო ლინეევიჩის ლაშქრობას ბეიპინზე. სურამის მახლობელ სოფელ ფონელ ეფრემა ნოზაძეს, სამშობლოში განთქმულ მეზურნეს, ხოლო ჩინეთში აბრეშუმის ქსოვილების ვაჭარს, „უთვალავი“ ოქროები ჰქონდა შენახული ბანკში. იგი როგორღაც მიეკედლა ქართველების თავშესაფარს, ჯვებე რეკვავას ჭერსა და ოჯახს.

მას შემდეგ, რაც დადიანმა, ევროპის რუსეთში გადაყვანის გამო, დაირენი მიატოვა, ეს ქართველები შეადგენდნენ დაირენის ქართულ კოლონიას. მას დროებით მიემატა ინგლისიდან იქ ჩასული ერასტი დვალი და ისევ ჩქარა დასცილდა. ერასტი დვალი იყო ადამიანთა სხვა მოდგმის კაცი, სამწუხაროდ, ადამიანობის იმ მცირედ მარაგსაც მოკლებული, რაც გააჩნდათ ჯვებე რეკვავას, ჭიჭიკო პირონიძეს, ანდრო ადეიშვილს, ეფრემ ნოზაძეს და ნამდვილ და ერთადერთ ადამიანს მათს შორის — იადოს.

ქუფრი ღრუბლით იყო დაფარული ცა, აგრე რომ უყვარდა ანაკლიელ მეგრელის ქალს იადოს. ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ. მენავეები ენგურის შესართავში შესცურდნენ. იადოს მამა გამგზავრების წინ დაჰპირდა ქალიშვილს, ოქროთევზას მოგიყვანო. აი დგას იადო, უცდის მამას ზღვის პირად. უცდის, ამინდი კი მკაცრდება, ქარიშხალი უმატებს, საზარელი ფსტვენა და ძუძგუნი ისმის. ვინ არის ვაჟკაცი, ვინ მიეშველება იადოს მამას? ტირის იადო, ცრემლები თქეშად ჩამოსდის. უეცრივ ღრუბელი გაიპო, ჯერ ნათელი გამოჩნდა, შემდეგ კი ღრუბლის კარში მზის სხივები შეკრულ ძნასავით გამოდიან, გაანათებენ ნაპირზე მდგარ იადოს. შორით მენავეებიც მოსჩანან. ისინი მარჯვედ უსვამენ ნიჩბებს, ნაპირისაკენ მიეშურებიან. იალქნის ანძასთან იადო ხედავს თეთრწვერა მოხუცს. ეს იადოს მამაა. ნავი სავსეა ვერცხლისგულა თევზებით. უეცრად იადოს მამამ ხელი აიქნია და მიმინოსავით ააფრინა თეთრი ფრინველი. იადოს თოლია ეგონა. თეთრი ფრინველი აფრინდა, ცაზე წრე შემოხაზა და ქალს მხარზე დააჯდა. თოლია მტრედად იქცა. ზის, ღუღუნებს საამურად. იადომ მტრედი მხრიდან აიყვანა, უბეში ჩაისვა. მაგრამ რას ხედავს? მტრედს ქორულად მოკაუჭებული მტაცებლური შავი ნისკარტი აქვს, ფეხებზედაც ბასრი კლანჭები ასხია. მტრედი კი არა, ქორია, დაუნდობელი და ავი. ჰკორტნის იადოს, ჰგლეჯს ხორცს. სისხლი ჩქეფად გადმოსდის მკერდზე: მიშველეთ! ჰყვირის იადო გამწარებული. იადოს წინ დგას ჩინელი დამლაგებელი, მსახური ქალი. იგი ადებს იადოს ავი სიზმრისაგან გახურებულ შუბლს ყენშენის წყალში დასველებულ ტილოს. იადო გონს მოდის. ახლა იმაზე ფიქრობს, თუ როგორ აუხდება ეს მწარე სიზმარი. რაღაც მოელის იადოს, ან ოჯახის სულის დაკლება ან ავადმყოფობა. შორეულ ქვეყანაში სიზმრები სამშობლოზე მისი ერთად-ერთი ბედნიერებაა და აი ეს ტკბილი მეგობარიც ღალატობს.

გარედ ხმაური ისმის. ვინ არის? ჯვებე დაბრუნებულა. ახლა კი ნამდვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად რამე უბედურებაა იადოს თავს. ჯვებეს არა აქვს ჩვეულებად ასე ადრე დაბრუნება თავის დაწესებულებიდან.

— კაცო, ცუდი ხომ არაფერია, რა გინდა ამ დროს? — უყვირის კიბეზე ცოლი ქმარს.

— ჩვენებური კაცი მოვიყვანე, იადო, — ეხმაურება ჯვებე, კიბის დასაწყის საფეხურზე შემდგარი და უკან იხედება.

მოშორებით ნელა მიაბიჯებს ერასტი დვალი. ულვაშებს ისწორებს, ჭროღა მოჭუტული თვალებით წარბებ ქვემოდან იჭვრიტება. სიხარულისა და სიზმრის მშვიდობით ახდენისაგან დაბნეული იადო იკეცება და მდივანზე ვარდება. ჯვებე და ერასტი შედიან. სხდებიან აივანზე.

— ეს ჩემი სახლი და ეს შენ, — ეუბნება ერასტის ჯვებე: — შენ შვილი, მე მამა. იადო, — მიმართავს ცოლს ჯვებე: — აი ჩვენებური კაცი. სამი წელიწადია წამოსულა საქართველოდან. მოუარე და იჯერე ლაპარაკით გული.

— მოდი, მოდი, შვილო! შენ შვილი და მე დედა. ერთი ხმა გამეცი, ერთი სიტყვა მითხარი. სამი წელიწადი რა დიდი დროა? მითხარი ჩემი ქვეყნის ამბავი. ჩემთვის იგი ახალი იქნება, მე ხომ აქ თხუთმეტი წელიწადი ვარ. აღარც ნაცნობი, აღარც ნათესავი. ყველაფერს მოწყვეტილი ვარ გადასროლილი ქვასავით.

„ბედი მწყალობს“, ფიქრობდა ერასტი, განცვიფრებული ჯვებეს და იადოს სტუმართმოყვარეობით, და სანამ იგი ამ თვისტომის ადამიანის ნახვით გახარებულ ხალხს მოუშინაურდებოდა, კუთხეების დათვალიერებას მოასწრებდა, იადომ სტუმრისათვის გვერდის პატარა ოთახი გამოჰყო. აცრემლებული ქალი ჩინელ მსახურ გოგოს დახმარებით ალაგებდა ოთახშ. ფერადი აბრეშუმის საბნებს, ჭრელა-ჭრელა აბაჟურებს, ჩინური ლარნაკებით და ჭურჭლეულით ავსებდა სახლის ყოველ კუთხეს.

რად უნდა ყველაფერი ეს, რაც შეიძინა იადომ დაირენში ხანგრძლივი ცხოვრების დროს? რაღა ძმა მოუვა, რაღა ნათესავი გაახარებს? მაშ ცვითოს, მშვიდობაში მოიხმაროს ეს ძვირად ღირებული ნივთები საიდანღაც მოსულმა ერასტი დვალმა. ოღონდაც დღეში ერთხელ მაინც შემოიხედოს შინ, გააგონოს იადოს ქართულად წარმოთქმული სიტყვა.

ანაკლიელ საჯაიას ქალს, თავის მშობელ სოფელშიაც ლამაზს, ჯანსაღსა და თვალადს იადოს, დაირენში ყოფნა მოხდენოდა. მას ანებივრებდა მთელი ქართული კოლონია. იგი იყო ერთად-ერთი ქალი მათ შორის. მოვლასა და ნებივრობას იგი გარეგნულად დაემშვენებია, ხოლო ოჯახზე და თავის თვისტომზე ზრუნვას, რაც მის ბუნებაში ღრმად იყო ჩანერგილი, იადო აემაღლებინა ბევრი ქალისათვის მიუწვდომელ მწვერვალამდე.

მაგრამ ყველაფერი ეს გაუგებარი იყო ერასტისათვის. იგი მიდიოდა თავისი გზით, რაც დაბადებიდან უკუღმართად იყო აწყობილი და დალაგებული. ამიტომაც პირველი, რაც მან გაიფიქრა იადოზე, იყო ორი სიტყვა, იგი გამოხატავდა მთელი მისი ხელზე ნამოსამსახურეობის შინაგან არსს: „ხორციანი დედაკაცია“.

სანამ იადო ოთახს უწყობდა ერასტის, სანამ ამოალაგებდა კამოდიდან საცვლებს, თეთრეულს და ზედა პერანგებს სტუმრის აბანოში გასაგზავნად, ერასტიმ მოასწრო ხორციანი დედაკაცის თვალით აწონ-დაწონა. როგორღაც მოულოდნელად გაახსენდა გორში დატოვებული ასტღიკი, გლაზგოში დარჩენილი ერთი უზნეო ქალი, რომელთანაც სცხოვრობდა გამომგზავრებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კვლავ გაიფიქრა: როცა ღმერთი მწყალობს, ეშმაკი რას დამაკლებსო. აივანზე გავიდა, გადახედა ქალაქის მოძრაობას, შორეულ ფორტეპიანოს ღერა თავისთვის:

„დედობილმა, მამობილმა
ამიყვანა შვილადაო,
ერთი კარგი გოგო ჰყავდათ,
მე ვკოცნიდი ხშირადაო.
გოგო მიდის მოხვეულში,
ვსტაცე ხელი, არ გავუშვი.
დედობილი მეხვეწება,
ჩაკოცნე და გამოუშვი.
გავიგონე, გამეხარდა,
არ გამოდგა გოგო ურჩი.
ხელი ვტაცე, მოვიტაცე,
ჩავაგორე შქერის ბუჩქში“.

თითქოს ამ სიმღერამ ძვირფასი განძი აპოვნინაო, ერასტიმ თვალების ცეცება დაიწყო. იქნება დედობილ-მამობილს გოგო ჰყავთ? მაშინ მის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს, ერასტი შეირთავს მას ცოლად. ჯვებე მთელ საცხოვრებელს მისცემს მზითვად. მეტიც არ უნდა ერასტის. შემოიდგამს ფეხს, იცხოვრებს ბატონივით, ყაენს სალამს აღარ მისცემს. სამწუხაროდ, ამ ფიქრზე იმ დღესვე აიღო ხელი. სალამოს, ვახშამზე, რასაც მთელი კოლონია დაესწრო, მან გამოარკვია: იადოს ჰყავდა ორი ვაჟი, გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფეები. გამოარკვია და დაებადა ახალი აზრი: თუ დედობილ-მამობილს გოგო არ ჰყავთ, მაშინ რა ჰქნას ერასტიმ? და იმავე, ერთხელვე ნაღრძობმა გონებამ უთხრა: ღმერთმა რაც მოგცა, იმას ჩასჭიდე ხელიო. ღმერთმა კი რა მისცა? „იადო“ — უპასუხა კითხვას ერასტიმ. ამ წუთიდან მან თვალი დაადვა იადოს. ისვენებდა ქალი შინ თუ დასეირნობდა ეზოში; ტრიალებდა სამზარეულოში თუ ეჯდა საკერავს, ერასტი მისჩერებოდა ყელსა და მკერდზე, ლოყებსა და ტუჩებზე, თეძოებსა და ფეხებში.

— ღმერთო, დამიფარე, რა უტიფარი ცქერა აქვს, — ფიქრობდა ხშირად იადო და გულმოდგინედ განაგრძობდა დედობრივ მოვლას, თან გულში საკუთარ თავს უჯავრდებოდა ქალი: ეს რა მომდის, ხომ არ მეჩვენება: ჩვენებური კაცი ვნახე, ქართულად მელაპარაკება და ეს რა აზრები მომდის თავშიო. შორს ჩემგან, ეშმაკისაგან ჩანერგილო ფიქრებო, შორს! და ყოველ ასეთ ფიქრისა და გადაწყვეტილების შემდეგ მისდა უნებურად როგორღაც წინანდელზე მეტად ერიდებოდა ერასტის თვალსა და შეხედვას.

ჯვებე რეკვავას სახლში გაიცნო ერასტიმ ოქროების პატრონი ნოზაძე. ჯვებეს ახლად მოსული თვისტომის, ერასტის პატივსაცემად წვეულება და ზეიმი ჰქონდა. სალამოს ვიღაც მოხუცი ქოშინით შეჰყვა კიბეს. ერასტიმ იგი აივნიდან შენიშნა. მკერდზე ნიჩაბივით თეთრი წვერი ეფინა. მოშლილ სხეულს მარჯნის ბლოკებისაგან აგებულ მაჯის სიმსხო ყავარჯნით იმაგრებდა. იგი შინ შევიდა, ყველას მიესალმა, მიუპატიჟებლად, თითონ მონახა მაგიდასთან ადგილი, არავის მოუცადა, ხელი დაჰყო. უზომოდ სჭამდა. ბევრს ლაპარაკობდა, სთვლემდა, ამთქნარებდა. რაზედაც არ უნდა დაეწყოთ საუბარი,

ეფრემა უსათუოდ საქართველოს ჩაურევდა შიგ, საუბარს ნატვრით ამთავრებდა: ნეტავ იქ მიმიყვანა, მომკლა და დამმარხაო. ამას იგი ხმირად იმეორებდა. მსმენელები, მასპინძლები აბეზარზე მოჰყავდა.

— მოდი ჩემთან, იმუშავე რესტორანში, — შესთავაზა ჯვებემ ერასტის ამ წვეულებაზე, — და ვნახოთ, რა გამოვა. მერე იქნება ღმერთმა ხელი მოგიმართოს. დაგროვებ ფულს, შენ თითონ წამოიწყებ საკუთარ საქმეს. — თანაც ბრწყინვალე მომავალი დაუხატა.

— მე მაგისათვის არ გამოვდგები, — გადაჭრით იუარა ერასტიმ.

— მაინც ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ჩვენ, რასაც არ მოჰკიდებ ხელს, ყველაფერში ხელსა და მხარს მოგაშველებთ, — დაიმედეს ის მეახალშენეებმა.

მთელი ახალშენი დატრიალდა. მონახეს ნაცნობები და მეგობრები. აღმოუჩინეს ერასტის რკინის სამუშაო. იგიც უმალვე დაადგა საქმეს. რამდენიმე კვირას იმუშავა, მერე მოულოდნელად დაანება თავი. ძალზე დაბალი ხელფასი აღმოჩნდა, დღიურ საჭმელადაც არ ჰყოფნიდა. სამუშაო დღე თორმეტ საათს აღწევდა, თან არც ის მოსწონდა, რომ ჩინელ ჭუჭყიან მუშებს შორის მუშაობდა. საკუთარი საშუალებით ბინაც კი ვერ დაექირავებინა და რეკვავასას განაგრძობდა ცხოვრებას.

— რად არ გინდა იმუშაო რესტორანში? — ესაყვედურებოდა ჯვებე.

— აკი გითხარით, მაგ საქმისათვის ვერ გამოვდგები, — დაიჟინა ერასტიმ. გულში კი სულ სხვა განზრახვები ედო. ამ ბოლო დროს ეხამუშებოდა დაქირავებით შრომა. თან განაგრძობდა ჩივილს: — ეს რა დამემართა, მე სამშობლოში დაბრუნება მინდოდა, აქ კი მოვხვდი. თუ ღმერთი გწამთ, მადლი ჰქენით, სამშობლოში დასაბრუნებლად მომიწყეთ ხელი, — იხვეწებოდა.

ამას ერასტი მაშინ ამბობდა, როცა ეფრემა ნოზაძე იქ იყო. აწვეთებდა ყურში მოხუცს: თუ სამშობლოში წასვლა გინდა, ჩემზე უკეთეს თანამგზავრს სად იშოვნიო.

— ჰა, ერასტი, მაშ სამშობლოსაკენ? კარგი, კარგი, როდისთვის აპირებ? იქნებ მეც გამოგყვე!

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია იადომაც.

კარგა ხანია იგი სძებნიდა მიზეზებს, როგორმე მოეცილებია ერასტი. პირდაპირ ეძნელებოდა. თან გულწრფელად ეცოდებოდა ერასტი, უფულო და ცარიელი. ბოლოს გაბედა და წინადადება მისცა ეფრემას.

— მაშ მართლა გინდა სამშობლოში დაბრუნება? — ჰკითხა ერთხელ მოხუცს იადომ.

— მართლაო, განა სათქმელია?!

— ძლიერ?!

— თუნდაც ახლავე მივატოვებ დაირენს, დღესვე, ოღონდ ვიცოდე სამშობლოსაკენ მიმავალ გზას ვადგივარ და მივაბიჯებ, მაგრამ მე აქაც ძლივს დავდივარ, იქნამდე რა მიმაღწევინებს.

— ვინმე რომ გამოგყვეს, ან მიდიოდეს, გაჰყვები თან? — ჰკითხა ისევ იადომ და გამომცდელად შეხედა მოხუცს.

— რა თქმა უნდა, მერე ვინ მიდის?

— ერასტი, — მოკლედ მოუჭრა იადომ.

— მართლა, ეგ როგორ ვერ მოვიფიქრე აქნამდის? — შეჩოჩქოლდა მო-

ხუცი. — მაშ მე მიწერია, სურამის ცა დავინახო, ლიხის ქედს ფეხი დავადგა? ღმერთო მხსნელო და მოწყალეო, არა გყოლივარ განწირული!

ამ დღიდან იგი აღარ სცილდებოდა ერასტის. მიჩვეული ბატკანივით ბაკაბუკით დასდევდა შინ და გარედ. აღარ ასვენებდა კითხვებით, აჩქარებდა. ერასტიმ კი ფეხი აითრია.

— მე მაინცდამაინც ძალიან არ მიმეჩქარება, ფულიც არა მაქვს, — ამბობდა ის და ხელად ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რაზედაც წინად არა თანხმდებოდა, მტვირთავად მუშაობა დაიწყო. მერე განაცხადა თითქოს საბოლოოდ, — ვრჩები, არსად არ მივდივარ, გზა არა მაქვს, ფული არ მიდევს ჯიბაში.

— თუ ფული გიშლის ხელს, მაგას თავი მრევლება. ოღონდაც წავიდეთ, აქ გაძლების თავი აღარ მაქვს, — განაცხადა ეფრემმა ერთი შელაპარაკების დროს.

— თუ ეგრე იქნება, ვიფიქროთ, — დაეთანხმა ერასტიც. მგზავრობის გეგმის შედგენა და პირობის გამომუშავება მთელი ქართული კოლონიის თანადასწრებით მოხდა. ერასტი კისრულობდა მოხუცს გაჰყოლოდა, მიეყვანა იგი სურამამდე. მოხუცი ეფრემა ნოზაძე სამაგიეროდ იხდიდა გზის ხარჯებს სამშობლომდე, ხოლო პირად გასამრჯელოდ ერასტის აძლევდა ორას თუმანს ოქროთი.

კოლონიამ გამართა გამოსამშვიდობებელი ვახშამი. სამშობლოში მიმავალთ გზა დაულოცეს.

ამრიგად, ერასტი და ეფრემი დაიძრნენ საქართველოსაკენ. გვიან შემოდგომაზე, ღვინობისთვის დამდეგს მათ მიაღწიეს ტფილისის რკინისგზის სადგურს.

ეფრემა ნოზაძეს სადგურს იქით ფეხიც არ გადაუდგამს. ახლა იმისი ერთად-ერთი სურვილი იყო, მატარებლისთვის მოეცადნა რამდენიმე საათს და ისევ ჩამჯდარიყო მატარებელში, რომ მეორე დღეს შინ, თუ კი მამაპაპეული სახლი დახვდებოდა, კერაზე ცეცხლი აენთო. ერასტის წერილი დააწერინა მხოლოდ: ეფრემი დაირენში დარჩენილ ქართველებს მადლობას უხდიდა მეგობრობისათვის, თან ატყობინებდა, შინ მშვიდობით მოვედი, აწი აღარა მიჭირს რაო. ეფრემს არც ამ წერილის დაწერის გული ჰქონდა, მაგრამ იგი მოეჩვენა დროს მოსაკლავ კარგ საშუალებად მატარებლის ჩამოდგომის ცდაში. მატარებელი ნაშუადღევის პირველ საათზე დაიძრა. ეფრემმა ბარგითა და ძვირფასეულით სავსე კუპეში ერასტი მიატოვა, ხოლო თვითონ ბაქანზე გავიდა, მისჩერებოდა მტკვრის პირად მდებარე ტრიალით მიმქროლავ ქართლის ვაკე მაღლობებს.

აგერ გორი, აგერ აგარა, აგერ მოხისი, სადაც იგი ურმით ჰყოლია მამას ბალღობისას. აგერ დოღლიური. სულ ჩქარა ხაშური იქნება, შემდეგ ლიხი, სურამი, ფონა. მივა ეფრემი, ნახავს მამა-პაპის ნასახლარს, ემთხვევა ფონის მიწას, გააჩაღებს კერას, გასტეხს თონის პურს. სოფელს სასმელ წყაროს მოუწყობს სახსოვრად და მერე თუნდაც მოკვდეს, აღარ იდარდებს. ოთხმოცი წელიწადი თელა მიწა, იწვალა, იფოთიარა, და ეს კმარა იმ ბედნიერების მოსაპოებლად, რომ ადამიანი მიებაროს მამაპაპისეულ მიწას, მათის ძვლების მახლობლად.

— დღესვე დავიქირავებ ეტლს, დღესვე მივალთ ფონაში, — ეუბნება ეფრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი თვალზე ცრემლმომდგარი, სიხარულით აკანკალებული ბაქანზე გამოსულ ერასტის.

— დღესვე, დღესვე, რაღას დავუცდით? მეც შინ მიმეჩქარება, — მიუგეს ერასტიც.

ეს ოსიაურია, დიაღ, ოსიაური. ოსიაურიდან ხაშურამდე სულ ახლოსაა, ხაშურიდან სურამამდე კიდევ უფრო ახლოა, სურამიდან ფონამდე... მაგრამ...

— შე ურჯულოვ, რას სჩადიხარ?! მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი! — ყვირის ეფრემი. მის ხმას ფარავს მატარებლის თვლების რახუნი, ორთქლმავლის გუგუნი.

ქრისტიანს არ ესმის ეფრემის ძახილი. მოხუცი ვარდება ბუფერებში, სრესს მატარებელი.

რკინისგზის ლიანდაგის მუშებმა ნახეს მოხუცის ორად გაგლეჯილი გვამი. იძიეს, იძიეს. ბერიკაცი უთვისტომო და უპატრონო აღმოჩნდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭანს გაბე

ათასნი დაეცემიან

თავი მესამე [1])

ჭაერში მზვერავნი

სამი დაუსრულებელი კვირის განმავლობაში მოხალისეთა ოცდამეერთე პოლკი მედგრად იცავდა თავის უბანს — ფრონტის ნაწილს შენიდან პტიტარმუაზამდე. მერე პოლკოვნიკმა დე ბიუისიმ სწრაფად შეჰკრიბა თავისი ძალები და უბრძანა მესამე ბატალიონს — გაედევნა გერმანელები არდენის არხს იქით. კაპიტნის გრაფ რაველის ასეულმა, მტრის ძალთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, მოახერხა გერმანელების უკუგდება ორი კილომეტრის მანძილზე და ხიდის აფეთქება არხზე. ჩვენს დივიზიას, ოცდამეთხუთმეტე დივიზიას, ეკავა ფრონტის სექტორი სედანის სამხრეთით, ამ ქალაქიდან ოცდაათ კილომეტრზე, სწორედ ის სექტორი, რომელიც გერმანელებმა პირველად გაარღვიეს და რომელთანაც გაანადგურეს გენერალ კორაპის არმია. გარღვევის შემდეგ გერმანელთა ჯავშანსატანკო კოლონა დასავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა ფლანდრიის დასაპყრობად. იმავე დროს მათი ქვეითა ჯარი განაგრძობდა იერიშს ჩვენს ფრონტზე: ცდილობდა გარღვეული ადგილის გაფართოებას და მაჟინოს ხაზის გადალახვას. ოცდამეთხუთმეტე დივიზია სამი კვირის განმავლობაში აკავებდა გერმანელებს ატინიიდან სიამდე, და იმ დროს, როცა ჩრდილოეთით და დასავლეთით, ხოლო შემდეგ სამხრეთითაც გერმანელები დღეში ასს კილომეტრს გადიოდნენ, სედანთან გერმანიის ჯარში ჩვენს მიერ ჩაჭედილ „ხოლს“ საფრანგეთის საბოლოო დამარცხებამდე ნირი ვერ შეაცვლევინეს.

რათა მკითხველმა სათანადო მიუზღოს ოცდამეთხუთმეტე დივიზიის გმირულ ეპოპეას, ვიტყვი ორიოდე სიტყვას იმ პირობებზე, რომლებშიაც ჩვენ ბრძოლა გვიხდებოდა.

პირველ დღიდანვე ჩვენს დაუძინებელ მტრად შიმშილი გადაიქცა. იმ შიშით, რომ გერმანელებს არ შეენიშნათ საველე სამზარეულოების კვამლი, სამნეო ნაწილის გამგე ოფიცერმა ეს სამზარეულოები მოათავსა ერთ მივარდნილ სოფელში — ბუ-ო-ბუაში, რომელიც ჩვენი პოზიციებიდან თორმეტ კილომეტრზე უფრო შორს მდებარეობდა. დღეში ორჯერ მიდიოდნენ ჩვენი მსუბუქი მანქანები — ბოლოს, როგორც იყო, მივიღეთ რამდენიმე მსუბუქი მანქანა — ამ სოფელში. მათ მიერ მოტანილი საჭმელი მუდამ ყინულივით ცივი იყო. რადგან ამ სოფლისაკენ მიმავალ გზას გერმანელები განუწყვეტლივ უშენდნენ ყუმბარებს, მანქანებს ხშირად უხდებოდათ გაჩერება და ცდა. ერთი კვირის შემდეგ მთლად შესწყდა მიმოსვლა დღისით და საჭმელი დღე-

---

[1]) დასაწყისი იხ. „მნათობი“, № 6.

ლამეში მხოლოდ ერთხელ მოჰქონდათ — შუალამისას. ზოგჯერ შეფერები ლამითაც ველარ ახერხებდნენ ბუ-ო-ბუადან გამოსვლას. ხოლო ... ორცხობილებისა და „მაიმუნის ხორცის“ ჩვენი მარაგი მალე ისე დაიშრიტა, რომ ხშირად ორ-ორ დღეს მშიერ-უჭმელნი ვიყავით.

პირველ დღეებში ისეთი არეულ-დარეულობა იყო, რომ კაცს თავგზა აებნეოდა. ჩვენ ჩვენი თავის ანაბარა ვიყავით მიგდებულნი. სამეთვალყურეო საგუშაგო მოვაწყე სენ-დენის აღმოსავლეთით, ერთი კილომეტრის მანძილზე. ვცხოვრობდით „ნადირობით“. ჩვენი მთავარი მონადირე გომესი იყო, პირველი მოხალისე საფრანგეთის ჯარში.

გომესი სუსტი, ფერმკრთალი კაცი იყო, ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის მომხრე. ესპანეთიდან გამოქცეულმა საზღვარი ლე პერტიუსში გადმოლახა. იგი საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, მაგრამ არ მოასვენეს და ბანაკიდან ბანაკში ჰგზავნიდნენ. ომის დაწყებისას გომესი მოხალისედ შევიდა საფრანგეთის არმიის რიგებში. საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც მაშინ გომესი ირიცხებოდა, ბარკარესის მახლობლად იმყოფებოდა, იმ ქალაქის მახლობლად, სადაც ჩვენი პოლკი სდგებოდა, — და გომესი პირველი ჩაეწერა მოხალისედ.

გერმანელების შემოტევამდე ეს პატარა შავგვრემანი ადამიანი შეუმჩნეველი რჩებოდა. იგი მორიდებულ, სუსტ, სათუთ კაცად მიაჩნდათ. ყველა დასცინოდა, რადგან სამხედრო სალამის მიცემის დროს ისე უკრავდა უფროსს თავს, როგორც ბალეტის მოცეკვავე. ახლა-კი გომესმა არა ერთი და ორი მოულოდნელი ნიჭი გამოიჩინა. გამოირკვა, რომ ომამდე იგი ყასაბი იყო. შიმშილმა აიძულა სახელოები დაეკაპიწებინა და გოლიათის ღონე გამოეჩინა. სენ-დენის ფერმის პატრონებს გაქცევის დროს რამდენიმე ღორი დარჩათ. ორ დღეს ყოყმანობდა გომესი, მერე-კი სასანგრე დანით შეიარაღებული მოულოდნელად დაესხა თავს უდანაშაულო ცხოველებს. უბედური ღორები უმწეოდ ჭყიოდნენ, ღრუტუნებდნენ, სისხლისაგან იწრიტებოდნენ. მაგრამ ბოლოს მაინც გაუსხლტდნენ და ეზოს მოედვნენ. პატარა გომესი წითლად შეღებილი დანით უკან დასდევდა მათ. ამ ამბავს ჩვენი პოლკოვნიკიც დაესწრო. მან თავი განზე მიიბრუნა, მაგრამ საქმეში ჩარევა მაინც არ მოისურვა. შიმშილმა დასძლია გულაზიზობა.

სასწრაფოდ, სულმოუთქმელად ევაკუირებულმა მოსახლეობამ თითქმის მთელი თავისი პირუტყვი მიატოვა ადგილობრივ. ძროხები ასობით დაეხეტებოდნენ მინდვრად. მოუწველავ, რძით სავსე ცურებს თითქმის მიწაზე დაათრევდნენ. ბღავილით დარბოდნენ ისინი წინ და უკან მინდვრებში. გაგარეულდნენ და ადამიანის ხმას და ძახილს ყურადღებას აღარ აქცევდნენ. რამდენჯერმე ძროხა თუ ხარი სანგარში ჩამოხტა, სადაც ჩემი საგუშაგო იყო, მილეწ-მოლეწა ნაგებობა, მიყარ-მოყარა ფეხებით ხელსაწყოები, გადათელა ქაღალდები. ზოგჯერ ძროხა ჩემი ტელესკოპის წინ წამოწვებოდა და მწუხარე თვალებით შემომყურებდა, თითქოს მისაყვედურებსო. ბევრი ცხოველი უპატრონობით დაიღუპა, ბევრს არტილერიის ცეცხლმა მოუღო ბოლო. აკრძალული გვქონდა პირუტყვის დახოცვა. რაც შეეხება ყუმბარებით გაჟლეტილ პირუტყვს, მოწინავე ხაზის სანგრებში არც თუ აგრე ადვილი იყო ძროხის ან ხარის გატყავება და მოხარშვა. მთელი ომის განმავლობაში, ესე იგი ათ მაისიდან, შიმშილს განვიცდიდით. იმავე დროს ჩვენს თვალწინ უამრავი შინაური ცხოველი იჟლიტებოდა და იღუპებოდა. არსად სჩანდა საინტენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანტო უწყება, ვერსად ვხედავდით მისი მუშაობის ნიშან-წყალს. კაცი არ იყო, გაედევნა პირუტყვი სანგრების ხაზიდან და მერე დაეხოცა. ... ხორცს ბარათებით იძლეოდნენ. ჯარი დამშეული იყო. იმავე დროს პირუტყვი უპატრონობით იღუპებოდა, რისგანაც მთელს ოლქში მძღვრის სუნი იდგა.

მტერმა მეტად მოხერხებულად გამოიყენა ეს ლეშები.

ჩემი სამეთვალყურეო საგუშაგო ტყის პირად მდებარეობდა, მაღლობზე, და პირველ ხანებში მაინც სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამ ადგილიდან ვხედავდით ყველაფერს, თავათ-კი შეუმჩნეველნი ვრჩებოდით. მაღლობიდან თვალს ვადევნებდით ქვაბურს, რომელიც ჩვენს ბატალიონებს ეკავათ, და ბორცვს, რომელიც ნეიტრალურ ადგილად ითვლებოდა. ჩვენის ვარაუდით, ამ ბორცვის მეორე მხარეს გერმანელთა პოზიციები მდებარეობდნენ. ნეიტრალური ბორცვის ფერდობზე აქა-იქ დახოცილი ძროხების ლეშები ეყარნენ. ერთხელ დილით ფერდობზე უზარმაზარი ძროხა შევნიშნე. როდესაც სტერეომილით გავხედე ფერდობს, სხვადასხვა ადგილას ხუთი ასეთივე უზარმაზარი ძროხა აღმოვაჩინე. აშკარად ვხედავდი ძალზე გაბერილ, ფეხებ-აშვერილ მკვდარ ძროხებს. გადავიღეთ ფერდობი და ზუსტად აღვნიშნეთ ის ადგილები, სადაც ლეშები ეყარნენ. რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ მოვიმარჯვე სტერეომილი, გავხედე ფერდობს და გაოცებულმა შევნიშნე, რომ მკვდარ ძროხებს ადგილი გამოეცვალათ, უფრო ახლო გადმოწეულიყვნენ ჩვენსკენ. ფეხები ისევ ისე მაღლა ჰქონდათ აშვერილი, ისევ ისე გაბერილები იყვნენ, მაგრამ ამ მკვდარ ძროხებს ადგილის გამოცვლა მაინც მოეხერხებინათ: წინ გადმოწეულიყვნენ და ჩვენი პირველი ბატალიონის პოზიციებს დაახლოვებოდნენ.

დავურეკე ჩემს უშუალო უფროსს ლეიტენანტ სენ-ბრისს და ეს ამბავი ვაცნობე. ლეიტენანტს ვერ გაეგო, რატომ ვაძლევდი ასეთ მნიშვნელობას „მკვდარ“ ძროხებს, მაგრამ მცირე ყოყმანის შემდეგ ცნობა მაინც გადაეცა დივიზიის შტაბისათვის. შტაბმა ჩვენს უკან მდებარე ბატარიებს უბრძანა — დაეშინათ ყუმბარები ძროხებისათვის. ამას მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: პირველსავე გასროლაზე ძროხის ლეშებიდან გერმანელი ჯარისკაცები გამოცვივდნენ და თავქუდგადაგლეჯილები თავიანთ პოზიციებისკენ გაიქცნენ. ბევრმა ვერც-კი მოასწრო თავის გამოყოფა ლეშიდან — ლეშის შიგნითვე გამოესალმა სიცოცხლეს. ვხედავდით, როგორ ცვივოდნენ ლეშებიდან ოპტიკური ხელსაწყოები და თოფები. ჩვენს პირდაპირ მდგომმა პოლკმა — ქვეითმა პოლკმა დიუსელდორფიდან — ტროადის ომის დროის ხერხი გამოიყენა: მან მკვდარი ძროხების შემწეობით სცადა თავისი მეთვალყურეების მოცოცება ჩვენს პოზიციებთან.

ეს და ბევრი სხვა შემთხვევა ცხადჰყოფდა, რომ გერმანელები იერიშის მოსატანად ემზადებოდნენ. ორი ღამის განმავლობაში მესმოდა ჩემს საგუშაგოზე ტანკების რახრახი: ეს უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ გერმანელები საბრძოლველად ემზადებოდნენ. თითქმის ყველა ღამეს უძილოდ ვატარებდით, — ყურს ვუგდებდით დუმილს. დაძაბულნი შევცქეროდით წყვდიადს: ვცდილობდით ყოვლისშემცველ სიცარიელისათვის გამოგვეგლეჯა ის, რასაც იგი გვიმალავდა. მაგრამ ბრძოლა ღამის ბგერებთან და ხმაურთან უფრო ძნელი იყო, ვიდრე სიჩუმესთან, დუმილთან. როცა მარტო ვრჩებოდი ღამესთან, გულით მწადდა დავტაკებოდი და მთელი ჩემი ათი თითით ჩავბღაუჭე-

ბოდი წყვდიადის ამ უხიაკ კედელს. მცირე დრომ როდი განვლო მანამდე, სანამ ვისწავლიდი ერთი ბგერის გარჩევას მეორე ბგერისაგან: ფეხოსანის გარჩევას მისი გამოძახილისაგან, გამსკდარი ყუმბარის ხანგრძლივი გრიალის გარჩევას მოახლოვებული ტანკის მუხლუხების ღრაჭუნისაგან. იმ ღამეებში ხშირად ვიგონებდი კაპიტან მირამბოს დარიგებას, უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიგვექცია ტანკების ხმაურისათვის: შეუძლებელიაო რაიმე იერიში იმ დრომდე, — გვიხსნიდა კაპიტანი, — სანამ მტერი ტანკებს თავს არ მოუყრის თავის მოწინავე პოზიციებთან. და ორჯერ მომესმა ბორცვის მეორე მხრიდან ტანკების მუხლუხების საბედისწერო ღრაჭუნი.

პოლკოვნიკმა დე ბიუისიმ გადასწყვიტა — ჩაეწყო ნაღმები ჩვენსა და მტრის პოზიციებს შორის. ლეიტენანტ იმბახს, ელზასელს, დაევალა შეერჩია ხალხი ამ სახიფათო საქმისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისრა ძველ ლეგიონერს ლეიტენანტ კასტანეს. მან ოც წელიწადს დაჰყო აფრიკაში და საფუძვლიანად შეისწავლა და შეითვისა უცხოელთა ლეგიონის ყველა ზნე და ჩვეულება. კასტანე მაგარი აგებულების ვაჟკაცი იყო, შავულვაშებიანი და შავთვალებიანი. მოკლე ფეხები ჰქონდა, საკმაოდ მოზრდილი მუცელი, ხარივით სქელი კისერი და წითური ხელები. კასტანე უწკეპლოდ არასოდეს არ დადიოდა სასეირნოდ და, ვითომ ამხანაგური ხუმრობით, ისე გადაუჭერდა წკეპლას ზურგზე ჯარისკაცებს, რომ ისინი ხშირად რამდენსამე დღეს ატარებდნენ ამ მეგობრული ხუმრობის ნიშანს. კასტანე ყველგან თან დაათრევდა პორნოგრაფიული ლიტერატურით სავსე ჩემოდანს. მან თავის შიკრიკად უნგრელი მხატვარი ფოდორა აირჩია. ფოდორამ, მართალია, ფეხსაცმელის წმენდა არ იცოდა, მაგრამ ამ ნაკლს იგი ავსებდა იმით, რომ ლეიტენანტის ბრძანებით შიშველ კაცებსა და ქალებს ხატავდა. ლეიტენანტს დასახმარებლად მიუჩინეს ადიუტანტი დარუსი, ხანში შესული შესანიშნავი ჯარისკაცი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. დარუსი არდენში თავის მყუდრო სახლში ცხოვრების დროს სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა, თუ კვლავ გაიწვევდნენ არმიის რიგებში. მისი მიწის პატარა ნაკვეთი რაღაც ორმოც კილომეტრზე მდებარეობდა ჩვენი პოზიციებიდან, მაგრამ იგი დიდი ხანია უკვე გერმანელებს ჩაეგდოთ ხელში. მისი სახლი, ალბათ, გადამწვარი იყო, ხოლო მისმა ცოლმა და ქალიშვილმა გაქცევა მოასწრეს და რომელიღაც შარაგზით თავს უშველეს. დარუსის უფროსი ვაჟი ფრონტის სხვა სექტორზე იბრძოდა. თვენახევარი იყო უკვე, რაც მათ აღარა იცოდნენ-რა ურთიერთის შესახებ.

ის იყო გავნთავისუფლდი მუშაობისაგან და ჩემი ბლინდაჟის მახლობლად წამოვწექი. ჩემთან ერთად იყო პატარა ტორჟინსკი, პოლონელი ებრაელი, გალიციელი მკერავი. ვერაფერი სახელი მოიხვეჭა მან სამხედრო წრთვნისა და სწავლების დროს: უშნოდ დააბრტყებდა პარადებზე, ხოლო სამხედრო სალამის მიცემისას მუდამ ავიწყდებოდა გამოჭიმვა. არ გვახსოვს, როდისმე ტყვია მოეხვედრებინოს ნიშანში. მაგრამ ფრონტზე ტორჟინსკი ერთბაშად გარდაიქმნა: ლაშქრობის დროს არასოდეს არ იღლებოდა. ხშირად იკიდებდა უფრო ღონიერი ამხანაგების საბარგო ტოპრაკებს. ბევრი ბოროტად იყენებდა მის გულკეთილობას და ზოგჯერ სახედარივით ტვირთავდნენ. შებინდებისას, როდესაც, სანგრებისა და ბლინდაჟების თხრის შემდეგ, წინა პოზიციებიდან ვბრუნდებოდით, დაუღალავად იწყებდა იგი ჩვენი დაფლეთილი შარვლების დაკერებას. ოსტატურად ადებდა ნაჭრებს შარვლის ძალზე გაცრეცილ მუხლის თავებსა და საჯდომებს. როდესაც თავისი სამგზავრო ქვაბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასარეცხად წყალზე მიდიოდა, უეჭველად ხუთი-ექვსი ამხანაგის ქვაბებსაც წაიმძღვარებდა და მათაც წესრიგში მოიყვანდა.

ერთხელ მოხალისე მესანგრეების ჯგუფი ტყეში შეიკრიბა, ბანაკიდან ოცდაათ ნაბიჯის მახლობლად. ოცდათხუთმეტ კაცამდე იქნებოდა. იყო იქ უნგრელი მკერავი გეგედესი, რუმინელი ებრაელი შპიცერი, ესპანელი ლტოლვილი რამოსი და პორტუგალელი მემაღაროე და-სუზა. უმეტესობას გალიციელი ებრაელები შეადგენდნენ, იქაური დაბების მკვიდრნი. არც ერთმა არ იცოდა სამხედრო სალამის რიგიანად მიცემა და დროშის ტარება. მაგრამ ყველა ესენი, ეს ისააკ პურლიხები და მოსე კლეიმანები, ყოველთვის სიამოვნებით კისრულობდნენ სახიფათო საქმის შესრულებას.

გვესმოდა, როგორ ღრიალებდა კასტანე, როგორ უტყლაშუნებდა იგი თავის წკეპლას ტოტებსა და ფოთლებს. მოხუცი დარუსი ოხუნჯობდა და პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას იძლეოდა. ლეიტენანტი იმბახი ჩემს ბლინდაჟთან გაჩერდა, თვალი გადაგვავლო და დაიძახა:

— კასტანე, თქვენ, ვგონებ, ერთი კაცი კიდევ გჭირიათ?

— მჭირია!

ტორჟინსკი წამოდგა. მიხვდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი. იმბახს ძველი მუზარადი ეხურა თავზე, ის, რომელსაც მისი მამა პირველ მსოფლიო ომში ატარებდა. ეს იყო გერმანული ფოლადის მუზარადი.

— მაშ ტორჟინსკი წაიყვანეთ. გაჰყევით მათ, — მიმართა მან ტორჟინსკის და ჯგუფზე მიუთითა, — საუცხოო გასეირნება იქნება.

გზამდე გავაცილე პატარა მკერავი. ოცდათექვსმეტმა კაცმა ჩაიარა ჩემს წინ. ვისაც ვიცნობდი, ხელს ვართმევდი და ვეუბნებოდი: „Merde!“ ყველა ისინი თვალებ-გავარვარებულნი და როგორღაც განრიდებულნი გამოიყურებოდნენ, მაგრამ ვერც ერთის სახეზე შიშის რაიმე ნიშანს ვერ შენიშნავდით. ოღონდ რაღაც ახალი და უცხო იერი გადაჰკრავდა ამ სახეებს: თითქოს ყველა ისინი სხვა სამყაროში იცქირებოდნენ. მარტო დარუსი იღიმებოდა ჩემს წინ გავლის დროს, იღიმებოდა მთელი თავისი დანაოჭებული სახით, იღიმებოდა და თან ნელად უსტვენდა. მისთვის სიკვდილი ძველი ნაცნობი იყო.

ტორჟინსკი უკანასკნელი მიდიოდა. ჩვეულებრივზე მეტად არ იყო იგი ფერწასული. თავისი ვიწრო მხრებით ორი ამხანაგის ნიჩაბი მიჰქონდა. მასაც ვუთხარი „Merde!“ და ჩამოვართვი ხელი.

უკვე ბინდდებოდა. იმ ღამეს გერმანელები ტანნესაკენ დაიძრნენ. ისინი მოულოდნელად დაატყდნენ თავს მესანგრეთა ჩვენს ჯგუფს. ხუთი კაცი ტყვიამფრქვევების საზარელ და დაუსრულებელ კაკანში შეეცადა ნალმების ჩაწყობას. ეს ხუთი კაცი უკან აღარ დაბრუნებულა.

მათ რიცხვში სამუელ ტორჟინსკიც იყო.

ჩემი ასეული ნუარვალის ტყეში იდგა. ეს იყო ხშირი ტყე, ტიპიური ტყე არდენისთვის, ცივი და მიუკარებელი, სადაც მაღალი ფიჭვები თაღებივით გადაჭდობოდნენ ერთმანეთს გამვლელის თავზე.

ხმა დავარდა, ერთხანს ამ ტყეში დავყოფთო. ჯერჯერობით უკან დახევაზე კრინტი არავის დაუძრავს. ახლა ყოველი მეომრის მთავარ საზრუნავს ერთი რამე შეადგენდა: ამოეთხარა საიმედო თავშესაფარი ყუმბარებისაგან დასაცავად. ეს ბევრად უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით, რადგან მოულოდნელად წავაწყდით პირველი მსოფლიო ომის დროიდან გა-

დარჩენილ თავშესაფრებს. არ დაიჯერებთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ტყე მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ გაუწმენდავი ყოფილა. ომის შემდეგ იგი მეორე ომს ელირსა. რა თქმა უნდა, პირველ ომის დროს თავშესაფარი არ ვარგოდა ამ ომისათვის — იგი არ იყო საკმაოდ ღრმა. თავშესაფარი უბრალო კვადრატიულ ორმოს წარმოადგენდა, შეიძლებოდა იქ წამოწოლა, და შედარებით უზრუნველყოფილი იქნებოდით ყუმბარისნამსხვრევებისაგან. ჩვენ-კი გვესაჭიროებოდა სქელი მორებით გადაფარებული და ზევიდან მიწა-დაყრილი ვიწრო ხვრელები. მაგრამ ამ ორმოების გაღრმავება და მათი გამოყენება მაინც შეიძლებოდა. ასე მიდის წინ კაცობრიობა, იგი უფრო და უფრო ღრმად ეფლობა მიწაში.

ჩვენმა მესანგრეებმა არა ერთი ნამდვილი განძი აღმოაჩინეს. კელენბერგერი, რომელიც ჩემს გვერდით სთხრიდა ორმოს, წააწყდა რაღაც მაგარს და მცირე ხნის შემდეგ ამოიღო მიწიდან პირველი მსოფლიო ომის დროის გერმანული ფოლადის მუზარადი ოქროს წვეტით და ოქროს ორთავიანი არწივით. ჩვენ ყველამ რიგ-რიგობით ჩამოვიფხატეთ თავზე, როგორც ეტყობოდა, აქ მოკლული მეომრის ეს მუზარადი. ალბათ, იმ მეომარს მეტად პატარა თავი ჰქონდა, რადგან მუზარადმა ძლივს დაჰფარა ყველა ჩვენგანის კეფა. გამახსენდა მამა-ჩემი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარის რიგებში იბრძოდა. ვფიქრობ, რომ იგი აქ უნდა ყოფილიყო სადმე, არდენში, ავსტრია-უნგრეთის მეოთხე საარტილერიო პოლკთან ერთად. ფიქრმა გამიტაცა. მუზარადი-კი ხელიდან ხელში გადადიოდა. თხრის დროს მეც ვიპოვნე მახვილი — ორპირი ხმალი, პირველი მსოფლიო ომის დროის ერთი სანუკვარი განძი კიდევ. ადიუტანტი დარუსი გვიმტკიცებდა, რომ ეს მახვილი ფრანგ კავალერისტს ეკუთვნოდა. ვიღაცამ დაჟანგებული დამბაჩა იპოვნა. როდესაც ძველი დროის ეს იარაღი ჩამოვიკიდეთ, ძალიან ვგავდით პროვინციელ მსახიობებს, კმაყოფილებს ნაკლებად შესაფერი რეკვიზიტითაც-კი.

შემდეგ მსხვილი მორების ძებნაში წავაწყდით ჩვენი დროის უნაგირებს და ტყავის ტოპრაკებს, უზანგოებს და აღვირებს. ასე და ამრიგად აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენამდე აქ იდგა კავალერისტთა ესკადრონი, რომელმაც ისე სწრაფად მოძუძგა თურმე, რომ ამ ტყეში მიატოვა ცხენებიც და მათი მოკაზმულობაც.

ბოლოს, ყოველმა ჩვენგანმა მოიმზადა ცალკეული თავშესაფარი, სადაც წამოწოლა შეიძლებოდა. შურის თვალით შევყურებდი პატარა გარაის და ქერა დეზის, რომელთათვისაც საკმაო გამოდგა ვიწრო საბავშვო ორმო. ისინი დიდი ხანია უკვე ისხდნენ თავიანთ თავშესაფრებში და კითხულობდნენ დროგადასულ, სამი კვირის გაზეთებს, მე-კი კვლავ განვაგრძობდი ჩემი ორმოს თხრას, რომლის სიგრძეც ექვს ფუტს უდრიდა, ხოლო სიღრმე ორ მეტრს აღემატებოდა, ასე რომ იქიდან ამოსვლა საფეხურებით მიხდებოდა. სასტიკად გვქონდა აკრძალული ღამ-ღამობით წოლა სადმე სხვაგან, თავშესაფარს გარეთ. მართლაც, უგუნურება იქნებოდა სხვაგან სადმე დარჩენა: გერმანელები თითქმის ყოველთვის გვესხმებოდნენ თავს დილ-დილაობით, ოთხის ნახევარზე. მაგრამ თავშესაფარშიაც ვერ ვისვენებდით, ხშირად ვიღვიძებდით, თუმცა მცირე ხნით. ზემოდან ჩამოყრილ ბომბებზე ნაკლებ დღეს არ გვაყრიდნენ ობობები და ჭიები. მთელ ღამეს დაცოცავდნენ ისინი ჩვენს სახეებზე. იყვნენ იქ რაღაც ქვემძრომნი, რომელთაც უყვარდათ საცვლებქვეშ შეძრომა, და შავი ჭია-ღუები, რომელნიც უფრო შუბლს ეტანებოდნენ. დაბომბვაზე უარესი იყო სიმყაყისა და სინესტის სუნი, რითაც ტანისამოსი იეღინთებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, და თიხა, რომელიც ასე მომაბეზრებლად ეკვროდა ჩვენს მუნდირებს. ხშირად მაგონდებოდა ედგარ პოს ერთი მოთხრობის გმირი — [illegible], მელსაც საფლავში გამოეღვიძა.

დროგამოშვებით შიმშილი ნაურვალიდან შატილიონში მიმარბენინებდა. ორივე ამ პატარა ქალაქში ფრანგთა ბატარიები იდგნენ, და არტილერისტები როგორღაც ახერხებდნენ ამა თუ იმ სახის საკვების შოვნას. ამასთან ისინი სახლებში სცხოვრობდნენ, შეეძლოთ საჭმლის მომზადება. ისინი წყალსაც ადუღებდნენ. შეიძლებოდა გაბანვა და გაპარსვა, ასე რომ იქ თავს თითქმის ადამიანად იგრძნობდი.

ამ ვიზიტების დროს ხშირად მახლდა ერთი მზვერავი პირველი ბატალიონიდან — დეზირე ვეისი, რომელიც მზად იყო სიცოცხლე გაეწირა, ოღონდ ცხელი წვნით გამასპინძლებოდი.

უკანასკნელი დაბომბვის შემდეგ ორ დღეს სურსათ-სანოვაგე არ მიგვიღია. ჩვენი შოფერი ნამია საუცხოო ყმაწვილი იყო, მაგრამ გმირად არ გამოდგებოდა: სამჯერ დაბრუნდა შუაგზიდან ისე, რომ ვერ მიაღწია ბუ-ო-ბუას, იმ სოფელს, სადაც ჩვენი სამზარეულო იყო. გერმანელები შეუწყვეტლივ უშენდნენ გზას ყუმბარებს. ნამია იმასაც ამბობდა, რომ მთელი გზა დახრამულიაო ყუმბარებისაგან. ისე მშიოდა, რომ ბუ-ო-ბუაში წასვლის სურვილი გამოვსთქვი. თავის მხრივ ვეისიც მზად იყო გამომყოლოდა. ერთადერთი სურვილი გვამოძრავებდა — შეგვეხვრიპა წვენი საველე სამზარეულოში. დანარჩენი თავისით მოგვარდებოდა. ჩვენი სურვილი კაპიტანს გამოვუცხადეთ. მან ნება მოგვცა გავდგომოდით გზას პატარა „პეჟოთი“, ერთადერთი გამოსადეგი მანქანით. იმ ღამეს მორიგეობა სხვას მივანდე. ვეისსთან ერთად ღამის თერთმეტ საათზე გავუდექი გზას.

წყნარი ღამე იყო. უზარმაზარი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ვფიქრობდი იმაზე, ვინც სულ სხვა ადგილებიდან, აქედან დაშორებული ადგილებიდან შეჰყურებდა იმავე ცას. შვებას მგვრიდა ის აზრი, რომ ჩვენ ყველას ერთი და იგივე ცა დაგვყურებდა. დავკარგეთ უფრო რთული რამის შეგრძნობის უნარი.

ფოლადის მუზარადი მოვიხადე და იქვე გვერდით საჯდომზე დავდე. საიდანღაც სროლა მოისმა. ტყვიამფრქვევმა ჩაიკაკანა. მაგრამ ყოველივე ეს შორს იყო, მეტად შორს.

— როგორა ფიქრობთ, შორს ისვრიან? — ვკითხე ვეისს.

— ორ კილომეტრამდე იქნება იმ ადგილამდე, — მომიგო მან.

მესიამოვნა ზუსტი ციფრის გაგონება. ორი კილომეტრი საკმაო მანძილია. ჩემდაუნებურად სვლას ვუმატე: იქნება მწადდა გამედიდებინა მანძილი ჩვენსა და იმ ადგილს შორის, სადაც ისროდნენ.

როცა ბელვილს მივუახლოვდით, ალმართს შევუდექით. ვცდილობდით უხმოდ გვევლო. ისე გამოდიოდა, თითქოს სიჩუმეს ვუყურადებდით, ხოლო სიჩუმე ჩვენ გვიყურადებდა. დრო და დრო მინდვრებიდან კვნესა მოისმოდა. არაფერი ადამიანური არ იყო ამ კვნესაში: თითქოს მიწა კვნესისო, მაგრამ კვნესის ფრთხილად, შეშინებული ყუმბარებით, რომელნიც ასე ჰგლეჯენ და სწეწენ მის სხეულს. სადღაც სიცარიელეში მივექანებოდით. სიჩუმე იყო არა წყნარი, არამედ უჰაერო. გულით მწადდა მტვრად მექცია მინის თალფაქი, რომლის ქვეშაც ვსუნთქავდით ანუ, უკეთ, ვცდილობდით გვესუნთქა. ან იქნებ გზა აგვებნა მთვარეზე და ველარ ვსუნთქავთ?

— იქნება-კი იქ ცხელი წვენი? — ვკითხე ვეისს.

— ან ცხელი ხორცი? — იკითხა თავის მხრივ მძინარე ხმით ვეისმა.

— იმ ვაჟბატონებმა სამზარეულოში, ალბათ, თავათ გადასანსლეს ფერი, — ვსთქვი გაბოროტებულმა.—ან რატომ არ უნდა გადაესანსლათ, რაკი ჩვენ სადილებს აღარ ვეზიდებით?

მუცელში რაღაცამ დაიბუყბუყა.

გავიარეთ ბელვილი, ქალაქი, სადაც ცეცხლში მოვინათლენით. მკვდარი ქალაქი. მანქანა ჩამქრალი მიმყავდა. ისე მომეჩვენა, თითქოს ქალაქს დასასრული არა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ჩვენ ეკლესიის საფეხურებზე ვისვენებდით, მთელი ქალაქი ნანგრევებად იქცა.

მანქანა ბუ-ო-ბუას თავში გავაჩერე. უნდა გამეგო, სად იყო ჩვენი სამზარეულო. გზასთან რამდენიმე არტილერისტს ეძინა. გავაღვიძე მძინარენი. ისინი იქ წინა დღიდან იყვნენ და არა იცოდნენ-რა. საშინელი წყვდიადი იდგა. დავუბრუნდი მანქანას და ვუბრძანე ვეისს—დაეცადნა ჩემთვის. სიბნელეში ძლივს ვიგნებდი გზას. მალ-მალ წავაწყდებოდი ხოლმე მძინარეებს ტყის პირად. ერთ ჯარისკაცს ხელზე ფეხი დავადგი. შეჰყვირა. შევჩერდი. თურმე გუშაგი ყოფილიყო, სდარაჯობდა საომარი მასალის სარდაფს. საველე სამზარეულო? არა გაუგონია-რა ამ სამზარეულოს შესახებ. მოვშორდი თუ არა, ხვრინვა ამოუშვა. წყვდიადი უფრო ჩამოიღუშა. კვლავ დავუბრუნდი მანქანას და ვთხოვე ვეისს, ცოტა კიდევ მოეთმინა. მაგრამ თავათ მე ყოველივე მოთმინება დავკარგე. ნამია მეუბნებოდა — მეოთხე სახლს შემდეგ, მარჯვენა მხარეზეაო. შევტოპე ქუჩის წყვდიადში. სიბრაზისაგან ცეცხლი მეკიდებოდა. სიბნელე ფორმას ღებულობდა და ჩემს თვალ წინ ცეკვაობდა. შიმშილს აღარა ვგრძნობდი, მაგრამ შემიპყრო სხვა რამემ, თუ შეიძლება, უფრო პრიმიტიულმა: საშინელმა ღვარძლმა იმ აზრისაგან, რომ წვენს ვეღარ ვეღირსები. სიფრთხილეს აღარ ვიცავდი, დაურიდებლად ვალაჯებდი ჯარისკაცებს. იქნებ განგებაც ვადგამდი მათ ფეხს. ერთმა მძინარემ შეჰყვირა, მე მკვახედ გამოვეხმაურე. ბუნდად ვგრძნობდი, რომ მერე ხირცხვილი დამწვავდა, მაშინ, როცა კარგად გამოვძღებოდი. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ვერასოდეს ვეღარ გავძღებოდი.

ჩემი გალაშქრება ღამის წყვდიადში გათავდა იმით, რომ წავაწყდი ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიც თავისი ზარბაზნის გვერდით იწვა და ფხიზლობდა. მის სახეს ვერა ვხედავდი, მაგრამ მესმოდა ქალწულის საამო ხმა.

— ოცდამეერთე ქვეითი პოლკის სამზარეულო? გუშინ წავიდა აქედან.

— სად?

— არ ვიცი.

— რატომ წავიდა?

— არც ეგ ვიცი. ალბათ, იმ ვაჟბატონებს დასცხათ აქ. — უკმეხად ჩაიცინა: — გუშინ ცუდი ამინდი იყო.

ასეთი პასუხის მიუხედავად, მაინც შევეცადე გამეგო რამე. ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი იყო, ასე ჰარიარად, უმიზეზოდ, უინსტრუქციოდ წასულიყო სამზარეულო და მშიერ-მწყურვალი მიეტოვებინა ამდენი ხალხი. სად არის ის ოფიცერი, რომელიც ყველა ამისთვის პასუხს აგებს? ლეიტენანტმა არა იცოდა-რა.

ყოველი იმედი დამეკარგა. ძებნის თავი აღარა მქონდა. მოვნახე ჩემი მანქანა. ვეისს შიმშილისაგან ჩასძინებოდა. უხმოდ, უსიტყვოდ გამოვბრუნდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან. ბელვილს შემდეგ სეტყვასავით დაგვაყარეს ყუმბარები. გერმანელებს შეესმათ, ალბათ, ჩვენი მანქანის ხმაური. იქნებ იფიქრეს, საომარი მასალა მიაქვთო. ჩვენ-კი პატარა ქვაბით ცივი წვენიც არ მიგვქონდა.

ყოველი მხრიდან განსაცდელი გვიახლოვდებოდა. დაიწყო ბრძოლა საფრანგეთისათვის. ხუთ ივნისს გაიშალა გერმანელთა შემოტევა ლა-მანშიდან მაჟინოს ხაზამდე. გერმანელები პარიზისაკენ მიიწევდნენ. დედა-ქალაქში რეინოს კაბინეტი გადასადგომად ემზადებოდა.

ყველა ამის შესახებ ფრონტზე ჩვენ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ჩვენი რადიო ძველის-ძველი იყო, 1920 წელს დადგმული. ცნობების გაგზავნას ამ რადიოთი ვერ ვახერხებდით, რადგან გერმანელებს უვარდებოდათ ხელში. არც ცნობების მისაღებად ვარგოდა იგი. ვისმენდით მხოლოდ კომუნიკეს ნაწყვეტებს, ამასთან ეს ნაწყვეტებიც ფრონტამდე მთლად გადასხვაფერებული სახით აღწევდნენ.

ერთი დღე მეორისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. თითქმის ყოველ დილას, ოთხის ნახევარზე, თავს გვესხმოდნენ და ყუმბარებს უშენდნენ ჩვენს პოზიციებს გერმანელთა თვითმფრინავები. ექვს საათზე იწყებოდა არტილერიის სროლა ორივე მხრიდან. ამ სროლაში უპირატესობა მაინც ჩვენს მხარეზე იყო. ჩვენი 75-მილიმეტრიანი ზარბაზნები — ფრანგთა არმიის სიამაყე ამ ომშიაც — ნამდვილად სჯობნიდნენ გერმანელთა 77-მილიმეტრიან ზარბაზნებს. უკეთესი იყო ჩვენი საომარი მასალაც. ივნისის დასაწყისამდე სამ-ჯერ-ოთხჯერ ვჭარბობდით გერმანელებს სროლაში. ჩვენს მიერ გასროლილი ასი ყუმბარიდან ერთი თუ გამოდგებოდა უვარგისი, გერმანელების ყუმბარები-კი ძალიან ხშირად არა სკდებოდნენ. ერთხელ ჩემმა სამეთვალყურეო საგუშაგომ დაითვალა გერმანელთა არგამსკდარი ყუმბარები: ყოველ რვა ყუმბარიდან ერთი უვარგისი აღმოჩნდა. ჯარისკაცებს ხომ ოპტიმიზმი სჩვევიათ (რასაც საფუძვლად თავის გადარჩენის ინსტიქტი უდევს). ჰო-და ამ ოპტიმიზმის მეოხებით ზემოაღნიშნული მოვლენის მიზეზად საბოტაჟი მიგვაჩნდა: ვფიქრობდით, რომ ამ ყუმბარებს შკოდის ქარხნებში ამზადებდნენ, ჩეხოსლოვაკიაში. არ ვიცი, რამდენად მისაღები იყო ეს ახსნა-განმარტება, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩებოდა: უმწეოებმა საჰაერო თავდასხმის დროს — მთელი კვირაობით ვერა ვხედავდით ფრანგულ თვითმფრინავებს, ხოლო ჩვენი საჰაერო თავდაცვა სერიოზულად მხედველობაში მისაღები არ იყო — ჩვენ ომის წაგებამდე შევინარჩუნეთ უპირატესობა არტილერიაში. ოცდამეთხუთმეტე დივიზია ყოველთვის ახერხებდა უკუგდებას გერმანიის ქვეითი ჯარისას, რომელსაც თითქმის ყოველ დღე მოჰქონდა იერიში დილით გარიჟრაჟზე და საღამოთი შებინდებისას. ხოლო რა დღეს დაგვაყრიდნენ გერმანელთა მძლავრი ჯავშანსატანკო ნაწილები, ეს მაშინ მომავლის ბურუსში იყო გახვეული. იმჟამად ჩვენ არა ვიცოდით-რა, ე. ი. ვიმყოფებოდით ჯარისკაცისთვის განკუთვნილ სტიქიონში.

რვა ივნისს საღამოს ექვსი საათიდან დილის ექვს საათამდე მე მოწინავე ხაზზე ვიყავი — ჩემს სამეთვალყურეო საგუშაგოში. ოთხის ნახევრიდან ექვსის ნახევრამდე შეუძლებელი იყო თავის ამოყოფა სანგრიდან. ჩვენს მახლობლად იდგნენ არტილერისტები მცირე ზომის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით. აი ამ არტილერისტებმა დაითვალეს ჩვენს სექტორზე დაცემული ყუმბარების რაოდენობა. ორი საათის განმავლობაში ერთ კვადრატიულ კილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრზე დაეცა ექვსას-ორმოცდაათი ყუმბარა. ცხადი იყო, რომ მარტოოდენ ღმერთს შეეძლო ჩვენი გადარჩენა.

ჩემი საგუშაგო ტყის პირად მდებარეობდა. რათა მტრის შეუმჩნევლად თვალყური მედევნებინა გერმანელებისათვის, ამოვირჩიე ტყეში ისეთი ადგილი, რომელიც მდებარეობდა შენ-შატილიონის გზატკეცილის მახლობლად, ტყის პირიდან ორმოცდაათ მეტრზე. ამრიგად, გზას ვავყურებდი და თვალს ვადევნებდი ჩემს სექტორს. იმავე დროს შეუმჩნეველი ვრჩებოდი მტრისათვის. რვა ივნისს დილით, როცა მე ექვსის ნახევარზე ჩემი ბლინდაჟიდან გამოვედი, ჩემსა და გერმანელთა პოზიციებს შორის აღარაფერი აღარ მოსჩანდა. ტყის ზოლი, ერთადერთი ჩემი საფარი მტრისაგან, მთლად მოელოკა არტილერიის ცეცხლს.

ამის შემდეგ მთელი საათის განმავლობაში ვატყობინებდი შტაბს, რომ მტრის ტანკები ჩვენსკენ მოიწევდნენ. განუწყვეტლივ ისმოდა მუხლუხების ჩხარუნი და ღრაჭუნი. გერმანელთა მრავალი ბომბდამშენი დაეშვა არდენის არხის იქითა მხარეს. მტერი იერიშისთვის ემზადებოდა და იმდენად აშკარად იქცეოდა, რომ ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ფრანგთა არც ერთი თვითმფრინავი არ გამოჩენილა ცაზე. ჩვენი არტილერისტებიც რაღაც ზანტად მოქმედებდნენ. ტანკსაწინააღმდეგო ასეულის ერთი არტილერისტი, ექვსი ფუტის სიმაღლის ბრეტონელი, საუცხოო წარმომადგენელი იმ ქვეყნისა, რომლის ყოველი გლეხი მეზღვაურია, ხოლო ყოველი მეზღვაური — გლეხი, ჩემს თავშესაფარს მოუახლოვდა. ის იყო მისი საფარი ყუმბარას გაენადგურებინა. ამ ბრეტონელმა მითხრა, რომ რამდენმამე ბატარიამ, რომელნიც ჩვენს ზურგს იცავდნენ, უკვე დაიხია უკანაო. მიწაზე გაშხლართულნი ვიწექით. მიამბო თავის სახლ-კარზე, მემკვიდრეობის გამო ძმებთან ატეხილ დავაზე, იმაზე, თუ როგორ ააგებს შინ დაბრუნების შემდეგ გადამწვარი ბეღლის ნაცვლად ახალს. ვუგდებდი ყურს მის ლაპარაკს და გულზე მეშვებოდა, მხნეობა მემატებოდა.

დილის ექვს საათზე ჩემმა ტელეფონმა წკარუნი ასტეხა. მანამდე იგი ხუთ თუ ექვს საათს დადუმებული იყო. ტელეფონის მავთულები მიწის ზემოთ გაებათ და სროლის დროს ადვილად წყდებოდნენ. კავშირგაბმულობის მომუშავეებს სამინელ ცეცხლქვეშ უხდებოდათ ამ მავთულების გადაბმა. ესპანელი ვინსენტე ვალიასე, ქვეშევრდომობა-დაკარგული ისააკ პურლიხი, სენ-მარინოელი ჟაკ ტინი, ბუდაპეშტელი ეუგენ გლეიხმანი, შვეიცარიელი ბერნარი ყოველთვის ხალისით კისრულობდნენ ამ სამუშაოს შესრულებას, ე. ი. გაწყვეტილი კავშირის აღდგენას. აი დღესაც მათ აღადგინეს კავშირი პოლკოვნიკის შტაბსა და ჩემს შორის.

მომესმა სენ-ბრისის, წინათ ჩემი ასეულის უფროსის, ახლა-კი კავშირგაბმულობის ოფიცრის მხნე, ბოხი, მაგრამ მაინც მელოდიური ხმა.

— ვინ არის: სამი ა?

— დიაღ.

— გელაპარაკებათ ათი ბ.

— გისმენთ.

ლეიტენანტის ხმა ხრინწიანად მოისმოდა:

— სამი ა! გევალებათ მოსპოთ ყველა საბუთი და უბის წიგნაკი.

— მესმის, ლეიტენანტო... კიდევ რას მიბრძანებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტს არაფერს, — ახლა სხვა, არაოფიციალური კილოთი დამელაპარაკა. კვლავ მესმოდა სენ-ბრისის საამო, გულთბილი, მიმზიდველი ხმა. გაქვთ თუ არა რაიმე საჭმელი?

— ვიპოვნე ორი ქილა კონსერვი.

— როცა განთავისუფლდებით, მომიტანეთ რამე: ორი დღეა არა მიჭამია-რა.

— აუცილებლად მოგიტანთ.

თვალი შევავლე არტილერისტს. მერე მეორე მეთვალყურეს მივუბრუნდი. ეს მეთვალყურე ახალგაზრდა რუმინელი იყო, მონპელიელი ექიმი. მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა, როგორც გულის დაავადებათა სპეციალისტმა. მაგრამ ვერც ერთი უცხოელი ექიმი წარმატებას ვერ ეღირსებოდა საფრანგეთის ჯარის სანიტარულ ნაწილებში. ამიტომ ექიმმა ბარატიმ უბრალო ჯარისკაცობა ამჯობინა. ახლა იგი ჩემს საგუშაგოში მეთვალყურედ დანიშნეს.

— გვიბრძანეს მოვსპოთ საბუთები.

ალბათ, ფერი მეცვალა, როცა ეს ვუთხარი: ექიმის პატარა ჭორფლიანი სახე ერთბაშად გაფითრდა და მწვანე წერტილებით დაიფარა.

— როგორ გესმით ეგ ბრძანება?

მე გაზეპირებული სიტყვები გავუმეორე: „მტრის თავდასხმის შემთხვევაში მეთვალყურეებმა უნდა მოსპონ საბუთები და მოწყობილება. მეთვალყურეებმა არაფრის გულისათვის არ უნდა დაიხიონ განსაკუთრებული ბრძანების მიღებამდე“.

ბარატიმ მკითხა:

— მერე, ბრძანება მივიღეთ?

— ჯერ არ მიგვიღია.

მიწიდან ოდნავ აშვერილ სტერეომილით გავიხედე. ჩვენს პირდაპირ, ბორცვის ფერდობზე, ადვილად გავარჩიე გერმანული ტანკების მოხაზულობა. თითქოს ერთ ადგილზე დგანანო. საშინელ ურჩხულებს ჰგვანდნენ. იმავე დროს მოდიოდნენ და მოდიოდნენ ახალი ტანკები. რახრახი განუწყვეტლივ მოისმოდა.

— შევუდგეთ საბუთების წვას? — ვიკითხე მე.

ჩემმა ბრეტონელმა მეგობარმა პროტესტი განაცხადა:

— მაშინვე შეგვნიშნავენ, — სთქვა მან.

ხელი დავავლეთ ბარებსა და ნიჩბებს და შევუდექით მიწის თხრას. როცა საკმაოდ ღრმა ორმო ამოვთხარეთ, ნაკუწ-ნაკუწად ვაქციეთ მოხსენებათა წიგნის და კოდის ფურცლები და ჩავყარეთ შიგ. ბარატიმ იკითხა — ხელსაწყოებიც ხომ არ უნდა მოვსპოთო. მაგნაირი ბრძანება არ მიმიღია-მეთქი, მივუგე მე. ამან, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა. ის იყო, უნდა შესდგომოდა ორმოს ამოვსებას მიწით, რომ შევაჩერე:

— იცით თუ არა, ბარატი, რა მოგველის, მტერს თუ ხელში ჩავუვარდით?

— ვიცი: დახვრეტა, თქვენ—თქვენი წიგნებისათვის, მე-კი იმისათვის, რომ ექიმმა, თანაც უცხოელმა, იარაღს მოვკიდე ხელი.

— უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ტყვედ ჩავარდნა!

— დიაღ, უმჯობესია.

ბარატიმ ხელი სტაცა ძეწკვს, რომლითაც მაჯაზე ვინაობის შესაცნობი ქეტონი ჰქონდა მიმაგრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძეწკვიც უნდა ჩავფლა?

— რასაკვირველია.

მაღალი ბრეტონელი გაკვირვებული შემოგვყურებდა: არა ესმოდა-რა, თითქოს ჩვენ სხვა პლანეტის მცხოვრებნი ვიყავით. თავისი მძიმე და უხეში ხელი, გლეხის ხელი, მხარზე დამადო.

— მაგას სერიოზულად სჩადიხართ? — გვკითხა ბოლოს.

თვალი შევავლე. ახლაც-კი არავითარი აღელვება არ ემჩნეოდა მის ვიწრო გრძელ-ცხვირიან და, როგორც ყველა ბრეტონელს, უხეიროკბილებიან სახეს.

მთის ძირში ტყვიამფრქვევი აკაკანდა. ახლა ბრძოლა მახლობელ დისტანციაზე დაიწყება, — გავიფიქრე.

— განა მშობლები და მახლობლები არა გყავთ? — მკითხა ბრეტონელმა.

— მყვანან ცოლი და მშობლები, — მივუგე მე.

ახლა ბარატის მიუბრუნდა:

— თქვენ?

— მყვანან მშობლები. დანიშნულიც.

ბრეტონელმა თავი გააქნია.

— კეთილი, — განაგრძო მან მცირე ყოყმანისა და დუმილის შემდეგ: — რომ მოგკლან? ხომ ვერ გაიგებენ თქვენი მშობლები, რა დაგემართათ?

პატარა ვიწრო თავშესაფარში მიწის ქვეშ მჭიდროდ ვეკვროდით ერთმანეთს: გულის დაავადებათა ცნობილი სპეციალისტი, ბრეტონელი გლეხი და მე. მე და ექიმმა ერთმანეთს გადავხედეთ და ძეწკვები მაჯაზე დავიტოვეთ. შემდეგ დავსტაცეთ ხელი ნიჩბებს და სწრაფად წავაყარეთ მიწა ჩვენს ქაღალდებს.

— ამ საათში რამეს მოგიტანთ, — გვითხრა ბრეტონელმა.

იღიმებოდა, როგორც შეეძლო. ნაოჭების მოძრაობა თვალების ირგვლივ ცხადჰყოფდა, რომ კმაყოფილი იყო.

ჩვენ დავუშალეთ თავშესაფრიდან გასვლა, მაგრამ მან ყური არ გვათხოვა და დაოთხებული გარეთ გავიდა. ყუმბარები წამდაუწუმ სკდებოდნენ ჩვენი უბნის თავზე. ხუთი წუთის შემდეგ ჯანმრთელი და უვნებელი დაბრუნდა. სარტყელზე ხელის ყუმბარები ეკიდა. ისე მოგვაწოდა ეს მსუბუქი, კოხტა, ყვითელი ნობათები, თითქოს ახლად მოწყვეტილ მსხალს გვთავაზობსო.

შვიდის ოცი წუთი იყო. ერთბაშად უსაზღვრო, გამაბრუებელი სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ყოვლისშემძლე დირიჟორმა ხელის ერთი აქნევით ჩააჩუმაო მთელი ორკესტრი. არსაიდან არ ისმოდა ხმა, კრინტი. იმ მხარეს თითქოს ყველაფერი გაქვავდაო.

დილა ნამიანი იყო, გაზაფხულისებრ გრილი. ბუნება აბაზანიდან ამოდიოდა.

მხოლოდ გაძლიერებული ყნოსვის შემდეგ გეცემოდათ თოფის წამლისა და ნამწვის სუნი. ასეთი მოულოდნელი და სრული სიჩუმე მხოლოდ ფრონტზე იცის.

ბრეტონელი წელში გაიმართა და თავის დანგრეულ თავშესაფრისკენ გაეშურა.

საღამო ჟამს ნუარვალს წავედი. სასტიკად გვქონდა აკრძალული, მაგრამ ცთუნებას ვეღარ გავუძელ. გავირბინე ტყე, ფრთხილად გადავლახე მინდორი და მშვიდობით მივაღწიე დანგრეულ სოფელს.

უკან დაბრუნებისას ჩემს წინ გზაზე პოლკოვნიკი დე ბიუისი შევნიშნე. შევეცადე შეუმჩნევლად გამესწრო მისთვის. მაგრამ პოლკოვნიკი ირბაროზე დამეწია, როცა ბილიკით ტყისაკენ მივდიოდი. დე ბიუისი გოლიათი კაცი იყო სქელი წითელი კისრით და ძალუმი მხრებით. უცნაურად გეჩვენებოდა, როცა ხედავდი, თუ როგორ წელში მოხრილი მიდიოდა ამოდენა კაცი.

— გაქვთ თუ არა საშვები? — გამეხუმრა პოლკოვნიკი.

— არა მაქვს, პოლკოვნიკო.

უიარაღო იყო და მძიმე ჯოხს ებჯინებოდა. დროგამოშვებით შეჩერდებოდა ხოლმე სულის მოსათქმელად. თვალი შევავლე. ღამე შეუმჩნევლად გვეპარებოდა. პირველად მეჩვენა მოხუცად ეს მებრძოლი, ეს რკინის კაცი. ოცდაათი წელი ჰქონდა გავლილი უცხოელთა ლეგიონის სამსახურში, შვიდი ჭრილობა მიეღო პირველ მსოფლიო ომში. ყოველ ნაბიჯზე მიწა ზანზარებდა მის ფეხებ-ქვეშ. და ორი ათასს კაცისთვის, ვისაც იგი უფროსობდა, დე ბიუისი იმ საფრანგეთს წარმოადგენდა, რომელიც ასე უყვარდათ მათ. ახლა ეს გოლიათი ჯოხს ებჯინებოდა, ყავარჯენივით იშველიებდა. მოკლე ჭაღარა თმა მთლად გათეთრებული მოუჩანდა.

შეჩერდა. შემომხედა.

— გახსოვთ ის წარმოდგენა, პერპინიანში რომ დავდგით? — მკითხა ბოლოს.

— მახსოვს, — მივუგე მე. რა თქმა უნდა, მახსოვდა: დავდგით მაშინ ჩემს მიერ დაწერილი მიმოხილვა.

— რა სისულელეს ჩავდივართ! — სთქვა. მერე დაუმატა: — ჩემი ოჯახი ჩრდილოეთშია. ლილში. ვინ იცის, რა დღეში არიან!

— ევაკუირებულნი იქნებიან, ალბათ, პოლკოვნიკო.

— ევაკუირებულნი? — ცივად ჩაიცინა: — მესამედ განიცადეს სამი თაობის მანძილზე, — ჩაიბუტბუტა თითქოს თავისთვის. — გეხსომებათ პარადი რივსალტეში? ისიც, თუ როგორ გავედით სენ-ლორანიდან? ქალები მწარედ სტიროდნენ...

— მახსოვს.

პოლკოვნიკმა ჩაახველა.

— ჩვენ დამნაშავენი არა ვართ. პოლკი თავგამოდებით იბრძოდა. ხომ მართალს ვამბობ?

გამხნევებას საჭიროებდა.

— მართალსა ბრძანებთ, პოლკოვნიკო, — მივუგე მე.

— თქვენ ვაკაცურად იბრძოდით, — გაიმეორა მან. — ვამაყობ თქვენით. ბრალს ვერ დაგვდებენ ჩვენ. ვერც თქვენ დაგდებენ ბრალს. იმ შემთხვევაშიაც, თუ გენერალმა...

გაჩუმდა და თავისი მძიმე ჯოხი ბუჩქებს დაუშინა. გზასთან ჩამწკრივებულ და ხშირი ბუჩქნარით შენიღბულ ქვემეხებს მივუახლოვდით. მათ ის იყო სროლა ასტეხეს. გავჩერდით ორ ნაბიჯზე მათგან. გამოვარდნილი ყუმბარის გრიგალმა დაგვქროლა. პოლკოვნიკს თითქმის არა ესმოდა-რა.

— გენერალმა, — განაგრძო მან თითქოს თავისთვის, — გენერალმა სთქვა: საფრანგეთს ერთი უცხოელი დააკლდაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მჭამელი დააკლდა.

სისხლი თავში ამივარდა. პოლკოვნიკი ჩუმად ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა, მტერმა არ გამიგონოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ არ გვინდოდა ომი. მაგრამ ვიბრძოდით.

ისე გამოდიოდა, თითქოს საიდუმლოს მიმჟღავნებდა.

ტყეში შესვლამდე უკან მიიხედა. ჩვენს წინ კვამლსა და ნისლში სოფელი იყო გაწოლილი.

— დეე, აპატიოს მათ უფალმა! — სთქვა მან.

გაუგებარი იყო, ვისზე ლაპარაკობდა.

იმ ღამეს მეათე ასეულის პატრულმა ორი ტყვე მოიყვანა. პატრულის სამი ჯარისკაცი ხოხვით მიეპარა გერმანელთა მოწინავე ხაზს და ხელთ ჩაიგდო მათი ავანპოსტი — ერთი ლეიტენანტი და ხუთი ჯარისკაცი. ლეიტენანტი შემოაკვდათ, სამი ჯარისკაცი გაიქცა, ხოლო ორი ტყვედ დანებდა. ერთი დაჭრილი იყო და ექიმმა განაცხადა, ლაპარაკი არ შეუძლიანო. მე გამგზავნეს მეორის დასაკითხავად მანამდე, სანამ დივიზიაში გაგზავნიდნენ. წესდება გვავალებდა, ტყვე ერთი საათის განმავლობაში გადაგვეგზავნა. მაგრამ ტრანსპორტი არ გაგვაჩნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ტყვე რამდენსამე დღეს უნდა დარჩენილიყო ჩვენთან.

დაკითხვა სწარმოებდა პოლკოვნიკის კარვის წინ. ხშირ ხეებ-ქვეშ რამდენიმე მაგიდა, საწერი მანქანა და ორი-სამი სკამი იდგა. პოლკოვნიკი მაგიდაზე იწვა. იგი გატანჯული იყო ძვალ-რბილში გამჯდარი ქარებით და ნიკოლა, გულკეთილი და ჩასუქებული მზარეული, ზურგს უზელავდა. თითქმის ბნელოდა უკვე. რამდენიმე ოფიცერი, დივიზიის შტაბიდან ცნობის მიღების მოლოდინში, შეშფოთებული წინ და უკან დადიოდა. ისინი მოელოდნენ არა ბრძანებას, არამედ ცნობებს პარიზიდან: შტაბში რადიო ჰქონდათ. პოლკოვნიკი კვნესოდა მზარეულის მოხერხებულ ხელებ-ქვეშ. დრო და დრო ამ სურათს გამსკდარი ყუმბარა ანათებდა. გერმანელი ჯარისკაცი ორ ხეს შუა იდგა, მაგიდისაკენ პირმიქცეული. მის სახეს ვხედავდი მხოლოდ მაშინ, როცა ყუმბარა გასკდებოდა ან ჩვენი ქვემეხები სროლას ასტეხდნენ. მეტყველებას მოკლებული იყო ეს სახე. ცხვირზე უჩარჩო სათვალები ჰქონდა ჩაცოცმული. წარბები არ მოუჩანდა, ალბათ, მეტად ქერა ჰქონდა. გავარჩიე მხოლოდ უკმეხი და ჩათხრობილი სახე. დაკითხვას აწარმოებდა ლეიტენანტი სენ-ბრისი, მე-კი ვთარჯიმანობდი.

— თქვენი სახელი?

— ფრანც კსაველ მერტლი.

— ხარისხი?

არავითარი პასუხი. კითხვა გავუმეორე.

ბოლოს სთქვა:

— თავათ შეგიძლიანთ დაინახოთ.

პასუხი გადმოვთარგმნე. ჩემს უკან მდგომმა კაპიტანმა გიუიმ რაღაც ჩაიდუდუნა. მაინც მიბრძანა — მენახა ნიშნები.

ტყვესთან მივედი. სიბნელეში ხელებს ვაფათურებდი, უსინათლო მათხოვარს ვგავდი. ცხადად ვგრძნობდი, რომ ტყვე იღიმებოდა. ბოლოს ვიპოვნე სახელოზე მიმაგრებული ნიშანი.

— ეფრეიტორია, — ვსთქვი მე. — ჩვენს კაპრალს უდრის.

— რომელ პოლკს ეკუთვნით, კაპრალო მერტი? — ჰკითხა სენ-ბრისმა.

პასუხი არ გასცა. კითხვა გავუმეორე. მერე მხრებზე ხელი მოვუცაცუნე. არ შენძრეულა. მთელი ამხნის განმავლობაში გამოჭიმული იდგა, თითქო გა-

ქვავებულიაო. ბნელაში ძალიან ძნელი იყო რაიმეს გაგება, მაგრამ ვიცოდი, რომ მხრებზე დანაკერი უნდა ჰქონოდა. ბოლოს ვიპოვნე და წავაკითხე, ... გორც უსინათლო ბრაილს კითხულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს „P“ არის, ლეიტენანტო, „Panzer“. ჯავშანსატანკო დივიზიას ეკუთვნის.

— ჰკითხეთ დივიზიის ნომერი.

— თქვენი დივიზიის ნომერი? — ვკითხე მე.

— არ გეტყვით.

პასუხი მოკლე და მარტივი იყო, პირველი გარკვეული პასუხი. მაგრამ სენ-ბრისს წონასწორობიდან ვერაფერი ვერ გამოიყვანდა. იგი მეტად მეგობრულად ეპყრობოდა და ახალ კითხვებს აძლევდა. მე ვთარგმნიდი ამ კითხვებს. ეფრეიტორი ან სდუმდა ან ამბობდა: არ გიპასუხებთო.

მოულოდნელად სენ-ბრისმა ჰკითხა:

— გიჭამიათ დღეს რამე თუ არა?

— არა.

— იქნებ გსურთ სჭამოთ რამე?

— არა მინდა-რა. მაძღარი ვარ.

— იქნებ დალიოთ რამე?

— არც დალევა მინდა.

— ფაკირი ჰყოფილხართ, — გაეხუმრა სენ-ბრისი.

იგი შეეცადა, ზოგად თემებზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

— რას ფიქრობთ ჩვენს 75-მილიმეტრიან ზარბაზნებზე?

— პირველ კლასს ეკუთვნიან, — მიუგო ტყვემ.

— თქვენი 77-მილიმეტრიანი ზარბაზნები?

— თქვენებზე უკეთესია.

— იცით თუ არა, რომელ პოლკთან გაქვთ საქმე?

— უცხოელ მოხალისეთა ოცდამეერთე პოლკთან.

— რამდენი ბატარიაა თქვენს პოზიციაზე?

პასუხი ვერ მივიღეთ. საერთოდ-კი ვერა გავაწყეთ-რა.

მთლად ჩამობნელდა. გვესმოდა, როგორ კვნესოდა პოლკოვნიკი და როგორ ჭრაჭუნებდა საწოლი მისი ტანის სიმძიმისაგან.

— მაშ ხვალ იერიშზე გადმოდიხართ? — ჰკითხა იმედიანმა სენ-ბრისმა.

— ჰაილ ჰიტლერ! — შესძახა პასუხად ეფრეიტორმა.

ეს შეძახილი არ გადმომითარგმნია. სენ-ბრისმა მკითხა, სწორედ გადაუთარგმნე თუ არა შეკითხვაო. მან ვერ გაიგო გერმანელის პასუხი.

— როდის დაიწყება იერიში? — ჰკითხა სენ-ბრისმა.

— ჰაილ ჰიტლერ! — კვლავ შესძახა გერმანელმა.

არ ვიცი, ასწია თუ არა მან ხელი. იქნებ ასწია კიდეც. ყოველ შემთხვევაში მოისმა ფოთლების შრიალი მის თავს ზემოთ.

სენ-ბრისმა წამჩურჩულა, გერმანულად გამოვლაპარაკებოდი ტყვეს. იქნებ ენა ამოიდგასო.

— თქვენ, მგონი, სამხრეთიდან უნდა იყოთ, — დავიწყე მე: — ბავარიელი. კარგად ვიცნობ მიუნხენს. ჰაიდელბერგსაც ვიცნობ. ვსწავლობდი იქ. მიუნხენში ისევ მხიარულად ატარებენ დროს?

პასუხი არ მაღირსა, განვაგრძე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბავია ჰოფბრაუს სარდაფში? არ გენატრებათ შინ დაბრუნება? უკანასკნელად შვებულებაში როდის იყავით?

ხმა, კრინტი. თითქოს კედელს ველაპარაკებოდი.

უეცრად რაღაც ბოლმა შემომაწვა. მომეჩვენა, თითქოს მარტოდ-მარტო ვყოფილიყავ. სენ-ბრისისკენ ვიბრუნე პირი, მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანის ხმა გამეგონა. სენ-ბრისმა რაღაც სთქვა, მაგრამ ვერ გავიგონე, რადგან სწორედ იმ დროს ყუმბარა გასკდა ოცდაათიოდე ნაბიჯზე. ჩამოვარდა თუ არა ოდნავი სიჩუმე, უკანიდან მომესმა ღრიალი:

— ჰაილ ჰიტლერ!

ღრიალებდა ქერა-წარბებიანი ეფრეიტორი: ეგებებოდა გერმანელთა ყუმბარას.

ჩვენს ირგვლივ ოფიცრებმა მოიყარეს თავი. მაიორი ლე გიიარი, რომელსაც წინა დღეს შვილი მოუკლეს, მოუსვენრად ისვამდა ხელს ულვაშებზე. ზეზე წამომდგარმა პოლკოვნიკმა მუნდირი შეისწორა.

სენ-ბრისსთან კარგი დამოკიდებულება მქონდა, ამიტომ გავბედე და ვთხოვე:

— ნება მომეცით, ლეიტენანტო, მე დავკითხო ტყვეს.

— თუ სურვილი გაქვთ, ინებეთ. მხოლოდ ხელს ნუ ახლებთ.

— რაღა თქმა უნდა, ლეიტენანტო.

დუმილი ჩამოვარდა. ყველანი რაღაცას მოელოდნენ. ტყვე უძრავად იდგა.

— მომიახლოვდით! — მივმართე მე წყნარად.

იგი კვლავ გაქვავებული იდგა.

— მომიახლოვდით! — დავუღრიალე.

მან რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. პირისპირ ვიდექით, რაღაც ნახევარი მეტრით დაშორებულნი. დანარჩენები გაოცებულნი შემოგვყურებდნენ. მე ვღრიალებდი, ვყვიროდი. ტყვე მორჩილად მიპასუხებდა. იგი დადუმებული აღარ იდგა და აღარც „ჰაილ ჰიტლერს“ გაჰყვიროდა. მე არა ვლანძღავდი, წყევლა-კრულვას არ ვატეხდი თავზე. თუ სიმართლე გნებავთ, მხოლოდ სენ-ბრისის კითხვებს ვიმეორებდი, ოღონდ ვყვიროდი, ვყვიროდი ისე, რომ გამოძახილისაგან ტყეს ზანზარი გაჰქონდა.

დაკითხვამ ოც წუთს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ეფრეიტორმა ფრანც კსავერ მერტლმა, ულმელმა მებრძოლმა, გადმოგვცა ყველაფერი, რის გაგებაც გვწადდა ჩვენ.

სენ-ბრისი თავის ბლინდაჟამდე მივაცილე. ბუჩქნარით მივდიოდით. სიბნელეში ძლივს მივიკვლევდით გზას. არ დაგვიზოგავს არც ხელები, არც ტანისამოსი. სენ-ბრისმა ამოისუნთქა და ხელი ჰაერში გაიქნია.

— უცნაურები არიან ეს გერმანელები! — სთქვა ბოლოს.

ოცდათექვსმეტი საათი ზურგში გავატარე, პოლკის შტაბში, სამი კილომეტრის მანძილზე ჩემი სამეთვალყურეო საგუშაგოდან. მერე მე და ექიმმა ბარატიმ კვლავ მოწინავე ხაზისაკენ გავწიეთ ამხანაგების შესანაცვლებლად. ისინი ვერ ახერხებდნენ სატელეფონო კავშირის დაცვას ზურგთან, რადგან მავთული წამდაუწუმ წყდებოდა. გადავწყვიტე, წამეყვანა თან ახალგაზრდა პორტუგალელი, საუცხოო ყმაწვილი, ფირმინიო მალაგრიდი. თუ საჭიროება მოითხოვდა, მას გავგზავნიდით ცნობების მისაწოდებლად, სადაც ჯერ იყო. სანამ გზას გავუდგებოდით, ბარატი წავიდა ჩვენი დღიური რაციონის მისა-

ლებად. ყველის გარდა, რომელიც ელზასიდან წამოვიმძღვარეთ, მისალები ცოტა რამ გვქონდა. სამაგიეროდ ბარატიმ ორმაგი რაოდენობით ბეერი gniol-ი.

ვიცოდით, რომ ეს ცუდი ნიშანი იყო. იმ დროიდან, რაც ხანი მოწინავე ხაზზე ვიდექით, gniol-ს ყოველ დღე გვირიგებდნენ. მუდამ ზღაპრად მიმაჩნდა, რომ იერიშის წინ ჯარისკაცებს სპირტს ასმევდნენ. რატომღაც არა მჯეროდა, რომ დალეული კაცი უფრო ადვილად შესძლებს მოყვასის მოკვლას. მაგრამ პირადად დავრწმუნდი, რომ უფრო სისხლისმსმელნი ვხდებოდით, როცა გადავყლაპავდით რამდენიმე წვეთს gniol-ს, — სასმელს, რომელიც თითქმის ხალასი სპირტისაგან შესდგებოდა. უფრო სისხლისმსმელნი ვხდებოდით, სამაგიეროდ უფრო ოპტიმისტურ გუნებაზე ვდგებოდით.

იმხანად ამ სასმელის ორმაგი ულუფა დაგვირიგეს. შხამიან სითხეს ორკვარტიან მათარებში გვისხამდნენ უზარმაზარი შემოწნული ბოთლიდან. ამის შემდეგ გავუდექით გზას. მე წინ მივდიოდი. ბარატი და მალაგრიდი უკან მომდევდნენ, სამ-სამი ნაბიჯით დაშორებულნი ურთიერთს.

საღამოს ექვსი საათი იყო, როცა სამეთვალყურეო საგუშაგოს მივაღწიეთ. თითქმის ორი საათი დავკარგეთ, რადგან გაუვალი ტევრი იყო და ძლივს მივიკვლევდით გზას. შემცვლელების დანახვამ ამხანაგები გაახარა. მიწისა და თოფის წამლებისაგან ძალზე გაშავებულნი გამოიყურებოდნენ. ჩვენი არტილერია, რომელიც მანამდე მტრის ერთ გამოსროლას ხუთი გასროლით უპასუხებდა, ახლა თითქმის სულ დადუმდა.

როგორც გადმოგვცეს, ერთი საათის წინად გერმანელები ჩვენს პირდაპირ მდებარე ფერდობზე გამოჩენილან, რათა თავიანთი დაჭრილები წაეყვანათ. მათ მოჰქონდათ თურმე დიდი თეთრი ბაირაღი, რომელზედაც წითელი ჯვარი ყოფილა გამოსახული. ხელში სჭერიათ ნაცრისფერი ყუთები, ვითომ სახვევი მასალით. მაგრამ როცა დაჭრილები წაუყვანიათ, ყუთები გაუღიათ და იქიდან ტელეფონის აპარატები ამოუღიათ. ერთ წითელ-ჯვრიან ყუთიდან ტყვიამფრქვევი ამოუღიათ და იქვე დაუდგამთ. ჩვენ ამხანაგებს ბატარიისთვის დაურეკიათ, მაგრამ იგი არც ერთი გასროლით არ გამოხმაურებია გერმანელებს.

ჩემს საგუშაგოში სტერეომილთან დავიკავე ადგილი. იმ წუთიდან ერთი სიურპრიზი მეორეს მოსდევდა. გერმანელები თავიანთ სამალებიდან გამოძვრნენ. ერთბაშად შევნიშნე, რომ ბორცვის ჩვენსკენ დაქანებულ ფერდობზე გერმანელებს რამდენიმე ღამის განმავლობაში სანგრები ამოეთხარათ. სოკოებივით ჩნდებოდნენ თავები. ბევრს ფოლადის მუზარადიც არ ეხურა. აირწინაღების დალაქულ კოლოფებს ლაპლაპი გაჰქონდათ ჩამავალი მზის შუქზე. ბარატიმ სენ-ბრისს დაურეკა, სთხოვა, ყუმბარები დაეშინათ მტრისათვის. არა გამოვიდა-რა.

ამასობაში მთის თხემზე გერმანელი ოფიცრები გამოჩნდნენ. ბრტყელი ნაცრისფერი ქუდები ეხურათ. არც ერთის თავზე არ მოსჩანდა ფოლადის მუზარადი. ჰაერი გამსჭვირვალე იყო და გარკვევით ვარჩევდი ყოველ მოძრაობას. ვხედავდი მათ სახეებსაც-კი. ოფიცრებს ისე ეჭირათ თავი, თითქო მათ წინ არავითარი მოწინააღმდეგე არ ყოფილიყო. რუკები გადაშალეს და ხელთათმანებიანი თითებით ჩვენს პოზიციებზე უჩვენებდნენ ერთმანეთს. ზოგიერთს საველე დურბინდი გამოეშვირა ჩვენსკენ. უცნაური გრძნობა გიპყრობს, როცა მინის ერთი თვალი მეორეს ხვდება. არასოდეს მოწინააღმდეგე-

ნი ისე მტრულად არ შესცქერიან ერთმანეთს, როგორც ორი ოფიცერი ხელსაწყო. მყარი მინა ასეთსავე მყარ მინას ხვდება. მის უკან ბარბაროსულად მომზადებული რაღაც თუ ვიღაც ჩასაფრებულა. იქნებ ადამიანიც.

თავათ დავავლე ხელი ტელეფონის მილს. გავიდა რამდენიმე წუთი, ვიდრე სენ-ბრისსთან შემაერთებდნენ. ბარატი სტერეომილში იცქირებოდა. მან მაცნობა, რომ მტრის ბანაკში დრო და დრო შიკრიკები ჩნდებიან და ოფიცრებს, ალბათ, მოხსენებებს უდგენენო. ყოველსავე ამას სჩადიოდნენ გაუფრთხილებლად, სრულიად დაუდევრად. შიკრიკები ისე აძლევდნენ სალამს თავიანთ უფროსებს, როგორც მშვიდობიან დროს, ყაზარმებში. მე ზუსტად ვანიშნე ჩვენებს ის ადგილი, სადაც გერმანელი ოფიცრები იდგნენ.

— ლეიტენანტო, აქ, ჩვენს წინ, გერმანელთა მთელი გენერალური შტაბია თავმოყრილი, — სასოწარკვეთილი ჩავძახოდი ტელეფონის მილს.

— ვიცი, ჩემო კარგო, — მესმოდა პასუხად სენ-ბრისის სიტყვები.

ბოლოს მილი ჩამოჰკიდა — უნაყოფოდ ჩაიარა ყოველმა ცდამ.

მე ისევ სტერეომილს მივუჯექი. ხმამაღლა ვიმეორებდი იმას, რასაც ვხედავდი და ვაიძულებდი ბარატის, ყოველ ორ წუთში დაერეკა შტაბისათვის. დროგამოშვებით გზაზე, ჩემს მარჯვნივ, ყუმბარა ეცემოდა.

ბრაზი მაღრჩობდა: რატომ არ ისვრიან ჩვენები? მოვიდა ჩვენთან გამოსამშვიდობებლად მაღალი ბრეტონელი ტანკსაწინააღმდეგო ასეულიდან. ორი დღეა უკვე ყუმბარები გამოგველიაო, გვითხრა ამან. ორი დღეა უსაქმოდ ვარ, წერილებს ვწერ. ამასობაში ჩვენს საფარს ნაფოტებად აქცევენო. წერილების დაწერა სხვაგანაც შემეძლოო, მწარედ დაუმატა მან. მერე გვკითხა, ჩვენ რაღას ვფიქრობთ, ვრჩებით თუ არა. უკან დახევის ბრძანება ჯერ არ მიგვიღია-მეთქი, ვუპასუხე. თავი გაიქნია, მერე ხელი ჩამოგვართვა. სიტყვა არ დაუძრავს. ეტყობოდა-კი, რომ სწუხდა. ვერაფრით ვერ ვანუგეშეთ. გვეწვია თითქოს იმისათვის, რომ თანაგრძნობა გამოეცხადებინა: ჩვენ ერთსა და იმავე დროს მკვდრებშიც ვეწერეთ და ცოცხლებშიაც.

ღამე ნელ-ნელა ეშვებოდა. ეკლესიის სამრეკლო შენ-პოპიულეში თანდათან ჰქრებოდა: ნაცრისფერ ნისლში ეხვევოდა. ერთის წუთით გამახსენდა წარსული დროის ზაფხულის საღამოები. ბოვალონე-სიურ-მერში, ბუდაპეშტს, მიტინგზე მარსელში. თუ ზაფხული დაკარგულია, მაშასადამე, დაკარგულია მთელი წელიწადი, — ვუთხარი ბარატის. პასუხი არ გამცა. დაძაბული გაჰყურებდა ერთ ადგილს. სულ ოც ნაბიჯზე მდებარეობდა ჩვენგან ეს ადგილი. იქ, როგორც ჩვენ კარგად ვიცოდით, მეთერთმეტე ქვეითი პოლკის სამეთვალყურეო საგუშაგო უნდა ყოფილიყო. ეს პოლკი ჩვენს დივიზიაში შედიოდა და ჩვენს მარჯვენა ფრთას იცავდა. სტრატეგიული შეცდომა იყო სამეთვალყურეო საგუშაგოების ასე ახლო-ახლო განლაგება ერთსა და იმავე სექტორში. მაგრამ ადგილის რელიეფი ხელსაყრელი არ იყო და მათი სხვანაირად განლაგება არ შეიძლებოდა. კარგად ვიცნობდი მეთერთმეტე ქვეითი პოლკის მეთვალყურეებს — ერთად ვისმენდით პფაფენჰოფენში კაპიტან მირამბოს მგზნებარე ლექციებს. ორი-სამი წუთის შემდეგ მეც დავინახე, რომ მეთვალყურეები საფარიდან გამოვიდნენ და, ხელსაწყოებით დატვირთულნი, სწრაფად გაუდგნენ გზას.

გამოვეხმაურე:

— ჰეი, პიერო!

პიერო ხუთ ნაბიჯზე იყო ჩვენგან. გვესმოდა ყოველი მისი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას აკეთებთ, პიერო? შეგცვალესთ თუ არა?

— არა, შტაბში გაგვიწვიეს. პოლკი უკან იხევს.

— ჩვენ?

— არა ვიცი-რა, — მომიგო პიერომ. — ინსტრუქცია მივიღეთ, თან წავიღოთ ყველაფერი.

ხელი დავუქნიეთ ერთმანეთს.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

მე, ბარატიმ და მალაგრიდამ ურთიერთს გადავხედეთ. ესენიც წავიდნენ,— ვეუბნებოდით ერთმანეთს თვალებით. მარტონი ვრჩებით. — ეს ხომ შეუძლებელია: თუ ერთი პოლკი იხევს, ფრონტის გამოსასწორებლად დივიზიის სხვა პოლკებმაც უნდა დაიხიონ. რა ხდება? — ვეკითხებოდით ერთმანეთს. პასუხი ვერავის გაგვეცა.

ჩამოღამდა. ტანკების რახრახი უფრო გარკვევით ისმოდა. ჯავშანსატანკო ნაწილებს, ალბათ, თავს უყრიდნენ სოფელ ლე-შენის ირგვლივ. ერთხელ კიდევ დავურეკე სენ-ბრისს. მომესმა დაღლილი ხმა:

— ჯავშანსატანკო ნაწილები არიან?

— დიაღ, ლეიტენანტო.

— ვაცნობებ დივიზიას.

ეს იყო და ეს. ლოდინმა გული გაგვიწყალა. კვლავ არა გამოვიდა-რა. უეცრად ბარატიმ სთქვა:

— მე მგონია, ჩვენს უკან არტილერია აღარ უნდა იყოს.

თვალები დავაჭყიტე. როგორ თუ არტილერია აღარ უნდა იყოს? მხოლოდ ქვეითი მებრძოლი მიხვდება, რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს დასასრულს. დასასრულზე მეტსაც: სრულ სიცარიელეს.

— სისულელეა! — ვსთქვი მე. მაგრამ ვეჭვობ, ჩემი ხმა დამარწმუნებელი ყოფილიყო.

თვალებით წყვდიადს ვებრძოდი. ველოდი ნიშანს მოწინავე ხაზიდან — შუშხუნას. სამი წითელი შუშხუნა ნიშნავდა მტრის ტანკების იერიშს. დრო და დრო მესმოდა სიბნელეში მუხლუხების ღრაჭუნი. მერე დავინახე წითელი ვარსკვლავები ჰორიზონტზე. ცხელი ღამე დაგვიდგა. ვარსკვლავები სულ ახლო მოსჩანდნენ. მაგრამ ვხედავდით სხვა ვარსკვლავებსაც, იმათ გარდა, რომლებიც ცაზე მოსჩანდნენ: სიღრმიდან, მთის მეორე მხრიდან ამოვარდნილ ვარსკვლავებს — გერმანელთა შუქნიშნებს. წითელი, ყვითელი, მწვანე ვარსკვლავები ერთბაშად მოსწყდებოდნენ ხოლმე მიწას. რკინის ვეშაპების განუწყვეტელი რახრახი რომ არა, ყველაფერი ეს კაცს ზაფხულის ჩირაღდანს მოაგონებდა: სახლის ტალანი მთის ფერდობზე, სადმე ქვემოთ-კი სოფლური დღესასწაული, ფერად-ფერადი სინათლე. მაგრამ მაშინ იქ, სადაც ჩვენ ვიყავით, ყოველი ფერი სიკვდილს ნიშნავდა. მე სამ წითელ ვარსკვლავს ველოდი.

ჩვეულებრივად რიგ-რიგობით ვიძინებდით. ძალზე მღლის მთელი ღამის უძილობა. თანაც სხვადასხვა სისულელე გელანდება. ორ-ორ საათს ვმორიგეობდით. მაგრამ იმ ღამეს ძილი შეუძლებელი იყო. მე და ბარატი განუწყვეტლივ შევყურებდით სიბნელეს. ჩასთვლიმა მხოლოდ მალაგრიდამ, გამხდარმა შავთვალებიანმა და გრძელნიკაპიანმა პორტუგალელმა, მხიარულმა, თავაზიანმა, კარგმა ამხანაგმა. ეძინა საფარის კიბის საფეხურზე. როდესაც

გერმანული შუშხუნა მის სახეს აშუქებდა, ვხედავდი, როგორ იღიმებოდა. იქნებ ჩირაღდანი ელანდებოდა, ჩირაღდანი ბუსაკოს ბაღში?

ათის ნახევარი იქნებოდა. რაღაც მოძრაობდა ჩვენს გვერდით, ტყეს-პირზე მდებარე გზაზე. ვინ არიან — ფრანგები თუ არაფრანგები? ერთი წუთის შემდეგ ვიცანი ლეიტენანტ გეის ხმა. გეი მეორე ასეულში ირიცხებოდა. გამოვეხმაურე:

— სად მიდიხართ, ლეიტენანტო?

ჩასუქებულმა, ზორბა აგებულების, ხალისიანმა ახალგაზრდამ გეიმ, რომელიც პერპინიანში მუდამ თეთრ გეტრებს ატარებდა, სუსტი ფალცეტით მომიგო — უკან ვიხევთო.

— მეორე ასეულია?

— არა, მთელი პირველი ბატალიონია.

ჯერ კიდევ სიტყვა არა ჰქონდა დამთავრებული, რომ ცაში სამი წითელი ვარსკვლავი აენთო. არა, თვალი არ მატყუებდა. დავინახეთ ორივემ, დავინახეთ ერთსა და იმავე დროს. საიდან აუშვეს — ჩვენი თუ გერმანელების სანგრებიდან? რა თქმა უნდა, აუშვეს ხევიდან, სადაც ჯერ კიდევ იდგა ჩვენი პირველი და მეორე ბატალიონი.

ჩამოვიღე ტელეფონის მილი და შევუდექი სახელურის ტრიალს. მაგრამ ადამიანის ხმის ნაცვლად ტელეფონი მხოლოდ სიჩუმით მომეგება. არავითარი ადამიანური დუმილი არ არის ისე საზარელი, როგორც ეს მექანიკური სიჩუმე. მილი გამოჭედილი იყო განუმტევი, პირქუში, არამუსიკალური სიჩუმით. გაცოფებული ვატრიალებდი სახელურს, მაგრამ მესმოდა მხოლოდ ჩემს მიერ ატეხილი წკარუნის გამქირდავი გამოძახილი.

ბილიკიდან ჯერ კიდევ მოისმოდა მიმავალი ჯარის ფეხის ხმა. მიჰქროდნენ წუთები. ვცნობდი ხმებს. ერთ ამხანაგს გამოველაპარაკე. მეშვიდე ასეულიდან იყო. დიაღ, — სთქვა მან, — მეშვიდე ასეული, რომელსაც ლე შენის სამხრეთი ნაწილი ეკავა, უკან იხევსო. რატომ — არავინ უწყოდა. გერმანელებს იერიში არ მოუტანიათ. ბრძოლა არა ყოფილა. იქნებ უნდა შეგვეცვლონო, სთქვა ვიღაცამ. მაგრამ ეს დასაჯერებელი არ იყო. ფეხის ფრატუნი კვლავ მოისმოდა ქვიანი გზიდან. ყური ვეღარ არჩევდა ცალკეულ ხმებს, მოისმოდა მხოლოდ ერთიანი ფრატუნი.

და სამმა არსებამ იცოდა, როცა მიყუჩდება უკანასკნელი ხმა ფეხისა, ისინი მარტოდ-მარტონი დარჩებიან.

გადავწყვიტე! ტელეფონი აღარ მოქმედებდა. ინსტრუქციების მიღება აღარ შეგვეძლო. მაგრამ, მეორეს მხრით, არც საგუშაგოდან წასვლა შეგვეძლო, ვიდრე ბრძანებას არ მივიღებდით. ბარატი მიმავალთ დაედევნა და რაღაც ჰკითხა ოფიცერს. მალე ისევ დაბრუნდა.

— მესამე ბატალიონი იყო, — მითხრა მან. — მეტი აღარავინ დარჩენილა.

ამხანაგებმა მე შემომხედეს. ჩემი ხელქვეითები იყვნენ ისინი — რუმინელი ექიმი მონპელიედან და პორტუგალელი მემადაროე ბუსაკოდან. ორი ჯარისკაცის უფროსი უკანასკნელი უფროსია არმიაში. მაგრამ განა სულ ერთი არ არის — ორისთვის აგებ პასუხს თუ ათისთვის?

შევყურებდი ჩემს ამხანაგებს სახეში. ორი წყვილი თვალი ვარვარებდა სიბნელეში.

ვიცოდი, რა უნდოდა ამ ორ კაცს. ვიცოდი, რა მინდოდა მე: წასვლა იმ ადგილიდან, თავის დაღწევა. იმ უაზრობაში შეუძლებელი იყო გმირობა. მაგ-

რამ მე ვერ მოვიქცეოდი ჩემი სურვილისამებრ. ვერ გავცემდი იმ ორ ადამიანს, რომელნიც შენდობოდნენ მე. რამდენიმე სიტყვა დავჯღაბნე ქაღალდის ნაფლეთზე: „მას შემდეგ, რაც სატელეფონო კავშირი შესწყდა, მეთერთმეტე ქვეითი და ტანკსაწინააღმდეგო ბატალიონის მეთვალყურეებმა ზურგს მიაშურეს. 9 საათსა და 40 წუთზე სამმა ჩვენმა ბატალიონმა უკან დაიხია. გამოგვიგზავნეთ ინსტრუქციები“.

აი ის, რის ჩადენაც მე შემეძლო. ბარათი მალაგრიდას გავუწოდე.

— გადაეცით ეს ბარათი პოლკოვნიკს ან ლეიტენანტ სენ-ბრისს და რაც შეიძლება ჩქარა მოგვიტანეთ პასუხი. ახლა ათი საათია, შუაღამისთვის შესძლებთ დაბრუნებას.

მალაგრიდამ თავისი თოფი აიღო, რომელიც სიგრძით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა პატრონს. სახიფათო გზა მოელოდა ახალგაზრდას, მაგრამ მოხარული იყო, რომ მოძრაობას შესძლებდა. უსიტყვოდ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. ის იყო ერთადერთი ჩვენი იმედი.

მეტად ზანტად მიიზლაზნებოდა დრო. გერმანელთა არტილერიამ ცეცხლი გააძლიერა. ჩვენი ქვემეხები პასუხს არ აძლევდნენ. ტყე ჩვენს გარშემო მიყუჩებული იყო, თითქოს სიცოცხლისაგან დაიწრიტაო. კვლავ საფარში ვისხედით. უკვე შეუძლებელი იყო შტაბში ცნობების გაგზავნა, ხმას არ ვიღებდით. ხელსაწყოები ჩავალაგეთ. თუ მალაგრიდამ უკან დახევის ბრძანება მოგვიტანა...

სადღაც შორს ფეხის ხმა მისწყდა. გვეშინოდა ხმის ამოღებისა. დროგამოშვებით ყურს ვუგდებდით ღამის ხმაურს. ნერვები უკიდურესად დაგვეძაბა. მეოთხედ ჩავდე და კვლავ ამოვიღე დურბინდი. რამე ხომ უნდა გამეკეთებინა?

გერმანელები ახლა ტყის ბილიკს უშენდნენ, იმ ბილიკს, რომლითაც მალაგრიდა წავიდა და უკან უნდა დაბრუნდეს. ბევრგან ხეები ალში იყო გახვეული. თავს ვინუგეშებდით იმით, რომ მალაგრიდა პირველის ნახევარზე ადრე ვერ დაბრუნდებოდა. უკანასკნელ წვეთამდე დავლიე შემორჩენილი gniol-ი.

ის იყო შუაღამე გადავიდა, როცა ფეხის ხმა შემომესმა. ფრთხილად გამოვედი საფარიდან. ახლა ლაპარაკიც გავიგონე. ორნი ლაპარაკობდნენ გერმანულად. ბარატიმაც განიზრახა ჩემს შემდეგ საფარიდან გამოსვლა. ხელში ხელი ვტაცე და სმენად გადავიქეცით.

— ეს ალბათ, შატილიონში მიმავალი გზაა, — სთქვა ერთ-ერთმა, უეჭველად პრუსიელმა.

ახლა, ალბათ, სამნი თუ ოთხნი იყვნენ. ლაპარაკობდნენ ხმამაღლა, წელში გამართულნი.

გავიფიქრე: რა იქნება, ახლა რომ მალაგრიდა დაბრუნდეს? და ხელი ვტაცე შაშხანას, ჩემს ძველ „რემინგტონს“ № 1751-ს, თუმცა ვიცოდი, რომ არ გავარდებოდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. გერმანელები წავიდნენ. მაინც ვდუმდით. ჯიბის დანა ამოვიღე. შევეცადე ჟანგის გადაფხეკას მისი პირიდან. ბარატი წერილებს ხევდა.

შუქმფენი ციფერბლატი ჩემს საათზე სწორედ პირველს უჩვენებდა.

— მალაგრიდა აღარ დაბრუნდება, — სთქვა ბარატიმ.

მეც ამ აზრმა გამიელვა თავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკლეს, ალბათ, გზაზე. უკანასკნელი კვირის განმავლობაში იმ ბილიკზე ხუთი ჩვენი მეთვალყურე მოჰკლეს.

ან, ალბათ, მალაგრიდამ თავს უშველა. დიაღ, ორივეს ერთ-და-იგივე აზრი გვიტრიალებდა თავში. მოვალეობა შენს წინაშე, ფირმინიო მალაგრიდა, მაიძულებს ჩავიწერო ეს. არ გიჯერებდით. რატომ არ უჯერებენ ადამიანები ერთმანეთს უფსკრულის წინაშე?

მაგრამ შენ არ გიღალატნია ჩვენთვის, კეთილო პატარა მალაგრიდავ; პირველ საათსა და ორმოც წუთზე გაჩნდი შენ, ვით ლანდი, ალმოდებულ ტყიდან.

მალაგრიდა ხოხვით მოგვიახლოვდა. ვანიშნე, ხმადაბლა ელაპარაკნა, მაგრამ როგორ უნდა ელაპარაკნა: ძლივს სუნთქავდა. ისე მოათრევდა თოფს, როგორც რაიმე უზარმაზარ სიმძიმეს. და იქვე თხრილში გადააგდო იგი. გვეშინოდა შევკითხებოდით რამეზე.

— წავიდნენ! — სთქვა ბოლოს.

— ვინ? — მივახალეთ ორივემ ერთად.

— ყველანი! — სთქვა და ხარბად დაეწაფა ბარატის მათარას.

ვერაფერი გავიგე.

— პოლკოვნიკს ელაპარაკეთ?

— არ არის არავითარი პოლკოვნიკი.

— იყავით ტყეში, სადაც ჩვენი ასეულია?

— ტყე ცარიელია, იქ არავინ არ არის.

გულგრილად ამბობდა ყოველსავე ამას. წამოწოლილი იყო, სულს ძლივს ითქვამდა. საფარიდან გავიხედე. მარტონი ვიყავით.

— დავავიწყდით! — სთქვა ბარატიმ.

ყველაფერს მივხვდი. იმავე დროს დავინახე, რომ ყოველი აზრი დაჰკარგა წერილობითმა კანონმა, რომელიც ჩვენ გაზეპირებული გვქონდა. პირველად მოეშვნენ დისციპლინის სალტეები.

— აბა, მივდივართ! — ვსთქვი ბოლოს მე.

ორივე ამხანაგმა უყოყმანოდ მიიღო ჩემი წინადადება. მთელი ჩვენი უბადრუკი ქონება — ბარგის ტოპრაკი, ფეხსაცმელის მეორე წყვილი, ნავთურა, საბანი, თბილი პერანგი — ორმოს თიხის სველ იატაკზე ეყარა, იმ ორმოს იატაკზე, რომელიც ერთი თვის განმავლობაში გვიცავდა და გვიფარავდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ყველაფრის წამოღება ხელსაწყოებთან ერთად, რომლებიც ორასორმოცდაათ გირვანქაზე მეტს იწონიდნენ. მცირე თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, მიგვეტოვებინა ჩვენი ბარგი-ბარხანა და გადაგვერჩინა პოლკის ქონება — „პოლკის თვალები“. ჩვენს გადაწყვეტილებაში გმირული არაფერი იყო. მოვალეობას ვასრულებდით მხოლოდ. ჯარისკაცები ვიყავით და ერთი ღამის განმავლობაში გულს ვერ ავიცრუებდთ არმიაზე, ვერ დავკარგავდით რწმენას მისდამი.

კერძოდ მე საეჭვოდაც მიმაჩნდა მალაგრიდას სიტყვები. იქნებ გზა აერია და სხვა ტყეში ამოჰყო თავი? დარწმუნებული ვიყავი, რომ ნუარვალის ტყეში მოვნახავდით პოლკოვნიკს და მთელ მის შტაბს.

გავუდექით გზას. სინდისი მაინც მაწუხებდა: ბრძანების მიუღებლად მივატოვე ჩემი საგუშაგო. უფრო მეტად მაშინებდა პოლკოვნიკთან შეხვედრა, ვიდრე ყუმბარების სეტყვა ირგვლივ.

შევედით იმ ტყეში, სადაც ჩვენი შტაბი უნდა ყოფილიყო. დილის სამი საათი იქნებოდა. აღმოსავლეთისკენ შატილიონის დანგრეული სასლების თავზე განთიადმა გაიელვა. ტყის პირად ბილიკი წაქცეული ხის ძძლავრ ტანს გადაეღობა. იქ დღე-ღამის განმავლობაში გუშაგი იდგა. შევეხმაურე. პასუხი არაკინ გამცა. გადავედით წაქცეულ ხეს. შტაბის ბლინდაჟი მარჯვნივ იყო. იქ ცხოვრობდნენ პოლკოვნიკი, შტაბის უფროსი და რამდენიმე სხვა ოფიცერი. ხმამაღლა შევძახე: პოლკოვნიკო! პასუხი ვერ მივიღე. მერე: მაიორო! ბოლოს: კაპიტანო! სამარისებური დუმილი იდგა.

პოლკოვნიკის საფართან მივედი. ჩავხტი შიგ და რაღაც რბილში ჩავიფალი. როცა დავიხარე და ხელით შევეხე, ბუმბულის ლეიბი აღმოჩნდა. ისღა ადასტურებდა, რომ იქ ოდესღაც ადამიანები ცხოვრობდნენ.

ამოსვლისას სკამი წავაქციე და ხმაურმა მევე შემაშინა. თავში არ მომდიოდა, რომ ჩემს ხმას მტერი გაიგონებდა და ხმამაღლა შევძახე: ლეიტენანტო! ლეიტენანტო! მაგრამ ტყე პასუხს არ მაძლევდა.

ჩემი საფარისაკენ გავიქეცი. მის ამოთხრაზე თავისუფალ დროს ვმუშაობდი, გუშაგობის შემდეგ. მეზობლად სხვა მეთვალყურეების საფარები იყო. ვიძახდი მათ სახელებს, მაგრამ არც ისინი მიპასუხებდნენ. ჩემს მიწურში რაღაც წვეტიანს წავაწყდი. ფოლადის მუზარადი აღმოჩნდა, პირველი მსოფლიო ომის დროის მუზარადი.

ბარატი და მალაგრიდა მიწაზე გაიშხლართნენ. მეც მათ გვერდზე ჩავჯექი.

— რა ვქნათ ახლა? — ვიკითხეთ სამივემ ერთად.

ვიგრძენით, რომ რაღაც თბილი, ძლიერი, კარგი იზრდებოდა ჩვენში და ურთიერთისაკენ გვეზიდებოდა, ურთიერთთან გვაახლოებდა. უპატრონოდ მიტოვებულ სამ ბავშვს ვგავდით. სამ მეგობარს. შეუძლებელია სამ მეგობარზე მეტი.

ახალი დღის გარიჟრაჟზე ხეების კენწეროები ლილისფრად შეიღებნენ. თენდებოდა თერთმეტი ივნისი. არა მოსჩანდა-რა არც ჩვენს წინ, არც ჩვენს უკან. ხეების კენწეროები ისევე შორს იყვნენ ჩვენგან, როგორც ცა. ყველაფერი ირგვლივ იზრდებოდა, უზარმაზარი ხდებოდა.

სამი ჯარისკაცი ტყეში იცდიდა. მარტოდ-მარტონი იყვნენ სამოცი ათასი მებრძოლის წინააღმდეგ, გერმანელთა ექვსი დივიზიის წინააღმდეგ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ა. დოგროლიუბოვი

ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები

თხზულება არქიმანდრიტ **გაბრიელისა** (ქიქოძისა)

ფაქტები კი არ უნდა შეეუფარდოთ წინასწარ გამოგონებულ კანონს, არამედ თვით კანონი უნდა გამოვიყვანოთ ფაქტებიდან, მათზე თვითნებურად ძალდატანების გარეშე: ეს ჭეშმარიტება ისე მარტივი და ისე გასაგებია ყველასათვის, რომ ბოლოს ნაღეკ აზრად იქცა. ამასთანავე კი ყველაზე ხშირად ვხვდებით წინააღმდეგობას ამ ჭეშმარიტებისადმი და, რაც ყველაზე საწყენია, მოწინააღმდეგენი ხშირად თვითონ ზეიმით ქადაგებენ მას. როგორ შეიძლებაო, ამბობენ ისინი, დავიწყოთ იქიდან, რაც ძიებათა შედეგი უნდა იყოს: ფაქტები, ფაქტები — აი საიდანაა საჭირო დავიწყოთო. შეხედავთ და დასკვნა მათ უკვე დიდი ხანია მზად აქვთ, ფაქტებს კი, ასე ვთქვათ, მხოლოდ ერთიანი ფორმალობისათვის აყენებენ თვალის ასახვევად.

დეე, ეგუებოდნენ მაინც ეს ფაქტები დასკვნას, მაშინ ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ყველაფერი ეს მეტის სიცხადისათვის კეთდება. მაგრამ ასე რომ არ არის: ფაქტები თავისთავად არიან, დასკვნა კიდევ თავისთავად. ეს კიდევ ცოტაა: აბა გაბედოს ვინმემ და მიუთითოს ამ ვაეაბატონებს მათი მსჯელობის არათანმიმდევრობასა და თვითნებურობაზე. ისინი მას მაშინვე უვიცს დაუძახებენ და, გარდა ამისა, ვინ იცის, იქნებ საჯაროდ არაკეთილი განზრახვების მქონე ადამიანადაც გამოაცხადონ. Idée fixe ლურსმანივით ჩაჭედილი აქვთ მათ თავში და რაც არ უნდა ელაპარაკო, ისინი მაინც თავისას გაიძახიან. თუ კი რამე გაუგებარი შეხვდებათ მათ მათი თეორიის მიხედვით, ეს მათთვის სრულიად არაფერს არ ნიშნავს; ისინი მაშინვე დაიმოწმებენ იმ გარემოებას, რომ სამყაროში ბევრი რამ მიუწვდომელია ჩვენი სუსტი გონებისათვის, რომ საიდუმლოებებსა და გამოცანებს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, და ამით გაათავებენ თავიანთ საქმეს. თავის თავად ცხადია, რომ მეცნიერება არაფერს არ უნდა მოელოდეს ასეთი მკვლევარებისაგან, რომ აქ წინსვლაზე ლაპარაკიც-კი შეუძლებელია.

არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნი, ნამდვილად თუ ვიტყვით, არაფერს ახალს წინანდელ ფსიქოლოგიებთან შედარებით არ გვამცნობს. მაგრამ იგი განსხვავდება მათგან გადმოცემის მეთოდით და ფიზიოლოგიური ფაქტების შედარებით დიდი რაოდენობით, რაც მის უდავო უპირატესობას შეადგენს. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ავტორი ამ ფაქტებს განსაკუთრებული თვალსაზრისით უყურებს; მის მიერ მოყვანილ საწინააღმდეგო მოსაზრებათა უმრავლესობაზე იგი მხოლოდ ირიბ პასუხებს იძლევა, ხოლო ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს სრულიად გადაუჭრელადაც კი სტოვებს.

თავის წიგნს ავტორი იწყებს გარეგან შეგრძნებათა ანალიზით. ამასთან იგი საკმაოდ დაწვრილებით ლაპარაკობს ყოველი გრძნობადი ორგანოს აგებულების შესახებ და თვით აღქმის პროცესს განმარტავს. იგი ამტკიცებს, რომ თვალი კი არ ხედავს საგნებს, ყურს კი არ ესმის ბგერა, არამედ შთაბეჭდილებანი, რომელთაც ეს ორგანოები ღებულობენ, ტვინს გადაეცემა გრძნობადი ნერვების საშუალებით. ამასვე ლაპარაკობს იგი დანარჩენი სამი გრძნობის აღქმაზე. ყოველივე ეს ჯერჯერობით თითქოს დამაკმაყოფილებელია. მაგრამ შეუძლებელია შემდეგ დავეთანხმოთ ავტორს ყოველ შემთხვევაში იმ დამამტკიცებელ საბუთებში, რომელთაც იგი იძლევა. მსჯელობს რა გრძნობადი აღქმის მთელ პროცესზე, იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ თვით ტვინიც კი შეუძლებელია მიჩნეულ იქნას შემგრძნებ საწყისად. ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმებოდით ამ დებულებას, ავტორს რომ მართლა დაემტკიცებინა ეს, არ შეიძლება საკითხი გადასჭრა სანახევროდ და იმავე დროს ამტკიცო, რომ იგი სა-

ბოლოოდ გადაჭრილია. ამით შეიძლება გონებაჩლუნგი ადამიანების მოტყუება, მისაცა-ლ-ი რამდენიმედ მაინც საღი მოსაზრება აქვს, იგი საეჭვოა, რომ ასეთი ცალმხრივი, გადაუვალ-ლებით დაკმაყოფილდეს. საჭიროა თქმა და დამტკიცებაც. მარტო სიტყვა ახლა უკვე არ-სჯერათ.

იმის (ე. ი., რომ ტვინი არ არის შემგრძნები საწყისი) მთავარ და სრულიად საკმაო დამ-ტკიცებას, — ამბობს ავტორი, — ჩვენ ვპოულობთ ჩ ვ ე ნ ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა თ ა ე რ თ ი ა-ნ ობ ა ს ა დ ა ს ი მ ა რ ტ ი ვ ე შ ი, ერთიანობასა და სიმარტივეში, ერთიანობასა და სიმარტივეში, რომელნიც ესოდენ ეწი-ნააღმდეგებიან ტვინისა და მთელი ნერვიული სისტემის სირთულეს.

მაგრამ ნივთიერ სამყაროში ჩვენ არ ვიცით არც ერთი საგანი, რომელშიაც არ ვლინდე-ბოდნენ რაიმე მისი დამახასიათებელი ძალები. ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ძალა, მატერიისაგან დამოუკიდებელი. ძალა შეადგენს მატერიის ძირითად, განუყოელ თვისებას და მას ცალკე არსებობა არ შეუძლიან. იგი შეუძლებელია გადავცეთ მატერიას, არამედ შესაძლებელია მხოლოდ გავაღვიძოთ მასში. მაგნეტიზმი შეიძლება გამოვიწვიოთ, მაგრამ შეუძლებელია მივანიჭოთ იგი საგანს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მაგნეტური ძალა ურკინოდ ან საერთოდ უსხეულოდ, რომელშიც იგი მოთავსებულია, როგორც ერთ-ერთი მისი ძირითადი, ელემენტარული თვისება. მაშასადამე, ადამიანის ტვინშიც, როგორიც არ უნდა იყოს მისი შემადგენლობა, უნდა იყოს თავისი ძალა. და რა გასაკვირველია, თუ ეს ძალა შეგრძნებაში ვლინდება?

სხვებს, პირიქით, სრულიად ამის საწინააღმდეგო მოსაზრება მოჰყავთ, სახელდობრ, რომ ტვინი წარმოადგენს ერთგვაროვან მთლიან მასას, რომ იგი შედგენილობითაც და ფორმი-თაც მეტად მარტივია იმისათვის, რომ ერთად-ერთი წყარო იყოს ისეთი დაწმენდილი და რთული მოქმედებისა, რომელსაც მას მიაწერენ: რთული ძალები, ამბობენ ისინი, შეიძ-ლება იყვნენ მხოლოდ რთულ მატერიაშიო. მაგრამ ეს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რაციო-ნალური თეორიულად, სინამდვილეში უსაფუძვლოა, იმიტომ რომ ანატომიას ეწინააღმდე-გება. ორგანულ სამეფოში ჩვენ არ ვიცნობთ არასფერს ისეთს, რასაც ჰქონდეს იმაზე უფრო თავისებური სახე, იმაზე უფრო რთული აგებულება და, დასასრულ, უფრო შესანიშნავი ქიმიური შედგენილობა, როგორიც აქვს ტვინს. რაგინდ ღარიბი იყოს ჩვენი ცნობები მისი შედგენილობის შესახებ, ჩვენ მაინც ვიცით, რომ იგი არ წარმოადგენს ერთგვაროვან მთლიან მასას, არამედ შესდგება უაღრესად დახვეწილი, ფაქიზი, ერთმანეთში არეული ცილინდრები-საგან, რომელთაც ეწოდება პირველსახოვანი ბოჭკოები; ეს ბოჭკოები ავსებულია ზეთოვანი სითხით, რომელსაც შედედება (створаживаться) შეუძლია. ანატომია გვიჩვენებს, რომ ტვი-ნის შიგნით ბევრი მეტად უცნაური სახეა, რომელთა მნიშვნელობა ჩვენთვის ჯერ კიდევ სრულიად გაუგებარია. მის ზედაპირზე კი მთელი რიგი მიხვეულ-მოხვეული ფორმულებია, რომლებშიც ტვინის მთავარი შემადგენელი ნაწილები, თეთრი და ნაცრისფერი მასები, ბევრ წერტილში ერთმანეთს ეხებიან. ეგრეთწოდებული განგლიის ბურთულები, რომლებიც თავისა და ხერხემლის ტვინის ნაცრისფერ მასაში იმყოფებიან, ბევრ თავისებურებას წარმო-ადგენენ თავიანთი მოწყობილობით: პირველსახოვანი ბოჭკოები ხან გარემოიცავენ მათ, ხან მათზე ზევით იმყოფებიან, ხან მათგან გამოდიან და ა. შ. ცხოველებს არა აქვთ არც ერთი ორგანიზმი, რომელიც თავისი აგებულების სიფაქიზით და მრავალფეროვნებით რამდენიმედ მაინც ემსგავსებოდეს ტვინს. დასასრულ, ყველა ორგანოდან იგი მეტ სისხლს ღებულობს გულიდან, და წვენის მიმოქცევა მასში უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე სხვაგან სადმე. ამის შესაბამისად სისხლძარღვების ანატომიური განლაგებაც ტვინში მეტად რთული და სრუ-ლიად თავისებურია. არა ნაკლებ რთულია ტვინის ქიმიური შედგენილობაც. გამოკვლევებ-მა გვიჩვენეს, რომ მასში მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, როგორიც არც ერთ ორგანულ სხეულში არ არიან, მაგალითად, ცერებრინი. ამბობენ იმასაც კი, რომ მასებს, რომელთაგა-ნაც ტვინი და ნერვები შესდგებიან, თავიანთი განვრცობის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ქიმიური შედგენილობა აქვთო. განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს გონებრივი მოქ-მედებისათვის ფოსფორს, რომელიც ტვინის ცხიმში იმყოფება; უახლეს დაკვირვებათა მი-ხედვით, ტვინის ფსიქიურ მოქმედებაში და საერთოდ მთელი ნერვიული სისტემის მოქმე-დებაში მონაწილეობას ღებულობს კიდევ ერთი ძალა, რომელიც უწინ შეჩნეული იყო მხოლოდ არაორგანულ სხეულებში. ეს ძალაა ელექტრობა. ამრიგად, ტვინის ანატომიური და ქიმიური შედგენილობა, რა გინდ ღარიბი იყოს ჩვენი ცნობები მათ შესახებ, არ ეწი-ნააღმდეგება იმ მოქმედებათა სირთულეს, რომელთაც მათ მიაწერენ. ამას გარდა, ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ აქ, რომ არსებობს ბევრი სხეული, რომელთაც ერთნაირი ქიმიური

შედგენილობა, მაგრამ სხვადასხვა თვისებები აქვთ. ვერც ქიმიამ, ვერც მიკროსკოპმა ჯერ-ჯერ ვერ შესძლო გამოემჟღავნებინა განსხვავება გადამდებ და არაგადამდებ ჩირქ შორის. თუ კი ასეთი შეუმჩნეველი განსხვავება არაორგანულ სხეულთა მექანიკურ ანუ ქიმიურ შედგენილობაში არსებით განსხვავებას წარმოქმნის მათს თვისებებში, მაშინ რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთსავე უმნიშვნელო მიზეზებს შეუძლიანთ გავლენა იქონიონ ტვინის მოქმედებაზედაც. განგლიის ბურთულები, რომლებიც ტვინის ღრუში იმყოფებიან და, ალბათ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მის ფსიქიურ მოქმედებაში, თავიანთი ანატომიური მოწყობილობით სრულიად არ განსხვავდებიან მუცლის ღრუში მყოფი ისეთივე ბურთულებისაგან. მიუხედავად ამისა, მათ მოქმედებაში არის და უნდა იყოს კიდეც განსხვავება. ყოველივე ეს ადასტურებს იმ აზრს, რომ ტვინის მოწყობილების მოჩვენებითი სიმარტივე არ შეიძლება გამოდგეს მის რთულ მოქმედებათა შესაძლებლობის უარყოფად.

თუ ტვინი ასეთი ფაქიზი მოქმედების უნარმქონეა, მაშინ რატომაა, რომ ჩვენ, — ამბობენ ფსიქოლოგები, — რაიმე მსგავსი მოვლენის ნიშანკვალსაც ვერ ვამჩნევთო სხვა ორგანულ და არაორგანულ სხეულებში, მაგალითად, ქვაში, ხეში და ა. შ.? ქვაც და ხეც ხომ ისეთივე მატერიაა, როგორც ტვინი. მაგრამ მოკამათენი ივიწყებენ, რომ სამყაროში ყველაფერი ექვემდებარება განვითარების კანონს და რომ ადამიანის ტვინი, მათივე სიტყვებით, უფაქიზესი მატერიაა. ბუნებაში ყველაფერი მიიმართება თანდათანობით მარტივიდან უფრო რთულისაკენ, არასრულყოფილიდან უფრო სრულყოფილისაკენ; მაგრამ ყველგან ერთი და იგივე მატერიაა, მხოლოდ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. რაა გასაკვირველი, თუ ერთ საფეხურზე ჩვენ ვპოულობთ იმას, რაც მეორეს არ ახასიათებს? არაორგანულ სხეულებში სრულებით ვერ ვამჩნევთ სიცოცხლეს იმ აზრით, რითაც იგი ორგანულ სხეულებში ვლინდება; მიუხედავად ამისა, ისინიც ექვემდებარებიან ცვლილებებს როგორც მოცულობით, ისე თავიანთი შინაგანი შედგენილობითაც. ვაკვირდებით რა მათ, ჩვენ მუდამ ვამჩნევთ ხან მექანიკურ, ხან ქიმიურ პროცესებს. არის თუ არა ეს იგივე სიცოცხლე, თუმცა განვითარების დაბალ საფეხურზე? მცენარეებში სიცოცხლე უკვე გაცილებით უფრო ნათლად აღინიშნება, იმიტომ, რომ თვითონ ისინიც უფრო განვითარებულ მატერიას წარმოადგენენ, ვიდრე არაორგანული სხეულები. აქ არის თავიც, ასოებიც, კვების ორგანოებიც, რეპროდუქციის ორგანოებიც, დაბადება და სიკვდილი. ცხოველთა სამეფოში სიცოცხლის გამოვლინება კიდევ უფრო საგრძნობია. ცხოველებს აქვთ ადგილის გამოცვლის უნარიამას გარდა, მათში ვამჩნევთ უმაღლესი სასიცოცხლო მოქმედების ნიშნებს.

ადამიანი, ყველაზე სრულქმნილი ცხოველებიდან, ხილულ სამყაროში მსოფლიო არსებათა და ხილული სამყაროს განვითარების უკანასკნელ საფეხურს შეადგენს; და რატომ მასში, უკვე მარტო ამის გამო, არ უნდა დავუშვათ ის, რასაც ვერ ვამჩნევთ ნაკლებად განვითარებულ არსებებში? ხოლო თუ ადამიანის სხეულის ყველაზე განვითარებულ ნაწილს ტვინი შეადგენს, მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ტვინს შესწევს ისეთი მოქმედების უნარი, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ქვასა და ხეში? რომ ტვინს ფსიქიურ მოქმედებასთან მჭიდრო კავშირი აქვს, ამ დასკვნამდე მივყეევართ ჩვენ მრავალ განსაცვიფრებელ ფაქტს. მაგრამ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია მათი აქ მოყვანა, მით უმეტეს, რომ ისინი ცნობილნი არიან ყველასათვის, ვინც კი რამდენადმე გაცნობილია ფიზიოლოგიას. მართლაც, იმათგან, ვისაც არასდროს ფიზიოლოგიაზე არ უმუშავნია, ვინ იქნება ისეთი, რომელსაც არ გაეგონოს, მაგალითად, ფლურანის ცდები ცოცხალ ქათმებზე? საჭიროა თუ არა, ამას გარდა, კიდევ რომელიმე სხვა ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ ტვინი, განსაკუთრებით ადამიანის ტვინი, უმაღლესი სასიცოცხლო მოქმედების წყაროა და რომ გონებრივ მოქმედებებს მასთან პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ?

გარდა იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებისა, რომელთაც ჩვენ ახლა შევეხეთ, ფსიქოლოგებს კიდევ სხვა მრავალი მოსაზრება მოჰყავთ. მაგრამ მათგან ზოგიერთ მოსაზრებას მჭიდრო კავშირი აქვს ზემომოყვანილ მოსაზრებებთან, ზოგიერთი კი იმდენად სასაცილოა, რომ მათზე სერიოზულად პასუხის გაცემა არა ღირს. შესანიშნავია, რომ იმდენად, რამდენადაც ფიზიოლოგია წინ მიდის, განყენებული ფიზიოლოგია წინანდელ სისულელეებს ახალს უმატებს, ხბნევა, მაგრამ არა სურს დაუთმოს თავის მეტოქეს და ჯერ კიდევ მას რაღაც შეასაუკუნეობრივი ირონიით უცქერის. ძველი ფსიქოლოგები, უშვებდნენ კიდევ ცხოველური სულის მატერიალურობას, ახლებმა კი ცხოველებსაც ჩაუდვეს ს უ ლ ი ე რ ი ძალა, წაართვეს რა მას, სხვათა შორის, უ კ ვ დ ა ვ ო ბ ი ს უფლება...

თავისი თავის და სხვების მეტი დამშვიდებისათვის ახლანდელი ფსიქოლოგები იმოწმებენ ჩვეულებრივად ლიბიხის პირველ ლექციას, წაკითხულს მის მიერ 1856 წელს მიუნხენის უნივერსიტეტში, ხედავენ რა მასში თანამედროვე მეცნიერების საბოლოო დასკვნას. დასტურ, ლიბიხი, მართლაც შესანიშნავი პიროვნებაა ბუნებისმეტყველების დარგში: მაგრამ იმისათვის, ვინც მის გამოკვლევებს ახლოს იცნობს, ცნობილია, რომ მას შეეშინდა თავისი საკუთარი ცდების და მიატოვა ისინი ყოველივე დასკვნის გარეშე...

მივმართავთ რა ერთხელ კიდევ აქ განხილული წიგნის ავტორს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ უკუვაგდებთ მის ძირითად დებულებებს, არამედ ვუსურვებთ მხოლოდ, რომ მან, განყენებულობასა და ფრაზეოლოგიის გამოუკიდებლად, მიგვითითოს ჩვენ უფრო დადებით ფაქტებზე, რომლებმაც იგი გამოთქმულ შედეგამდე მიიყვანეს, ამჟამად კი ჩვენ მაინც საგონებელში ვრჩებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჟუთელია

ნ. ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის—„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ

I

ნ. ა. დობროლიუბოვი, რომლის რეცენზიასაც არქიმანდრიტ გაბრიელის (გერასიმე ქიქოძის) წიგნის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ ჩვენ აქ ვბეჭდავთ, არ საჭიროებს რეკომენდაციას ქართველი მკითხველის წინაშე. იგი კარგად ცნობილია ჩვენში არა მარტო როგორც შესანიშნავი კრიტიკოსი, არამედ აგრეთვე როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი მატერიალისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული აზრისა რუსეთში. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ კარლ მარქსი, რომელიც დედნის მიხედვით იცნობდა დიდი კრიტიკოსის ნაწარმოებებს, დობროლიუბოვს ლესინგისა და დიდროს გვერდით აყენებდა, დიდრო კი, როგორც ცნობილია, მისი საყვარელი პროზაიკოსი იყო. 1871 წლის 9 ნოემბერს კ. მარქსი დანიელსონის წერილის საპასუხოდ, რომელიც მას რუსული წიგნებით ამარაგებდა, სწერდა: „დიდად გმადლობთ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის. ერლიბის (ე. ი. დობროლიუბოვის — მარქსი მის გვარს იძლევა გერმანულად — Ehrlieb. — ა. ჟ.) თხზულებებს მე ნაწილობრივ უკვე ვიცნობ. როგორც მწერალს, მე მას ლესინგისა და დიდროს გვერდით ვაყენებ“.[1]) ენგელსი დობროლიუბოვს გამოჩენილ მის მეგობართან ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ერთად სოციალისტურ ლესინგს უწოდებდა.[2])

ენგელსი ვრცელ დახასიათებას აძლევს დობროლიუბოვს თავის ცნობილ წერილში ე. პაპრიცისადმი 1881 წლის 26 მაისს. იძლევა რა რუსეთის ისტორიული და კრიტიკული სკოლის განსაკუთრებით მაღალ შეფასებას, ენგელსი სწერს: „...არსებობდა კრიტიკული აზრიც და წმინდა თეორიის თავგანწირული ძიებაც, ღირსი იმ ხალხისა, რომელმაც წარმოშვა დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი. მე ვლაპარაკობ არა მარტო აქტიურ რევოლუციურ სოციალისტებზე, არამედ ისტორიულ და კრიტიკულ სკოლაზედაც რუსულ ლიტერატურაში, რომელიც უსასრულოდ უფრო მაღლა დგას ყოველივე იმაზე, რაც ოფიციალური ისტორიული მეცნიერების მიერ გერმანიაში და საფრანგეთშია შექმნილი“.[3])

დობროლიუბოვის რეცენზიას გერასიმე ქიქოძის წიგნზე „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ დიდი ფილოსოფიური და ისტორიული მნიშვნე-

---

[1]) კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXVI, გვ. 164.
[2]) კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XV, გვ. 235.
[3]) კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XXVII, გვ. 389—390.

ლობა აქვს. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იგი მიეძღვნა ისეთ შრომას, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის ფილოსოფიურ — და ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაში, არამედ იმიტომაც, რომ იგი ბევრ რამეს იძლევა ამ უაღრესად კარდინალური საკითხების გარშემო თვითონ გამოჩენილი კრიტიკოსის შეხედულებათა გასარკვევად. ეს რეცენზია მოთავსებულ იქნა „სოვრემენნიკის“ მესამე წიგნის განყოფილებაში — „ახალი წიგნები“, 1859 წელს, ავტორის ხელმოუწერლად. იგი არ იყო შეტანილი დობროლიუბოვის თხზულებათა პირველ ოთხტომიან გამოცემაში, რომელიც ჩერნიშევსკიმ გამოსცა 1862 წელს (ჩერნიშევსკიმ დაპატიმრებამდე მოასწრო სამი ტომის გამოცემა, მის მიერ დამზადებული მეოთხე ტომი კი გამოსცა ანტონოვიჩმა) და შემდეგშიც რამდენჯერმე გამოიცა უცვლელად (1901 წლამდე იგი შვიდჯერ იქნა გამოცემული).

იმ გარემოებაზე, რომ ამ რეცენზიის ავტორი იყო დობროლიუბოვი, თვით ჩერნიშევსკიმ მიუთითა თავისი მეტად საყვარელი მეგობრის თხზულებათა სიაში, რომელიც მან შეადგინა.[1]) პირველად ეს რეცენზია შეტანილ იქნა ლემკეს მიერ ნ. ა. დობროლიუბოვის თხზულებათა პირველ სრულ კრებულში, რომელიც მან 1912 წელს გამოსცა.[2])

როგორც სჩანს, ამ გარემოებამ შეიყვანა შეცდომაში გაბრიელ არქიმანდრიტის შესახებ ჟურნალ „მოამბის“ მერვე ნომერში 1896 წელს მოთავსებული მონოგრაფიის ავტორი (მოსე ქიქოძე), რომელმაც ზემოაღნიშნული რეცენზია დობროლიუბოვისა ჩერნიშევსკის მიაწერა.

„გაბრიელის თხზულებამ გამოიწვია, — სწერს იგი, — ორგვარი აზრი რუსეთის ლიტერატურაში. იმ დროს ზემოხსენებულ მიმართულების (უკიდურესი მატერიალისტურის.— ა. ქ.) წარმომადგენელი ნ. ჩერნიშევსკი ისე მიეგება ამ თხზულებას, რომ სწორედ გასაკვირველი იყო მისგან. კრიტიკოსი, რომელიც მაშინდელ აზრებითა და მიმართულებით იყო გატაცებული და რომელიც სულიერ, ანუ პსიხოლოგიურ მოვლენას ისე უყურებდა, ვითარცა ნივთიერ გარემოებათა შედეგს, ანუ ნივთიერ ძალასა, და არა სწამდა საპსიხოლოგიო მოვლენათა სხვადასხვაობა, აი რას ამბობს ამ თხზულების შესახებ: „Мы не опровергаем основных положении; но желали бы чтобы были представлены положительные факты, которые привели автора к высказанному им результату“... ბ-ნმა ჩერნიშევსკიმ მაინც უპირატესობა მისცა ამ პსიხოლოგიას სხვათა მაშინდელ ამ გვართა თხზულებათა შორის, როდესაც სთქვა: „Она отличается от них (других психологий) методом изложения и сравнительно большим количеством физиологических фактов, что составляет неоспоримое достоинство“.[3])

როგორც ხედავთ, მოსე ქიქოძე ჩერნიშევსკის სთვლის რეცენზიის ავტორად და ამასთან რამდენიმედ საგონებელშია იმ საერთო დადებითი შეფასე-

---

[1]) ნ. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვის თხზულებათა სია. იხ. ნ. ა. დობროლიუბოვის თხზულებათა სრული კრებული ე. ვ. ანიჩკოვის რედაქციით, ტ. I, გვ. 17.

[2]) იხ. ნ. ა. დობროლიუბოვის თხზულებათა პირველი სრული კრებული ლემკეს რედაქციით, ტ. III, გვ. 47—53.

[3]) „მოამბე“, № 8, 1895, გვ. 13—14. ციტატი, როგორც მკითხველი შენიშნავს, მთლად ზუსტად ვერაა ციტირებული.

ბით, რომელსაც ეს „უკიდურესი მატერიალისტი“ აძლევს „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რამდენად მართებულია ავტორის ეს შეფიქრიანება, ამაზ ჩვენ დაგვანახვებს წიგნის ზოგადი განხილვა, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ თუმცა რეცენზიის ავტორია არა ჩერნიშევსკი, არამედ დობროლიუბოვი, მაგრამ, თუ საჭიროა, შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ დობროლიუბოვის რეცენზიაში გამოთქმული აზრები ასახავდნენ ჩერნიშევსკის აზრებსაც, რომელიც, როგორც თითონ აღიარებდა, თავისი შეხედულებებით არაფრით არ განსხვავდებოდა თავისი გამოჩენილი მოწაფისა და მეგობრისაგან.

თუ მოსე ქიქოძის შეცდომა რეცენზიის ავტორობის შესახებ ასე თუ ისე გასაგებია, — ვინაიდან, ალბათ, იგი სარგებლობდა „სოვრემენნიკით“, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, მოთავსებულ იქნა ხსენებული რეცენზია ხელმოუწერლად და ასეთი რეცენზიები კი ჩერნიშევსკის არა ერთი და ორი მოუთავსებია, — სამაგიეროდ სრულიად გაუგებარია შეცდომა ნ. ა. დობროლიუბოვის თხზულებათა მეორე სრული კრებულის რედაქტორის ე. ვ. ანიჩკოვისა, რომელსაც აღნიშნული რეცენზიის კომენტარებში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ ავტორად გამოჰყავს არქიმანდრიტი ვ. ნ. ვოსკრესენსკი, ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი და ფილოსოფიის ექვსტომიანი ისტორიის ავტორი (იხ. ნ. ა. დობროლიუბოვის თხზულებათა სრული კრებული ანიჩკოვის რედაქციით, ტ. VII, გვ. 67).

ასეთი გაიგივების გარეგან საბუთს შესაძლოა წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ვოსკრესენსკიც, ისევე როგორც გერასიმე ქიქოძე, არქიმანდრიტ გაბრიელის სასულიერო სახელს ატარებდა და მთელი რიგი ფილოსოფიური შრომების ავტორი იყო. მაგრამ ჯერ ერთი, ვინც რამდენიმედ მაინც იცნობდა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შინაარსს, იგი ამ შრომას არ მიაწერდა ვოსკრესენსკის, რომლის შრომებისგანაც იგი უაღრესად განსხვავდებოდა როგორც თავისი ფილოსოფიური პრინციპებით, ისე მათი გადმოცემის მეთოდითა და სიღრმით. შემდეგი გარემოება კი, რომელიც ასეთ გაიგივებას გამორიცხავდა ამ ავტორების ნაშრომთა შინაარსის თვით ზერელე ცოდნის პირობებშიც კი, მდგომარეობდა იმაში, რომ დობროლიუბოვის რეცენზიის სათაურში მითითებულია „საფუძვლების“ ავტორის საერო გვარზე — ქიქოძეზე. საკვირველია, რომ ასეთსავე შეცდომას უშვებს ვ. შერემეტევსკიც ვოსკრესენსკის ბიოგრაფიაში, რომელიც მოთავსებულია „რუსულ ბიბლიოგრაფიულ სიტყვარში“.

„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ თავისი დროის ერთ-ერთ შესანიშნავ და კაპიტალურ ნაშრომს წარმოადგენდა. იმდროინდელი რუსეთის შედარებით ვრცელი ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან[1]) იგი განირჩეოდა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ პრობლემათა განხილვის სიღრმით, მათი ყოველმხრივი დამუშავებით და გადაწყვეტის სიახლით. მასში მოსჩანს ავტო-

[1]) ჩამოვთვალოთ უმთავრესი მათგანი: 1) П. Любовский — „Краткое руководство к опытному душесловию“, Харьков, 1815. 2) Галич — „Картина человека, опыт настоятельного чтения о предметах самопознания для всех образованных сословий“, СПб, 1834. 3) А. Фишер — „Введение в опытную психологию“, СПб, 1839. 4) О. Новицкий — „Руководство к опытной психологии“, Киев, 1840. 5) И. Кедров — „Курс Психологии“, Ярославль, 1844. 6) Н. Зубовский — „Психология“, СПб. 1848.

რის ფართო ერუდიცია ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საკითხებში და მისი სისტემატური და ნათელი ფილოსოფიური ბეჭდვა. ყოველი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრობლემის დამუშავებისა და გადმოცემის დროს ავტორი სარგებლობს ბუნებისმეტყველების, ფიზიოლოგიის, ფიზიკისა და ანატომიის უხვი მონაცემებით. ყოველივე ამან ამ შრომას გასული საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა და თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოდ აქცია რუსულ სემინარიებში.

„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებზე", როგორც თავისი დროის შესანიშნავ ნაწარმოებზე, ლაპარაკობენ როგორც რუსი, ისე ქართველი ავტორები. რუსული ფილოსოფიის ისტორიკოსი ი. კოლუბოვსკი, ჩამოსთვლის რა ძირითად შრომებს ფსიქოლოგიის დარგში, გ. ქიქოძის ნაშრომს „თავისი დროისათვის გამოჩენილ შრომას" უწოდებს.[1])

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" ღირსეულად და სწორად შეფასება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც კარგად იცნობს იმ მეტაფიზიკურ დომხალს, რომელსაც მანამდე „ფსიქოლოგიად" ასაღებდა ბ-ნების გოგოტსკების, იურკევიჩების და სხვა სქოლასტიკოსების სკოლა. ბ-ნ ქიქოძის შრომა წარმოადგენს „ცდისეული მეცნიერების" მონაცემების საფუძველზე ფსიქოლოგიის გადმოცემის პირველ ცდას".[2])

1896 წელს „Исторический Вестник" ეპისკოპოს გაბრიელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სწერდა: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოდ 1860 წლების რუსულ სემინარიებში".[3]) „Всемирная Иллюстрация" კი სწერდა: „ჯერ კიდევ სემინარიის ინსპექტორად და ღვთისმეტყველურ და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა მასწავლებლად ყოფნის დროს უსამღვდელოესმა გაბრიელმა დაიწყო თავისი კაპიტალური შრომა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელსაც თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და გამოქვეყნების შემდეგ (სპბ. 1858) გერმანული და რუსული კრიტიკის მოწონება გამოიწვია".[4])

„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" ყურადღებას იპყრობდა უწინარეს ყოვლისა კვლევის მეთოდით. ავტორი მკვეთრად ემიჯნება ფსიქოლო-

---

[1]) იხ. ი. ბ ერ ვ ე გ ჰ ა ი ნ ც ე, „История новой философии в сжатом очерке", СПб. 1890 г., стр. 589.

[2]) „Новое Обозрение", 1888 წ. № 1665. ციტირებულია მ. კელენჯერიძის წიგნის მიხედვით „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა", 1913 წ., ტ. I, გვ. 313. თვით კელენჯერიძე მაშინდელი დროის საერთო დახასიათების შემდეგ ასეთ შეფასებას აძლევს ამ შრომას: „... ამ დროს მოჰკიდა ხელი კალამს ახალგაზრდა პედაგოგმა გერასიმემ და დაიწყო წერა ქართულ მწერლობაში არ არსებულ შრომისა „Основания Опытной Психологии", დიალ. „Опытной Психологии". საკვირველია, 50 წლები და „Опытная Психология", გეგელის და შელინგის შემდეგ, დიალ. ალღო აიღო ჩვენმა პსიხოლოგმა, რომ ახლო იყო დრო პსიხოლოგიაში ექსპერიმენტის შეტანა-გამეფებისა და დაიწყო წერა მაინცა და მაინც ექსპერიმენტალური პსიხოლოგიისა მაშინ, როცა მას თავგასული იდეალისტებისაგან რისხვა და წყევლა-კრულვა ელოდა" (გვ. 46).

[3]) „Исторический Вестник", т. LXIV, 1896, გვ. 666. იხ. აგრეთვე „Исторический Вестник", т. LXIII, 1896, გვ. 1058.

[4]) „Всемирная Иллюстрация", 1896, № 1414, გვ. 262.

გიურ მოვლენათა იმ ხანაში გამეფებულ წმინდა განყენებულ შესწავლას და მის ადგილას აყენებს ცდისეულ მეთოდს. ცდისეული მეთოდი, ავტორის აზრით, არა მარტო გამოსაყენებელია ფსიქოლოგიაში, არამედ არსად არ შეიძლება მისი ისე ფართოდ და ნაყოფიერად გამოყენება, როგორც სწორედ ამ მეცნიერებაში. მხოლოდ აბსტრაქტული სპეკულაციის უარყოფას და ცდისეული მეთოდის გამოყენებას შეუძლია მისცეს ფსიქოლოგიას უაღრესი სიზუსტე და საფუძვლიანობა, რომელნიც ესოდენ ამაღლებენ და განასხვავებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას სხვა დისციპლინებისაგან. ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს ავტორი და ცდილობს ყველა თავისი დასკვნა ფსიქოლოგიური პრობლემის შესახებ დაამყაროს არა დაუმტკიცებელ ჰიპოტეზებზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებსა და ცდებზე და ამ მიზნით იგი იყენებს ფიზიკის, ფიზიოლოგიის და ანატომიის მეტად უხვ მონაცემებს.

„ვურდგენთ რა განათლებულთა სამსჯავროს „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს“, — აღნიშნავს ავტორი წინასიტყვაობაში,— საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ მეთოდის გასამართლებლად, რომელსაც გადავწყვიტეთ მივსდიოთ აღნიშნული საფუძვლების გადმოცემისას.

ფსიქოლოგიას ცოტანი სთვლიან ცდისეულ მეცნიერებად და თუმცა არსებობს ასობით წიგნი, რომელნიც ცდისეული ფსიქოლოგიის სახელწოდებას ატარებენ, მაგრამ მათში, სამართლიანად რომ ვთქვათ, ცდისეული რამ მეტად ცოტაა, — ყოველ შემთხვევაში იგი ჯერ კიდევ მეტად დაშორებულია ჭეშმარიტ ცდისეულ, ე. ი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდს. ამასთანავე კი, თუ საღი მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, უნდა დავთანხმდეთ, რომ ფსიქოლოგია აღნიშნულ მეცნიერებებზე ნაკლებად როდი უშვებს ცდისეულ მეთოდს... საგნის შესწავლის ცდისეულ მეთოდს არსად არ შეიძლება ისეთი ფართო გამოყენება ჰქონდეს, როგორიც ფსიქოლოგიაში, და მე მგონია, რომ ფსიქოლოგია ძალიან ბევრს მოიგებდა, თუ იგი, გადასდებს რა განზე უნაყოფო სპეკულაციას, მიმართავს ზუსტ ცდას, მიუდგომელ დაკვირვებას, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს, ერთის სიტყვით, თუ იგი მიმართავს იმ საუცხოო მეთოდს, რომელიც ანიჭებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ესოდენ სახარბიელო სიზუსტეს, ინტერესსა და საფუძვლიანობას.

აი ის მოსაზრებანი, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების გადმოცემისას. ჩვენ ვცდილობდით ყველა მსჯელობა სულის შესახებ დაგვემყარებია ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე, რომელნიც მთლიანად დამტკიცებული და ახსნილია ფიზიოლოგიასა და ფიზიკაში, და ამით თავიდან აგვეცილებინა ყველა უსარგებლო თეორია და ჰიპოთეზა. [1])

საკითხის ასეთი დაყენება და ფსიქოლოგიური მოვლენებისადმი ასეთი მიდგომა იმ ხანაში, როცა უაღრესად განყენებული მეტაფიზიკური სპეკულაციები ბატონობდნენ, ახალი და მეტად პროგრესული მოვლენა იყო. რასაკვირველია, რუსეთის მატერიალისტური აზრის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმო-

---

[1]) „Основания Опытной Психологии“, Сочинение законоучителя Закавказского Института благородных девиц и профессора тбилисской духовной семинарии, магистра Архимандрита Гавриила. Санкт-Петербург, 1858, გვ. 1—2.

მადგენელს დობროლიუბოვს არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ასეთი მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენისათვის და არ მოეწონებინა ასეთი განზრახვა, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ავტორის მსოფლმხედველობას და ამ მსოფლმხედველობით ნაკარნახევ დასკვნებს იგი ვერ გაიზიარებდა და მათ აკრიტიკებდა. მართლაც, დობროლიუბოვი, როგორც მკითხველი დაინახავს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული შრომა „წინანდელი ფსიქოლოგიებისგან განსხვავდება გადმოცემის მეთოდით და ფიზიოლოგიური ფაქტების შედარებით დიდი რაოდენობით, რაც მის უდავო ღირსებას შეადგენს“.

გასაგებია აგრეთვე ის, რომ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ ამ შესანიშნავ ღირსებას არ შეეძლო არ გამოეწვია სქოლასტიკის დამცველთა გაბოროტება და თავდასხმა. საერთოდ ფსიქოლოგიის დარგში რაიმე შრომით გამოსვლა სასულიერო წოდების ადამიანისათვის ცოტა სარისკო საქმე როდი იყო იმ ხანაში, როცა ყოველგვარი გადახრა სულის შესახებ დადგენილ სქოლასტიკურ მოძღვრებათაგან სასულიერო ბიუროკრატიის მიერ ისე ისჯებოდა, როგორც ერესი.

ამას მოაგონებდა დასაწყისშივე გერასიმე ქიქოძეს მისი მეგობარი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრი, ცნობილი საეკლესიო მწერალი ა. პ. რუდაკოვი (1824 — 1892), რომელმაც დიდი შრომა გასწია „საფუძვლების“ გამოსაცემად.

„შენი ფსიქოლოგიის გამოცემისას, — სწერდა იგი 1857 წლის 18 მარტს ქიქოძეს, — მე დამებადა შემდეგი აზრი: ხომ არ გავნებს შენ, იგი ჩვენი სინოდის შეხედულებაში. ხომ არ ჩაგთვლიან ფილოსოფოსად? შენ კი იცი, როგორ იდეას უკავშირებს ასეთ სახელწოდებას ბევრი ბერი. ამიტომ, თუ კი გადასწყვეტ გაამეღავნო, უმჯობესი არ იქნება გაამეღავნო შენი წარსული სახელით — „გერასიმე ქიქოძის“ სახელით? შესაძლოა, მე სისულელეს ვამბობ, მაგრამ შენი სიყვარულით“.[1])

„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც ქიქოძემ გამოსცა არქიმანდრიტ გაბრიელის სახელით, ასეთი საფრთხისათვის, როგორც მკითხველი უკვე ნათქვამიდან შეამჩნევს, იმაზე მეტს შეიცავდა, რაც საჭირო იყო. არც დააყოვნეს მის წინააღმდეგ ამხედრება. ვ. ნ. კარპოვმა (1867 — 1879), კიევის და პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორმა, რომლის ლოგიკაც („Систематическое изложение логики“, Спб. 1856) გ. ქიქოძემ გააკრიტიკა, 8 თვის გაჯანჯლების შემდეგ, წარუდგინა სინოდს, როგორც რუდაკოვი მოწმობს, მეტად გაბოროტებული რეცენზია „საფუძვლების“ შესახებ. „შენ გახსოვს, — სწერდა რუდაკოვი ქიქოძეს, — რომ შენი ფსიქოლოგიის თაობაზე მე მინდოდა მივსულიყავი გაევსკისთან. ბოლოს მე ვიყავი მასთან. მივდივარ ბოლოს და ვეკითხები მოხელეებს, რა გაკეთდა შენი თხოვნით. მე გამომიტანეს კარპოვის შეფასება, რამდენიმე ფურცელზე დაწერილი. მე გაკვრით ჩავიხედე მასში და ელდა მეცა შემდეგი სახის ძახილის ნიშნებისა და ფრაზების გამო: რამდენი წინააღმდეგობაა! როგორი საწყისებია! ახლა მე ყველაფერი როდი მახსოვს, მაგრამ გამოგიტყდები, რომ მე მაშინ სრულიად განცვიფრებული ვიყავი იმ ბრალდებებით, რომელნიც შენს წინააღმდეგ კარპოვს წამოეყენებინა. მადლობა ღმერთს, რომ ეს შეფასება ამჟამად იქნა

[1]) ციტირებულია მ. კელენჯერიძის ხსენებული წიგნის მიხედვით, გვ. 68—69.

წარდგენილი და არა შენი ეპისკოპოსად კურთხევის წინ. შესაძლოა, საძაგელი ისტორია გამოსულიყო. ახლაც ხომ ეს შეფასება წარედგინება ... ნოდს.

მე წარვუდგინე გაევსკის, რომ კარპოვი არ შეიძლება იყოს შენი წიგნის მსაჯული იმიტომ, რომ მასში შენ არჩევ მისი ლოგიკის საწყისებს და ვსთხოვე მას კვლავ გადაეგზავნა იგი განსახილველად მეორე აკადემიაში, მით უმეტეს, რომ პეტერბურგის კონფერენციამ არ მოიწონა და არ გაიზიარა კარპოვის შეფასება, გადაგზავნა რა იგი ყოველივე აზრის გარეშე თავის მხრივ. ასე, ჩემო მეგობარო, შენ ერეტიკოსებში მოხვდი და საშინელ ერეტიკოსებში".[1])

II

„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" ავტორი თავის შრომას იწყებს შეგრძნებათა ანალიზით, რომელთაც ის ყოველგვარი შემეცნების საფუძვლად სთვლის. უწინარეს ყოვლისა იგი დაწვრილებით არჩევს შეგრძნების თითოეული ორგანოს ფიზიოლოგიურ და ანატომიურ აგებულებას ცალ-ცალკე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თითოეული მათგანის აგებულება შეგუებულია იმ ფიზიკურ მოვლენებთან, რომელთაც ისინი აღიქვამენ. ასე, მაგალითად, „მხედველობის ორგანო მოწყობილია შუქსხივების გავრცელებისა და გარდატეხის მტკიცე კანონების შესაბამისად და საგნების ასახვა უკანა გარსზე უბრალო ფიზიკური მოვლენაა",[2]) ხოლო „ყურების მოწყობილება მტკიცედ შეგუებულია ჰაერის მოძრაობისა და ასახულობის ფიზიკურ კანონებთან".[3])

თავისი აგებულებით შეგრძნების ორგანოები, ქიქოძის აზრით, ძლიერ ემსგავსებიან ხელოვნურ ხელსაწყოებს. მაგრამ ეს მსგავსება წმინდა გარეგნულია. განსხვავება მათ შორის პრინციპულია. ცოცხალ ადამიანურ ორგანოში შეგრძნებანი, საგანთა ხელოვნურ გამოხატულებათაგან განსხვავებით, მარტივი მექანიკური მოქმედებაა, ხოლო „შეგნებული შეგრძნება იმ საგნისა, რომელმაც შთაბეჭდილება მოახდინა",[4]) ეს—როგორც ავტორი ამბობს,—უაღრესად შესანიშნავი და მნიშვნელოვანია ფსიქოლოგისათვის და იგი იწვევს იმდენადვე მნიშვნელოვან საკითხს: „სად ხდება საგანთა შეგრძნება" ანუ, როგორც იგი ამბობს კერძოდ მხედველობის მიმართ, „ვინ შეიგრძნობს ფერს, ფიგურებს, სიდიდეს და საგანთა სხვა თვისებებს".[5])

დასმულ საკითხებზე, ავტორის აზრით, სამნაირი პასუხი შეიძლება: „საგნების შეგრძნება ანუ მხედველობა ხდება ან თვით თვალის შემადგენელ ნაწილებში, ან მხედველობის ნერვში, ან, ბოლოს, ტვინში".[6])

არჩევს რა ამ სამ შესაძლებელ პასუხს ცალ-ცალკე, ქიქოძე, პირველ ყოვლისა, მიდის იმ დასკვნამდე, რომ შეგრძნება სწარმოებს არა თვალებში, არა ნერვებში, არამედ ხდება ტვინში".[7])

---

[1]) იქვე, გვ. 76—77.
[2]) „Основания Опытной Психологии", § 2, გვ. 8.
[3]) იქვე, § 4, გვ. 12.
[4]) იქვე, § 2, გვ. 9.
[5]) იქვე.
[6]) იქვე.
[7]) იქვე, § 3, გვ. 10.

მხედველობის შესახებ ნათქვამი თანაბრად შეეხება შეგრძნების სხვა ორგანოებსაც. „მაშასადამე, — დაასკვნის ავტორი, მაგალითად, მხედველობის შესახებ, — თუმცა ადამიანი ყურის საშუალებით ისმენს, მაგრამ ხმა ყურში. ამრიგად, გვრჩება დავასკვნათ, რომ ბგერათა შეგრძნება ხდება ტვინში". [1])

ამ დასკვნაზე, „საფუძვლების" ავტორის აზრით, შეუძლია შეჩერდეს ფიზიოლოგიას, რომლის მიზანიც მდგომარეობს „მხოლოდ იმაში, რომ გამოარკვიოს ადამიანის სხეულის დანიშნულება და მოქმედება". „მაგრამ ფსიქოლოგმა, რომელსაც სურს შეისწავლოს ადამიანის უხილავი მხარე, სწორედ ამ პუნქტიდან უნდა დაიწყოს თავისი გამოკვლევა". [2])

მას შემდეგ, რაც ფიზიოლოგიის შემწეობით გამორკვეულია, თუ როგორ მიდის ტვინამდე გარეგანი საგნების ზემოქმედებით გამოწვეული შთაბეჭდილება და დადგენილია, რომ შეგრძნება სწარმოებს არა თვით მის ორგანოებში და ასევე არა ნერვებში, არამედ თავს იყრის ტვინში, ფსიქოლოგი უნდა წავიდეს შორს და დასვას საკითხი: „თვით ტვინის სირბილე, ტვინის თვით ნერვული ბურთულები შეიგრძნობენ შუქს, ბგერას და სხვას, თუ არსებობს განსაკუთრებული, ტვინისაგან დამოუკიდებელი და განსხვავებული საწყისი, რომელსაც უნდა მიეწეროს ეს შეგრძნებანი?". [3]) მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა გადასწყდეს საკითხი: წარმოადგენს მატერიალური ტვინი შემგრძნებ საწყისს, არსებას თუ ასეთად მიჩნეულ უნდა იქნას არამატერიალური, სულიერი სუბსტანცია — სული? ეს საკითხი, ავტორის აზრით, წარმოადგენს საკუთრივ ფსიქოლოგიის საკითხს და მისი გადაჭრა მას მიაჩნდა მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მოვლენად თავისი „ცდისეული ფსიქოლოგიის საწყისებისათვის".

მაგრამ ამ „მნიშვნელოვან და გადამწყვეტ" საკითხს „ცდისეული ფსიქოლოგიის" ავტორი ამკარად იდეალისტურად სწყვეტს, როცა იგი ფიქრობს, რომ შემგრძნებ საწყისს წარმოადგენს არა მატერიალური ტვინი, არამედ სული, როგორც განსაკუთრებული სუბსტანცია. თავის ბასუხს ავტორი შემდეგნაირად აყალიბებს: „საწყისი ანუ სუბსტანცია, რომელიც ადამიანში ყველაფერს შეიგრძნობს და ამოძრავებს, სრულიად განსხვავებულია ტვინისა და საერთოდ მთელი ორგანიზმისაგან. ეს სუბსტანცია არანივთიერია, სულიერია და მის ძირითად ძალას შეადგენს შეგრძნება. ტვინი კი მხოლოდ უკანასკნელი და ამასთან ცენტრალური ორგანოა, სადაც თავს იყრის ყველა შთაბეჭდილება, რათა საბოლოოდ აისახოს სხვადასხვაგვარ შეგრძნებათა სახით ამ უხილავ სუბსტანციაში".

გერასიმე ქიქოძე ცდილობს ეს თავისი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური დებულება დაასაბუთოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა — ფიზიკის, ფიზიოლოგიისა და ანატომიის — მონაცემების საშუალებით. ამ მეცნიერებათა მონაცემებით უნდა დამტკიცებულ იქნას, რომ საერთოდ მატერიას და კერძოდ კი ტვინს არ შესწევს შეგრძნებისა და აზროვნების უნარი. ასეთი დამტკიცება მთელი მისი ფსიქოლოგიის ამ ფუნდა-

---

[1]) იქვე, § 4, გვ. 14.
[2]) იქვე, § 3, გვ. 10.
[3]) იქვე.

მენტალურ ფილოსოფიურ დებულებას მტკიცე მეცნიერულ ხასიათს მისცემ-და და ამასთანავე ერთად „დაამარცხებდა მატერიალისტებს მათივე საკუთარი იარაღით". ამიტომ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" ავტორი თავის მთავარ ყურადღებას ამ მხარეს აქცევს და ფიზიოლოგიისა და ანატომიის მონაცემები უხვად მოჰყავს. ამის გამო უწოდებს იგი თავის ფსიქოლოგიას ცდისეულს და ამაში ხედავს მის განსაკუთრებულ დანიშნულებასა და ორიგინალობას.

„აქედანვე სჩანს ისიც, — დაასკვნის ქიქოძე, — თუ როგორ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ფსიქოლოგისათვის შეეცადოს იმის დამტკიცებას, რომ სულიერი სამყაროს გარეშე შეუძლებელია შეგრძნება; მაგრამ ეს შეუძლებლობა საუკეთესოდ მეღავნდება XVIII საუკუნის მატერიალიზმის წარმოშობის ისტორიიდან და იმ საფუძვლებიდან, რომლებსაც იგი მუდამ ემყარება. ვინც ვოლტერის, დიდეროტის, ჰელვეციუსის, ლამბერტისა და სხვა ფილოსოფოსთა აზრებს იცნობს, იგი ადვილად დარწმუნდება, თუ რა გზით მივიდნენ ისინი თავიანთ მცდარ შეხედულებებამდე და ჩვეულებრივად რით იცავდნენ ამ შეხედულებებს. ფიზიოლოგიისა და ქიმიის არასაკმაო განვითარების გამო მაშინ არსებობდა აზრი, რომ შეგრძნების უნარი შესწევს ორგანიზმს, რომ ტვინი ერთადერთი არსებაა, რომელიც ხედავს, ისმენს, შეხებით გრძნობს და ა. შ. აქედან საჭირო იყო ერთი ნაბიჯის გადადგმა, რათა მივსულიყავით იმ რწმენამდე, რომ ტვინი მსჯელობს და დაასკვნის კიდეც, ვინაიდან ნათელია, რომ ვინც ჩვენში ხედავს, იგი კიდეც მსჯელობს ნახულზე. სწორედ იგივე ემართებათ ახლანდელ მატერიალისტებს... მათი ერთადერთი დასაყრდენი პუნქტი მდგომარეობს იმ აზრში, თითქოს შეგრძნების უნარი ეკუთვნის ორგანიზმს. დაუმტკიცეთ ამ ადამიანებს ფიზიოლოგიის საფუძველზე, რომ ორგანიზმს არ შესწევს შეგრძნების უნარი, ეს ნიშნავს დაამარცხო ისინი მათივე საკუთარი იარაღით". [1])

ავტორი მართალია, რასაკვირველია, თავის ვარაუდში, რომ თუ კი ის მოახერხებდა ფიზიოლოგიისა და საერთოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საშუალებით დაემტკიცებინა, რომ მატერიას საერთოდ და კერძოდ ტვინს არ შესწევს შეგრძნებისა და აზროვნების უნარი, მაშინ ამით მართლაც „მატერიალისტები დამარცხებულნი იქნებოდნენ მათივე საკუთარი იარაღით" და იდეალისტები იზეიმებდნენ თავიანთ საბუნებისმეტყველო მეცნიერულ გამარჯვებას. მაგრამ მთელი კითხვა ისაა, რომ ამის მოხდენა შეუძლებელი იყო ფიზიოლოგიისა და საერთოდ ბუნებისმეტყველების ნამდვილი ცდისეული მონაცემების საფუძველზე დარჩენისა და მათი სწორად განზოგადების გზით. ეს ნათელია იმ თავითვე. ამას მთლიანად ადასტურებენ თვით ის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ანატომიური მონაცემები, რომელნიც თვით ავტორს მოჰყავს „უახლესი მონაცემების" სახით თავისი ძირითადი დებულებების დასამტკიცებლად.

ჩვენ აქ არა გვაქვს შესაძლებლობა, — და, ვფიქრობ, არცაა ეს განსაკუთრებით საჭირო, — დაწვრილებით შევუდგეთ ზემოაღნიშნული მონაცემების დეტალურ ანალიზს. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: იქ, სადაც ავტორი თავისი დებულების დასამტკიცებლად ფიზიკის, ფიზიოლოგიისა და ანატომიის

[1]) იქვე, § 26, გვ. 52 — 53.

ლშეალო მონაცემებს ღებულობს, მას არ შეუძლია ეს ფაქტები ჰარმონიაში მოიყვანოს თავის წინასწარალებულ დებულებასთან და ამიტომ, აღნიშნული ფაქტები რჩება გარეგნულად მიკერებული, ხოლო იქ, სადაც ... ზიოლოგიის ცალკეულ წარმომადგენელთა ზოგადთეორიულ შეხედულებებს მიმართავს, ეს შეხედულებანი — ბუნებისმეტყველების დიდი წარმომადგენლებისაც კი — თვით აღმოჩნდებიან ხოლმე საკუთარი ცდისეული მონაცემების არასწორ, იდეალისტურ განზოგადოებად.

ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ქიქოძის მიერ მოყვანილი ცნობილი სიტყვა ლიბიხისა, რომელიც ამ მეცნიერმა წარმოსთქვა 1856 წლის იანვარში, მსჯელობანი რუსი მეცნიერის ენგჩუენიკოვის „ფიზიოლოგიიდან და ანატომიიდან“. ამ სიტყვაში ლიბიხს, როგორც სწორად შენიშნავს დობროლიუბოვი, „შეეშინდა თავისი საკუთარი ცდებისა“ და მათგან მცდარი, იდეალისტური დასკვნები გააკეთა.

როგორია ბერასიმე ქიქოძის მთავარი საბუთები იმ მთავარი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური საკითხის დასამტკიცებლად, რომელნიც მისი შრომის ყველა სხვა საბუთს განაპირობებს?

ასეთ საბუთად იგი აღიარებს ტვინის ფიზიკურ-ქიმიური აგებულების სირთულეს. ადამიანის ტვინი, როგორც მატერიალური მასა, შესდგება ურიცხვი რთული ნაწილებისაგან და ამიტომ, გ. ქიქოძის აზრით, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ერთიანი და მარტივი შეგრძნების პირველმიზეზად. „...იმის მთავარ და სრულიად საკმაო დამტკიცებას (რომ შემგრძნებელი საწყისი არაა თვით ტვინი — ა. ქ.), — სწერს იგი, — ვპოულობთ ჩვენ ჩ ვ ე ნ ს შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა თ ა ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ა დ ა ს ი მ ა რ ტ ი ვ ე შ ი, იმ ერთიანობასა და სიმარტივეში, რომელნიც ესოდენ ეწინააღმდეგებიან ტვინის სირთულეს და მთელს ნერვულ სისტემას. მართლაც, თუმცა ჩვენი შეგრძნებანი ერთმანეთისაგან ისე განსხვავდებიან, რომ შეუძლებელია, მაგალითად, რაიმე მსგავსების პოვნა სინათლესა, ბგერასა, სუნსა და სხვათა შორის, მაგრამ ამასთანავე უაღრესად ცხადია, რომ ყველა ეს შეგრძნება ერთ, განუყოფად არსებას ეკუთვნის. ცხადია, რომ ჩვენში კიდეც ხედავს, კიდეც ისმენს და გემოსაც ნახულობს ერთი და იგივე და არა სხვადასხვა არსება. მაგრამ ასეთი ერთიანობა არ იქნებოდა იმ შემთხვევაში, ჩვენი შეგრძნებები რომ თვისება ყოფილიყო თვით ტვინოვანი მატერიისა ან სხვა რომელიმე სასიცოცხლო ალისა, იმიტომ რომ როგორც ტვინი, ისე აგრეთვე ყოველი მატერიალური ძალა არის მასა, რომელიც ათასობით ნაწილისაგან შესდგება“. [1])

რაკი ტვინი თავისი რთული ფიზიკურ-ქიმიური აგებულების გამო არ შეიძლება აღიარებულ იქნას ჩვენი ერთიანი და მარტივი შეგრძნებების პირველ საფუძვლად, ამიტომ გვრჩება დავუშვათ, რომ შეგრძნება ეკუთვნის რაღაც ეხილავ არსებას, რომელიც არა ჰგავს არც ტვინს, არც სხვა რაიმე სხეულს, ე. ი. სულს. ამრიგად, შეგრძნებადს არსებას წარმოადგენს არა მატერიალური ტვინი, არამედ განსაკუთრებული სულიერი სუბსტანცია.

ამ თავის მთავარ დებულებას ავტორი ამტკიცებს მთელი თავისი ნაშრომის მანძილზე, მოჰყავს რა ამისათვის, რა თქმა უნდა, გარდა აღნიშნული „მთავარი და სრულიად საკმაო დამამტკიცებელი საბუთისა“, სხვებიც.

---

[1]) იქვე, § 13, გვ. 28 — 29.

უდეტალებოდაც ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ გ. ქიქოძე აშკარად სცდება და ღალატობს თავის მიერვე აღიარებულ ცდისეულ მეთოდს, წარ აკვიატებული იდეალისტური იდეის სასარგებლოდ და მისი შრომის ყველა წინააღმდეგობაც აქედან წარმოსდგება.

ბუნებრივია, რომ მეცნიერულმა მონაცემებმა, კერძოდ კი ფიზიკისა და ფიზიოლოგიის მონაცემებმა, ცდისეული ფსიქოლოგიის ავტორი მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ ობიექტურ-მატერიალური მოვლენები, ახდენენ რა ზემოქმედებას აღქმის ჩვენს ორგანოებზე, მათში გაღიზიანებებს იწვევენ. ამ გაღიზიანებებს და შთაბეჭდილებებს ნერვები აწვდიან ტვინს და იქ იყრიან ბინადარ თავს. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ამის შემდეგ გ. ქიქოძეს გაეკეთებინა იმავე ფიზიოლოგიური მონაცემებიდან უშუალოდ გამომდინარე ერთადერთი სწორი დასკვნა, რომ შეგრძნებისა და აზროვნების ორგანო მხოლოდ ტვინია, იგი, პირიქით, ცდილობს ფიზიოლოგიის მონაცემების საშუალებით უკუაგდოს ეს დასკვნა.

მაგრამ განვაგრძოთ და დავუკვირდეთ, თუ რა გზით ცდილობს ავტორი დაიცვას და დაასაბუთოს ეს თავისი დებულება.

ყველაზე ბუნებრივი საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელიც ერთბაშად წამოიჭრება ავტორის დებულების წინააღმდეგ და რომელსაც თვითონაც გრძნობს, მოსაზრება, რომ „თვით ტვინის გაღიზიანებანიც შეგრძნებებია, სახელდობრ: ტვინის გაღიზიანება, რომელიც მხედველობის ნერვის მიერ მოცემულ შთაბეჭდილებათაგან გამომდინარეობს, მხედველობის შეგრძნებაა, სასმენი ორგანოს შთაბეჭდილებათაგან გამოწვეული გაღიზიანება თვით ბგერის შეგრძნებაა და ა. შ.“,[1]) ავტორს უნდა თავიდან აიცილოს გაღიზიანებასა და შეგრძნებას შორის მეტაფიზიკური გათიშვისა და მკვეთრი შეზღუდვის აღიარებით. ეს ორი უნარი, მისი შეხედულებით, სრულიად სხვადასხვაა. მაშინ, როდესაც გაღიზიანებანი ანუ შთაბეჭდილებანი გარეგანი საგნების ზემოქმედებით წარმოიშვებიან და წმინდა მექანიკურ ხასიათს ატარებენ, შეგრძნებანი „არ შეიცავენ მექანიკური მოძრაობის რაიმე მსგავსს და განსაკუთრებული არამატერიალური სუბსტანციის თვისებას წარმოადგენენ“.

გერასიმე ქიქოძის აზრით, თუმცა ნერვულ დენს, რომელსაც გარეგანი საგნების ზემოქმედება წარმოშობს, შთაბეჭდილებანი ტვინამდე მიჰყავს, სცვლის მის თავის ქალის ბუშტოვან საფარველს და „ამ ცვლილების გარეშე, ტვინის ნაწილების ამ დაძაბვის გარეშე არ არის არც გრძნობები, არც წარმოდგენები“, მაგრამ ეს გაღიზიანებანი, შთაბეჭდილებანი არასგზით არ გადადიან შეგრძნებებში და არასდროს არ ხდებიან შეგრძნებებად. შეგრძნებას, რომელიც არამატერიალური სუბსტანციის თვისებას წარმოადგენს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს მატერიალური მიზეზი. ამას უნდა დაერთოს, — და ეს მოცემულ შემთხვევაში, ავტორის სიტყვებით, „ყველაზე მნიშვნელოვანია“, — რომ „მგრძნობელი არსება თავის შეგრძნებებს თავისუფლად ხმარობს, ადარებს რა მათ ერთმანეთს და მიმართავს რა მსჯელობებსა და დასკვნებს, რის ჩადენაც არ შეიძლებოდა წმინდა მექანიკური გაღიზიანებიდან“.[2]) წამოყენებული დებულების სასარგებლოდ, ავტორის

---

[1]) იქვე, გვ. 33.
[2]) იქვე, § 159, გვ. 268.

აზრით, ჩვენ ძალიან გვარწმუნებს აგრეთვე იგივეობა შეგრძნებასა და მოაზროვნე არსებას შორის. უნდობლობას შეგრძნებებისადმი და აზროვნებიდან მათ გამოყოფას, ორი სხვადასხვა სუბსტანციის უნარად მათ [illegible] ყოველთ ცნობიერების ორ მოპირდაპირე ნაწილად დანაწევრებამდე და ეს „ყველაზე უაზრო წინააღმდეგობებს წარმოშობს". ეს თავის-თავად მართალია, მაგრამ აქედან არასწორი დასკვნა გამომდინარეობს. რაკი შეგრძნებადი არსება გაიგივებულია მოაზროვნე არსებასთან, ამიტომ შეუძლებელია, ფიქრობს ავტორი, ვაღიაროთ, რომ მატერიალურ ტვინს შესწევს შეგრძნების უნარი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვეღიარებინა აგრეთვე, რომ მას აზროვნების უნარიც შესწევს, ეს კი იქნებოდა მატერიალიზმის ძირითადი დებულების გაზიარებაო.

ამრიგად, აბსოლუტური გათიშვა გაღიზიანებებსა ანუ შთაბეჭდილებებსა და შეგრძნებას შორის, გამორიცხვა პირველის მეორეში გადასვლის შესაძლებლობისა, რაც ცხოვრებაში ყოველ წუთს ხდება და რასაც უშუალოდ ადასტურებენ ფიზიოლოგიის მონაცემები, ქიქოძისათვის წარმოადგენს გადამწყვეტ საბუთს იმ ძირითადი დებულების დასამტკიცებლად, რომ მატერიას, ტვინს არ შეუძლიან იაზროვნოს. სწორედ ამაში ხედავს იგი თავისი შრომის განსაკუთრებულ დანიშნულებას და თავისი მსოფლმხედველობის განსხვავებას „სხვა უახლესი ფილოსოფოსებისა და ფიზიოლოგებისაგან". „კლენკე და ყველა უახლესი ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი ფიქრობს, — სწერს იგი, — რომ სწორედ ეს შთაბეჭდილებანი, სწორედ ბუშტულათა ეს ცვლილებები წარმოადგენენ შეგრძნებებსა და გრძნობიერებას, ასე რომ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენში ყველაფერს ხედავს, ისმენს, გრძნობს და სხვ. თვით ტვინი... მაგრამ, ცხადია, რომ ეს აზრი წარმოსდგა შთაბეჭდილებებისა და შეგრძნების ერთმანეთში არევიდან. გრძნობს არა ტვინი, მით უმეტეს არა თვალი, არა ყური ან ცხვირი, არამედ გრძნობს სული. ორგანოებში და ტვინშიც კი, ტვინის ბუშტულებში, ხდება მხოლოდ ქიმიურ-მექანიკური ცვლილება, რომელიც ჯერ კიდევ არაა შეგრძნება.

ვინც აზროვნებისა და ანალიზის ძალით მოასწრო ეს განსხვავება გაეგო, საკმაოდ გამოეყო გონებაში შთაბეჭდილებები თვით შეგრძნებათაგან, მას ყველა ფიზიოლოგიური ფაქტი ახალი სახით წარმოუდგება. მისთვის ბევრი რამ, რაც უწინ გაუგებრად ეჩვენებოდა, ნათელი ხდება". [1])

ეს, ვიმეორებთ, გერასიმე ქიქოძის შრომის გადამწყვეტი დებულებაა. მაგრამ სწორედ ეს დებულებაა მცდარი და მისი დამტკიცება სწორედ ფიზიოლოგიის საფუძველზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ მეცნიერების ნამდვილ მონაცემები მუდამ საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შეგრძნება, თუმცაღა განსხვავდება გაღიზიანებისაგან, მაგრამ იგი არ ეწინააღმდეგება მას. გარეგანი საგნების ზემოქმედებით გამოწვეული გაღიზიანება გადადის შეგრძნებაში. შეგრძნება წარმოიშვება გაღიზიანებისგან. შეგრძნება, — როგორც ლენინი ამბობს, — არის გარეგანი გაღიზიანების ენერგიის გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად. და სწორედ ამას ადასტურებს ფიზიოლოგიის მთელი ისტორია. „ყოველი ბუნებისმეტყველისათვის, — სწერს ლენინი, — რომელიც გზადაბნეული არ არის საპროფესორო ფილოსოფიით, ისევე, როგორც ყოველი

[1]) იქვე, § 159, გვ. 269.

მატერიალისტისათვის, შეგრძნება მართლაც ცნობიერების უშუალო კავშირია გარეგან სამყაროსთან, გარეგანი გაღიზიანების გარდაქმნაა შეგნებად — ფაქტად. თითოეული ადამიანი ყოველ ნაბიჯზე მილიონჯერ დაჰკვირვებია და უკვირდება მართლაც ამ გარდაქმნას". [1])

გერასიმე ქიქოძე არ კმაყოფილდება იმის მტკიცებით, რომ მატერიას, ტვინს არ შესწევს შეგრძნებისა და აზროვნების უნარი და იმის აღიარებით, რომ ეს უნარი აქვს მხოლოდ არამატერიალურ არსებას — სულს, არამედ ამის შემდეგ იგი არკვევს სულისა და ორგანიზმის დამოკიდებულების, მათი ურთიერთქმედების საკითხს. სულსა და სხეულს შორის არსებული დამოკიდებულების გამორკვევა, ცდისეული ფსიქოლოგიის ავტორის აზრით, „ფსიქოლოგისათვის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს" [2]) წარმოადგენს. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ქიქოძე, როგორც თვითონ მიგვითითებს, გერმანელ მეცნიერთა — ნაიეს და განსაკუთრებით კარუსისა და კლენკეს შრომებს იყენებს და მათ ემყარება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქიქოძე ყველაფერში ეთანხმება მათ და უშუალოდ მათ მისდევს. პირიქით, იგი პრინციპულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ შეხედულებებში არ ეთანხმება მათ და მათ შეხედულებებს მკვეთრად აკრიტიკებს. იგი იყენებს აღნიშნულ მეცნიერთა შრომებიდან მასალას და უმრავლეს შემთხვევაში მათ სრულიად სხვაგვარ ფილოსოფიურ განზოგადებას აძლევს. ამას ის თვითონვე აღნიშნავს. „ჩვენ ვიხელმძღვანელებთ, — სწერს იგი, — ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით ფაქტიურის მხრივ, მათი მითითებებით. მაგრამ, ვაღიარებთ რა სრულიად სამართლიანად მათ ღრმა ცოდნას, ჩვენ მაინც ჭეშმარიტებისადმი სიყვარულის გამო იძულებული ვართ მათ ბევრ არსებით პუნქტში ვეწინააღმდეგოთ". [3])

განსაკუთრებით ბევრ ფაქტიურ მასალას იღებს ჩვენი ავტორი კლენკეს „ორგანული ფსიქოლოგიიდან", რომელიც რუსულ ენაზე 1856 წელს ითარგმნა. მაგრამ სწორედ შელინგიანელ კლენკეს ზოგად ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ შეხედულებებს აკრიტიკებს იგი ყველაზე მკვეთრად.

უკვე თვით სულისა და სხეულის დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტაში გერასიმე ქიქოძე გადაჭრით ემიჯნება კლენკეს. კლენკე გამოდის სულისა და სხეულის იგივეობის შესახებ შელინგის მოძღვრებიდან და სთვლის, რომ სული თვით ჰქმნის თავის სხეულს. ქიქოძე კი ფიქრობს, რომ „ვარაუდი, თითქოს იდეა და სული თვით ჰქმნიან თავიანთ სხეულს, ათასობით შეუსაბამობას შეიცავს და იგი შეუძლებელია დაშვებულ იქნას დადებითი მეცნიერების მიერ". [4]) იგი დასაწყისშივე უარჰყოფს „კლენკეს მთელ ფსიქოლოგიაში" გამეფებულ ამ აზრს.

მსგავსი მოძღვრება, გერასიმე ქიქოძის აზრით, შედეგია პანთეისტური მიმართულებისა „და სრულიად არ შეიძლება გამართლებულ იქნას არც საღი გონებით, არც ცდით". [5]) ამ პანთეიზმს კლენკე მიჰყავს წინააღმდეგობამდე ცდის ფაქტიურ მონაცემებთან და მისი მსჯელობა ბუნდოვანი და წინააღმდეგობრი-

---

[1]) ვ. ი. ლენინი, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", გვ. 41.
[2]) „Основания Опытной Психологии", § 146, გვ. 227.
[3]) იქვე.
[4]) იქვე, § 148, გვ. 232.
[5]) იქვე, § 149, გვ. 238.

ვია. ქიქოძე, როგორც ნათელი აზროვნების დამცველი, გესლიანად დასცინის კლენკეს ისეთს ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ მსჯელობას, რომელიც, მაგალითად: „ორგანიზმის არსი არის მისი ყოფიერების სასიცოცხლო იდეა, — იდეა, რომელიც ისწრაფვის ბუნების კანონების მიხედვით მოვლენად გახდეს, ე. ი. ნივთიერი ფორმა მიიღოს. ნივთიერება წარმოსდგება იმ სახით, რომ კერძო იდეა ზოგჯერ ბუნების მომენტად იქცევა, ე. ი. თავის განვითარებაში, დროისა და სივრცის კანონების მიხედვით, მონაცვლეობით იმყოფება ურთიერთ პირობაში სიცოცხლის შინაგან სისრულესთან, რომელიც პირველსახეობაში განისვენებს; კერძო სიცოცხლის ყოფნა არის განსახიერება, ე. ი. იდეათა გამოვლენა შექმნილ სხეულში“. [1])

კლენკეს ამ შელინგისებურ მტკიცებაში ქიქოძე მთელი სიზუსტით ამჟღავნებს „წინააღმდეგობებსა და ურთიერთ შეუმსგავსებლობას“. ამასთან — და ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია — იგი მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის.

რა იგულისხმება იდეაში, რომელიც ბუნების კანონების მიხედვით მოვლენად გახდომას ესწრაფვის? — კითხულობს ქიქოძე და ასეთ დასკვნამდე მიდის: „ერთი სიტყვით, ეს წარმოდგენა რაღაც იდეისა წარმოადგენს ავტორის საკუთარი აზრის განსახიერებას, მასში მეცნიერმა ფსიქოლოგმა საკუთარი გონების წარმოდგენას დამოუკიდებელი ყოფიერება მიაწერა და აიძულა იგი მეტად მნიშვნელოვანი როლი ეთამაშნა“. [2])

გერასიმე ქიქოძე, როგორც ხედავთ, კლენკეს დებულების გაკრიტიკებით ამჟღავნებს და აკრიტიკებს ყოველი იდეალიზმის ზოგად დამახასიათებელ ნიშანსაც, რომელიც მდგომარეობს ადამიანური გონების განსხვისებასა და გალმერთებაში და მისი ამ სახით მთელი სინამდვილის დემიურგად აღიარებაში.

იმიჯნება რა სულისა და სხეულის საკითხის შელინგ-კლენკესებური გადაჭრისაგან, ქიქოძე ამ პრობლემას ერთიანობისა და ურთიერთქმედების მიხედვით სწყვეტს. მისი აზრით, სული და სხეული, თუმცა პრინციპულად ორ სხვადასხვა საწყისს წარმოადგენენ, მაგრამ ადამიანში ერთად არსებობენ და ერთიმეორეზე მოქმედებენ. სულისა და სხეულის სიცოცხლე მათი უწყვეტი ურთიერთმოქმედების პირობებში მიმდინარეობს. „სულისა და ორგანიზმის დამოკიდებულების დედაარსი, — სწერს იგი, — მდგომარეობს იმაში, რომ სული და სხეული არა მარტო ერთად, არამედ ურთიერთ პირობებშიც არსებობენ. განვითარება, სრულყოფა და საერთოდ სიცოცხლე სულისა და სხეულისა მიმდინარეობს არა მარტო პარალელურად, არამედ ერთიმეორის უწყვეტ ურთიერთმოქმედებაშიც, და ეს იმდენად მჭიდროდ, რომ ორივე ისინი შეადგენენ არა ორ, არამედ ერთ არსებას — ადამიანს“. [3])

ჩვენ აქ შესაძლებლობა არა გვაქვს დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხები. მაგრამ ნათქვამი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავდებიან ქიქოძის შეხედულებანი შელინგისა და მისი მოწაფის კლენკეს შეხედულებათაგან. ამიტომ, ჩვენის აზრით, სრულიად დაუსაბუთებელი და გაუგებარია, როცა ე. რადლოვი თავის „რუსული ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევებში“ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს“ „შელინგის ფსიქოლოგიის“ გამოძახი-

---

[1]) იქვე, გვ. 239.
[2]) იქვე, გვ. 240.
[3]) იქვე, § 51, გვ. 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად სთვლის და აზრთა სხვაობას კლენკესა და ქიქოძეს შორის მხოლოდ „ცოტა რამეში“ ხედავს.[1])

მატერიალისტ დობროლიუბოვს, რომელმაც დიდად მოიწონა გერასიმე ქიქოძის განზრახვა: აეხსნა ფსიქოლოგიური პრობლემები არა განყენებული და წინასწარაღებული პრინციპების მიხედვით, არამედ მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცდისეული მონაცემების საფუძველზე, არ შეეძლო მკაცრად არ გაეკრიტიკებინა ქიქოძის ღალატი ამ თავისივე მოთხოვნისადმი. ეს ღალატი კი საკუთარი მოთხოვნებისადმი მთელი სიცხადით მეღავნდება ქიქოძის მთელი შრომის იმ ფუნდამენტალური დებულების მიმართ, რომ ადამიანის ტვინი არ შეიძლება აღიარებულ იქნას შემგრძნებ და მოაზროვნე საწყისადო. ეს დებულება არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პირდაპირი დასკვნა ბუნებისმეტყველების მონაცემებიდან. იგი, პირიქით, აშკარად ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ მონაცემებს. თვით ქიქოძის მიერ თავისი დებულების დასამტკიცებლად მოყვანილი ცდისეული მონაცემები სრულიად არ ეგუებოდნენ მის მოთხოვნებს და არ უწყობდნენ ხელს მათ დასაბუთებას. სწორედ ამ გარემოების დამტკიცებას ხდის დობროლიუბოვი თავისი რეცენზიის მთავარ საგნად და ეს სავსებით გასაგებიცაა.

დობროლიუბოვი ამ საკითხს შედარებით ფართოდ უდგება და მას სხვადასხვა მხრიდან არკვევს. იგი აბათილებს გ. ქიქოძის არა მარტო მთავარ არგუმენტს იმის შესახებ, რომ ჩვენი ერთიანი და მარტივი შეგრძნება შეუძლებელია წარმოადგენდეს რთული ტვინის ნაყოფს, არამედ ამის საწინააღმდეგო მეორე არგუმენტსაც, რომ ტვინი, თავისი ცალმხრივობისა და სიმარტივის გამო, არ შეიძლება იყოს საფუძველი ისეთი ფაქიზი და რთული მოქმედებისა, როგორსაც წარმოადგენენ შეგრძნება და აზროვნება.

ქიქოძის არგუმენტის წინააღმდეგ დობროლიუბოვი, ემყარება რა თავისი დროის ბუნებისმეტყველების მონაცემებს, აყენებს დებულებას, რომ ბუნებაში ყოველ მატერიალურ საგანს თავისი დამახასიათებელი ძალა აქვს. არ არსებობს მატერია უძალოდ და ძალა უმატერიოდ. ძალა, რომელიც მატერიის განუშორებელ თვისებას შეადგენს, არ შეიძლება გადავცეთ მატერიას, — იგი შეიძლება მხოლოდ გავაღვიძოთ მასში. „ადამიანის ტვინში, როგორიც უნდა იყოს მისი შედგენილობა, თავისი ძალა უნდა არსებობდეს. და რა გასაკვირველია, თუ ეს შეგრძნებაში ვლინდებაო“, — სწერს დობროლიუბოვი.

საწინააღმდეგო არგუმენტის უარსაყოფად დობროლიუბოვი აყენებს იმ მოსაზრებას, რომ მატერიალური ტვინი, თავისი ქიმიური შედგენილობისა და ანატომიური აგებულების მიხედვით, მეტად რთული და მრავალფეროვანია, ფაქიზი და კლაკნილია და ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი უარვყოთ, რომ მას შესწევს უნარი წარმოადგენდეს ისეთი რთული მოვლენის წყაროს, როგორიცაა შეგრძნება და აზროვნება.

---

[1]) Э. Радлов, „Очерки истории русской философии“, მე-2 შევსებული გამოცემა, 1920, გვ. 60. ალბათ, რადლოვი ყოველთვის ყურადღებით და ბოლომდე არ კითხულობდა იმ შრომებს, რომელთაც შეფასებას აძლევდა. ამას ადასტურებს აგრეთვე მისი შეფასება სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკისა“, რომელიც მან თავის „ფილოსოფიურ სიტყვარში“ სრულიად უყოყმანოდ კანტიანურად გამოაცხადა. თუ რამდენად სწორია ეს და თუ როგორია ნამდვილი ხასიათი ამ თავისი დროისათვის შესანიშნავი შრომისა, ამის გამორკვევას ჩვენ შევეცდებით უახლოესი დროისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ შრომაში.

სხვა იდეალისტურად მოაზროვნე ფსიქოლოგების მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ თუ მატერიალურ ტვინს შესწევს შეგრძნებისა და აზროვნების უნარი, მაშინ რატომ ამ უნარს ვერ ვპოულობთ ჩვენ საერთოდ ყველა მატერიაში, მაგალითად, ქვასა და ხეშიო, — დობროლიუბოვი შემდეგი შესანიშნავი სიტყვებით უპასუხებს: „მაგრამ მოკამათენი ივიწყებენ, რომ სამყაროში ყოველივე ექვემდებარება განვითარების კანონს და რომ ადამიანის ტვინი, მათივე სიტყვებით, უფაქიზესი მატერიაა... ადამიანი, ყველაზე სრულქმნილი ცხოველებიდან, მსოფლიო არსებათა და ხილული სამყაროს განვითარების უკანასკნელ საფეხურს შეადგენს; და რატომ მასში, უკვე მარტო ამის გამო, არ უნდა დავუშვათ ის, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ნაკლებად განვითარებულ არსებებში? ხოლო თუ ადამიანის სხეულის ყველაზე განვითარებულ ნაწილს ტვინი შეადგენს, მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ტვინს შესწევს ისეთი მოქმედების უნარი, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ქვასა და ხეში?“

დობროლიუბოვის ეს მსჯელობა ჭეშმარიტად შესანიშნავია. მასში დობროლიუბოვი, რომელიც მთლიანად მექანისტური და მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებზე დარჩა, ბევრად აღემატება არა მარტო თავისი დროის პოპულარულ ვულგარულ მატერიალისტებს — ფოგტს, ბიუხნერს და მოლეშოტს, რომელთა ერთგვარი გავლენაც შეიძლება შევამჩნიოთ გ. ქიქოძის შესანიშნავი კრიტიკის საწინააღმდეგო მოსაზრებაშიც კი,—არამედ მარქსამდელი მატერიალიზმის კლასიკოსებსაც (ჰოლბახი, ფეიერბახი), რომელთაც საეჭვოა, რომ ამ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის ასეთი ისტორიული განხილვა მოეპოებოდეთ.

დობროლიუბოვის რეცენზია არაა ამომწურავი. ეხება რა ყველაზე მთავარ საკითხს, დობროლიუბოვი სხვა თავის-თავად მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს განუხილველად სტოვებს. ჩვენ ჩვენს შენიშვნებში იმ შეფასების შესახებ, რომელსაც გ. ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს“ აძლევს დობროლიუბოვი, რასაკვირველია, მიზნად არ ვისახავთ თუნდაც მოკლედ შევეხოთ თვით ამ შრომაში წამოყენებულ მთავარ საკითხებს. შევჩერდებით მხოლოდ გერასიმე ქიქოძის შემეცნების თეორიის ზოგირთ საკითხზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ „ცდისეული ფსიქობოგიის საფუძვლების“ ავტორი ყველა ფსიქოლოგიურ პრობლემას ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიური პრინციპების მიხედვით ასაბუთებს. და სწორედ ეს გარემოებაც დადებითად განასხვავებს ამ შრომას მაშინდელი დროის სხვა შრომებისაგან.

III

დავიწყოთ ძირითადი საკითხიდან — ჩვენი შემეცნების საწყისებისა და წყაროების საკითხიდან. „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ ავტორი უარჰყოფს ადამიანში რაიმე თანშობილი და აპრიორული იდეების არსებობას. ყველა ჩვენი ცოდნა, მისი აზრით, წარმოსდგება შეგრძნებებიდან და წარმოადგენს მათ გადამუშავებას განსჯისა და გონების მიერ. შეგრძნებანი წარმოადგენენ ჩვენი შემეცნების წყაროსა და ჩანასახს.

„... პირველ ჩვენ შემეცნებებს ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მომავალ შემეცნებათა პირველ ჩანასახს, — სწერს იგი, — ჩვენ ვიძენთ შეგრძნებათა საშუალებით“. [1])

კონკრეტულად შეგრძნებანი, როგორც წყარო შემეცნებისა, გერასიმე ქიქოძის აზრით, შესდგება სამი მომენტისაგან: „1-ლი, ფიზიკური მოვლენა, ანუ გარეგანი მიზეზი, მისი მწარმოებელი; მე-2, ფიზიკური შთაბეჭდილება ანუ ცვლილება, რომელიც სხეულის ორგანოში ხდება; და, ბოლოს, მე-3, თვით შეგრძნება“. [2])

გერასიმე ქიქოძის აზრით, შეგრძნება თუმცა წარმოშობილია ფიზიკური და ფიზიოლოგიური მიზეზებით, მაგრამ იგი — და აქ მეღავნდება მისი ძირითადი არათანმიმდევრობა — თვისებაა არა მატერიალური ტვინისა, არამედ სულისა.

ამრიგად, შეგრძნებანი, გერასიმე ქიქოძის აზრით, წარმოშობილნი არიან ფიზიკური და ფიზიოლოგიური მიზეზებით — ჩვენს ორგანოებზე გარეგანი მატერიალური საგნების ზემოქმედებით და ამ ზემოქმედებით გამოწვეული შთაბეჭდილებებით. მაგრამ, ჩვენი ავტორის შეხედულებით, შეგრძნება, თუმცა ასეთი გზითაა წარმოშობილი, მაინც თვისებაა არა მატერიალური ტვინისა, არამედ სულისა, როგორც განსაკუთრებული სუბსტანციისა.

შეგრძნების ასეთი გაგების შემდეგ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქიქოძე უნდა მისულიყო იმის უარყოფამდე, რომ შეგრძნებას შესწევს მატერიალური საგნების ასახვის უნარი, ე. ი. იგი უნდა დამდგარიყო იდეალისტური სენსუალიზმის პოზიციებზე და მისი საშუალებით უარეყო გარეგანი მატერიალური სამყაროს არსებობა და შემეცნება, მით უმეტეს, რომ ეს გზა, ეპისკოპოს ბერკლის დროიდან მოყოლებული, ტრადიციული იყო და იგი მიღებული ჰქონდა ყველა სუბიექტურ იდეალისტს, როგორც უტყუარი საშუალება მატერიალიზმისა და ათეიზმის „დასამხობად“.

მაგრამ გერასიმე ქიქოძე, სუბიექტური იდეალისტებისა და აგნოსტიკოსებისაგან განსხვავებით, არა თუ არ ადგება ამ საყოველთაოდ აღიარებულ გზას, არამედ პირდაპირ მის საწინააღმდეგო დასკვნას იძლევა. იგი ფიქრობს, რომ ჩვენი შეგრძნებანი, მიუხედავად მათი სხვადასხვა როლისა განცალკევებულად, საერთოდ დაწყებითსა და საუცხოო საშუალებას წარმოადგენენ ობიექტურად არსებული მატერიალური საგნების შესაცნობად. „ერთის სიტყვით, — დაასკვნის იგი, — ყველა ჩვენი შეგრძნება საუცხოო (превосходнейшее) საშუალებაა საგნის ნამდვილი თვისებების შესასწავლად“. [3])

ეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ავტორის უბრალო არათანმიმდევრობად. იგი ამ დასკვნას იძლევა თითქმის ყველა ძირითად იდეალისტურ საწინააღმდეგო მოსაზრებათა დეტალური კრიტიკის შედეგად. უშუალო კრიტიკის ობიექტად გერასიმე ქიქოძე ღებულობს ნოვიცკის „ფსიქოლოგიას“, რომელშიც ეს საბუთები მოკლედ იყო ჩამოყალიბებული [4]) და რომელიც მას მიაჩნია „საუკეთესოდ მშობლიურ ენაზე ყველა

[1]) იქვე. § 54, გვ. 89.
[2]) იქვე. § 50, გვ. 79.
[3]) იქვე. § 52, გვ. 52. ხაზგასმა ჩვენია. — ა. ქ.
[4]) იქვე. § 52, გვ. 82 — 85.

დაბეჭდილთა შორის". [1]) გარდა სუბიექტური იდეალისტური საბუთებისა, გ. ქიქოძე მკვეთრად აკრიტიკებს ეგრეთწოდებული „ცნობიერების გამოსასვლელის" თეორიას, რომლის მიხედვით ნერვული სისტემა აღიარებულია მოწყობილად არა „გრძნობადი შთაბეჭდილებების მისაღებად, არამედ მასში ცნობიერების გამოსასვლელად". [2])

ამ ფიზიოლოგიურ იდეალიზმს, რაც იმ დროს ახალი თეორიის სახით გამოდიოდა, გერასიმე ქიქოძე სთვლის განყენებულ თეორიად, რომელიც ფიზიოლოგიის ყველა მონაცემს ეწინააღმდეგება; იგი ამ თეორიას გესლიანად დასცინის შემდეგი სიტყვებით:

„და რამდენი სასაცილოა ამ თეორიაში! ამ თეორიიდან გამომდინარეობს, მაგალითად: რომ თუ გეშელმა დაინახა ცაზე თავის გიგანტურ ტელესკოპში ნისლოვანი ლაქები, ეს მოხდა იმის გამო, რომ მისი სული ტელესკოპის მეოხებით შეხვდა მათ. სახელოვანი ნახტომები გააკეთა გეშელის სულმა". [3])

და, დასასრულ, იგი ერთხელ კიდევ დაჟინებით იძლევა გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ „თუ ფსიქოლოგია თავის თავს ჩააყენებს ასეთ აშკარა წინააღმდეგობაში დამტკიცებულ ფაქტებთან, ის ზუსტ მოაზროვნეთა უკანასკნელ ნდობას დაჰკარგავსო". ეს გადახვევები ფაქტებიდან, ცდიდან, — განაგრძობს იგი, — იყო მიზეზი ფილოსოფიის დაქვეითებისა, მიზეზი მისდამი გულგრილობისა და მისი უგულვებელყოფისა საზოგადოების მიერ". ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ამაღლების ერთადერთ საშუალებას ქიქოძე ხედავს სულის თვისებათა გამოკვლევისა და ახსნის დროს ცდისეული მონაცემების გამოყენებაში. [4]) შეგრძნებათა აღიარება „საუცხოო საშუალებად საგნის ნამდვილი თვისებების შესასწავლად", როგორადაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იგი ავტორის ძირითად დებულებას, შედეგია სწორედ სულის თვისებათა გამოკვლევისა და ახსნის დროს ცდისეული მონაცემების გამოყენებისა. საჭირო არ არის ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ საკითხში, — ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ყოველი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეს წარმოადგენს, — ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების ავტორი უფრო ეთანხმება ბუნებისმეტყველების მონაცემებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა იგი ცდილობდა შეგრძნებანი წარმოედგინა არა მატერიალური ტვინის, არამედ განსაკუთრებული არამატერიალური არსების თვისებად. ნათელია აგრეთვე, რომ შეგრძნების აღნიშნული შეფასება შეიძლებოდა მოცემული ყოფილიყო არსებითად მხოლოდ შეგრძნების სულიერობის შესახებ მთავარი დებულებისადმი ღალატის ხარჯზე და ამ დებულების საწინააღმდეგოდ. ეს გარემოება ცხადჰყოფს იმას, რომ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" ავტორი არ წავიდა მთლიანად ბუნებისმეტყველების მონაცემთა არასწორი, იდეალისტური გამოყენების გზით და რომ მან შესძლო, უკვე პირველი თავისი ძირითადი შეცდომის შემდეგ, შეენარჩუნებინა აღნიშნული მონაცემების რეალისტური განზოგადების უნარი.

გერასიმე ქიქოძე, აღიარებს რა ჩვენს შეგრძნებებს „საგნის ნამდვილი თვისებების შესწავლისათვის საუცხოო საშუალებად", უარჰყოფს იმ გულუ-

---

[1]) იქვე, § 47, გვ. 73.
[2]) იქვე, § 53, გვ. 86.
[3]) იქვე, გვ. 87—88.
[4]) იქვე, გვ. 88.

ბრყვილო რეალიზმის შეხედულებას, რომელიც სთვლის, რომ საგნის ყველა ნამდვილი თვისება ისეთია, როგორადაც მათ ჩვენი შეგრძნებანი ... გვენენ. იგი იზიარებს საგნის თვისებათა დაყოფას ეგრეთწოდებულ პირველადსა და მეორადს თვისებებად. ეს თვისებები დადგენილი იყო კლასიკური სახით ემპირიკოს ბერკლის მიერ, ხოლო მანამდე — გალილეის მიერ, თუ არ ჩავთვლით გამოჩენილ ძველ ბერძენ მატერიალისტ დემოკრიტეს. პირველადს თვისებებს მიაკუთვნებენ, როგორც ცნობილია, ისეთ თვისებებს, რომელთა ფიზიკური ყოფიერებაც აღიარებულია სწორედ ისეთად, როგორადაც ჩვენი შეგრძნებანი მათ შესახებ და მათ სთვლიან: განფენილობას, ფიგურებს, სიდიდეს, მანძილს და ა. შ. მეორადი თვისებებისათვის კი უარჰყოფენ ასეთ შესაბამისობას და მათ მიაკუთვნებენ სუნს, გემოს, ფერს და ა. შ. სუნი, მაგალითად, როგორც ჩვენი შეგრძნება, ქიქოძის სიტყვებით, განსხვავდება მისი ფიზიკური მიზეზისაგან, „ვინაიდან სუნი ჩვენი და სუბიექტური მოვლენაა, ხოლო მისი მიზეზები არიან უმცირესი ნაწილაკები, უნარმქონენი იმისა, რომ წარმოშვან ის გაღიზიანება, რომელიც იწვევს ჩვენში სუნის შეგრძნებას“. [1])

ამ ორი სხვადასხვა თვისების მიღების შესაძლებლობას ქიქოძე არკვევს ცალ-ცალკე, შეგრძნების თითოეული ორგანოს კონკრეტული ანალიზის საშუალებით. ამასთან იგი ფიქრობს, რომ ყველა გრძნობიდან შეხების გრძნობა ყველაზე უფრო ძირითადი, უტყუარი და მდიდარია, ყველაზე ღარიბს და გაურკვეველს კი წარმოადგენს გემოვნებისა და ყნოსვის გრძნობა. [2]) შეხების გრძნობა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან წარმოდგენას იძლევა, ამავე დროს შეუმცდარიცაა. „მხოლოდ ერთადერთი შეხება, — სწერს გერასიმე ქიქოძე, — წარმოადგენს ისეთ გრძნობას, რომლის შთაბეჭდილებანიც მუდამ ერთნაირი და შეუმცდარია, და ამიტომ მას ერთადერთს არ შეჰყავს ადამიანი შეცდომაში“. [3]) ყველა დანარჩენ გრძნობას შეცდომაში შევყავართ და ამიტომ ისინი „შემოწმებული და გაანალიზებული უნდა იქნან განსჯის მიერ“. [4])

ჩვენ არ გადმოვცემთ აქ ქიქოძის მოძღვრებას განსჯისა და გონების მიერ შეგრძნების მასალათა შემეცნებად გადამუშავებისა და გადაქცევის შესახებ და ამასთან დაკავშირებით მის მიერ განვითარებულ მოძღვრებას წარმოდგენებსა, მსჯელობებსა, დასკვნებსა და ცნებებზე. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ შეგრძნება, აღიარებული ქიქოძის მიერ „საგანთა თვისებების შესწავლისათვის საუცხოო საშუალებად“, გვევლინება ამავე დროს იმ ძირითად უნარად, საიდანაც, „როგორც თავის წყაროდან, გამომდინარეობს ადამიანური სულის ყველა დანარჩენი უნარი“ — მსჯელობა, დასკვნა და ცნება. ამას ემყარება იგი, როცა გარეგანი მატერიალური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას აღიარებს. გერასიმე ქიქოძე არა მარტო გადაჭრით აღიარებს გარეგანი სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას, არამედ მკვეთრად აკრიტიკებს აგნოსტიციზმს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი კრიტიკა კანტისა, რომელიც, მისი სიტყვებით, „სხვებზე უკეთესად და

---

[1]) იქვე, § 51, გვ. 81.
[2]) იქვე, § 57, გვ. 93.
[3]) იქვე, § 60, გვ. 98.
[4]) იქვე, § 51, გვ. 82.

უფრო მძლავრად მსჯელობდა ამ საკითხზე". [1]) ეს კრიტიკა, რომელიც კანტის კრიტიციზმის მთელ რიგ ფუნდამენტალურ პრინციპებს ეხებ[illegible]ია იმ დროისათვის თავისი სიღრმითა და სიმახვილით.

ბიბლიოთეკა

კანტის კრიტიკას გ. ქიქოძე იწყებს მისი ფილოსოფიის ქვაკუთხედიდან — აპრიორიზმიდან. კანტი, როგორც ცნობილია, გამოდის იმ რწმენიდან, რომ ადამიანის ყოველი შემეცნება იწყება ცდიდან, მაგრამ ყველა შემეცნება როდი გამომდინარეობს აქედან. ამით იწყებს ის თავის „წმინდა გონების კრიტიკას". ადამიანს შესწევს საყოველთაო და მეტად აუცილებელი მსჯელობის უნარი; ეს მსჯელობა არ შეიძლება იყოს ცდისეული წარმოშობის, რამდენადაც გრძნობადი ცდა მხოლოდ და მხოლოდ ერთეულადსა და შემთხვევითს მსჯელობებს იძლევა. კრიტიცისტი კანტი დოგმატიკურად ამტკიცებს — და აქ იგი მთლიანად ტრადიციური რაციონალიზმის ნიადაგზე სდგას, — რომ ცდას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მოგვცეს საყოველთაო და აუცილებელი შემეცნება. ყველა მისი შემეცნება ცალკეულადი და შემთხვევითია.

„... ცდა, — სწერს კანტი და ამას იგი არა ერთხელ იმეორებს, — არასდროს არ აძლევს თავის მსჯელობებს ჭეშმარიტ ანუ მტკიცე საყოველთაობას, იგი ანიჭებს მათ მხოლოდ სავარაუდო და შედარებითს საყოველთაობას (ინდუქციის საშუალებით), ასე რომ, თუ ნამდვილად ვიტყვით, გვიხდება საქმის შემდეგი სახით გამოხატვა: რამდენადაც ჩვენ დღემდე აღვიქვამდით, ამა თუ იმ წესიდან გამონაკლისი არ გვხვდება". [2])

საყოველთაობას და მტკიცე აუცილებლობას, რომელნიც მეცნიერების მიზანსა და იდეალს შეადგენენ, შეუძლიათ ჰქონდეთ მხოლოდ ცდამდელი, აპრიორული წარმოშობა. თუ მსჯელობას საყოველთაო და აუცილებელი ხასიათი აქვს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი აპრიორულია. „მაშასადამე, — დაასკვნის კანტი, — თვით რომელიმე მსჯელობა წარმოიდგინება მტკიცე საყოველთაობის ხასიათის პირობებში, ე. ი. ისე, რომ არ დაიშვება შეუძლებლობა არავითარი გამონაკლისისა. ასეთი მსჯელობა არაა ცდიდან გამოყვანილი, არამედ მას ძალა აქვს აბსოლუტურად a priori... ამრიგად, აუცილებლობა და მტკიცე საყოველთაობა აპრიორული ცოდნის საიმედო ნიშნებია". [3])

სწორედ კანტის ამ ძირითად დებულებას უკუაგდებს ქიქოძე უწინარეს ყოვლისა. ჩვენ შეგვიძლია, — სმბობს იგი, — მივუთითოთ ათასობით ისეთ მსჯელობაზე, რომელთა ცდისეული წარმოშობაც ყოველივე ეჭვს გარეშეა და რომელთაც ამავე დროს მტკიცე საყოველთაო და აუცილებელი ხასიათი აქვთ. ყველა ასეთი მარტივი მსჯელობა, როგორც, მაგალითად, „თოვლი თეთრია, ყინვა ცივია, წყალი თხევადი სხეულია, სამკუთხედს სამი კუთხე აქვს, ცეცხლი სწვავს, ქვა მძიმეა" და ათასობით სხვა, „შეიცავს უდიდეს საყოველთაობას და აუცილებლობას: ვინაიდან არ შეიძლება გადაჭრით არც ერთი შემთხვევის ჩვენება, რომელიც მათგან გამონაკლისს წარმოადგენდეს". [4])

---

[1]) იქვე, § 85, გვ. 134.

[2]) И. Кант, „Критика чистого разума", пер. Н. Лосского, გვ. 26.

[3]) იქვე.

[4]) „Основания Опытной Психологии", § 86, გვ. 136.

ამავე დროს ეს მსჯელობანი ცდისეული წარმოშობისა არიან. „ამრიგად, ნიშნები, — დაასკვნის ქიქოძე, — რომელთა მიხედვით კანტი ამტკიცებს ზოგიერთი მსჯელობის აპრიორულ წარმოშობას, არაა სწორი, ან ამტკიცებენ მათ ასეთ წარმოშობას. ასეთი ნიშნების მიხედვით ადამიანის მსჯელობათა, აშკარა ცდისეულ მსჯელობათა მთელი ნახევრის აპრიორულად აღიარება მოგვიხდებოდა“.[1])

ამის შემდეგ გერასიმე ქიქოძე თვით იძლევა ამ და მსგავს მსჯელობათა საყოველთაობისა და აუცილებლობის ახსნას. ისინი აიხსნებიან, მისი აზრით, არა იმით, რომ ისინი ცდამდელი, აპრიორული მსჯელობებია, არამედ იმით, რომ ისინი თვით ადამიანის მეტყველების თვისებას წარმოადგენენ. რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთიმეორეს თავიანთი აზრები გადასცენ, ადამიანები სიტყვებს გარკვეულ სიტყვებად ხდიან და მათ უცვლელ მნიშვნელობას ანიჭებენ. ნათქვამის დასამტკიცებლად ქიქოძე თვით კანტის მაგალითს იღებს: ყოველი ცვლილება ხდება რაიმე მიზეზის გამო, ანდა, პირიქით, ყოველი მიზეზი წარმოშობს ცვლილებას. „ცხადია, — სწერს ქიქოძე, — რომ ამ მსჯელობათა აუცილებლობა და საყოველთაობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ თვით სიტყვებზე „მიზეზი“ ან „ცვლილება“. რა არის მიზეზი? რა ნიშნებს ვუკავშირებთ გონებაში იმ ცნებას, რომელიც ამ სიტყვაშია გამოხატული? სიტყვა „მიზეზი“ ადამიანურ ენაზე ნიშნავს სწორედ იმას, რაც მოქმედებას წარმოშობს, ხოლო იმას, რაც მიზეზითაა წარმოშობილი, ჩვენ ვუწოდებთ ცვლილებას, მოქმედებას. ჩვენი მეტყველების თვისება, აუცილებლობა, რომ ერთმანეთს გარკვეული და ზუსტი აზრები გადავსცეთ, აუცილებლობით გვაიძულებს მივსცეთ სიტყვას ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული მნიშვნელობა. ამიტომ ჩვენ თითქოს შევთანხმდით მიზეზი ვუწოდოთ სწორედ იმას, რაც უეჭველად წარმოშობს ცვლილებას, ცვლილებას კი ვუწოდებთ სწორედ იმას, რაც რაიმე მიზეზის გამო მოხდა. როცა ვამბობთ: ყოველი მიზეზი წარმოშობს ცვლილებას, ჩვენ თითქოს ვამბობთ: რაიმე, რაც ცვლილებას წარმოშობს, მუდამ წარმოშობს ცვლილებას, ანდა, როცა ვამბობთ: ყოველ ცვლილებას აქვს მიზეზი, — ჩვენ თითქოს ვამბობთ: რაიმეს, რაც მუდამ მიზეზისაგან წარმოიშვება, მუდამ აქვს მიზეზი“.[2])

გამოდის რა აქედან, ქიქოძე სთვლის, რომ საყოველთაობა და აუცილებლობა „აშკარად და მტკიცედ ეკუთვნიან იდენტურ მსჯელობებს“, ე. ი. იმ მსჯელობებს, რომლებშიც „შემასმენელი არაფერს არ გამოხატავს, გარდა იმისა, რასაც ქვემდებარე შეიცავს“.[3]) კანტი იდენტურ მსჯელობებს ანალიზურს უწოდებს, იგი მათ აიგივეებს.[4]) გ. ქიქოძე, კანტისაგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ უარჰყოფს იდენტურ მსჯელობათა აპრიორულობას, ამ მსჯელობებს ერთადერთ მსჯელობად სთვლის. ქიქოძე ამტკიცებს, რომ „ყოველი მსჯელობა არის, ასე ვთქვათ, ანალიზი საგანზე წარმოდგენისა: ვინაიდან ყოველ მსჯელობაში სუბიექტს მიეწერება მხოლოდ ის, რაც მოთავსებულია ჩვენს წარმოდგენაში ამ სუბიექტზე და რაც აშკარავდება ამ წარმოდგენის ანალიზის შედეგად“.[5]) გერასიმე ქიქოძე არ სცნობს ამისგან განსხვა-

---

[1]) იქვე.

[2]) იქვე, § 87, გვ. 137 — 138.

[3]) იქვე, § 88, გვ. 138.

[4]) იხ. I. Kant, Logik, § 36, 37. Werke VIII, 1922.

[5]) „Основания Опытной Психологии“, § 89, გვ. 139.

ვებულ სინთეზურ მსჯელობათა არსებობას და აქ იწყება მისი დაშორება კანტიდან მეორე ყველაზე მნიშვნელოვან საკითხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტის მიერ მოცემული განსაზღვრა სინთეზური მსჯელობისა, განსხვავებით ანალიზურისაგან, როგორც ისეთი მსჯელობისა, რომელშიც შემასმენელი არ იმეორებს იმას, რასაც თვით ქვემდებარის ცნება შეიცავს, არამედ ამატებს და გვამცნობს რაიმე ახალს მის მიმართ, ქიქოძეს აშკარა წინააღმდეგობრივ და არაჭეშმარიტ განსაზღვრად მიაჩნია.

ქიქოძე ფიქრობს, რომ მსჯელობაში, სადაც შემასმენელი „სრულიად უცხოა ქვემდებარისათვის", ე. ი. არავითარი დამოკიდებულება მასთან არა აქვს, მცდარი და შეუძლებელია. ნამდვილ და ჭეშმარიტ მსჯელობაში შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის არსებული დამოკიდებულება ატარებს არა განსხვავების, არამედ „მსგავსებისა და იგივეობის ხასიათს". შემასმენელი უცხოა ქვემდებარისათვის მხოლოდ უარყოფით მსჯელობაში, როგორც, მაგალითად, მსჯელობაში: ადამიანი არაა უკვდავი, დღე არაა უსასრულო. მაგრამ სამაგიეროდ ასეთს მსჯელობაში უარყოფილია დამოკიდებულება შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის. კანტს მხედველობაში ჰქონდა არა ასეთი, არამედ დადებითი მსჯელობა.

კანტის მიერ მოყვანილი მაგალითი სინთეზურ მსჯელობათა საილუსტრაციოდ — ყველა სხეული მძიმეაო — გვიჩვენებს, ქიქოძის აზრით, რომ თვით კანტს „არ შეეძლო მოენახა ის მსჯელობა, რომლის თეორიაც პირველმა განავითარა". ამას ყველაზე უკეთ ადასტურებს თვით ამ მსჯელობის განხილვა. „მის მიერ მოყვანილი მაგალითი სინთეზური მსჯელობისა, — სწერს ქიქოძე კანტის შესახებ, — საუკეთესოდ აბათილებს მის თეორიას. სიმძიმის ცნება არა თუ არაა უცხო სხეულის ცნებისათვის, არამედ მისი ერთ-ერთი განუყრელი თვისებაა. არავის არ წარმოუდგენია სხეული, მაგალითად, ქვა, სიმძიმის გარეშე; პირიქით, ყოველი ფიზიკური სხეულის წარმოდგენისას უფრო მალე შეიძლება განფენილობის დავიწყება (როგორც ცნობილია, მსჯელობას: ყველა სხეული განფენილია, კანტი ღებულობს ანალიზური მსჯელობის მაგალითისათვის — ა. ქ.), ვიდრე სიმძიმისა: იმიტომ, რომ განფენილობა არის თვისება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცნიერული, ძნელი მისაწვდომი გონებისათვის, სიმძიმე კი უფრო საგრძნობია და ყველაზე უწინ გეცემათ თვალში. ჰკითხეთ ყოველ უბრალო ადამიანს, როგორ ნიშნებს ხედავს იგი ქვაში? იგი უწინარეს ყოვლისა მიგითითებთ სიმძიმეზე, განფენილობაზე კი ერთ სიტყვას არ იტყვის: ვინაიდან ეს თვისება უფრო ნაკლებად მისაწვდომია მისი გონებისათვის. მაშასადამე, უაღრესად მცდარია, რომ წინადადებაში: სხეულს აქვს სიმძიმე, პრედიკატი b (სიმძიმე) უცხო იყოს სუბიექტ a-სათვის (სხეულისათვის)". [1])

საქმის ვითარება არ იცვლება, ავტორის აზრით, თუნდაც კანტს მხედველობაში ჰქონდეს არა ფიზიკური, არამედ მათემატიკური, უფრო სწორად, გეომეტრიული სხეული, „ვინაიდან გეომეტრიაში შეთანხმებულია, რომ სხეულის ყველა თვისებიდან განხილულ იქნას მხოლოდ ერთი — განფენილობა, სხეულის სრულ ცნებაში კი სიმძიმე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია". [2])

---

[1]) იქვე, § 89, 140 — 141.

[2]) იქვე, შენიშვნა.

უკეთეს მდგომარეობას, ქიქოძის აზრით, ვერც იმ მაგალითების მიმართ ვხედავთ, რომლებიც კანტს მათემატიკის აპრიორულ-სინთეზურ მსჯელობათა შესახებ მოჰყავს. კანტის ცნობილი მაგალითი: 7+5=12 არც სინთეზურია და არც აპრიორული. კანტი სთვლის, რომ იგი სინთეზურია, რადგანაც აქ შემასმენელი 12 არაა მოთავსებული არც 7-ში, არც 5-ში. მაგრამ ქიქოძე ფიქრობს, რომ კანტს ამ შემთხვევაში საერთოდ ქვემდებარე სწორად არ ესმის. ამ მსჯელობის ქვემდებარე არ არის არც 7, არც 5, როგორც კანტი ფიქრობს, არამედ იგია ნიშანი +, საიდანაც გამომდინარეობს შემასმენელი. „მაგრამ აქ კანტმა, — სწერს ქიქოძე, — მხედველობიდან გაუშვა ერთი მცირე გარემოება, სახელდობრ ის, რომ ამ წინადადების ქვემდებარე არ არის, საკუთრივ რომ ვთქვათ, არც 7, არც 5, არამედ ეს არის ნიშანი +, მაგრამ სწორედ ამ ნიშანშია მოთავსებული შემასმენელი 12. თუ ამ მათემატიკურ წინადადებას სიტყვებით გამოვხატავთ, მაშინ იგი შემდეგ ფორმას მიიღებს: შეერთება (შეკრება) 7 და 5 არის 12. მაშასადამე, ქვემდებარეს აქ შეიცავს სიტყვა შეერთება, შეკრება, +, შემასმენელი კი პირდაპირ გამომდინარეობს სიტყვა შეერთებაში მოთავსებულ ცნებიდან“.[1])

a priori სინთეზურ მსჯელობათა სინამდვილე და სისწორე შეუძლებელია დამტკიცებულ იქნას აგრეთვე მათემატიკური აქსიომების დამოწმებით. მათემატიკურ აქსიომათა საყოველთაობა და აუცილებლობა, გერასიმე ქიქოძის აზრით, ემყარება არა ჩვენი გრძნობადობის აპრიორულ ფორმებს, არამედ აზროვნების ძირითად კანონს — იგივეობის კანონს. ყველა მათემატიკური აქსიომა, ისევე, როგორც სხვა აქსიომები, წმინდა იდენტიური წინადადებაა. ყოველი მათემატიკური აქსიომის განხილვა ადასტურებს ამას. „მაგალითად, წინადადებაში: „მთელი მეტია თავის ნაწილზე“ მთელის ცნება თვით შეიცავს იმის წარმოდგენას, რომ იგი მეტია ნაწილზე; მაშასადამე, „მთელი მეტია ნაწილზე“ უბრალოდ ნიშნავს: მთელი უდრის მთელს, a=a-ს“.[2]) ასეთია, ქიქოძის აზრით, არა მარტო მათემატიკური, არამედ მეტაფიზიკური აქსიომებიც. ყოველი აქსიომის საყოველთაობა და აუცილებლობა ემყარება იგივეობის კანონს და არა ცნობიერების რაიმე თანშობილ ანუ აპრიორულ ფორმებს. უკანასკნელის დაშვება უმართებულო და უნაყოფოა.

ასეთია მოკლედ კანტის ფილოსოფიის კრიტიკა, რომელსაც გერასიმე ქიქოძე იძლევა. მკითხველი შენიშნავს, რომ იგი მიმართულია კრიტიციზმის ფუნდამენტალურ დებულებათა წინააღმდეგ. მსჯელობათა დაყოფას ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებად კანტი სთვლიდა, როგორც თვითონ აღნიშნავს, კლასიკურად და ამაში ხედავდა თავის განსაკუთრებულ დამსახურებას. საკითხი კი a priori სინთეზურ მსჯელობათა შესაძლებლობის შესახებ მას მთელი თავისი ფილოსოფიის გადამწყვეტ საკითხად მიაჩნდა. ამ მსჯელობაში მდგომარეობს, კანტის აზრით, ყოველი მეცნიერული შემეცნების არსი. ბედი მეტაფიზიკისა, რომელიც, კანტის სიტყვებით, „ადამიანური გონების მთელი კულტურის აუცილებელი დასრულებაა“,[3]) დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მასში ამ მსჯელობათა დასაბუთების შესაძლებლობაზე. მხოლოდ აპრიორულ-სინთეზურ მსჯელობათა დასაბუთებას შეუძლია

---

[1]) იქვე, § 91, გვ. 143.

[2]) იქვე, § 93, გვ. 147.

[3]) И. Кант, „Критика чистого разума“, გვ. 462.

გამოიყვანოს მეტაფიზიკა იმ ჭეშმარიტად ტრაგიკული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფება, „ტკეპნის რა ერთსა და იმავე ადგილზე“ [illegible] იძლევა რა შესაძლებლობას განასხვავოს თვითკმაყოფილი [illegible] ძვლიანი შემეცნებისაგან და მისცეს მას ზუსტი მეცნიერების ფორმა.

ქიქოძეს კარგად ესმოდა, თუ რა შედეგები გამომდინარეობდნენ მთელი კანტიანური ფილოსოფიისათვის ამ ფილოსოფიის მის მიერ უარყოფილ პრინციპებიდან. იგი საგონებელში იყო და პირველი შეხედვით ვერც კი გაეგო, თუ როგორ შეეძლო კანტს ასეთი შეცდომების დაშვება. „გულახდილად ვაღიარებ, — სწერდა იგი, — რომ კანტის ასეთი მიუტევებელი შეცდომები ჩემში ცოტა განცვიფრებას როდი იწვევენ. მაგრამ როცა მე შემდეგ ვკითხულობ, რომ მთელი თავისი „წმინდა გონების კრიტიკა“ მას სურს სწორედ ამ სინთეზურ მსჯელობებზე ააგოს, მაშინ მე პირდაპირ საგონებელში ვვარდები, ვინაიდან ვერ გამიგია, როგორ შეიძლება მთელი სისტემის დამყარება გაუგონარ და შეუძლებელ მსჯელობებზე“.[1])

ამრიგად, კანტის ფილოსოფიის ძირითად დებულებათა შეცდომისადმი ღრმა რწმენამ და აგრეთვე, — როგორც ქიქოძე სხვა საბაბის გამო ამბობს, — იმისადმი უღრმესმა რწმენამ, რომ „ჭეშმარიტება ყველაზე ხშირად შედეგია ხოლმე ბევრი დავისა და საგანზე სხვადასხვაგვარი შეხედულებისა“, რომ „ერთ ადამიანს, მთელი მეცნიერულობისა და შორსმჭვრეტელობის მიუხედავად, არ ძალუძს განიხილოს საკითხი ყოველი მხრიდან“,[2]) — აიძულა იგი გამოსულიყო კანტის წინააღმდეგ, რა ძლიერიც უნდა ყოფილიყო მაშინ მისი ავტორიტეტი. და ამ კრიტიკაში ქიქოძე გვიჩვენებს როგორც თავის გამბედაობას, ისე აგრეთვე განსაკუთრებულ შორსმჭვრეტელობას და თავისი ფილოსოფიური აზროვნების სიღრმეს.

---

[1]) „Основания Опытной Психологии“, § 89, გვ. 141.

[2]) იქვე, § 146, გვ. 228.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები[1]

ვ. ბარნოვის გამოუქვეყნებელი ისტორიული რომანი „პირიმზე“ შეეხება თამარის გამეფების პირველ წლებს, ვიდრე იგი რუსთა დიდი მთავრის ანდრეი ბოგოლუბსკის შვილს მითხოვდებოდა.

თამარის მამის გიორგი მეფის წინაშე დიდი საკითხი იდგა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მის შემდეგ საქართველოს განმგებლად. დავით მეფის შვილის — დემნას გასაჭურისებისა და დაბრმავების შემდეგ, მამაკაცთაგან აღარავინ იყო მახლობელი ნათესავი, რომ იმისათვის გადაეცა მემკვიდრეობა. გიორგიმ განიზრახა თავისი ასულის თამარის გამეფება. მართალია, ქალი მანამდე არ ყოფილიყო საქართველოში მეფედ, მაგრამ გიორგის არ ეუცხოვა ის აზრი, რომ გონიერ ქალს შეეძლო კარგად წარემართნა სახელმწიფოს საქმეები.

თამარის სახელი, მისი სიმშვენიერე და გონიერება ჯერ კიდევ გამეფებამდე იყო ცნობილი საქართველოს გარეთაც. შორეული ქვეყნებიდან მრავალ მეფეთა უფლისწულნი მოდიოდნენ თამარის სატრფიალოდ. სახელგანთქმული და უძლეველი სალეხ-ად-დინის (საღადინის) ვაჟიც კი ესტუმრა საქართველოს თითქოს თამარის სახილველად. ყოველი მათგანი ცდილობდა თავი მოეწონებინა ქალწულისათვის, რომ ღირსი გამხდარიყო მისი შეუღლებისა.

გიორგი მეფის მიერ თამარის თანამოსაყდრედ გამოცხადებას გულიად შეხვდა ქართველთა უმრავლესობა. ხალხში უკვე ხმა იყო დარხეული თამარის სიბრძნეზე, გულშუქიანობაზე. ქალი ბრძენი, სათნოიანი დაამყარებს ყველგან მშვიდობასაო. დიდი აღფრთოვანებით ჩაატარა გიორგი მეფემ თავისი ასულის თანამოსაყდრედ გამოცხადების ზეიმი.

გიორგი მეფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდი მოვალეობანი დააკისრა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა ქალს. თამარმა იწყო მართვა ქვეყნისა ნაზი ხელით უღლეტეხით. იგი ცდილობდა თვით რთულ საკითხსაც ჩაჰკვირვებოდა. ეძებდა ყველგან საქმის მიზეზს, იკვლევდა მიზანს. თავიდანვე კმაყოფილნი დარჩნენ თამარის მეფობისა მახლობელნი, კარის-კაცნი და დიდ-დიდებულნი. მაგრამ მაინც იყვნენ გამძვინვარებულ ფეოდალთა შორის ისეთნიც, რომელთაც განეზრახათ — ესარგებლნათ გამოუცდელი ქალწულის მეფობით. დაასკვნეს განდგომა, დარწმუნებულნი იყვნენ, თამარი მათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ისიც ეგონათ, ყველა დიდებული მათ მიემხრობოდა. ამ დიდგვარიანებს სურდათ კვლავ აღედგინათ წოდებრივი უპირატესობა, რომელიც მათ შეუზღუდა გიორგი მეფემ და კვლავინდებურად შთამომავლობითი უფლებები პირად ღირსებაზე მაღლა დაეყენებინათ. ამგვარად, ქართველ

---

[1]) იხ. „მნათობი“, №№ 4 — 5, 6.

დიდგვარიანებს უნდოდათ მოესპოთ ის, რაც დიდის ხნის მედგარის ბრძოლისა და მუშაობის წყალობით საქართველოს კეთილდღეობისა და გარეგნობისათვის თამარის წინაპრებმა შექმნეს. ამას ზედ დაერთო პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებიც, რაც შეთქმულთა ერთი დასის მეთაურმა, მეჭურჭლეთ-უხუცესმა ყუთლუ-არსლანმა წამოუყენა თამარ მეფეს.

მივიდა რა ამბოხების ამბავი თამარის ყურამდე, მან მსწრაფლ მოუწოდა ერთგულებს. თამარის განკარგულებით ყუთლუ-არსლანი დაატუსაღეს. მისმა მომხრე დიდებულებმა და ლაშქარმა მოინდომეს ძალით გაენთავისუფლებინათ მეამბოხეთა მეთაური და კიდევაც მოჰკიდეს ხელი იარაღს. მაგრამ მათ დასაწყნარებლად თამარმა მიმართა მშვიდობიან გზას — სიტყვიერს ჩაგონებას, რაიცა მიანდო ორ გამოჩენილ ქართველ მანდილოსანს — ქვაშაქ ცოქალს და კრავაი ჯაყელს. ამ ორმა მანდილოსანმა მეტად პასუხსაგები პოლიტიკური კონფლიქტის მოგვარება მოახერხა.

უფრო ადრე თამარ მეფემ ყურადღება მიაქცია ეკლესიის საქმეს. შენიშნა, რომ ხანთა სვლაში სამღვდელოების გარშემო ისეთი ვითარება შექმნილიყო, რაც რჯულის დამცველთ არ შეეფერებოდა. იყვნენ ისეთი ეპისკოპოსნიც დიდგვარიანთაგან, რომელნიც ავიწროებდნენ ხალხს. ყველა ეს გარემოება გაითვალისწინა თამარის განკარგულებით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ.

თამარი შეუდგა თავისი სამფლობელოს დათვალიერებას, ადგილობრივ გაცნობას. შემოიარა საქართველო, ყველგან დასტოვა საუკეთესო მოგონება. ზღაპრად მოუთხრობდნენ მის ჰაეროვან ქცევას თუ ჰაზრიან თქმას სასიკეთოს. აქ მტრები შეარიგა, იქ გაჭირვებულ თემს, თუ გატეხილ ოჯახს ხელი აღუპყრა, სხვაგან სამკვიდრედ შემოარტყა თავის მზრუნველობა. საქართველოს გარეშე მტრებთან უხდება ბრძოლა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს თავდამსხმელები. თამარმა მთელი ეს წლები თავისი მეფობისა ქვეყნის მიზანშეწონილ მშენებლობას მოახმარა.

ამის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა საზრუნავს თამარისათვის ქმრის მოძებნა შეადგენდა. ბევრი ძიებისა და ფიქრის შემდეგ დიდებულებმა სასურველ საქმროდ თამარისათვის სცნეს რუსეთის მთავრის ანდრეი ბოგოლიუბსკის ძე გიორგი. იმ დროს გიორგი ყივჩაღეთში ცხოვრობდა. გარეგნობით მოეწონათ დიდებულებს გიორგი რუსი და წინადადება მისცეს თამარს იგი შეერთო ქმრად. თამარი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საქმროს მოსაწონი გარეგნობით და სთხოვა დიდებულებს დაეცადნათ იმ დრომდე, ვიდრე კარგად გაიცნობდნენ გიორგი რუსის ხასიათსაც და ზნეობას. დიდებულებმა შეუძლებლად სცნეს დაცდა და სთხოვეს თამარს დაუყოვნებლივ დაეწერა ჯვარი. ამასვე ურჩევდა თამარს მისი მამიდა რუსუდანი. თამარი იძულებული შეიქნა მითხოვებოდა გიორგი რუსს თავისი სურვილის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელი ეპიზოდის აღწერით ასრულებს ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი „პირიმზეს“.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი არ გავს იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ავსებენ წარსული ცხოვრების მხოლოდ გარეგანი ფორმების მოთხრობით, ტვირთავენ მათ ნივთებისა და საგნების აღწერით. ასეთ ნაწარმოებში გამოხატული ადამიანები არ ცოცხლდებიან მკითხველთა წარმოდგენაში, არ ამქლავნებენ თავიანთ ადამიანურ სახეს და სულს. ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ყოველთვის მთავარ ყურადღებას ადამიანებს აქცევს. იგი მოვლენებს უმეტეს შემთხვევაში

აგვიწერს თითქოს ძალზე ზუსტად და „მშრალად“, მაგრამ ეს იმისთვის, რომ მოვლენები მისთვის მხოლოდ ჩარჩოა, რომელშიც გამოჩნდებიან ისტორიული ადამიანების ცოცხალი სახეები. ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ნაწარმოებში ლაპარაკობს გარეგან ფორმებზედაც — ტანსაცმელზე, იარაღზე, ბუნებაზე, არქიტექტურაზე, მაგრამ ეს ყოველივე ისეა, რომ არ ჩრდილავს ადამიანებს. ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ადამიანის სულს, რომელიც გადასულია ისტორიაში, არ სცვლის გარეგანი აქსესუარების აღწერით, არამედ ამ საგნებისა და დოკუმენტების იქით სჭვრეტს ისტორიულ თავისებურებას, რასაც იგი სწვდება თავისი შემოქმედებითი ხილვით.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს შემოქმედების ეს თვისება, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მკვეთრად „პირიმზეში“ გამომჟღავნდა. ეს რომანი არსებითად არის ერთი პიროვნების — თამარის ცხოვრებისა და მეფობის პირველი წლების მხატვრული რეპროდუქცია. ნაწარმოების დანარჩენი მომქმედი პირნი თავიანთი სიტყვებითა და საქმიანობით მხოლოდ ხელს უწყობენ, რაც შეიძლება სრულყოფილად გამოჩნდნენ თამარის დიადი ადამიანური და სახელმწიფოებრივი ღირსებანი. ისტორიულად ცნობილი თამარ მეფე მწერალს ნათელი პოეტური ფერებით ჰყავს დახატული. მისი წარმოდგენით გამართლებულია თამარის ჩვენება, როგორც ნამდვილი ადამიანისა, მისი დამახასიათებელი ქალური თვისებებით, ვნებებით, გრძნობებით, სილამაზით, სიბრძნით და გულკეთილობით.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს რომანში თამარი წარმოდგენილია, როგორც მეტად გონიერი და მტკიცე მმართველი ქვეყნისა, რომელიც ახერხებს და იმორჩილებს განაპირების მოსურნე ფეოდალებს, ზრუნავს ხალხისათვის. ამ ნიადაგზე უთანხმოებაც კი დაიბადა მასსა და დიდგვარიანებს შორის. მისი გამეფებისას იყო, რომ ხალხმა მიმართა: „თამარ პირიმზე! მოგვგზავნა ხალხმა, მოგახსენოთ გულისტკივილი. გვიხარიან შენი მეფობა: იგრძნობ ჩვენ ტანჯვას, რკინის უღელს არ დაგვიმძიმებ. გადმოგვხედე წყალობის თვალით. თავს შემოგწირავთ“. უკმაყოფილო დიდგვარიანები იმასაც კი ამბობენ, თამარი ალაღებს ხალხს, გლეხობასო: „ის ღა გვაკლია, მიჰმართოს თვით ხალხს და შეჰკრიბოს მისი ძალა ჩვენ შესაზღუდად... ოლონდაც! თუ გლეხობას მოუწოდა და შეიერთა, ფრთებს შეასხამს ყმებს. გამოვა მაშინ მდაბიო მორჩილებიდან და შესაძლოა, ჩაგვეშალოს ბატონობა“. თამარის მზრუნველი ხელი შეეხო საქართველოს ცხოვრების ყველა მხარეს. ამ დროს იყო, რომ განმტკიცდა და გაძლიერდა ქვეყანა, უაღრესად აყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი იზიარებს იმათ მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ თამარის მეფობას ამშვენებდნენ ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე და რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ო.

„პირიმზედან“ ვიგებთ, თითქოს იმ დროს მმართველ წრეებში დიდი უთანხმოების საგანს შეადგენდა სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხი. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ორი ორიენტაციის მომხრე დიდგვარიანნი. ერთნი იცავდნენ იმ აზრს, რომ საქართველო უნდა დაკავშირებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთს, მუსლიმანურ ქვეყნებს, ხოლო მეორენი ამბობდნენ, რომ ჩვენი გზა ჩრდილოეთისაკენაა, ქრისტიანულ ქვეყნებისკენო. ბ ა რ ნ ო ვ ი ს ეს შეხედულება ერთგვარ კორექტივს საჭიროებს. თამარ მეფის დროს საქართველო საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა უპირატესად და არავითარ პოლიტიკურ ორიენტაციას ის არ ეძებდა.

„პირიმზეში“ წარმოდგენილია აგრეთვე შორეული გამოძახილი იმ დიდი

ისტორიული მოძრაობისა, რომელიც ცნობილია ჯვაროსანთა ომების სახელით. სალადინი ცდილობს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა იქონიოს გაძლიერებულ საქართველოსთან, მიწერ-მოწერაც კი აქვს მას ქართველ მეფეებთან. სალადინის უმცროსი ძე ზენლალ-ადილი თითქოს საქართველოში იყო და გაუმეჯნურდა თამარს.

რომანის ფურცლებზე გაცოცხლებულია ეპიზოდურად ფილიპე ფრანგისტანელისა და რიჩარდ ლომგულის გმირული სახეები.

*

* *

„მიმქრალ შარავანდედში" მთავარია სიყვარულის პრობლემა, რომელიც ბუნებრივად გადაჯაჭვულია ისტორიულ მოვლენებთან.

გურიის მთავრის მამია გურიელის ასულს — თინათინს უყვარს თავადი ნიშრევანი, მაგრამ მამია გურიელს პოლიტიკური სარგებლიანობის თვალსაზრისით სურს თავისი ქალი მიათხოვოს კახეთის მეფეს — ლევანს; ამ უკანასკნელს კი უყვარს ლეკეთის შამხალის უსუფ-ხანის ქალი ლეილ-ყიზი.

ამ სატრფიალო ამბებთან ერთად რომანში ასახულია ისტორიული ვითარება, როცა საქართველოს არ ჰყავს ერთი მეფე და იგი დაყოფილია ცალკეულ სამთავროებად, ხოლო ტფილისში ბატონობენ სპარსელები. დანაწილებულ საქართველოს მეფეებს და მთავრებს ერთმანეთთან მუდმივი ქიშპობა და შუღლი ჰქონდათ. ამ ბრძოლებისა და შეხლა-შემოხლის გამო თითოეული მეფე თუ მთავარი ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ძლიერი მოკავშირე ჰყოლოდა, რომელიც საჭირო შემთხვევაში დაეხმარებოდა. ასეთი მოსაზრებით გამსჭვალული მამია გურიელი გადაწყვეტს სიძედ აირჩიოს კახეთის მეფე ლევანი. მამია გრძნობს, რომ მისი განზრახვის წინააღმდეგი არც ლევანი იქნება, რადგან მასაც ეჭირვება ერთგული მოკავშირე.

ლევან მეფესაც მოსწონს ეს კავშირი. მაგრამ რა მოუხერხოს გულს, რომელსაც დაპატრონებია ლეკეთის შამხალის ქალი ლეილ-ყიზი?! ლევანის გულს დაეინებით ლეილ-ყიზი უნდა და ამიტომ არ იცის რა ჰქნას, მერყეობს სურვილსა და მოვალეობას შორის. მას უფლება არ ჰქონდა აჰყოლოდა გულის თქმას, რადგან ამას მოიოხოვდა ქვეყნისადმი სამსახური. ამიტომ გული უნდა დაეყუჩებინა და ქვეყნისათვის გამოსადეგი გზით წასულიყო. სძლია მეფემ გული, აირჩია გზა გონებისაგან ნაკარნახევი. სიყვარულს მაინც დიდება ამჯობინა, გული მოუტანა მსხვერპლად გონებას. მან მიიღო გურიელის წინადადება იმ რწმენით, რომ ეს კავშირი წარმატების გზაზე დააყენებდა სახელმწიფოს, განამტკიცებდა მის ძლიერებას. ლევანმა თავისი პირადი ცხოვრების შექმნას საფუძვლად დაუდვა პოლიტიკური მოსაზრება და ცივი ანგარიში.

მეფე ლევანი თუ გრძნობათა დიდ წინააღმდეგობასა და ბრძოლას განიცდიდა, არა ნაკლები სიმძაფრით ვლინდებოდა იგი მამია გურიელის ასულის თინათინის გულშიაც. თინათინმა კარგად იცის, რომ დედოფლობა მოელის, მაგრამ როგორ მიიღოს ეს ბედნიერება, თუ მას გული აუკვნესდება და დაეტანჯება: „ვიცი, დედოფლობა მომელის, მაგრამ არ მიმიწევს გული იქითკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დამიყოლებია, მიკვნესის გული, თითქოს რაიმე უბედურება მომელის იქ". თინათინს ვერ გადაუწყვეტია, ცხოვრების რომელი გზა აირჩიოს, დატკბეს სიყვარულით, თუ უპირატესობა მისცეს გარეგან ბრწყინვალებას, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ

გრძნობას და შემოსილი იქნება მხოლოდ დიდების შარავანდედით. თანდათან გაიღვიძა ქალში პატივმოყვარეობის მისწრაფებამ. მართალია, ... დიდი გრძნობაა, ნოშრევანიც ტკბილია, შეუდარებელია, მაგრამ — იგი ... თავადია უბრალო, მისი მამის შინაყმა და უბრალო თავადივე დარჩება და თითონაც თინათინი მხოლოდ თავადის ცოლი იქნება და როგორ შეურიგდეს ამ მდგომარეობას? იგი ხომ ბატონიშვილია, დიდებული? მან თავისი ტოლი დიდებული უნდა მონახოს, თორემ ნოშრევანს რომ გაჰყვეს, პატივმოკლებული იქნება, სხვა დიდებულთა წინაშე ქედი უნდა მოიხაროს. „ტკბილია ნოშრევანი, შეუდარებელი, კარგი, მხოლოდ თავადია, უბრალო, ჩვენივე კარის თავადი, მამაჩემის შინაყმა და ნების ამსრულებელი, უბრალო თავადივე დარჩება იგი მარად და ყველგან: თუნდ იქ გურიაში, თუნდ იმერეთის მეფის კარზე, თუნდ საათაბაგოში. მეც უბრალო თავადის ცოლი შევიქნები, სხვა ათასი თავადის ცოლების სწორი. ბატონიშვილი ვარ და უნდა კი ვემორჩილებოდე ყველა მეფის თუ მთავრის მეუღლეს, ბოლოში ვიჯდე პატივმოკლებული, იქნებ ისიც მოხდეს, რომ დადიანის ქალს თავს ვუკრავდე და ადგილს ვუთმობდე“. იმის შეგნებამ, რომ ნოშრევანი უბრალო თავადია და ისიც უბრალო თავადის ცოლი იქნება, სხვა ათასი თავადის ცოლების სწორი და სხვას უნდა უთმობდეს ადგილს, უსაზღვრო დამცირება აგრძნობინა თინათინს. იგი შეყოყმანდა. ვთქვათ ქალმა დასძლია ყოველივე, აჰყვა გულის თქმას, დედოფლობას ამჯობინა უბრალო თავადის ცოლობა, გრძნობას და სიყვარულის ძალას დამორჩილდა. მაშინ რას ეტყვის დედამამა, ბრწყინვალე შარავანდედის მომლოდინენი? მართალია, მამიას უყვარს ნოშრევანი, მაგრამ მოსწონს იგი როგორც ყმა და არა როგორც თავისი ტოლი და სასიძო. მომავლის იმედით გაბრწყინებულ თინათინს გონებაც მორჩილებას უკარნახებს. თინათინის გრძნობა ამ გზათა არჩევანში გაორებულია, მისი მისწრაფება ხან ერთ მხარეს გადაიწევა და ხან მეორეს.

3. ბარნოვს შეუდარებლად ჰყავს რომანში დაპირისპირებული ორი შეყვარებული ქალის: ლეილ-ყიზისა და თინათინის სახე. თინათინი გამსჭვალულია სიყვარულით, მაგრამ მას დიდების შარავანდედი უბრმავებს თვალებს, დედოფლობის გულისათვის იგი უარჰყოფს გულს, გრძნობას; ლეილ-ყიზი — ეს მთების შვილი, ბოლომდე გამსჭვალულია ლევანისადმი სიყვარულით და თავის გრძნობებს ჩაკვირვებული ამბობს: „არ მინდა მისი დედოფლობა, მომცეს მხოლოდ ლევანი, მარტო მე მომცეს“. ლეილ-ყიზის ბუნება მარტივია, იგი მხოლოდ ერთს ეკუთვნის და ვერც კი წარმოუდგენია მის გარდა სხვა ვინმე გახდეს მისი მეუღლე.

თინათინი გაჰყვა ცოლად ლევან მეფეს, შესწირა დედოფლობას თავისი სიყვარული, თავისი გული. მაგრამ ადამიანის „ბედნიერების საჭურჭლე“ ძნელად ყოფილა ასავსები. „სიყვარულია მხოლოდ ერთადერთი უკვდავი ნიჭი სახიერებისაგან წყევამოსილ ქვეყანაზე დატოვებულ კაცთა სანუგეშოდ, ერთადერთი ძალაა ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი, მხოლოდ სიყვარულით ძალუძს ადამიანს განიცადოს ამ წუთიერ ცხოვრებაში საუკუნო ნეტარება. წრფელი სიყვარული თვით ნათელია სხივთ შემოსილი მოტრფიალეთა და მას არ ეჭირვება არც ფოთოლთა შეთხზული არდაგი, არც ტყავის რამ საფარველი სათბუნებელი“. სწორედ ის იყო გვირგვინოსან მეუღლეთა უბედურება, რომ მათ ეკლესიისაგან ნაკურთხ კავშირს არ ასხივოსნებდა და არ აფაქიზებდა სიყვარული წრფელი — დიადი! თინათინსა და ლევანს შორის

ცოლ-ქმრული კავშირი ძალზე ცივი და ნაძალადევი გამოდგა. ერთსაც და მეორესაც თან დაჰყვებოდა ნამდვილ სატრფოთა სახე. „არ იკურთხა [illegible] იგი კავშირი უგულო, ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოზმა ღვთაებრივი ფეტარით ხელში ვერ მიუპყრა სავსე ფიალა ამ მეფე-დედოფალს“. სიყვარული ვერ დაემკვიდრება იქ, სადაც ცივი ანგარიშია. თინათინი გაჰყვა ლევანს ცივი ანგარიშის საფუძველზე და ეს არის მისი ტრაგედია. შვილების გაჩენამაც ვერ შეიტანა სიმშვიდე მეფე-დედოფლის ურთიერთობაში.

თინათინი მეტად დაღონებულია, არაფერი მას არ ახარებს. გარეშე მაყურებლები დედოფლის ასეთ დაღონებას მისი სიამაყით ხსნიდენ, თორემ მის გულს თუ ნოშრევანის სიყვარული აჭკნობდა, ეს „ვერავინ გაუგო“. თინათინი გრძნობს, რომ შეცდა არჩევანში, უგულებელჰყო სიყვარული და გაჰყვა განდიდების სურვილს. მართალია, მან მოიპოვა დიდება, დედოფლობა, მაგრამ გული მაინც თავის მსხვერპლს მოითხოვდა დალატისათვის. თინათინი გრძნობს ძლიერ ძალას სიყვარულისას და იმას, რომ ნოშრევანის გარეშე მისი ცხოვრება არარაობაა. თინათინი რწმუნდება, რომ ცივი ანგარიშის საფუძველზე აგებული ოჯახი არ იძლევა სულიერ კმაყოფილებას, რაგინდ ბრწყინვალე იყოს იგი. გატყდა დედოფალი და სინანულით იგონებს თავის საქციელს, რომლითაც უარყო პირმშო სიყვარული. თუ წინად დედოფლობისაგან დაბრმავებული ქალი განსხვავებას ვერ ხედავდა ლევანის ქვეშევრდომებსა და ნოშრევანს შორის, ახლა ის ლევანზე მაღლა აყენებს ნოშრევანს, ახლა ვერ ხედავს იმ დიდ განსხვავებას მათ შორის, რამაც დააკარგვინა მას საყვარელი ნოშრევანი. „რითი ღა განირჩევა ლევან ნოშრევანისაგან? მხოლოდ იმით, რომ მისი საბატონო უფრო ვრცელია და მდიდარი? თითონ ლევანი კი ბევრით განირჩევა ნოშრევანისაგან: იგი ახოვანი და შემმართებელია, ერთი მუჭა ხალხით საარაკო საქმეების მოქმედი, ეს კი მოკრძალებული, ლაშქართა სიმრავლეზე დაყრდნობილი-დამყარებული, მით გულადი; იგი თავისუფალია, თავის ხმალს მინდობილი, უშიშარ-შეუპოვარი, ეს კი მხდალი, რომელსაც ვერც კი გაუბედნია გულახდილად გამოთქვას თავისი სურვილი. ნოშრევანი არ იყო, ლევან ჩემო, ბურთივით რომ გადმოგვიგდო ტფილისი ჰოროლის წვერზედ, შენ კი შეკრთი, ვერ გაბედე ხელის მიშველება, განზე გახტი მის სიდიდის წინაშე და ლაჩრულათ დაუთმე ომი სხვას“. ეხლა ზღაპრულ არსებად წარმოუდგა ნოშრევანი თინათინის აღტაცებულ გონებას. მის თვალში უსაზღვროდ განდიდებული იყო ნოშრევანი, ხოლო ლევანი მეტად დამცირებული მოჩანდა. შეცდა მომავლის იმედით გაბრწყინებული თინათინი, უღალატა სიყვარულს, განდიდებას შესწირა გული, გრძნობა, დიდებამ მოსთხოვა მას მსხვერპლი და გაიღო კიდეც იგი, არ დაიშურა არაფერი დიდებისათვის. მაგრამ მაცდური გამოდგა ეს დიდება. მოტყუვდა, სიყვარულს უღალატა და დიდებას ვერ მიწვდა. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც იგრძნო მან, რომ წმინდა სიყვარულს მიჰყავს ადამიანი გამარჯვებისაკენ და არა ცივ ანგარიშიანობაზე დამყარებულ მისწრაფებას.

იმედგაცრუებული, შეურაცხყოფილი დედოფალი სწყვეტს ყოველსავე კავშირს ცხოვრებასთან, შესდგება მონოზნად, რათა ამით მოუპოვოს სულს სიწყნარე და დაიმშვიდოს გული ფრიად ღელვილი, მაგრამ სიმშვიდე დედოფალმა მაინც ვერ ჰპოვა და გაიტანჯა სულით და ხორცით, ათასკეც მწუხარებით. მონაზონის შავი ტანისამოსი ალმურად შემოეხვია მის მშვენიერ და ნაზ ტანს.

არც ლევანის გულს მოუპოვებია ნეტარება შექმნილი მდგომარეობით, ისიც იტანჯებოდა, მარად აგონდებოდა ლეილ-ყიზი. ვერც მანდ[illegible] გულიდან სიყვარული, დაკარგული ბედნიერება, მოტყუვდა ისიც [illegible].

ლევანს თინათინთან გრძნობა არ აკავშირებს, მხოლოდ მოვალეობა და პატივისცემა აახლოებს, მაგრამ ესეც თანდათან სუსტდება მასში და ბოლოს სულ ქრება. თინათინთან განშორების შემდეგ ლევან მეფე თითქო ახლად დაიბადა, ახალი ცხოვრებისათვის იშვა და კვლავ კავკასიონის მწვერვალიდან გაუღიმა სანატრელმა მზემ გაზაფხულისამ, დაღესტანის მთებიდან კვლავ გადმოხედა გულის სწორმა ლეილ-ყიზიმ. ლევანი გაეშურა იქითკენ.

რომანში ყველაზე უფრო გვიზიდავს თავისი კეთილშობილური სახით ნოშრევანი. იგი გარეგნულად წარმტაცია, ფიზიკურად ძლიერია, გამბედავია, მოხერხებულია და, რაც მთავარია, ძლიერი გრძნობების პატრონია. ნოშრევანი, რომელიც თინათინმა გვირგვინში გაცვალა, ვერ იშორებდა გულიდან სატრფოს სიყვარულს. მისი ცხოვრების გზა მთლად ჩამობნელდა, მომავალს ვეღარ ხედავს, განუხორციელებელი სიყვარული უაღრესად ტანჯავს მას და გადაწყვეტს გაქცევას იმ ცხოვრებიდან, რომელიც ოდესღაც მთელი აღმაფრენით უყვარდა. ნოშრევანმა გაიგო, რომ თინათინი მონაზონად აღიკვეცა. თითონაც გადაწყვიტა ბერად შემდგარიყო, რათა გამწარებულ სულისათვის სიმშვიდე მოეპოვებინა. ცხრაკარის მონასტერში აღიკვეცა იგი ბერად. ყველას აკვირვებდა ასეთი ბრგე, ახოვანი ვაჟკაცის ბერად შედგომის ამბავი.

ნოშრევანი განუწყვეტლივ მისჩერებოდა შუამთის მონასტერს, სადაც თინათინი იმყოფებოდა, გულმოკლული სულ მასზე ფიქრობდა, დაუსრულებელ სივრცეში მწირს უნდოდა გონებით გაეპო აღმართული ზღუდე და ეხილა სახე თინათინისა, ჩაეხედნა მის თვალებში, აღმოეკითხნა პასუხი მისი. მაგრამ ამაოდ! ბურუსი ფარავდა ყოველივეს.

ერთ დღეს ცხრაკარის ეკლესიის დღეობაზე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ თინათინი და ნოშრევანი. ტაძრიდან მომავალი დედოფლის წინ დაეცა მწირი და ემთხვია კაბის კალთას. „დიდებულო დედოფალო! ხელმწიფევ ჩემო თინათინ, რატომ თვალნი არ დამიბრმავდებიან, რატომ ამ ძაძასა ვხედავ შენზედ სადედოფლო ძოწეულის მაგივრად! მიცნობ-ღა, ბატონო, შენს ერთგულ მონას ნოშრევანს?“ თინათინისა და მწირი ნოშრევანის ეს შეხვედრა დიდი ტრაგიკული ექსპრესიით აქვს გადმოცემული მწერალს. ეს ეპიზოდი ერთ წუთს ისევ დააბრუნებს მკითხველს უკან, ფიქრით გაიტაცებს გურიაში, მოაგონებს თინათინის ახალგაზრდობას და იმ დროს, როდესაც თინათინს „ულიმოდა მომავალი და უქადდა სიყვარულს, დიდებას, სიხარულს, ყოველივე კეთილ ქვეყნიერს“. მაგრამ გაქრა, წარვიდა ყოველივე და დარჩა მხოლოდ მწუხარება და უიმედობა.

„მიმქრალ შარავანდედში“ გმირთა მოქმედება და მისწრაფება უმთავრესად განისაზღვრება სიყვარულით. აქ მოჩანს ვ. ბარნოვის აზრი, რომ სიყვარული სიცოცხლის საფუძველია, დასაბამია მთელი ადამიანური ცხოვრებისა. სიყვარული დაკავშირებულია მშვენიერებასთან, რომელიც აღვიძებს ადამიანს მოქმედებისათვის. მთელ ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს ის აზრი, რომ ვინც ზეციურ „ნიჭს“ — სიყვარულს უარყოფს და ცხოვრებას გრძნობის გარეშე მოაწყობს, ყველაფერი უშინაარსო გახდება და მალე დაიმსხვრევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

„დედოფალ ბიზანტიისაში“ ასახულია ის ეპოქა, როდესაც მსოფლიო სხვა-რეზზე თანდათან ძლიერდება თურქეთი და საფრთხის ქვეშ აყენებს ქრისტიანული ქვეყნების და, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიის არსებობას. XV საუკუნის დასაწყისისათვის ბიზანტია მჭიდროდ იყო შემოჭდობილი თურქთა ძლიერებით, ხონთქარს მიზნად დაესახა ბიზანტიის დამოუკიდებლობის მოსპობა. კეისარი კონსტანტინე გრძნობდა, რომ ქრისტიანობის დიდი ბურჯი აღმოსავლეთში განსაცდელში იყო ჩავარდნილი. თურქეთის გაბატონება ბიზანტიაში დიდ უბედურებას მოასწავებდა მთელი დასავლეთის ქვეყნებისათვის. გამჭრიახი კეისარი დამხმარე ძალებს დაეძებდა ამ განწირულ ბრძოლაში. ბიზანტიას აღმოსავლეთით-ღა დარჩენოდა გზა, იქ არსებობდა თანამორწმუნე, მოკავშირე ქვეყანა — საქართველო. კონსტანტინე კეისარმა სწორედ მისკენ მიაპყრო თვალი.

ქართველებიც კარგად ითვალისწინებდნენ იმას, რომ თურქეთის გაძლიერება და მოახლოვება საქართველოსაც მოუტანდა უბედურებას. ამიტომ იყო, რომ მისი მესვეურები — მეფეები ასე ძლიერად ცდილობდნენ ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირის გაბმას. ამ დაკავშირების რეალურ საბაბად შეიქმნა საქართველოს მეფის გიორგი ალექსანდრეს-ძის ასულის მითხოვება კეისრისათვის. კონსტანტინე კეისარმა თავის საცოლედ და თანამემცხედრედ აირჩია ქართველთა მეფის ასული. მალე დაქორწინება უნდა მომხდარიყო, მაგრამ კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ აღებამ და კონსტანტინე კეისრის დაღუპვამ ჩაშალა ეს საქმე.

ეს ისტორიული ვითარება ვ. ბ ა რ ნ ო ვ ს დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აქვს გახსნილი. რეალური ისტორიული მოვლენები წარმართავენ „დედოფალ ბიზანტიისას“ სიუჟეტურ განვითარებას. კონსტანტინე კეისარი თავის ერთგულ კარისკაცს და მეგობარს — ფრანძეს ჰგზავნის ტრაპიზონისა და საქართველოს მეფეებთან, რომ მას ერთ-ერთ ამ ქვეყანათაგანში მისთვის შესაფერი საცოლე მოეძებნა. გიორგი მეფეს პირველი ცოლისაგან — თამარისაგან ჰყავდა სილამაზით განთქმული ასული. სწორედ იგი აირჩია საცოლედ კონსტანტინე კეისარმა.

გიორგი მეფის ქალს საქართველოში ბევრი ჰყავდა თაყვანისმცემელი. მათ შორის უპირველესი იყო ყვარყვარე ათაბაგის უფროსი ვაჟი, განთქმული რაინდი და გმირი ბაკური. სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა მოითხოვეს უპირატესობა მიეცათ კონსტანტინე კეისრისათვის.

ეპოქის მრავალი და დამახასიათებელი მოვლენის შესახებ არის საუბარი რომანში. გიორგის მეფობის პირველსავე წელს მესხეთში, ჯაყელთა მმართველ საგვარეულოში, ბრძოლა მომხდარა ყვარყვარესა და აღბუღას შორის. ყვარყვარე ათაბაგის მთელი მოქმედება ისედაც დაშლილ და დასუსტებულ საქართველოს პოლიტიკურ დანაწილებისაკენ იყო მიმართული. მას საკუთარი ტესპანებიც კი ჰყავდა მივლენილი უცხო ქვეყნებში. ეს ბრძოლა და განხეთქილება მას საეკლესიო სფეროშიაც გადაუტანია. გიორგი მეფემ აღბუღას დაუჭირა მხარი, ხოლო ყვარყვარე, ვითარცა განაპირებისა და თურქეთის ორიენტაციისა, მოაშორა მესხეთს და თავის სამეფო კარზე დაიჭირა. მხოლოდ მოგვიანებით, აღბუღას სიკვდილის შემდეგ, დააბრუნა იგი მესხეთში.

ბიზანტიელთა ბრძოლა კონსტანტინეპოლის დაცვისათვის და თურქთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი აღების ამბავი ვ. ბარნოვს მთლიანად ისტორიული ჩარჩოებიდან განსაზღვრული. ამ ფაქტის გადმოცემისას იგი სავსებით ითვალისწინებს ისტორიულ პერსპექტივას, რომ ბიზანტიის მოსპობა და თურქთა გაბატონება მუსლიმანურ სახელმწიფოს ძლიერ რკალს არტყამდა საქართველოს და უკრავდა მას ევროპასთან დამაკავშირებელ დასავლეთის გზას.

გიორგის ქალის კონსტანტინე კეისარზე დაწინდვა აღწერილი აქვს მის ისტორიკოსსა და დაახლოებულ პირს ფრანძეს, რაც შემდეგ მთლიანად იქნა გადატანილი ჰიბონისა[1]) და ლებოს[2]) ცნობილ მეცნიერულ გამოკვლევებში. ჰიბონის ნაშრომიდან ეს მასალა თავის დროზე ქართულ ენაზედაც იქნა თარგმნილი და გამოქვეყნებული.[3]) ეს ცნობა დაუდვა საფუძვლად ვ. ბარნოვმა თავის რომანს. მაგრამ XV საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად მან გამოიყენა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია", ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია" (მეოთხე წიგნი, I ნაწილი) და სხვ.

ორი მომქმედი პირი წარმართავს არსებითად ამ რომანის სიუჟეტს. ერთი არის გიორგი მეფის ასული, დედოფალი ბიზანტიისა, და მეორე — ბაკურ ათაბაგი.

გიორგი მეფის ასული განთქმული იყო თავისი სილამაზით, „სარისავით აყლორტილი, თითქმის მაღალი აგებულებისა, ოდნავ მოგრძო მოყვანილი პირის ფარგლით, ყვრიმალ ყვავილის ღეროსავით გაშლილი ყელით". ქალი ახლად იყო გამოსული ბალღობის ასაკიდან, მაგრამ მისი გონიერება და თავდაბლობა მაინც საკმაოდ იყო ცნობილი. მის სახეს ყოველთვის სევდა თან დაჰყვებოდა. ვ. ბარნოვი ამ ქალს სახელად ხათუთას (ელენეს) უწოდებს.[4])

ბაკურ ათაბაგი ვაჟკაცია, უდრეკი მებრძოლი, ჭკვიანი და თავდაჭერილი. მას სხვათა კრთომად ასჩენოდა გიორგი მეფის ასული. მისმა სიყვარულმა გადალახა მტრობის საზღვარი გიორგი მეფისა და ათაბაგებს შორის. ბაკურ რაინდი შორეულად ოცნებობდა სიმშვენიერით განთქმული ქალის გვერდით ყოფნას, სცდილობდა სამსახური გაეწია მისთვის. ბაკურისათვის ხათუთა იყო საოცნებო სხივით მოსილი, მისი სახელით დასდგომოდა რაინდობის გზას, თუმცა ვერ განეცხადებინა მისთვის გარკვევით თავისი გულის ნადები. გიორგი მეფის ასულის დაწინდვამ კონსტანტინე კეისარზე იგი დიდ ტანჯვაში ჩააგდო, მაგრამ თავისი გულის ვარამს მაინც სხვას არ აგებინებს. შორეულად ქალიც თითქოს გრძნობს ბაკურის გამიჯნურებას მისდამი.

ბაკურის მეთაურობით მიავლინა გიორგი მეფემ მცირე რაზმი კონსტანტინე კეისრის დასახმარებლად. თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში კონსტანტინეპოლის დაცვის დროს დიდად ისახელა თავი ბაკურმა თავისი ვაჟკაცობით. ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. ამ ჭრილობამ და გიორგი მეფის ასულის სიყვარულმა გადაიტანა, გამოასალმა სიცოცხლეს რაინდი ჭაბუკი.

---

[1]) The history of the decline and fall of the Roman Empire. Edited with introduction, notes, appendices and index by I. B. Bury, London, 1896 — 1900.

[2]) Histoire du Bas — Empire, nouvelle édition, t. XXI, 219 — 221.

[3]) თ. ჟორდანია — „ქრონიკები", წიგნი მეორე, ტფილისი, 1897 წ. გვ. 286 — 287.

[4]) ზოგიერთი წყაროს მიხედვით თითქოს ამ ქალის სახელი ნინო ყოფილა (იხ. თ. ჟორდანია — „ქრონიკები", წიგნი მეორე, გვ. 287; პ. იოსელიანი — „Описание Душета", 1860 г., გვ. 36).

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

„განგების რკალში", ანუ „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე" შეეხება საქართველოს წარსული ცხოვრების მეტად მძაფრ ხანას. ამ ნაწარმოებში ავტორმა დაგვიხასიათა XVII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა და იმ დროის მთავარი ფიგურა გიორგი სააკაძე. ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ღრმად იხედება საუკუნის ყოფაში, კარგად ერკვევა მაშინდელი ცხოვრების მამოძრავებელ ძალებში და მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს მრავალ საინტერესო მოვლენას.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი სწორედ აშუქებს იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიაც იმყოფებოდა საქართველო XVII საუკუნეში. ამ დროს საქართველო უკვე დიდი ხნის დაყოფილი იყო სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ. ამ სამეფოებსა და სამთავროებს უკვე განვლილი ჰქონდათ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების გზა. ამ ხანებში ქართლს ჰფლობდა მეფე ლუარსაბ II, ხოლო კახეთს თეიმურაზ I. მათი მეფობის წლები მეტად მძიმე და აუტანელი იყო საქართველოსათვის. გარეშე და შინაური მტრები ასუსტებდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს, სპობდნენ მის თვითარსებობას.

განსაკუთრებული გეოგრაფიულ-ტერიტორიალური მდებარეობის გამო საქართველო მუდამ გამწვავებული ბრძოლების ობიექტი იყო მოსაზღვრე თუ მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ერთის მხრით ჩვენს ქვეყანას ესაზღვრებოდა ირანი და თურქეთი, ხოლო მეორეს მხრივ ჩრდილოეთიდან საამხრეთისაკენ მტკიცედ მოიწევდა გაძლიერებული რუსეთი. დარიალის კარები ქართველების ხელში იყო. რუსეთი ამ კარების გაღებაზე ოცნებობდა, რომ გზა გაეკაფა სამხრეთისაკენ. ირანი და თურქეთი კი ამ კარების გადარაზვას ფიქრობდნენ, რათა რუსეთი კავკასიონის ქედზე არ გადმოეშვათ. ამიტომ იყო, რომ საქართველო დიდი ბრძოლის საგნად გახდა ირანსა, ოსმალეთსა და რუსეთს შორის. პატარა საქართველო ამ ბუმბერაზთ შორის დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა. მას ესაჭიროებოდა მოკავშირე. როგორც ქართლისა, ისე განსაკუთრებით კახეთის მეფეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ როგორმე თავი დაეღწიათ ირანისა და თურქეთის მონობისაგან. ერთ-ერთ საშუალებად ამ მიზნის მიღწევისათვის ქართველებს რუსეთთან დაკავშირება და მისი მფარველობის ქვეშ შესვლა მიაჩნდათ. ამ ხანებში ქართველ მეფეებს ხშირი მიწერ-მოწერა აქვთ რუსეთის მეფეებთან, ელჩებსაც უგზავნიან და სთხოვენ მათი მფარველობის ქვეშ მიღებას. [1])

ეს გარემოება დიდად აბოროტებდა ირანის შაჰებს. საქართველოს ორიენტაციის საკითხი მათთვის ერთი უდიდესი ამოცანათაგანი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული ირანის მომავალი სიმტკიცე და არსებო-

[1]) იხ. „Сношения России с Кавказом". Материалы извлеченные из Московского главного архива мин. иностр. дел С. Белокуровым. Выпуск 1-й (1578 — 1613 г. г.). Москва, 1889 г.; „Материалы по истории грузино-русских взаимоотношений" (1615—1640 г.). Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов. Изд. Тбилисск. Госунта 1937 г.; А. Цагарели, „Сношения России с Кавказом в XVI — XVIII столетиях". Петербург, 1891 г.; М. Полиевктов, „Экономические и политические разведки московского государства XVII в. на Кавказе", изд. научно-исслед. института кавказоведения, Тифлис, 1932 г.

ბა. სწორედ ამიტომ ირანის გამოჩენილმა მპყრობელმა შაჰ-აბასმა სცადა ამ საკითხის ერთხელ და საბოლოოდ ირანის სასარგებლოდ გადაჭრა. ეს რუსეთი მეტად საშიშ და ძლიერ მეტოქედ მიაჩნდა. შაჰ-აბასმა კარგად იცოდა, რა სერიოზული კავშირი ინასკვებოდა საქართველოსა და რუსეთს შორის. შაჰ-აბასის მისწრაფება იყო ჩაეკეტა ჩრდილოეთის საზღვარი ისე, რომ რუსებს ვერ მოეხერხებინათ სამხრეთისაკენ წამოსვლა. ეს გარემოება იყო მიზეზი შაჰ-აბასის დაუსრულებელი და სასტიკი ლაშქრობისა საქართველოში, რამაც ჩვენი ქვეყანა საშინელ განსაცდელში ჩააგდო.

თანაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური უბედურებისა იყო ფეოდალური განაპირება, სეპარატიზმი. ქართველი დიდებულები არ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას, მათში თანდათან იხმობა საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები, ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის იდეა. ისინი იფარგლებიან თავიანთი საბატონეების ვიწრო, შემოზღუდულ სარგებლობის მისწრაფებებით. დაქსაქსული და ერთმანეთისაგან მოწყვეტილი სამთავროები „საუკუნოების განმავლობაში ომობდნენ ურთიერთ შორის და ანადგურებდნენ ერთმანეთს, უსისიანებდნენ ერთიმეორეს სპარსელებსა და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესათუის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრატიულ სფეროს ეხებოდა, და ეს გაერთიანება ჩქარა ინგრეოდა თავადების ეგინიანობით და გლეხების გულგრილობით“.[1]) გალაღებული ფეოდალები შიგნიდან ასუსტებდნენ და ღრღნიდნენ საქართველოს მთლიან ორგანიზმს. ისინი მთელი რისხვით დაატყდებოდნენ ხოლმე თავს იმას, ვისაც გული შესტკიოდა ქვეყნისათვის, ვინც საქართველოს გაერთიანებაზე და სიმტკიცეზე ფიქრობდა. ასეთი მოქმედებით ქართველი ფეოდალები ასუსტებდნენ ქვეყანას, უადვილებდნენ მტერს შემოჭრილიყო საქართველოში, დაეპყრო და დაერბია იგი.

ასეთ დროს გამოდის სამოქმედო ასპარეზზე გიორგი სააკაძე — იმ ეპოქისათვის უაღრესად პროგრესიული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. თავის პიროვნებაში, უსაზღვრო ვაჟკაცობასთან ერთად, იგი აერთიანებდა თავისებური პოლიტიკოსისა და დიდი სამხედრო სტრატეგის თვისებებს. გიორგი სააკაძე ცდილობდა თავის მოღვაწეობაში ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ინტერესების ორგანიულად შერწყმას, ერთმანეთთან დაკავშირებას. თავისი პოლიტიკით მას ძირითადად ორი ამოცანის გადაწყვეტა სურდა: პირველი — საქართველოს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად გაერთიანება და მეორე — ფეოდალთა უფლებების შეკვეცა და გლეხობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. სააკაძე მიზნად ისახავდა საქართველოს გადარჩენას გარეშე და შინაურ მტაცებელთა კლანჭებისაგან. იგი გამოსავალს ხედავდა ძლიერ, გაერთიანებულ საქართველოს შექმნაში, ხოლო ამის წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები, რადგან მეფის ხელისუფლების გაძლიერება მათი უფლების შეზღუდვას მოასწავებდა. სააკაძე ლამობდა დაემორჩილებინა ფეოდალები მეფისათვის, აძლიერებდა გლეხობას და ღარიბ აზნაურობას. ფეოდალებსა და სააკაძეს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, რის შედეგადაც ფეოდალურმა არისტოკრატიამ შესძლო მისი დამარცხება.

---

[1]) ი. სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, პარტგამომცემლობა, ტფილისი, 1934 წ. გვ. 9.

გიორგი სააკაძის იდეები მისი დროისათვის მოწინავე იყო, მაგრამ ფეოდალური წესწყობილების პირობებში — განუხორციელებელი. ეროვნულ-სოციალ-პოლიტიკური ვითარება ხელს არ უწყობდა მისი მიზნების მიღწევას. ამიტომ ნაადრევი აღმოჩნდა ისინი. სააკაძის მისწრაფება საქართველოს გაერთიანებისა და დემოკრატიული რეფორმების გატარებისა იმ დროს დარჩა გადაუწყვეტელი, ხოლო თვით იგი, მიუხედავად ბრწყინვალე პირადი ღირსებებისა, იძულებული ხდება აწარმოოს ზოგჯერ ორაზროვანი პოლიტიკა და ჩაიდინოს მთელი რიგი სერიოზული შეცდომები, რის შედეგადაც იგი იღუპება. ეს შეცდომები საშუალებას აძლევს მის მტრებს ჩრდილი მიაყენონ ამ დიდი ადამიანის სახელს, შეთხზან ჭორები, ვითომც იგი საშშობლოს მოღალატე იყო.

გიორგი სააკაძის პროგრესიული მიზნები კონფლიქტში აღმოჩნდნენ არსებულ სოციალურ ურთიერთობასთან. სააკაძის მოღვაწეობის ეპოქაში დიდი ფეოდალები გაცილებით უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე წვრილი აზნაურობა, რომელსაც იგი ეყრდნობოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია სააკაძის პოლიტიკის დამარცხება ქვეყნის შიგნით, და რათა გადაელახა შინაგან ძალთა წინააღმდეგობა და განეხორციელებინა თავისი მიზნები, მან მიმართა გარეშე ძალას. მისი პოლიტიკის ყველაზე უფრო სუსტი მხარე და შეცდომა სწორედ ის იყო, რომ იგი ვერ ითვალისწინებდა გარეშე ფაქტორის ნამდვილ მნიშვნელობას, ვინაიდან ამ ფაქტორს არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. ამიტომ მისი მისწრაფება დამარცხდა. სწორედ ეს წინააღმდეგობა სურვილსა და შესაძლებლობას შორის იყო სათავე სააკაძის მთელი ტრაგედიისა.

გიორგი სააკაძის საკითხი არ არის ისტორიულად სავსებით გაშუქებული, არ არის სავსებით შესწავლილი მისი როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, არ არის სავსებით გაფანტული ის ბურუსი, რომელიც ამ დიდი პიროვნების გარშემო შექმნეს ისტორიული წარსულის მანძილზე (ანტონ კათოლიკოსმა,[1]) ვახუშტი ბატონიშვილმა[2]) და სხვებმა). გმირი და თავდადებული მებრძოლი ქვეყნისათვის, დანაწილებული საქართველოს გაერთიანების მხურვალე მოსურნე, ცხადია, მოღალატე ვერ იქნებოდა, პირიქით, იგი ერთ-ერთი შესანიშნავი მებრძოლი იყო თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის.

ასეთი რთული ეპოქისა და პიროვნების მხატვრული გახსნა და გააზრება აქვს მოცემული ვ. ბარნოვს „განგების რკალში". რომანი შედგება სამი ნაწილისაგან: „ქუფრი ლანდები", „ბჭესთან დიდებისა", „გადატყდა ხმალი". მწერალი ასახავს საზოგადოებრივი ძალების ბრძოლას, რომელიც უაღრეს გამძაფრებამდე აღწევს. ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტი მკვეთრად ხსნის XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს და ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან.

„განგების რკალშის" პირველ ნაწილში ძირითადია ლუარსაბისა და მაკრინეს ურთიერთობა. ვ. ბარნოვს რომანის ამ ნაწილში გამლილი აქვს მომხიბლავი სასიყვარულო ინტრიგა. მეორე და მესამე ნაწილში უკვე ძირითად

---

[1]) დ. ჩუბინაშვილი — „ქართული ქრესთომატია", ნაწილი პირველი, 1846 წ. სანკტ-პეტერბურგი, გვ. 327 — 344.

[2]) ვ. ბატონიშვილი — „საქართველოს ცხოვრება" (1469 — 1800), მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1913 წ. გვ. 53 — 56.

ფიგურად გვევლინება დიდი მოურავი, რომლის თავგადასავალსაც ავტორი მოგვითხრობს ისტორიული წყაროების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სააკაძე თავისი ვაჟკაცობით და ჭკუით ახერხებს ქართლის მოპოებას ქართლში. მას ანგარიშს უწევენ და აფასებენ ქართველი მეფეები. სააკაძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, რომ სვიმონ მეფეს ომებში გვერდით უდგა. სვიმონის სიკვდილის შემდეგ გიორგი მეფემ კიდევ უფრო მეტად დაიახლოვა სააკაძე. ოცდაორი წლის სააკაძეს მან უბოძა ქართლის ამირთამირობა და მოურავობა ტფილისისა, ცხინვალისა და მთელი ოსეთისა. ლუარსაბის გამეფების შემდეგ სააკაძე კიდევ უფრო სახელოვანი და გავლენიანი ხდება. ლუარსაბ მეფე დაემოყვრა სააკაძეს—შეირთო მისი ასულამაზით განთქმული მაკრინე.

სააკაძე კარგად ითვალისწინებდა, რომ ასეთი მჭიდრო დაახლოება სამეფო გვარეულობასთან კიდევ უფრო მეტ მტერს შესძენდა მას ფეოდალური არისტოკრატიის წრეებში, რომ ეს დამოყვრება საბოლოოდ მას უბედურებას მოუტანდა, გაარისხებდა თავადებს, რომ დიდკაცობა არ მიიღებდა ამ მოყვრობას. სინამდვილეში მართლაც ასე მოხდა. სააკაძის ამაღლებას ვერ შეურიგდა თავადობა, თხზავენ და ავრცელებენ მის წინააღმდეგ ცილისწამებას, ამცირებენ სააკაძის გვარს და მტრობენ ამ გვარიდან გამოსულ დედოფალს. იმდენი აბეზღეს მოურავი ლუარსაბთან, რომ მეფე დარწმუნდა სააკაძის მოღალატეობაში. მართალია, სააკაძეს თავისი მომხრეებიცა ჰყავდა (თავადიშვილთა და განსაკუთრებით აზნაურთა და გლეხთა წრეებიდან), მაგრამ მოწინააღმდეგენი გაცილებით უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და აიძულეს იგი სამშობლოდან გადახვეწილიყო. სწორედ ამის შემდეგ იწყება საქართველოში ის საშინელი კონფლიქტები, რომლის ცენტრში თითქმის ყოველთვის სააკაძე იყო. სააკაძე დაღუპეს „მაბეზღარმა", „მოქიშპე" ფეოდალებმა, რომელთაც მოსვენებას არ აძლევდა მისი სახელი და დიდება. ფეოდალურმა არისტოკრატიამ წოდებრივი ინტერესების გულისათვის გასწირა თავისი ეპოქის შესანიშნავი ადამიანი და სახელოვანი გმირი. როგორც ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე აღნიშნავს, ყველაზე ბოროტმა ადამიანმა და დახელოვნებულმა ინტრიგანმა შადიმან ბარათაშვილმა „დაიყოლია მეფე და აათვალწუნებინა იმისთანა კაცი, როგორიც იყო დიდი მოურავი, გადაჰკიდა მეფე დიდ მოურავს და დიდი მოურავი იძულებული შეიქნა შეჰკედლებოდა შაჰ-აბასსა". [1])

გიორგი სააკაძის ცხოვრება ვ. ბ ა რ ნ ო ვ ს ნაჩვენები აქვს როგორც დაუსრულებელი ბრძოლა. მკითხველის წინაშე წარმოდგება სახე უდრეკი რაინდისა, ბუნებით ჭკვიანი და სახელოვანი მეომრისა, რომელსაც ვერა სძლევს, ვერ იმორჩილებს ვერავითარი უბედურება. პირველივე სიტყვებიდან მოურავი მოჩანს როგორც ბრგე ვაჟკაცი, რომლის „ბოხი ხმა მდორე გრგვინვად ეფინებოდა" არე-მარეს, რომლის „ვეფხვის ტოტივით ძარღვიანი სისხლით გატენილი ხელები" და „დიდრონი ამომჯდარი თვალები" მეტყველ სახეზე, შიშის ზარსა სცემდნენ მტრებს. მისმა გულმა არ იცის შიში. ულმობელია იგი მტერთან, ორგულთან, ომში იბრძვის თავგანწირულად და აზრიანად. მის რჩევა-დარიგებას მიყოლილი ჯარი არასოდეს არ მარცხდება. ამის მრავალ მაგალითს იძლევიან სააკაძის ბრძოლები. მხოლოდ მისმა ვაჟკაცობამ და სა-

[1]) ი. ჭავჭავაძე — „თხზულებანი", ტ. II. პ. ინგოროყვას რედაქციით, სახელგამი, 1941 წ. გვ. 490.

ზრიანობამ იხსნა მეფე ლუარსაბი ცხირეთის კატასტროფისაგან, რომელსაც ქართლს მოულოდნელად თავს დაესხა თათრის დიდი ლაშქარი. ამ ლაშქარში ირანელები ებრძვიან ინდოეთს. ომის დაწყებისას მათ გამართეს მცირე თათბირი. ყველამ თავისი მოსაზრება წარმოსთქვა საომარი ტაქტიკის შესახებ. მიდგა ჯერი საკაძეზე. „ბრძოლას მოვიგებთ, მაგრამ მოგახსენებთ: ჩვენი ლაშქარი ერთობ შეჭუჩებულია, რაზმებშია თავისუფალი ადგილი არ არის. მოძრაობას შეამდორებს გაჭირვების ჟამს“. სარდალთაგანმა ალი-არსლანმა მკვახედ მიუგო: „ბითუმად უნდა მოხვდეს მტერს ხალხი, რომ შეამტვრიოს მათი მწკრივები, შეიჭრას შიგნით. სპილოთა რიგი ეკვეთონ შეჯგუფებულთ. მათ წინააღმდეგ ერთ-ერთი ხერხი არის: მსწრაფლ მოძრაობა“. მოუწონეს საკაძეს სიტყვა და გაიმარჯვა ირანელთა ლაშქარმა.

საკაძე მდიდარი ბუნების ადამიანია. ვაჟკაცობასა და გზირობასთან ერთად მას ახასიათებს რაინდული ქცევა, კეთილშობილება და ნათესაური გრძნობა. იგი გვევლინება როგორც მოყვარული მამა, ძმა და ერთგული მეუღლე.

საკაძის პიროვნებაში ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა მისი მიზნები და ზრახვები. თვით ნაწარმოებში ბევრგან პირდაპირაა ნათქვამი, რომ იგი იბრძოდა ცენტრალისტური ხელისუფლების განსამტკიცებლად. მისი მისწრაფება იყო აღმოფხვრილიყო დიდებულთა ზვიადობა, რომელიც არყევდა მეფის ტახტს და მთელი საქართველო გაერთიანებულიყო ერთი ძლიერი მეფის ხელში. შემთხვევითი როდია, რომ დიდებულებთან ერთად კახეთის მეფეს, თეიმურაზსაც სძულდა საკაძე. იგი ამ მეფეს წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი. დიდებულები საუბრობენ: „სხვაგვარად ფიქრობს ამირთ-ამირი! ვინ არისო დადიანი, გურიელი, თუნდ კახთ ბატონი, თუ არა მხოლოდ ქედმაღალი თავადთაგანი. უნდა შეიგნონ: ყმები არიან საქართველოს ერთის მეფისაო... დიდ შედეგიანია ეს იმის თქმა: თუ ამოქმედდა ეს მისწრაფება, ვეღარ შედგება, გავა ბოლომდინ: დასცემს დაბლა ძალის მექონს ყველას და ყველგან“...

მტკიცე ხელისუფლებისათვის მებრძოლი საკაძის მისწრაფება შიშს და ძრწოლას ჰგვრიდა განაპირების მოსურნე ფეოდალურ არისტოკრატიას. შადიმან ბარათაშვილს კარგად ესმის მოურავის სწრაფვა: „დიდ სვიმონისაგან მაქვსო ჰაზრი წამოღებული: მეფის ტახტი უცილობლივ უნდა ბრწყინავდეს სწორუპოვარი; როგორც გლეხი ჰმორჩილებს თავადს, მთელი ხალხი: გლეხი, თავადი, აზნაური, სამღვდელოება უნდა ჰმონობდეს ერთს მბრძანებელსა, ქართველთ ხელმწიფეს; ვისაც არ სურს და ამაყობს, მეფის დარი შევიქმნებიო, უნდა დაკნინდეს, მოისპოს იგი!“.

საკაძის მოღვაწეობა, როგორც ტახტის გამაძლიერებლისა, მიმართულია დიდებულთა წინააღმდეგ, ამიტომ ბუნებრივია მტრობა მათ შორის, ბრძოლა და შეღლი ერთმანეთისადმი. შადიმან ბარათაშვილი საკაძეზე ფიქრობს: „მე მისი დუშმანი, იგი ჩემი ავის მსურველი; მაინც უნდა ვთქვა, ღირსეულია! და მით უფრო საშიშია, საფრთხილობელი. ისა ჰგონიათ, მე მმტრობს პირადად, ან მე მასა ვმტრობ, საკაძესა! არა! დიდებულთა მტერი არის უძინებელი: ის ჰაზრი უძღვის, დაამდაბლოს ამაღლებულნი, დააკნინოს, დასცეს დაბლა გვარიშვილები“.

საკაძე გრძნობს, რომ თავადები სულს უხუთავენ ხალხს, ავიწროებენ, სტანჯავენ გლეხობას. ეს უსამართლობად მიაჩნია. ამიტომ იცავს იგი ხალხს.

ფეოდალები მას წოდებრივ-კლასობრივი ინტერესების გულისძირის ეფრ-ძვიან. „ლუარსაბი ადრეცა გრძნობდა, რომ ბრძოლა საკაძისა და წარჩინებულთა შორის არ იყო მხოლოდ პირადი მტრობის ნაყაური: ალლო ეტყოდა: ამ უძინებელ განხეთქილებას საფუძვლად ჰქონდა ფართო ჰაზრი, თუ მისწრაფება. ამას ცხადჰყოფდა თითონ მებრძოლთა შემადგენლობა: ერთს მხარეს იყვნენ დიდებულნი, მეტ ალმატების მოტრფიალენი; მათ წინააღმდეგ აზნაურები, მდაბიო ხალხი“.

რამდენადაც მტრული იყო დამოკიდებულება დიდებულებთან, იმდენად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა საკაძეს ხალხთან. დიდებულები აღნიშნავენ, რომ ყველასთან ზვიადი არ არის ამირთამირი: „ეტმასნება, უალერსებს გლეხთ, აზნაურებს. ალლოთი თუ ვრძნობს იმათ ტოლობას. თუ სხვა ჰაზრი უტრიალებს ზვიად თავშია: ჰსურს მოისყიდოს იმათი გული“, — „გლეხებს ეყრდნობა, თითონაც გლეხი!“, „ჯარი, ხალხი აღმერთებს მას“.

ხალხს საკაძის უსაზღვრო ნდობა აქვს. შაჰ-აბასის პირველი შემოსევის შემდეგ ასეთი ლაპარაკი ისმის მათში: „კრულვით იღებდნენ ჩვენს გიორგის, სპარსთ მოუძღვისო საქართველოს ასაკლებად. — აოხრებას მაშინ ჰნახავდნენ, თუ გიორგი არ ახლდეს თანა“. ხოლო, როცა შემდეგ გიორგი და ყორჩი-ხანი მოვიდნენ საქართველოში, ხალხში ასეთი მითქმა-მოთქმა იყო: „არა, შიში არაფრისაა: გიორგი არის მთავარსარდალი და არ გაგვიმეტებს — სპარსთა ჯარმა რომ აგვიკლო, გიორგი თან არ ახლდა ყეინს, თორემ ნებას არ მისცემდა. — ყეინის პირველ შემოსვლაზედ იმან იხსნა საქართველო განსაცდელისაგან“.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი გვიჩვენებს ხალხის სიყვარულს საკაძისადმი. ხალხი ხედავს თუ როგორ გასწირეს მეფე ლუარსაბმა, შადიმან ბარათაშვილმა და სხვა ძლიერმა ფეოდალებმა საკაძე, როგორ დაივიწყეს მისი ღვაწლი ქვეყნის დაცვის საქმეში. „არ ინდობენ არც მეფე, არც დიდებულნი ამაგდარ ადამიანს ღირსეულს და ჩვენ რაღას დაგვზოგავენ“... „ — აღარ ახსოვთ უმადურებს, რომ თათარ-ხანობას გიორგიმ დაიფარა ეგენი ამოწყვეტისა და გაოხრებისაგან“. როცა საკაძეს სამშობლოდან განდევნიან, ხალხი ასე ეხმაურება ამ ამბავს: „—გიორგი გაუნაპირებიათ ბატონებს, აჰმტერებიან, მეფე გაუორგულებიათ მასზე“. „ — ბატონი რაღა ბატონია, თუ უმადური და უმადლო არ იქნება“. „ — მაგათ არაფერი სიკეთე არ ახსოვთ კაცისა: თუ გიორგი არ გარჯილიყო თათარ-ხანობას, ვნახავდით მაგათ ყოფას მეფიანათ!“ „ — მაშინ ამოდენა ხალხი მაგან გადაგვარჩინა და ეხლა“... „ — ეხლა ჩვენ გადავარჩინოთ, რომ სული მოითქვას... თავს დავდებთ მისთვის: წარჩინებულია, მაინც ჩვენი კაცია“... ხალხი გრძნობდა მახლობლობას საკაძესთან, მის ჰუმანიურობასა და კეთილშობილებას, პატრიოტულ სულისკვეთებას და სიყვარულს ქვეყნისადმი.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ს ბევრგან აქვს აღნიშნული რომანში საკაძის განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი. ქვეყნის ინტერესებს იგი ყოველთვის წინ აყენებდა. მისი სიტყვებია: „ეხლა ყოველივე უნდა დავთმო და ყველას შეუფერო, რომ შევკრიბო საქართველო ძნელ ბრძოლისათვის“. ეს აზრი ამოძრავებს საკაძეს მთლად თავისი ცხოვრების მანძილზე, თუმცა მისი განხორციელების მეთოდი ყოველთვის სწორე და მართებული არ ჰქონდა.

„განგების რკალში“ სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხსაც, თუ საით იხრება საკაძე, ვისთან სურს

მას, რომ საქართველოს ჰქონდეს ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი. რომანის მიხედვით, სანამ შაჰ-აბასი სააკაძის სიკვდილს განიზრახავდა, ეს უკანასკნელი ყოველთვის ირანის ორიენტაციისა იყო. მაგრამ დარწმუნდებოდა, [illegible] შაჰ-აბასის ვერაგობაში, მაშინვე ზურგს შეაქცევს მას. ერთხანს სააკაძე თითქოს ოსმალეთსაც თანაუგრძნობს, მაგრამ საბოლოოდ კი საქართველოს თვითმყოფობის აზრის მომხრეა. არც ერთი გარეშე ძალა არ არის საჭირო საქართველოს დამხმარედ; ამასთან ერთად რომანში საკმაოდ დაწვრილებით არის ნაჩვენები ის ძალა და ის წრეები, რომლებიც მოითხოვდნენ საქართველოს დაკავშირებას რუსეთთან და მისი მფარველობის ქვეშ შესვლას. ამ მიმართულების მთავარ წარმომადგენლად გამოყვანილია კახეთის მეფე თეიმურაზი და მისი მახლობლები.

გიორგი სააკაძის რთული ხასიათის ჩვენების დროს ვ. ბარნოვი ისტორიულ კანონზომიერებას იცავს. მას სააკაძე გამოჰყავს როგორც დიდი პატრიოტი და თავისი ქვეყნისა და ხალხის მოყვარული. ავტორის სიყვარული სააკაძის მხარესაა, როცა იგი ფეოდალებს ებრძვის, როცა სამშობლოს იცავს. მაგრამ ამავე დროს ვ. ბარნოვი არ ახდენს სააკაძის გაიდეალებას, გადაჭარბებით არ აფასებს მის დემოკრატიზმს, არ ჩქმალავს იმ შინაგან წინააღმდეგობათ, რაც მას ახასიათებდა. როდესაც სააკაძე უცხო სახელმწიფოთა ძალებზე (ირანი, რსმალეთი) იღებს ორიენტაციას თავისი მიზნების განსახორციელებლად, აქ უკვე იგი აღარ არის ვ. ბარნოვის გმირი და რომანში სააკაძეზე ვკითხულობთ შემდეგ კრიტიკულ სტრიქონებს: „სპარსთ სისხლის მძებნელ სააკაძეს ველარ ეგნო ხალხის გულისთქმა: მის გონებას არ ესმოდა ერის ძახილი, მის ჩახშულ გულს ველარ ეგრძნო ერის განცდანი, ვერ ხედავდა, არ ჰყვებოდნენ ქართველთ ტალღანი, სურვილთ ყვავილებს არ აფენდნენ მის ბრძოლის გზაზედ. მიილტვოდა სააკაძე სავნებლისაკენ და სწრაფვა მისი იყო ქროლვა სტიქიონთ ძალის“. ეს კრიტიკული ხაზი ბევრგან არის რომანში გამძაფრებული: „ხალხსაც ველარ ეთვისებოდა გზააბნეულ ბუმბერაზის მოქმედება. წინად ერი უყურებდა მხსნელად ბატონთა მძლავრობისაგან; საფურცლეს ომში ღირსეულად დაიმსახურა სახელი უცხოელთა მონობისაგან ხალხის მხსნელისა; ეხლა ოსმალთ მოუძღოდა ქართველთ ბატონად“. გზააბნეულ სააკაძეზე მწერალი ასე ალაპარაკებს ქართველებს: „გიორგი რომ სპარსთ შეებრძოლა, მხარი მივეცით: არ დავზოგეთ არც სიცოცხლე თავისუფლად არსებობისათვის. ეხლა მხოლოდ იმისთვის ვიბრძვით, რომ სპარსთ მაგივრად ვაუფლოთ ჩვენზე ახლა ხონთქარი? რასა გავს ეს?“ ბედისწერის მრისხანება ატივტივებდა, აქანებდა ქუფრ ზვირთებზე მოურავს. მან ხმალი ამართა ქართველების წინააღმდეგ: „წაესწრაფა სააკაძე მტრის შესახვედრად და მტერი იყო ისევ ქართველი. ამ მოძრაობამ შეაბრუნა გიორგისაგან ქართველთა ერი. ველარ მოსწონდათ! ჩასდგომოდა სათავეში სხვისა ძალებსა, უგზნებდა ქართლს, ქართველების ოსმალთ სამონად, უსჯულოთა ფეხით საქელად. ვერ ხედავდა ყველა ამას ამირთ-ამირი; ვერ შეეძლო ნათლად მზერა აბმულ თვალებით“.

ასე ესახება მწერალს სააკაძის მთლიანი ფიგურა. მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე მისი ცხოვრება რელიეფურად არის მოხაზული. აქ აღარ არის ხელაღებითი აპოლოგია დიდი მოურავისა, რაც ასე დამახასიათებელია იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანისა“ და ა. ფურცელაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო მონოგრაფიისა: „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“.

რატომ დამარცხდა, ვ. ბარნოვის აზრით, გიორგი სააკაძე? ამ საკითხის გარკვევას იგი ცდილობს ფილოსოფიურ ასპექტში (თუმც ეს გარკვევა რეალურად არ უდგება, არ გამოხატავს ისტორიულ ვითარებას). ის გარემოება, რომ თავის ნაწარმოებს ვ. ბარნოვმა უწოდა „განგების რკალში“, შემთხვევითი როდია. აქ მოჩანს მთელი მისი იდეა. ადამიანის დანიშნულება ამ ცხოვრებაში ბედისაგან არის განსაზღვრული. ვინც განგების წინააღმდეგ წავა, იგი ყოველთვის დაილუპება. სააკაძემ თითქოს უარჰყო განგებისაგან დანიშნული მოწოდება და იგი გაიწირა. ბედისაგან დანიშნული ჰქონდა სააკაძეს, რათა საქართველოს სამეფო ტახტზე ასულიყო. ამას ურჩევდა მას ხალხი. „უნდა აასრულო განგების ნება, ან დაიღუპო!.. განგება ირჩევს მეუფის გვარს განსაზღვრულ ჟამით. აასრულებს მისი მოდგმა დანიშნულებას, სხვას მისცემს გვირგვინს. ჟამმა დარეკა, საქართველოს სული გიბრძანებს, ხალხის მეფეო!“ ხალხის სახელით ურჩევს გოდერძი ბურდული დიდ მოურავს ჩამოაშოროს ტახტს უმწეო მეფე და თვით იკისროს ქვეყნის წინამძღოლობა. მთიელთა წარმომადგენლები ასე მიმართავენ სააკაძეს: „შენს პასუხზედ არის დამოკიდებული ქვეყნის ბედი, შენს ხელთ არის საქართველოს გადარჩენა და მთის დაწყნარებაც... ამ განწირულ ომში საჭიროა ხატისაგან დალოცვილი სარდალი დიდი. ამისთანა წინამძღვარს აღარ უნდა ჰყვანდეს სხვა მბრძანებელი, ხელის შემშლელი... ხალხს ჰსურს და ხატსაც: შენ უნდა იყო მთავარსარდლად და მბრძანებლადაც: სხვას ვერ დავემორჩილებით!.. გამჩენელს შენთვის მოუწვდია სამშობლოს დაცვა, შენვე უნდა გამშვენებდეს ხმალი სამეფო!.. ხალხის ნება და ერის ხმა ღვთის ხმად მოისმის“. ამნაირად, თითქოს ხალხი სთავაზობდა სააკაძეს ტახტს და ჯარით შველას ჰპირდებოდა. რა პასუხი გასცა მათ მოურავმა? „მე ხმლის კაცი ვარ, ბრძოლის ბატონი. არას დავზოგავ ხალხისათვის, არც ჩემ სიცოცხლეს... ბაგრატიონს ვერ მოვხდი გვირგვინს ზეცით ნაბოძებს“. არ მოხადა ბაგრატიონთ სამეფო გვირგვინი სააკაძემ და, განგების რკალში მომწყვდეული, თვით დაიღუპა. ამის შემდეგ გაიწირა დიდი სარდალი, მან წაგო ბრძოლა მარაბდაში, ბაზალეთში, ხოლო საბოლოოდ ოსმალთ ხელით გამოესალმა სიცოცხლესაც. „უძლეველი ხმალი მისცა განგებამ ხელში. დასახა იგი ქართველთ წინამძღვრად, უბრძანებდა, წაეყვანა ხალხი ახალი გზით. ვერ შეიგნო ხმა ბედისწერის და იღბალმაც უარჰყო იგი: აჰხადა მებრძოლს სული მეცანი“. ამის შემდეგ თვით ხალხიც გადაუდგა აქამდე სათაყვანო დიდ მოურავს.

ამგვარად, ვ. ბარნოვის აზრით, გიორგი სააკაძე იმიტომ დამარცხდა, რომ მას ბედმა ჩამოუარა, ფრთა შეახო, მან კი ვერ იგრძნო, ვერ მიჰყვა, დაუპირისპირდა ბედისწერას და გაიწირა.

გიორგი სააკაძის დამარცხების მიზეზები ვ. ბარნოვს ტიპიურ იდეალისტურ-მეტაფიზიკური გაგებით აქვს ახსნილი. მწერალი ვერ ითვალისწინებს სააკაძის დამარცხების ნამდვილ მიზეზებს, სახელდობრ, რომ მისი იდეები ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ საზოგადოებრივ შეგნებას, რომ მისი მიზნები ნაადრევი იყო და ვერ განხორციელდებოდა ფეოდალურ კარჩაკეტილობის პირობებში. იგი დამარცხდა სწორედ მაშინ, როცა თავისი მიზნების განხორციელებას შეეცადა უცხო ძალების დახმარებით.

ვ. ბარნოვის მიერ რომანში გამოყვანილ ისტორიულ პერსონაჟთა სახეები მეტწილ მკითხველზე ახდენენ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას, ოპრეს გამოკვეთილობით და მხატვრული მთლიანობით.

ტრადიციულად დიდი მოურავის პიროვნებას ყოველთვის უპირისპირდება ლუარსაბის გამზრდელი, დიდი და გავლენიანი ფეოდალი შადიმან ბარათაშვილი. ამ რომანში იგი საკმარისი სიცხოველით არის დახატული, ჭკვიან, მოსაზრებულ პიროვნებად მოჩანს. „მიენიჭებინა მისთვის ბუნებას გამჭრიახი ძალა — გონებისა, ხანთა სიმრავლეს — ყამოცდილება“. შადიმან ბარათაშვილი არის არა მხოლოდ ვიწრო-პირადული ინტერესებით გამსჭვალული ადამიანის ტიპი, არამედ იგი წარმოადგენს კონდენსირებულ სახეს ფეოდალური არისტოკრატიის რეაქციული იდეოლოგიისა XVII საუკუნის საქართველოში. მისი სიტყვები დასრულებულად გამოხატავენ ფეოდალური განპირების იდეას: „ყველა თავადი ისეთივე მეუფეა თავის საყმოში, როგორც მეფე თავის სამეფოში. მხოლოდ მეფეს მეტი საყმო შეუძენია და ძალაც მეტი: ბევრი მებრძოლი შეუძლიან გამოიყვანოს... დადიანი რით არის სწორი მეფისა, ან სხვა მთავარი ქვეყნისა მპყრობი? უშოვიათ მრავალი ყმა, მეტი ქვეყანა, უპოვნიათ მეტი ძალა, ეტოლებიან სხვა ხელმწიფეებს... თუ ლიპარიტს თავის ბრძოლაში გაჰმარჯვებიყო, მისი საყმოც ერთ სამთავროდ შეიქმნებოდა“. ეს აზრი ამოქმედებდა მას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ასეთი აზრებით შეპყრობილი ბარათაშვილი და სხვა თავადები არა ზოგავდნენ არავითარ ცდას, რათა მეფის ტახტი არ გაძლიერებულიყო.

დახელოვნებული ინტრიგანი და მაბეზღარი შადიმან ბარათაშვილი იყო დამწყები და სულისჩამდგმელი ყველა იმ ბოროტებისა, რაც მიმართული იქნა საკაძის წინააღმდეგ. მისი ინტრიგების წყალობით მოხდა განხეთქილება ლუარსაბსა და მაკრინეს შორის. მან მოაწყო ისე, რომ ლუარსაბს მტრად გადაჰკიდა მისი ტახტის ბურჯი საკაძე.

ვ. ბარნოვს რთულად აქვს ასახული შადიმან ბარათაშვილის სახე. მისთვის შადიმან ბარათაშვილი არის ტიპი დიდი ფეოდალისა მისი დამახასიათებელი მისწრაფებებით. შადიმანის შეგნებაშიაც ხდება ზოგჯერ ბრძოლა, წინააღმდეგობა. როდესაც შაჰ-აბასმა მოსთხოვა ლუარსაბის ტყვედ მოყვანა, ეს მას მეტად ემძიმა. იგი ხედავს საკაძის ღირსებასაც. არ შეუძლია პატივი არ სცეს და ანგარიში არ გაუწიოს მას. მაგრამ თავის წოდებრივ-პირადულ ინტერესებს იგი მაინც ყველაფერზე მაღლა აყენებს.

მკაფიოდ არის ნაჩვენები რომანში ლუარსაბ მეფე. პირმშვენიერი, ახოვანი ვაჟკაცი, გულადი და ბედისაგან განებივრებული, სულიერად არარაობას განასახიერებს. ვნებით მლიერი ლუარსაბი მოკლებული იყო სურვილთა მძღვანებელ ძალას, იმ დაუღალავ შემმართებლობას, რომელიც მიაბიჯებს წარბშეუხრელად, მიაღწევს ყოველს საბრკოლსა, ან მიაღწევს თავის საწადს, ან დაითმება. დიდ მოურავსაც აღონებდა სიძე-მეფის აზრთა ცვალებადობა. იგი რწმუნდებოდა, რომ ლუარსაბი სუსტი იყო დიდ ქმედობისათვის, ვერ დაიტევდა საქართველოს გაერთიანების იდეას, ვერ შესძლებდა ბრძოლას მისი გამარჯვებისათვის. ლუარსაბის სისუსტეს კარგად ხედავს დიდი დედოფალი, რომელიც რომანში გონიერ ქალად არის ნაჩვენები: „სდუმდა დედა-დედოფალი დაღონებული. ეჰ, არ მოსწონდა შვილი ლუარსაბი. ის თავის მამას გიორგისაც ვერ ედრებოდა, არა თუ პაპას, განთქმულ სვიმონსა. სამეფო ტახტს კი მეტად სჭიროდა შემმართი მეფე დაფიქრებული“. საქართველოს-

თვის ეს დრო იყო მეტად მძიმე. როგორც არის აღნიშნული რომანში: „ქართველების მეფეთა-მეფეს მხოლოდ-ღა ქართლი ხელთ შერჩენოდა, ... საქართველო გაუყოფელი და გაეტაცნათ მისი წმინდა ნაწილები გასხლეტილებს... სხვა ნამტვრევები ტურფა ქვეყნის ხელთ შერჩენოდათ ქართველთავე შუღლით გალალებულ უძინებელ მტერთ. თვით ქართლშიაც ერყეოდა საფუძველი სამეფო საყდარს გალალებულ ქვეშევრდომთაგან; ჰბაძავდნენ გამდგართ, მათ გზას მისდევდნენ“. ასეთი გასაჭირის დროს ლუარსაბ მეფე ზეიმობდა, დროს ატარებდა, მას დავიწყებული ჰქონდა საერთო საქმე.

მერყევი, უნებისყოფო, ბრძოლის უნარმოკლებული ლუარსაბი სათამაშო ტიკინას წარმოადგენდა გამძვინვარებული ფეოდალების ხელში. დიდებულები იცნობდნენ მეფეს: „მას არ შესწევდა ხასიათის ისეთი ძალა, მედგრად ებრძოლნა ავის განმზრახ ქვეშევრდომებთან“. კარგად ჰქონდა შეცნობილი მეფის ხასიათი შადიმან ბარათაშვილსაც. „იცოდა უეცარ აღტყინებას მალე მოჰყვებოდა მოშვება“. ლუარსაბს სჩვეოდა: „ჯერ აღფრთოვანდებოდა და მკვეთრად აღიჭურვებოდა მისი ნებისყოფა, მაგრამ განვლიდა ჟამი და მოეშვებოდა კაცი, ამოეწურებოდა მქმედი ძალა, აეხვანჯებოდა ჰაზრთა ქსელი და დაუშვებდა გვირგვინოსანი თავს; ქედს მიუბყრობდა ალესილ მახვილს“. შაჰ-აბასიც არ არის დიდი წარმოდგენისა ლუარსაბ მეფეზე: „მერყევია, უნებისყოფო. მასზედ დაყრდნობა ამ ძნელ დროში არ შეიძლება“. მეტისმეტად ადვილი იყო ლუარსაბზე გავლენის მოხდენა. თუ სააკაძე ადგა მას თავს, მაშინ იგი დარწმუნებული იყო მოურავის აზრთა სიმართლეში და თუ დიდებულები ეხვეოდნენ გარს, მათაც ეთანხმებოდა. უნებისყოფო ლუარსაბს დიდებულები შეეჩვნენ საოჯახო საქმეებშიაც, შეუჩნდნენ და ბოლოს დაითანხმეს კიდეც, რომ განშორებოდა მაკრინეს. ამ განშორებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის აშლასა და უბედურებაში.

რომანში მეტად წარმტაცია თეკლე-მაკრინეს სახე. მომჯადოებელი სილამაზისა და მშვენების სრული განხორციელებაა იგი. „დრუნგილის ნაკვთი ასუნთქებული, მთვარეულ შუქით ნაშუქები, გამჭვრიტი კანი აგორებულ ნაწნავთ საშუალ“. პირველსავე ნახვაზე მოჯადოვა მან ლუარსაბ მეფე. „წარსდგა მაკრინე. მეტად ჰლელავდა ღალანა სახე. ღაწვთა არეს ვარდები თუ გადაჰფენოდა. დიდრონ თვალებში აღტაცება ელვარებული. მოირკალა საროს ტანი ხელზედ სამთხვევად. მწყობრად ნახლართი ნაწნავები გადასრიალდნენ. აჩნდა მათ „შუა მთვარის შუქით ნანათი კანი“. ფიზიკურ სრულქმნილებასთან ერთად, მაკრინე სულიერადაც მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების სრული განხორციელებაა. იგი აზრიანია, კეთილი გულის პატრონი. შეაყვარა თავი ყველას, ვინც გარს ეხვია. მეუღლე-მეფეც დაიმონა ტკბილ მორჩილებით. მასთან ყოფნისას, მისი ზემოქმედების შედეგად, მეფის გულში ღვიძებდა „ძალა უტეხი, ხალხთ მმართველისათვის უცილებელი, რომ მძლედ ედგას სათავეში ერის ცხოვრებას და გზას უკვლევდეს ტეხილ აწმყოში თუ ბნელით მოსილ მომავალში გაურკვეველში... და იმ წუთებში საადვილოდ მოსჩანდა მისთვის იმ ნათელ გზაზე მძლედ სიარული“. თითქოს რაღაც ძალა მიუთითებდა ლუარსაბს, რომ მაკრინე იყო მისი ცხოვრებისა და მეფობის ნათელი, გზის მაჩვენებელი ლამპარი: „მისი ალერსი დაგიყუჩებს ხმლის კვალთა ტკივილს, მისი შეხედვა გაგამხნევებს თვით ღონემიხდილს, მისი სიხარული აღგამაღლებს გამარჯვებულსაო“. ლუარსაბი თვით აღიარებს მაკრინეს გონიერებას: „ჭკვიანიც არის და ლმობიერიც, რამდენჯერ მოუცია

ჰაზრიანი რჩევა კეთილი". თავისი სულის სიფაქიზით, სილაღით, იგი ხიბლავდა ყველას. მაკრინე არ იყო მოკლებული სულიერი სიმტკიცისა და სიამაყის გრძნობასაც. იგი თავის თავმოყვარეობას არავის არ შეალახვინებდა. ამიტომ იყო, რომ დამცირებულ მდგომარეობაში მყოფ დედოფლობას მონაზნობა არჩია. მონაზნად აღკვეცის შემდეგაც მაკრინე მაინც ზრუნავდა ლუარსაბის კეთილყოფაზე, სთხოვდა თავის ძმას, არაფერი ევნო მისთვის. იგი არასდროს უკვე აღარ ცდილა დაბრუნებოდა სამეფო სასახლეს. არმაზის მონასტერში დაასრულა თავისი დღენი საცოდავმა შეშლილმა ქალმა.

მეტად საყურადღებოა ხალხის შვილი — გოდერძი ბურდული. იგი გიორგი სააკაძისაგან აღზრდილ-გაწვრთნილია. მისგან ესწავლა შემართება, ბრძოლის წესები. ომებში ყოველთვის გვერდზე ახლდა მოურავს. გოდერძი ბურდული იწვოდა სიყვარულის ცეცხლით მაკრინესადმი, თუმცა ვერ ბედავდა ამის გამხელას. ხმლით, ვაჟკაცობით, თავდადებით უნდოდა მოეპოვებინა „ბედის ვარსკვლავი". მაკრინეც შორიდან გრძნობდა გოდერძი ბურდულის გულისთქმას და თითქოს თანაუგრძნობდა კიდეც. მაგრამ განგებამ სულ სხვაგვარ დაატრიალა საქმე. მაკრინე გახდა ლუარსაბ მეფის მეუღლე და დედოფალი. გულგატეხილი რაინდი ამის შემდეგ განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა. თუმცა უბედურების მოახლოების შემთხვევაში იგი ყოველთვის თავს დასტრიალებს მაკრინეს.

გოდერძი ბურდული ხალხის ინტერესების დამცველია. იგი ყმებს აგულიანებს მებატონეების წინააღმდეგ. მისი ვაჟკაცობა და თავგანწირულება ყველასათვის ცნობილია. თავისი რაზმით იგი ბევრს საგმირო, სასახელო საქმეს აკეთებს.

შეიძლება ითქვას, რომ „განგების რკალში" ვ. ბ ა რ ნ ო ვ ს საკმაოდ სრულად აქვს ასახული ისტორიული წარსული. მხოლოდ დასასრულ თავებშია შესამჩნევი საგრძნობი სქემატიურობა. გიორგი სააკაძის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი ძალზე კონსპექტურად აქვს წარმოდგენილი ავტორს.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანდა ვასილევსკაია — „დღეები, რომლებიც შობენ გმირებს“. (სახელგამი, 1942 წ.).

ვანდა ვასილევსკაია საბჭოთა მკითხველის ფართე წრეებში უდიდესი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს. ინტერესი მისი შემოქმედებისადმი განსაკუთრებით გაიზარდა მიმდინარე სამამულო ომის პერიოდში. ეს მოხდა იმიტომ, რომ ნიჭიერმა მწერალმა ქალმა შესძლო მხატვრული სიტყვით გამოეხატა საბჭოთა პატრიოტების, ჩვენი ქვეყნის მშრომელების უგულითადესი მისწრაფებანი; მან შესძლო მგზნებარე მხატვრულ სახეებში აღებეჭდა უძლეველი ნებისყოფა ჩვენი ადამიანებისა; თავის „ცისარტყელაში“ მწერალმა გვიჩვენა უსაზღვრო სიძულვილი მტრისადმი, მხეცური, ფაშისტური ბრბოებისადმი. მწერალმა დაგვიხატა როგორი უდიდესი თავდადებით, შეუპოვრობით, უშიშრად ებრძვიან საბჭოთა ადამიანები გერმანელ დამპყრობთა ურდოს. „ცისარტყელა“ ნათელი სურათია ჩვენი ხალხის ბრძოლისა, მისი დაუდგრომელი მისწრაფებისა თავისუფლებისადმი, მისი უსაზღვრო სიყვარულისა სოციალისტური სამშობლოსადმი.

გასულ წელს სახელგამმა გამოსცა ვ. ვასილევსკაიას პატარა მოთხრობების, ნარკვევების და პუბლიცისტური წერილების კრებული, ამ კრებულში მართლაც ჩანს სურათი დღეებისა, რომლებიც შობენ გმირებს. წიგნში ყოველი სტრიქონი გაჟღენთილია უმაღლესი და უკეთილშობილესი პატრიოტული გრძნობით.

ამასთან ავტორისათვის უაღრესად დამახასიათებელია მახვილი, ბასრი სტილი, რომელიც უახლოვდება პუბლიცისტიკას, მაგრამ ისე რომ არ ჰკარგავს თავის მხატვრულ მგზნებარებას. „ისტორიაში — ვკითხულობთ ამ წიგნის შესავალში — უკვე აღიბეჭდა მამაცთა ღვაწლი, ღვაწლი უსაზღვრო თავგანწირულებისა. მოვა დრო და იტყვიან დიდებას უძლეველ მესაზღვრეთა, სოკალელ და დუბნოელ პარტიულ მუშაკთა, რომლებიც ბოლომდე იდგნენ ურყევად მტრის წინააღმდეგ, ჩამოყრილ ბომბების გრიალში, კუთხეებიდან გამოსროლილ ტყვიების ზუზუნში. მოვა დრო ასეულ მფრინავთა და ათასეულ მებრძოლთა გმირობის მოსათხრობად. ყოველი დღე სთხზავს ეპოპეას, ყოველი დღე სავსეა სიყვარულით სამშობლოსადმი“.

სარეცენზიო წიგნი ამ დღეებზე და ამ გმირებზე მოგვითხრობს. აღწერილია ცხარე ბრძოლის სურათები, აღწერილია საგნის უდიდესი ცოდნით და ცხოვრების სიმართლით, აღწერილი არიან ადამიანები, სოციალისტურ სამშობლოს და ბოლშევიკური პარტიის ღირსეული შვილები, რომელთაც არ იციან რა არის შიში, რომელნიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან სამშობლოსათვის, სტალინისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ვ. ვასილევსკაიას „პარტბილეთი“. შინაარსი ასეთია: საოლქო კომიტეტში მოიტანენ პარტიულ ბილეთებს ათი მესაზღვრისა, რომლებიც თავის საგუშაგოზე დაიღუპნენ გერმანელებთან ბრძოლაში. ავტორი ვრცლად აღწერს ამ ბრძოლას, როცა ათი ვაუკაცი მკერდით აჩერებს მოზღვავებულ ფაშისტურ ბრბოს. იღუპება ერთი, მეორე, იღუპებიან ყველანი, მაგრამ არც ერთი მათგანი უკანასკნელ წუთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე წარბსაც არ იხრის, კვდებიან ისე, როგორც შეჰფერის სამშობლოს მამაც შვილებს. აქ არის რომანტიკა ბრძოლისა და პატრიო-

48

ტიზმისა, სამშობლოსათვის თავგანწირვისა, — ეს რომანტიკა გამოსჭვივის ყოველ სტროფონში, თუმცა ამბავი აღწერილია მეტად სადა, უბრალო სტილით, აღწერილია ყოველგვარი პათეტიურობის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხალხთა ძმობა“ აგვიწერს სამი წითელარმიელი ტანკისტის საბრძოლო მეგობრობას. შესვენების წუთებში მებრძოლნი იგონებენ თავის ახლობლებს, თავის ომამდელ მშვიდობიან წარსულს, ავტორი გვიჩვენებს მათს წრფელ ინტიმურ განცდებს, მაგრამ იგი აგვიწერს მათ ბრძოლის ცეცხლშიც. ორი მათგანი ბრძოლის დროს დაბრმავდება, მაგრამ მაინც არა ტყდებიან, არ იღუნება მათი ნებისყოფა. ისინი თავიდან ბოლომდე წმინდა ფოლადით ნაჭედი ადამიანები არიან; ამ ეპიზოდშიც ყურადღებას იქცევს ომის, ბრძოლის სურათების უაღრესად პლასტიური აღწერა.

წიგნში ყურადღებას იქცევენ აგრეთვე „ქოხში“, და „ბავშვები“, აქვე მოთავსებულია ვანდა ვასილევსკაიას პუბლიცისტური სტატიები, — „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“, „ერის ღირსებისათვის“, „წამება და სიკვდილი, წაბილწვა და ძალადობა — აი რა მოაქვთ ჰიტლერელებს“.

საერთოდ ეს პატარა წიგნი საუკეთესო საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის, ეს წიგნი თავისი ცეცხლოვანი სტროფონებით კიდევ უფრო აღვივებს მკითხველის გულში სამშობლოს სიყვარულის წმინდათა-წმინდა გრძნობას.

მკითხველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

		გვ.
გალაკტიონი	— ლექსები რკალიდან — ისტორიის ახალი გვერდი	3
ალექსანდრე აბაშელი	— სიმღერა სტალინზე (ლექსი)	10
ვიქტორ გაბესკირია	— ავადმყოფი (ლექსი)	13
იოსებ ნონეშვილი	— ვეფხი (ლექსი)	14
გიორგი ნატროშვილი	— ფურცლები საფრონტო დღიურიდან	15
სოლომონ თავაძე	— კავკასიონის კარებთან	21
აკაკი ბელიაშვილი	— თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა (გაგრძელება)	49
ბორის ჩხეიძე	— ლიახვის პირას (გაგრძელება)	74
ჰანს გაბე	— ათასნი დაეცემიან (გაგრძელება)	88

ფილოსოფია და ლიტერატურის ისტორია

ნ. ა. დობროლიუბოვი	— ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები	111
ალ. ქუთელია	— ნ. ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ	115
შალვა რადიანი	— ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები	139

ბიბლიოგრაფია

მკითხველი	— ვანდა ვასილევსკაიას „დღეები, რომლებიც შობენ გმირებს“	159

ფასი 4 მან.

1383

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ